


ტომი №45 13
ოთარ ჭილაძე

ნაწილი II
შეგიძლიათ შეიძინოთ
„გზის“ ამ ნომერთან ერთად!
წიგნი და „გზა“ ერთად
4 ლარი ღირს
შეადგავი ტომი
ოთარ ჭილაძე
ნაწილი III

გრანდიოზული ძარცვა
— შობის დამს




„ამ ფაქტმა რუსეთის
დამარცხებაში დიდი
როლი ითავაშა“

დაბნეული რატი
დურგლიშვილი
და გასათხროვარი
გოგონების
გრძელი სია

2011 წლის
პატარა
მეკვლეები

თემა
ახალი წლის დამის სასწაულები

გილოცავთ შობა-ახალ წელს!



მრავალშვილიანი ოჯახის სადღესასწაულო
სამზადისი

„ნახვილს ხვს
7 იანვარს პრთავთ“



სნობილი
კურდღლის
ასტრონომობრატი




ვის
გამოჩინეს
ელმდავა
ოთარ ნემსაძე

franco fontana italy

საიუველირო მატარებელი franco fontana
გილოცავთ შობა-ახალ წელს და
გთავაზობთ საახალწლო ფასდაკლებას

10-25% 20 -იანვრამდე!

franco fontana-ს ყველა ფილიალში



franco fontana
italy

გემოვნებისა და ადამიანების არჩევანი

მსოფლიოში აღიარებული იტალიური ბრენდების, ოქროსა და ვერცხლის
ორიგინალური ნაქეთობები და ექსკლუზიური დიზაინი



რუსთაველის 26
☎ 18-10-47



ვაჟიანის 7
☎ 30-65-56



ვაჟა-ფშაველას 21
☎ 18-10-46



ლაღიანის 7
(ქარვასლა)



ირაკლი წერეთლის პროგნოზები

„პოლიტიკოსობა მზარეულობა ხომ არ გგონიათ — გამოცდილება დააგროვოს და მერე „კუხნაში“ გამოიყენოს?!. თუ პოლიტიკოსს ამ საქმის ნიჭი ღვთისგან ბოძებული არა აქვს, რაც უნდა გამოცდილი იყოს, არაფერი გამოუვა“.

6



„31 დეკემბრის დილას გაპარკივი, რომ ახალი წელი გვიახლოვდებოდა“...

„თავდაპირველად დავიბენი: ჩემს ყველა ნაბიჯს რომ აკონტროლებდნენ, ამან ცოტათი დისკომფორტი შემეიქმნა, მაგრამ ახლა მივეჩვიე. ხალხი ჩემ მიმართ სითბოს რომ გამოხატავს, ძალიან ბედნიერი ვარ!“

18

ცხოვრება



9-შვილიანი ოჯახის სადღესასწაულო სამზადისი



„ჯვარი სენაკში, თეკლათის მონასტერში დავინერეთ და საკუთარ ქორწილში მთელი 6 საათით დავიგვიანეთ. საერთოდ, გურიაში ქორწილში 2 საათით დავვიანება ტრადიციადაა ქცეული, მაგრამ ჩვენ ყოველგვარ მოლოდინს გადავაჭარბეთ!“


26



- **მინიატიურები** 5
- „შინაურების“ ახალი წელი
- **გვიგრაველოს!** 6
- √ 2011 წლის პატარა მეკვლეები
- √ 9-შვილიანი ოჯახის სადღესასწაულო სამზადისი
- **საჩუქარი** 7
- **შეჯამება** 8
- **რაკურსი** 11
- გოჭი, როგორც პოლიტიკური რეიტინგის მაჩვენებელი და ირაკლი წერეთლის პროგნოზები
- **საზრდო** 14
- კაცი, რომელიც ლიტერატურისთვის დაიბადა და შეენირა
- **რეპორტაჟი** 15
- **ასტროლოგიები** 18
- ფიცხი ხასიათი აქვს, მელანქოლიაში ხშირად ვარდება, ყოველთვის „თათებზე ეცემა“
- **გემოვნება** 22
- ნატუკა გულისაშვილის მეძავი ქალების გაღერება და საბედისწერო შეცდომა
- **წარმატება** 24
- „31 დეკემბრის დილას გავარკვიე, რომ ახალი წელი გვიახლოვდებოდა“...
- **განწყობილება** 25
- „მიყვარს, როცა შობას წყნარ სიტუაციაში ვხვდები“
- **კოლორიტი** 28
- საავეჯო კომბინატის თოვლის ბაბუა და სიმინდის მარცვლებზე დასმული მეკვლე
- **თემა** 30
- ახალი წლის ღამის სასწაულები
- **კარიერა** 33
- „ჩახლავორთებული“ გამოცდა და მსახიობების ავადმყოფობა
- **ისტორიის ლაბირინთები** 36
- ძარცვა შობის ღამეს — 1904 წლის „ფინეთის სამთავრო ბანკის საქმე“

მზაგნილები

ყველაფერი სიმთვრალის ბრალი იყო




„სამწუხაროდ, მე და გიოს შემთხვევაში, ახალი წლის ცრურწმენამ არ გაამართლა და არც ისე სიამტკბილობაში გავგიტარებია წელი, როგორც ახალი წლის ღამეს“.

76

■ ანტილავრესანტი	40
■ ავტო	40
■ ბაქარი	44
შობით დაწყებული ხსნა, ალილო და სარკმელში დანთებული სანთელი	
■ საკითხავი ქალაქისათვის	46
■ გზა ბაქარისაკენ	48
უნმინდესის ლოცვა-კურთხევით გაკეთებული კეთილი საქმეები და სასულიერო პირის პოლიტიკური მოგონებები	
■ ჯანმრთელობა	51
მკურნალი ფანჯრის რაფიდან	
■ ამაღლა	54
„გაუნათლებელი“ თოვლის ბაბუა და „კედლებზე მოსიარულე“ ბავშვები	
■ კრიმინალური კურიოზები	56
ბარბარობის დღესასწაული, „ტერორისტი“ ბებო და ახალბედა გამომძიებლის გასაჭირი	
■ ნამძვილი ამბავი	58
ლენინი ჭიკაანში ანუ ამბავი კახელი მონტეკი-კაპულეტისა	
■ მაღლი	59
სვანი გოგონას ტკივილი	
■ თინეიჯერული პონტები	60
ალკოჰოლის მოყვარულები	
■ ნეთი პოეზია	62
■ სახსოვარი	63
■ რეალური	64
მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)	
■ ქართული ღაბაჟივი	68
რუსუდან ბერიძე. ანტიკვარი (გაგრძელება)	
■ რომანი	72
სვეტა კვარაცხელია. რომანტიკა თუ დანაშაული?! (დასასრული)	
■ გზაწილები	76
■ ყველა ერთისათვის	80
■ მოგილი-ზასია	82
■ პროგნოზი	88
მიხეილ ცაგარელის 2011 წლის ზოგადი ასტროლოგიური პროგნოზი დასავლური კალენდრის ზოდიაქოს ნიშანთათვის	
■ ირუდიტი	92
„ფეხბედნიერი მეკვლე ვარ, ყველას ვათხოვებ“	
■ გასართობი	94
■ ასტროლოგია	96
■ სკანოვრდი	97
■ საფირმო კროსოვრდი	98

სამყარო



უოპით დაწყებული ხსნა

„სიტყვა „ალილო“ „ალილუიდან“ მომდინარეობს — „ალილუიას“

ხალხური სახეცვლილებათა. „ალილუია“ — ანგელოზთა საგალობელია, რაც ნიშნავს — „დიდება მალალთა შინა ღმერთსა“.

36

ალამიანი



ამბავი კახელი მონტეკი-კაპულეტისა

გადაწყდა — როცა ფილმი ჭიკაანში გადაინაცვლებდა, თედოს მერე უნდა მოეტაცა ქალი...

როგორც იქნა, ფილმი ჭიკაანში ჩაიტანეს. იქაურებმა იფიქრეს, რითი ვართ ოქტომბრულზე ნაკლებიო და საკმაოდ დიდ ქალაქზე გააკეთეს ნარწერა — „ლენინი ჭიკაანში“.

54

ბიბლუსი



მორიგანი

არხიერთა დედოფალი

ცოცხალი ხანში მისი ვნებიანი კოცნა მთელ სხეულს მიფარავდა; სადაც შემეხებოდა, თითქოს ცხელი შანთი დამადესო, ისეთი შეგრძნება მქონდა. ეს მამაკაცთან ჩემი პირველი სიახლოვე იყო. მომავალზე არ ვფიქრობდი, იმ წუთში ამ მამაკაცის მკლავებში სიკვდილსაც კი სიხარულით შევეგებებოდი.

62

ბაიბ-აუბი



„ფახადნიერი მეკვლე ვარ, ყველას ვათხოვებ“

ბოლო წლებია, მე და მკა ამ დღესასწაულს ოჯახის წევრებთან ერთად ვერ ვხვდებით. წელსაც

კონცერტებზე ვიყავით... ახალი წელი ძალიან მიყვარს, რაც უნდა ციოდეს, მაინც თბილი განწყობილებით ვეგებები.

88

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათოვლით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი,
რეზო თხილიძე

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

„შინაურების“ ახალი წელი



შესავლის ნაცვლად ახალ წელს კი გილოცავთ, მაგრამ დღეს

მზე დაბნელდა საქართველოში!

არა, არაფერ სიმბოლოურს და გადაკრულს არ ვდებ ამ ნათქვამში, მხოლოდ ბუნებრივ მოვლენაზე ვლაპარაკობ, მაგრამ ისიც ხომ სათქმელია, რომ ყოველი ფაქტი, მით უმეტეს ასეთი იშვიათი და ხელშეუხებელი, სხვადასხვა ადამიანისთვის სხვადასხვა რამეს ნიშნავს: ასტრონომისთვის ეს ციურ სხეულთა ჩვეულებრივი, წინასწარ ნავარაუდები მდგომარეობაა; უბრალო მოკვდავთათვის — გამურული შუშის ნატეხიდან საცქერო სანახაობა; რომელიმე აფრიკული ტომის ჯვადოქრისთვის — „ღვთიური“ ნიშანი და თანატომელთა „დაგოიმების“ მორიგი საშუალება; დედაჩემისთვის — წნევის აწევის უეჭველი ნიშანი პირობა...

აი, მთლიანად საქართველოსთვის კი ეს გაბრწყინების დასაწყისი ყოფილა — ასე თქვენს „ნაცვება“!

ისე, ვისაც ეს სისულელე წამოსცდა, მათ შორის ყველაზე წესიერი კაცი მგონია და ამიტომ აღარ დავაკონკრეტებ მის ვინაობას, მაგრამ ჩვენს ხელისუფლებას რომ „სიმბოლოები“ შეუყვარდა, ფაქტია — 3 იანვარს მიზა პრეზიდენტი ბავშვებს შეხვდა და მოჰყვა ტრაპასს (დიდებს ვეღარ ატყუებს!) ეს ამინდი მე „დავუკვეთე“, აბა, წვიმას ხომ არ დაგახვედრებდითო; სიმბოლოურია, რომ ერთმანეთს ბედობა დღეს (3 იანვარს!?) ვხვდებითო; ეს სასახლე ჩემი კი არა, თქვენიო; ეს სასახლე კი არა, მთელი ქვეყანაც თქვენია — მთავარია, ბევრი იოცნებოთ, აი, მე რაზეც ვოცნებობდი — ყველაფერი ამისდაო...

უცებ წარმოვიდგინე — ყველა ბავშვმა რომ იმაზე იოცნებოს, რაზეც სააკაშვილი იოცნებობდა და ყველას რომ აუხდეს! მაშინ ნახეთ თქვენ ბასტი-ბუბუ და „დაკა დოლი“!

ვინმე რომ არ შემომედაოს, რატომ აბრალებ, მთლად ეგრეც არ უთქვამსო, შეუძლია „ტელე-იმედის“ 3 იანვრის „ქრონიკის“ ჩანაწერი ნახოს, სადაც, სხვათა შორის, წამყვანმა ასე დაიწყო სიუჟეტი: „დღეს მიხილ სააკაშვილი თავის(!!!) სასახლეში ბავშვებს შეხვდა.“ ქართული ფილმი „თუში მეცხვარე“ გამასხენდა მაშინვე — თუ გახსოვთ, მწყემსი თავს რომ წაადგება ქურდს, რომელსაც მოპარული ცხვარი უჭირავს, დაბნეული ქურდი თავის დაძვრენას ცდილობს და იდიოტურ კითხვას უსვამს ცხვრის პატრონს:

— ვაჰ, შენია?!

და პასუხიც შესაფერისია, პირდაპირი და ზუსტი:

— არა, შენი ყველაყისამ, შენია! — მერე ყბაშიც გასცხებს და თითის მოჭრასაც უპირებს.

ჰოდა, ეგ გამასხენდა-მეთქი — „თავისი სასახლე“ არა, „უკაცურავად პასუხია და...“

ჰო, ჩვენი პრეზიდენტის ახდენილ იოცნებებზე ვსაუბრობდი და არ ვიცო, მათ წუხსამი თუ შედიოდა თბილისში, თავისუფლების მოედანზე მოწყობილი კონცერტი, მაგრამ მე, რაღა დაგიმალოთ და, არ მომეწონა. არა, ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ სად ნანუკა და სად რეპი?! ნანუკას უფრო კლასიკა მოუხდებოდა, რეპი მაინც მაია ასათიანის საქმეა...

კარგი, მეფის ახდენილი იოცნებები იქით გადავდოთ (ვამ ახლა გამასხენდა, სიმღერაც ხომ არის — „ახდენილი იოცნებე-

ბის წელი იწყება...“ ეტყობა, ამთხევა დაწერილი) და მე უფრო სხვა ხალხი მინტერესებს: ამავე ნომერში კი ვბეჭდავთ საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარის ირაკლი წერეთლის ინტერვიუს, რომელშიც დამოუკიდებლობაზე მეტს შემწვარ გოჭებზე საუბრობს, მაგრამ დანარჩენები?!

„სად არიან კახა, გუბაზი, ლევანი? ირაკლი სად არის, ალასანია? ჩვენი ნინო ჩამოვიდა მოსკოვიდან?!“ შალვა, შენ სადღა დაიკარგე?..

მე მესმის, რომ „რუსთავი 2“-ც, „რუსთავი-1“-ც და „რუსთავი-3“-ც, ანდა პირიქით — „პირველი არხიც“, „მეორე არხიც“ და „მესამე არხიც“, მოკლედ სამივე ე.წ. ნაციონალური არხი, „ადამიანები“ არიან და „ცოლ-შვილი ჰყავთ სარჩენი“. ამიტომ სამივეზე ერთი და იმავე კამერით გადაღებული სიუჟეტები რომ გადის და ინტერვიუს დროს მორიგეობით რომ უჭირავთ ჟურნალისტებს სამივე არხის მიკროფონი, ეს „გასაგებია“ ჩემთვის, მაგრამ ასეც არ შეიძლება! ბოლოს და ბოლოს, ვილატებს შეიძლება ძალიანაც საიმოვნებდეთ ამ ახალ წელს „ბოიშამითხოვია“ და — შეძრომა, მაგრამ, ისე კი არ უნდა ქნათ, რომ ძალიან ატკინოთ. ცოდვაა ის ხალხიც... ეს ვაზულენიც რომ განყდა მალაზიებში ამ ბოლო დროს?..

ისე, ზრდილობისთვის მაინც ახსენეთ, რომ ქვეყანაში ვილატებს რაღაცები არ მოსწონთ, რომ ცუდი ხალხია (მაგრამ მაინც ხალხია) და პრეზიდენტი არ უყვართ. ზოგიერთი მათგანი ციხეშიც კი იჯდა, უკლებლივ ყველას კი „მანდატურთა ინსტიტუტი“ არ მოსწონს... მოკლედ, ლანძღეთ, თათხეთ, მაგრამ ამ სახალწლოდ რატომ გვტოვებთ „უშალიკოდ“ და „უკუკავოდ“?! მართო მიშათი გავერთოთ?!



P.S. იმდენი ვიძახე, მხოლოდ ხელისუფლების მომხრეებს რომ აჩვენებენ ამ საახალწლოდ, ოპოზიციას და მოპროტესტეებს რატომ არ ახსენებენ-მეთქი, რომ ენამ მიყვივლა: აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომის ვეტერანების საპროტესტო აქცია ძალით დაშალა ხელისუფლებამ — რა დროს პროტესტია, ხალხი ზემობსო, ზოგიერთი დააკავა კიდეც და დღეს გაასამართლა. ცხადია, განაჩენი, როგორც ყოველთვის, ორიგინალური იყო: ადამიანები, რომლებიც იმისთვის შიმშილობენ, რომ მთავრობა ფულად დახმარებას არ აძლევს, ანუ იმისთვის შიმშილობდნენ, რომ რეალურად შიმშილობენ, 400-400 ლარით დააჯარიმეს. თანაც პროკურორს უთქვამს, ზემოთ რომ მოგასხენეთ, იმ ჟურნალისტებთან „შინაურულ“ საუბარში: „ყოფილიყვენ თავისთვის, რას აპროტესტებდნენ, 400 ლარზე მეტს მაინც ხომ ვერ მიიღებდნენ დახმარებასო...“

P.P.S. იმ ქვეყანას რა ვუთხარო, ჟურნალისტი და პროკურორი რომ ერთმანეთისთვის „შინაურები“ იქნებიან!

პროვოკატორი



ქვეყანა

2011 წლის პატარა მეკვლეები

ახალი წლის ღამეს ყველა რაღაცას ნატრობს. ალბათ ცოტანი არიან ისეთები, რომლებიც ახალი წლის ღამის სამშობიაროში გატარებაზე ოცნებობენ, მაგრამ როცა „საქართველოს მეკვლეები“ ქვეყნად მოველინებას განზრახავენ, ამაში ხელს ვერავინ შეუშლის... 2011 წელს ჩვენს ქვეყანას პირველ მეკვლეებად ანი ზარიძე და ეკატერინე პაპაშვილი მოველინენ. ანი პირველ სამშობიაროში დაიბადა. მის დედიკოს — ქალბატონ მარინა ქოქაშვილს პალატაში ვესტუმრეთ.

ელენე ბასილიძე

— ანი 1-ელ იანვარს, პირველი საათი დაიწყო თუ არა, მაშინ დაიბადა. შეიძლება ითქვას, რომ 2011 წლის შემოსვლას ფეხდაფეხ მოჰყვა! ნადრევად მოველინა ქვეყანას — ერთი კვირის შემდეგ ველოდით, მაგრამ მაინცდამაინც ახალ წელს მოინდომა დაბადება (ილიმის). 3 კილოგრამი და 200 გრამი დაიბადა, სიგრძით 52 სანტიმეტრია. საკმაოდ წყნარია, ამავდროულად — ზარმაციც... ჭამა ეზარება, როგორც ჩანს, არ სურს, თავს ძალა დაატანოს...

— და ან ძმა თუ ჰყავს ანის?

— კი, სახლში 2 ვაჟი მყავს: უფროსი 12 წლისაა, შუათანა კი — 7-ის. ძალიან გვინდოდა, გოგონა გვეყოლოდა და ნანატრი პატარაც მოველინა ქვეყანას. მამა და ბავშვები ძალზე განხარებულები არიან, ერთი სული აქვთ, როდის გვნახავენ... იმედი მაქვს, ბავშვები დაიკოს გაზრდაში დამეხმარებიან. უფალმა მოულოდნელად სიურპრიზი გაგვიკეთა და, შვიდწლიანი ლოდინის შემდეგ, პანანინა



2 ვაჟი მყავს: უფროსი 12 წლისაა, შუათანა კი — 7-ის

გვაჩუქა. მე და ჩემმა მეუღლემ 13 წლის წინ შევექმენით ოჯახი. ჩვენი შეუღლება მოულოდნელად მოხდა. ერთმანეთს შორიდან ვიცნობდით. ვერც გავიაზრე, ისე გავხდით მისი მეუღლე.

— ალბათ მამიკოს ძალიან უნდოდა, გოგონა ჰყოლოდა...

— კი. ვერ წარმოიდგენთ, რა მოუთმენლად ელოდა!.. სიმართლე გითხრათ, გული მიგრძნობდა, ხშირად ვამბობდი, — ახალი წლის დადგომის აღნიშვნას რომ დაიწყებს ყველა, ანის მაშინ მოუნდება დაბადება-მეთქი. აუტანელი ტკივილების გამო, ჩემთვის უკვე მნიშვნელობა არ ჰქონდა, როდის დაიბადებოდა პატარა... თითქმის 24 საათი ვუძლებდი ტკივილებს, მაგრამ... ბავშვის დაბადებაზე დიდი ბედნიერება არაფერია, შვილის დან-



სულ მოლოდინში ვიყავი, მაგრამ 1-ელ იანვარსვე დაბადება არ ისურვა

ახვა ყველაფერს გავიწყებს. პირველი ვაჟი რომ მეყოლა, ვფიქრობდი, მსგავს ტკივილს მეორედ ვეღარ გავუძლებდი, მაგრამ გავიდა დრო და მესამე პატარაზეც ვიფიქრე. ანი საქართველოს ერთ-ერთი მეკვლე იყო. მინდა, რომ მისი პატარა ფეხი ჩვენი ქვეყნისათვის ბედნიერების მომტანი ყოფილიყო. მშვიდობას, გაერთიანებასა და დიდ ბედნიერებას ვუსურვებ ჩემს სამშობლოს! რაც შეეძება ანის და მასთან ერთად, ყველა პატარას, — ჯანმრთელობასა და ბედნიერებას ვუსურვებ.

ანის შემდეგ, ზუსტად პირველ საათზე, ჩაჩავას სახელობის კლინიკაში პატარა ეკატერინე პაპაშვილი მოველინა ქვეყნიერებას. ჩვენი სტუმრობისას, ვარდისფერ სახვევებში გამოხვეული დაგვხვდა და, როგორც მისმა დედიკომ აღნიშნა, დაბადებისთანავე უურნალისტთან ურთიერთობაც დაეგება.

ია ლაბაძე:

— ეკატერინე 3 კილოგრამი და 500 გრამი, 51 სანტიმეტრი გაჩნდა. მას ძამიკო — გაბრიელი ჰყავს, რომელიც წლისა და 4 თვისაა. ჩვენთან სტუმრად რომ მოვიდა, გაცუებული უყურებდა დაიკოს. ალბათ ვე-



რადიო თავისუფლება
უსმინეთ პროგრამას
„თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება
— რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა,
საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge



რაფრით მიხვდა, საიდან გაჩნდა ეს ერთი ციცქნა ბავშვი ჩვენთან. ჩემი ორსულობისას გაბრიელი ხვდებოდა, რომ დიდი მუცლით სხვებისგან გამოვიჩნეოდი და ცდილობდა, ზედმეტად არ შევეწუხებინე. იმედია, პატარას მალე შეეჩვევა.

— ქალბატონო ია, ეკატერინეს ზუსტად პირველ რიცხვში ელოდებოდით?

— არა. ერთი კვირა გადააცილა: ბოლო ვადა — 25 დეკემბერი იყო; ექიმმა გვითხრა, რომ წესით, ამ დღეს უნდა დაბადებულიყო... ოჯახის წევრებს ძალიან გვიხაროდა — იქნებ მართლა 25 დეკემბერს გაჩნდეს-თქო, — ვფიქრობდით. ბოლო დღეები სულ მოლოდინში ვიყავი, მაგრამ 1-ელ იანვრამდე დაბადება არ ისურვა. წლის პირველ დღეს, პირველ საათზე გაჩნდა... სხვათა შორის, გაბრიელი ჩემს დაბადების დღეზეა დაბადებული, მან დედიკოს საჩუქარი გაუკეთა და ეკატერინესაც განსაკუთრებულ დღეს მოუწია დაბადებამ.

— პატარას სქესი წინასწარ იცოდით?

— კი. პირველ შვილს რომ ველოდით, გვეგონა, გოგონა იქნებოდა და მისთვის ყველა ნივთი ვარდისფერი გვექონდა ნაყიდი, მაგრამ სიურპრიზი მოგვიჩნდა და გაოგნებულები დაგვეტოვა. რამდენიმე თვის იყო გაბრიელი, სიზმარი რომ ვნახე: თითქოს ჩვენს სახლში სასულიერო პირი იყო მოსული; გაბრიელი ახალი დაბადებული იყო და მუცელი ისევე მეტყობოდა; მღვდელმა ხელი დასალოცად გამოსწია. მე ვუთხარი, — მამაო, უკვე გავაჩინე-მეთქი. მან კი მიპასუხა, — ვიცი, რომ გააჩინე, მაგრამ მინდა, ეკატერინე დავლოცო... ამ სიზმარის ნახვის შემდეგ, მალევე დავორსულდი და როცა მითხრეს, გოგონა გამიჩნდებოდა, გადავწყვიტეთ, მისთვის ეკატერინე დაგვექმია. პატარას დაბადებას მამიკო დაესწრო და მიეხვდი, რომ მშობიარობის დროს მეუღლის გვერდით ყოფნა ძალიან დიდი სტიმული და თანადგომაა. მართალია, ძალიან დაბნეული გახლდათ, მაგრამ ჩემთვის დიდი მხარდაჭერა იყო, ჩემ გვერდით რომ იდგა... მინდა, რომ ჩემი პატარას სახელით ყველას დიდი ბედნიერება ვუსურვო, თავად ეკატერინე კი ჯანმრთელი და ბედნიერი გოგონა იყოს. 1-ელ იანვარს დაბადებული პატარები ფენ-ბედნიერი მეკვლეები ყოფილიყვნენ საქართველოსთვის, უზრუნველი ბავშვობა, სიყვარულითა და სითბოთი საესე ოჯახი ჰქონოდათ.

„გზის“ ვიქტორინის გამარჯვებულები და რესტორნებს უორის „ბაღარაბით“ ბართული მსახიობები

როგორც მკითხველისთვის ცნობილია, ჟურნალ „გზის“ 2010 წლის ბოლო — №52-ში სანტა-კლაუსისა და ფიფქას ინტერვიუ გამოქვეყნდა. ჩვენს ერთგულ, ნორჩ მკითხველებს ერთგვარი ვიქტორინა შევთავაზეთ: ვინც სანტა-კლაუსისა და ფიფქას ვინაობას გამოიცნობდა, მათ „მედიაპალიტრის“ სპეციალურ საჩუქარს გადავცემდით. მკითხველს მხოლოდ ერთი მინიშნება მივეცი — რომ ორივე რესპონდენტი ცნობილი მსახიობი გახლდათ. მიუხედავად ამისა, ბევრი ადამიანის აზრით, ფიფქა ან ნინა წკრიალაშვილი იყო, ან გვანცა დარასელია, ან კრისტი ყიფშიძე. როგორც ჩემთვის ცნობილია, არც ერთი მათგანი მსახიობი არ გახლავთ...



ფიფქასა და სანტა-კლაუსის ნილებები მკა შალიკაშვილმა და პაატა გულიაშვილმა მოიხრეს. მკითხველთა უმრავლესობას სწორედ ეს ვერსია ჰქონდა, მაგრამ პირობის თანახმად, გამარჯვებულებად ის ორი ბავშვი მოგვევლინა, რომლებმაც ყველაზე ადრე მომწერეს სწორი პასუხი. ესენი არიან: 8 წლის ნიკა ნუცუბიძე და 9 წლის ანა ცხვარაძე.

ანა გორში ცხოვრობს და მსახიობებთან შესახვედრად ვერ ჩამოვიდა, ამიტომ მას ჩვენი საგამომცემლო სახლის სახელით, საჩუქრად წიგნს — „წიგნი ხელოვნებაზე“ — მოგვიანებით გადავცემთ. აი, ნიკა კი ჯილდოს მისაღებად ჩვენთან სიახლოვნებით გამოეშურა. მოუცლელი-

ბის გამო, გამარჯვებულთან შეხვედრა მკა შალიკაშვილმა ვერ მოახერხა და ჯილდო ნიკას პაატამ გადასცა — ეს გახლავთ ასევე „მედიაპალიტრის“ მიერ დაწესებული საჩუქარი — „ცნობილი ადამიანების ენციკლოპედია“. ნიკა ისეთი ბედნიერი იყო ცნობილი მსახიობის გაცნობით, რომ მას მხოლოდ შეჰყურებდა,



ნიკა ნუცუბიძე



ანა ცხვარაძე პატარა მამასთან ერთად



თვალეზგაბრწყინებული და ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა...

P.S. რასაკვირველია, დავინტერესდები, ჩვენი ფიფქია და სანტა-კლაუსი ახალ წელს როგორ შეხვდნენ და მათ ორიოდ შევითხვა დავუსვი. პასუხები თითქმის ერთნაირი იყო. პაატაც და მკაც სხვადასხვა კონცერტს უძღვებოდნენ და რესტორნიდან რესტორანში გადადიოდნენ. ამის გამო, პაატა ახალ წელს ქუჩაში, საკუთარ ავტომანქანაში შეხვდა. ისე კი, ეს დღესასწაული ორივე მათგანს ძალიან უყვარს. პაატამ ისიც კი მითხრა, — ახალი წელი ჩემთვის დალევასთან ასოცირდება, თუმცა არც სურვილის ჩაფიქრებაზე ვამბობ უარსო. სხვათა შორის, მან მკაცსაც გაუკეთა საჩუქარი და საკმაოდ ძვირფასი გასაღების „ბრელოკი“ უსახსოვრა... უცნაურია, მაგრამ მკაცსა და პაატას საახალწლო სურვილებიც ერთმანეთს დაემთხვა: ორივე საკმაოდ ვინროდ ცხოვრობს და ახალ ბინაზე ოცნებობს. დიდი იმედი მაქვს, რომ 2011 წელს ამ არაჩვეულებრივ მსახიობებსა და ადამიანებს სანტა-კლაუსი ეწვევა და ამ სურვილს აუხდენს...

პირბუაღური, სასიფათო და სკანდალური

„ვირტუალური, სასიფათო და სკანდალური“ — ასე შეაფასეს 2010 წელი პოლიტიკურმა, სამხედრო და ეკონომიკურმა ექსპერტებმა. ხელისუფალთა აზრით, პრეზიდენტმა სააკაშვილმა საგარეო პოლიტიკაში წარმატებული ნაბიჯები გადადგა და ქვეყანა რთული სიტუაციიდან გამოიყვანა. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ისეთი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა, რომ უახლოეს მომავალში დამატებითი სამუშაო ადგილები შეიქმნება, ბიუჯეტში კი დამატებითი თანხები შევა.

სათუნა ბახტურიძე

იუსტიციის, თავდაცვის, ეკონომიკის, ჯანდაცვის, შინაგან საქმეთა და სხვა სამინისტროების ხელმძღვანელები იმასაც ამბობენ, რომ 2010 წლის განმავლობაში მათი უწყებების თანამშრომლებმა იმაზე ბევრად მეტი საქმე გააკეთეს, ვიდრე წლის დასაწყისში გეგმავდნენ. ერთი სიტყვით, მმართველი გუნდი საკუთარი საქმიანობით კმაყოფილია. მაღალჩინოსანთა ერთი ნაწილი კულუარებში საუბრისას იმასაც კი აღნიშნავს, რომ გასაკეთებელი ბევრი აღარაფერია... ოპოზიციონერი ლიდერების უმრავლესობა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ყველაფრით უკმაყოფილოა. მათი აზრით, ხელისუფლებამ ეს ქვეყანა 2010 წელს საბოლოოდ დაღუბა და დააქცია. „ლეიბორისტების“ ლიდერი, შალვა ნათელაშვილი იმედოვნებს, რომ 2011 წელი ბოლო იქნება „ნაციონალური მოძრაობისთვის“...

ოპოზიციონერების მოსაზრებებს გარკვეულწილად იზიარებენ პოლიტოლოგებიც, მაგრამ ისინი ქვეყნის „დაქცვისა“ და „დამშობის“ მიზეზად, ხელისუფლების შეცდომებთან ერთად, ოპოზიციონერთა უნიათობასაც ასახელებენ...

სოსო ცისკარიძე, ექსპერტი პოლიტიკურ საკითხებში:

— 2010 წელს საქართველო ისე ცხოვრობდა, თითქოს „მოდელირებული ქვეყანა“ იყო. ხელისუფალთ ჩვევად ექცათ ხალხის მოტყუება და არასერიოზული გადაწყვეტილებების მიღება. წლის დასაწყისში 2000 კუნთმაგარი ვაჟკაცი, დამკვირვებლის სტატუსით ჩავიყვანეთ უკრაინაში. შედეგად ის მივიღეთ, რომ უკრაინა აღარ მიიჩნევა საქართველოსადმი კეთილგანწყობილ ქვეყნად. მერე „მოდელირებული ქრონიკით“ ქვეყანა გადავრჩიეთ. ასეთი საოცარი ამბებით დანყებული წელიწადი ლოგიკურად გაგრძელდა. ბელორუსის პრეზიდენტს, მისი გულის მოგების მიზნით, ისეთი გულმოდგინებით მივულოცეთ მესხეთედ გაპრეზიდენტება, რომ უკვე დავკარგეთ ის პატივისცემა, რომელსაც მუდმივად ვგრძნობდით ბელორუსი ხალხისგან...

წელს განსაკუთრებულად დაბნეულები ვიყავით. სტრატეგიული პრიორიტეტების არჩევა ჩვენი ხელისუფლის ხასიათსა და განწყობილებაზე იყო დამოკიდებული. ხან ბრიუსელისკენ მიგვიწვედა გული, ხან — სინგაპურისკენ, ხან ამერიკასთან სტრატეგიულ ურთიერთობაზე ვიყავით გადართულნი, ხანაც ირანთან ვხსნიდით საზღვარს — მოსკოვიდან თეირანამდე... კარგს არაფერს მოგვიტანს ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში საერთაშორისო პოლიტიკა ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული.

სახელმწიფო მინისტრის უდიდეს წარმატებად მიიჩნევა ის ფაქტი, რომ ლისაბონის სამიტზე ნატოს წევრმა ქვეყნებმა საქართველოს მხარდამჭერი განცხადებები გააკეთეს...

— ჩემი აზრით, ქართველებისთვის საკმაოდ უსიამოვნო გასახსენებელი უნდა იყოს ლისაბონის სამიტი. მე შეგახსენებთ ამ სამიტზე სარკოზის გაკეთებულ განცხადებას: „ჩვენ არ ვაპირებთ რომელიმე ქვეყნის პრობლემების იმპორტს ნატოში“, — რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდებოდა ნატოს წევრი, თუ რუსეთი გააუქმებდა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას. შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთმა რუსეთს მიანდო საქართველოს ნატოში განევრება-არგანევრების ამბავი.

გასულ წელს ასტანაში გამართული ეუთოს სამიტი მედვედევმა პროტესტის ნიშნად დატოვა. თქვენ მაშინ თქვით, რომ მედვედევმა სამიტიდან „საკუთარი თავი გააძევა“ და ეს ქართული დიპლომატიის მუშაობის შედეგი იყო...

— კი, მაგრამ ამ ყველაფრის საბოლოო შედეგი ის გახლავთ, რომ ეუთოს შემაჯამებელ დოკუმენტში სიტყვაც არ არის არც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე და არც რუსეთის შუესრულელებელ ვალდებულებებზე. ასტანაში შეკრებილი სხვადასხვა ქვეყნის ლიდერი ზოგადი ფრანგებით შემოიფარგლა, საბოლოოდ კი „კრება დარჩა მხიარული“.



წიგნი

უხვე ბაზოსაძე უბიძიანთ შუიძინოთ წიგნის მალუხიუბი!

წიგნი რომელიც უნდა
წაიხიტოსო,
სანამ ცოცხალი ხარ!



წიგნი 4
ალქსანდრა ღიუბა
„სამი მუშაბარი“
ტომი II

მაგარ გარეკანში, შემოსაკრავი სუპერით
და სპეციალური სანიშნით

3 - დან -
10 იანვრამდე!

მხოლოდ „კვირის პალიგრა“
მკითხველისთვის წიგნის
სპეციალური ფასი - 7 ლარი



უღიამ შუქსპიიი



ვიუღ ვუხნი



მიხაიღ ბუღაბუვი

და სხვა ღიუბა
წიგნები...
ყოველ ორი წონაში
„წიგნის მკითხველისთვის“
რთავი!

გამოიწერეთ „კვირის პალიგრა“ და მიიღეთ
„50 წიგნის“ სერიის გომეები 7 ლარად! ბელ: 38 26 73; 38 26 74 უღუა.ჯი



დასაწყისი იხ. გვ. 8

— წელს თუ ელით რაიმე სასიკეთო ცვლილებებს?

— სასიკეთო ცვლილებების რა მოგახსენოთ, მაგრამ სკანდალებს ნამდვილად ველი. სხვათა შორის, სულაც არ გამოიკვირდება, თუ ერთ დღეს „რუსთავი 2“ გვამცნობს, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ 2011 წელს, მთავრობის პირველი სხდომა ნუდისტების პლაჟზე ჩაატარა. ეს ამბავი ალბათ აღარავის გაუკვირდება, ჩვენ ხომ უკვე ვიხილეთ, ზღვის სანაპიროზე, სახლის სახურავზე, მინდორში თუ უფსკრულში ჩატარებული მთავრობის სხდომები!..

რამაზ საყვარელიძე, ფსიქოლოგი, პოლიტიკური ექსპერტი:

— გასულ წელს ყველაზე მნიშვნელოვანი, საშინაო პოლიტიკაში, ადგილობრივი არჩევნები იყო, მაგრამ შედეგით ან წინასწარჩვენო დაძაბულობით კი არა, არამედ თავისი „ფილოსოფიითა“ და მოლოდინით. ადგილობრივი არჩევნებში ჩართულმა ოპოზიციურმა ძალებმა ამომრჩევალს იმედი გაუჩინეს, რომ ხელისუფლებას არჩევნებით შეცვლიდნენ. ოპოზიცია ისევე მცირედით დაკმაყოფილდა, ამომრჩევალს კი საბოლოოდ გაუქრა იმედი, რომ სააკაშვილის ხელისუფლება არჩევნების გზით შეიცვლება. მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა „სახალხო კრების“ დაფუძნება იყო, რომლის გაჩენა ადგილობრივი არჩევნების შედეგამაც განაპირობა. მხედველობაში მაქვს „სახალხო კრების“ იდეა და არა ის, რაც დღეს ხელთ გვაქვს. კრება თავისი შემადგენლობით, არ არის წმინდა პოლიტიკური მოვლენა, პროცესში წამყვან როლს არაპოლიტიკოსები ასრულებენ. ამ პროცესის საბოლოო სახე არ გამოკვეთილა, მაგრამ შიდა პოლიტიკაში „სახალხო კრების“ იდეა თავისი მნიშვნელობით, ის მეორე სიახლე იყო, რომელიც საგარეო დონაზე, რაღაც ფორმით გააგრძელებს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობას. მესამე მნიშვნელობის ფაქტად, პოლიტიკურ ასპარეზზე „ქართული პარტიის“ გამოჩენა მიმაჩნია. „სახალხო კრებასა“ და „ქართულ პარტიას“, რომლებიც დანარჩენი ოპოზიციისგან რადიკალურად გამოირჩევიან, პოლიტიკურ სპექტრში ერთი და იგივე ნიშა უკავიათ. საზოგადოების რადიკალურად განწყობილი ნაწილი იმ ძალის გვერდით დადგება, ვინც პოლიტიკურ რადიკალიზმში უფრო ეფექტური იქნება.

— გასული წლის ყველაზე სკანდალურ ფაქტად რას მიიჩნევთ?

— ახალგაზრდა ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებულ მასალებს ანუ — ბინძურ ინტერვიუს. ვფიქრობ, სკანდალი ამ წელიწადშიც გაგრძელდება.

— ამ სკანდალთან დაკავშირე

ბით, თქვენი პოზიცია როგორია?

— ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი. საფუძველი არ მაქვს, ეჭვი შევიტანო ბინძურ ან გაჩეჩილადეს პატიოსნებაში. ამ ორ ადამიანს საკუთარი თავის მართლება მოუწევს. ვწუხვარ, რომ ერთ-ერთი მტყუანი აღმოჩნდება.

— ეს იყო სკანდალი, რომელმაც კიდევ უფრო მეტად შელახა ოპოზიციის იმიჯი. როგორ ფიქრობთ — ამ წელს შეძლებს ოპოზიცია დაკარგული ნდობის აღდგენას?

— ძნელია ამის დაბეჯითებით თქმა. ჯერჯერობით პოლიტიკურ ბრძოლაში ხელისუფლება უფრო მომგებიან და თამამ ნაბიჯებს დგამს, ვიდრე ოპოზიცია.

ბიბი სუსხაშვილი, ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში:

— 2010 წელი ეკონომიკური თვალსაზრისით იმით იყო გამორჩეული, რომ საშუალო ადგილები შემცირდა და კერძო სექტორი კიდევ უფრო შესუსტდა. ეს ყველაფერი წლის ბოლოს იმით დაგვირგვინდა, რომ ეკონომიკის ყველა სექტორში მონოპოლიზებული გახდა, რამაც ფასების ზრდა განაპირობა.

— წლის ბოლოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა ტურიზმის განვითარებასა და ბიზნესგარემოს გაუმჯობესებაზე ილაპარაკა. რამდენად სავარაუდოა, რომ წელს მოქალაქეების ყოფილი პირობები ოდნავ მაინც გაუმჯობესდება?

— პრეზიდენტისგან ასეთი განცხადება ჩვენ უკვე არაერთხელ მოგვისმენია. სააკაშვილმა კიდევ ერთი „ტყუილის ბუშტი გაბერა“. ეს იყო კიდევ ერთი მცდელობა იმისა, რომ ტელემარკეტინგისთვის ვირტუალური სამყარო შეექმნა.

ირაპალი სპისაშვილი, ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში:

— 2010 წლის განმავლობაში ხელისუფლებამ რამდენიმე არასწორი გადაწყვეტილება მიიღო, რის გამოც ქვეყანა ახალი საფრთხის წინაშე დადგა.

— რა შეცდომებს გულისხმობთ?

— ლარსის საბაჟო პუნქტის გახსნას, ჩრდილოკავკასიელებისთვის უვიზო რეჟიმის შემოღებას და ქვეყნის პრეზიდენტის მიერ ერთიან კავკასიაზე ლაპარაკს. ქართული მიწები ოკუპირებულია, რუსეთი აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში ყოველდღიურად ზრდის სამხედრო კონტინგენტს, ჩვენი დასავლელი პარტნიორები ამ პრობლემას მოსკოვთან დიალოგით ვერ აგვარებენ. ასეთ სიტუაციაში ჩვენი ხელისუფლების მცდელობა — თან თანამშრომლობა შესთავაზოს რუსეთს და თან ძირი გამოუთხაროს, — არაადეკვატურია. მე რუსეთისთვის ძირის გამოთხარის წინააღმდეგი არა ვარ. ჩვენს ხელისუფლებას ამის რეალურად განხორციელება მართლა რომ შეეძლოს, კარგი იქნებოდა, მაგრამ

საქართველო ახლა ისეთ ვითარებაშია, რომ რუსეთის მტრებთან გაერთიანებითა და აგრესიული განცხადებებით ვერაფერს მიაღწევს. უფრო მეტიც — რუსეთს საბაზი ეძლევა, უარი თქვას ჩვენს ხელისუფლებასთან დიალოგზე.

გიორგი მელითაური, სამხედრო ექსპერტი:

— გასული წელი ჩვენთვის იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ ავღანეთში ქართული კონტინგენტი გაიზარდა. დღეს იქ 1000 ქართველი სამხედროა.

— თუმცა ავღანეთში ქართული კონტინგენტის გაზრდით, ქართველი ხალხის დიდი ნაწილი უკმაყოფილოა: ქართველი ბიჭები სხვის ომში არ უნდა იღუპებოდნენ...

— თუ ნატოში ინტეგრაცია გვინდა, ასეთი მსჯელობა არ გამოგვადგება. მულტინაციონალურ ძალებში მონაწილეობით, ქართველები მოკავშირეების წინაშე ვალს ვიხდით. ის, რომ ავღანეთის ოპერაციაში ერთი ქართული ბატალიონი და ასეული მონაწილეობენ, სამხედრო თვალსაზრისით, გამართლებულია, რადგან ჩვენი მოსამსახურეები საჭირო გამოცდილებას მიიღებენ. ამ კონტინგენტის კიდევ უფრო გაზრდა გაუმართლებელი იქნება — ეს უკვე ჩვენს ქვეყანას შეუქმნის საფრთხეს. ამგვარად, ამ კუთხით ჯერჯერობით ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს. მე პირადად, პრობლემას სხვა რამეში ვხედავ: 2010-მა ისე ჩაიარა, რომ თავდაცვის სამინისტრომ ვერ ჩამოაყალიბა ის, თუ რა ფუნქციები და ამოცანები უნდა ჰქონდეს რეზერვს. უფრო მეტსაც გეტყვი — ჯერ ისიც კი არ არის გარკვეული, თუ რა გზით უნდა განვითარდეს ჩვენი შეიარაღებული ძალები და რა პრიორიტეტები უნდა დაისახოს. ეს ჩვენი ქვეყნისთვის სერიოზული პრობლემაა.

— გასულ წელს „თავდაცვამ“ სამოქალაქო თავდაცვის გამდიდრებაზე ზრუნვა დაიწყო. ამ მიმართულებით თუ გაკეთდა რაიმე?

— სამოქალაქო თავდაცვის გაძლიერებაზე „თავდაცვამ“ ზრუნვა კი არა, ჯერ მხოლოდ ლაპარაკი დაიწყო. ამ მიმართულებით არანაირი ქმედითი ნაბიჯი არ არის გადადგმული. სამოქალაქო თავდაცვა და სარეზერვო სამსახური თავდაცვის სისტემაში ყველაზე ფუნდამენტური სფეროებია. თუ ეს სფეროები არ მონესრივდა, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე ლაპარაკს აზრიც არა აქვს. ამაში ჩვენ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს კიდევ ერთხელ დავრწმუნდით. იმედი მაქვს, რომ ხელისუფლება წელს მაინც გადადგამს ქმედით ნაბიჯებს ამ მიმართულებით. მათ წარმატებებს ვუსურვებ. ძლიერი თავდაცვის სისტემა ძლიერი სახელმწიფოს გარანტიაა.



გოჭი, როგორც პოლიტიკური რეჟიმის მარჯვენაელი და ირაკლი წარეთლის პროგნოზები

„ეროვნული მოძრაობის ლიდერებიდან მე ვარ მხოლოდ სოცხალი“

ირაკლი წარეთელი ახალ წელს არ აღიარებს: მისთვის, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის, შობაა უმთავრესი. თუმცა მეგობრებისა და ასლობლების სათრით, საერთო მზარეულებას უერთდება და ახალ წელსაც აღნიშნავს... მეველეობისაც სწამს და ვინაიდან „მისი ბაბუაც ჩხრალებს“, თავს იზღვევს და ცდილობს, არაფის ოჯახში არ მივიდეს პირველი: რა ვიცი, მერე რა შარს მომდებენო?! — ამბობს... როგორი იყო 2010 წელი პოლიტიკურად და რას ელოდება 2011-ისგან, რომელ პარტიას რა „ბედს“ უნინასწარმეტყველებს და რას ურჩევს ოპოზიციასა და ხელისუფლებას, — ამას ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ.



რომ ასეთ დღეში ბევრი ჩემნაირია, მაგრამ დაგვანახვონ. სახლში ჯუჯღუნის არ მნამს...

— თუკი თქვენ გიჭირთ, რატომ არ აპროტესტებთ?

— რა ვქნა, არ მიყვარს ჩხავილი და ჯღავილი. მით უმეტეს, როცა ვხედავ, რომ ჯღავილის ხასიათზე ბევრი არ არის. სხვებისგან განსხვავებით, ძალიან ბევრ გალიმბულ ადამიანს ვხედავ და რატომ უნდა ჩავაშამო მათ სიხარული?! ეს ჟურნალისტებიც გადამრევთ: კაცო, გვიჭირსო, კი გავიძახით, მაგრამ ტელევიზორს რომ ჩართავ, შოუებსა და კონცერტებს აქვთ წალეკილი მთელი ტელესივრცე. რახან ემღერება ამ ხალხს, ეს ნიშნავს, რომ განწყობილებაც გვექონია... სხვების რა გითხრათ, მაგრამ ამ ყველაფრის შემყურეს, პირადად მე, არ მრჩება შთაბეჭდილება, რომ ხალხი უბედურებაში ცხოვრობს. ასე რომ იყოს, ამდენს არ ვიცინებდით, არ ვიმღერებდით და არ ვიცეკვებდით... ამას წინათ გადაცემა „ბრავოს“ ვუყურე და იმ მოგებული გოგონას ემოციური ხვანცალით ძალიან ვისიამოვნე. მაინტერესებდა, რა დონის მოუფი დგამენ ქართველები. საკმაოდ კმაყოფილი დავრჩი, თუმცა ის არ მომეწონა, რომ ოპერის დონის მომღერლებიც მონაწილეობდნენ. მაგალითად, ბედიასნაირი მომღერალი უფრო მაღალ დონეზე უნდა იყოს, არ შეიძლება, მან საესტრადო მომღერლებთან ერთად იმღეროს. ასეთ დეტალებში იგრძნობა, რომ ქართველები კიდევ ბევრ რამეში მოეიკოჭლებთ... მიხელო ნიკოლოზის ძე სააკაშვილმა, სხვა ბევრ კარგ საქმესთან ერთად

ლალი პაპასკირი

— პირველ რიგში უნდა გითხრათ, რომ სანამ ჩვენი ერი პირველ ადგილზე შობას არ დააყენებს, ჩვენს თავზე ღვთის რისხვა მუდმივად იტრიალებს. მართალია, ევროპისგან განსხვავებით, გამყინვარებას გადავურჩით, მაგრამ ხომ გახსოვთ, გასული ზაფხული როგორი იყო? მომავალს უფრო უარესს წინასწარმეტყველებენ. ეს უკვე ღვთის რისხვის ტოლია... ასეთი რამე ვის გაუგონია — საქართველოში მოსავალი არ მოვიდა! ჩემი საყვარელი ლობიოს ფასი 5 ლარი გახდა. ამას ძალიან განვიცდი... რაც შეეხება პოლიტიკურ ტემპერატურას, მაინცდამაინც ცხელი წელი არ ყოფილა. ოპოზიცია ტყუილად ტყუენიდა ქუჩებს და გულზე მჯიღს იბრაგუნებდა. იარეს წინ და უკან და თავადვე დარჩნენ დატყუენილი და გადატყუენილი... არ მინდა, ამ შობა-ახალ წელს ვინმე ცუდად მოვიხსენიო, მაგრამ ისეთი ოპოზიცია, როგორიც დღეს სააკაშვილს ჰყავს, აუცილებლად უნდა არსებობდეს ქვეყანაში, იმიტომ, რომ ხელისუფლებას მმართველობა მყარად ეჭიროს ხელში. ასეა და ვინც ამაზე შემეკამათება, იდიოტად გამოვაცხადებ და თავში სკამს ჩავარტყამ... როგორც იმაზე კამათი არ შეიძლება, რომ გალაკტიონი და ვაჟა გენიოსები არიან, ასეთივე ჭეშმარიტებაა ისიც, რომ ჩვენი ოპოზიცია წყალწალბებულია...

— ბატონო ირაკლი, რა არის ამის მიზეზი? გამოცდილება არ ჰყოფნით?

— თქვენ პოლიტიკოსობა მზარეულობა ხომ არ გგონიათ — გამოცდილება დააგროვოს და მერე „კუხნაში“ გამოიყენოს?! თუ პოლიტიკოსს ამ საქმის ნიჭი ღვთისგან ბოძებული არა აქვს, რაც უნდა გამოცდილი იყოს, არაფერი გამოუვა. მით უმეტეს, ისეთ ქვეყანაში, რომელსაც მიხეილ სააკაშვილისნაირი ძლიერი ლიდერი ჰყავს. მის გამჭრიახობასთან შედარებით, ესენი ბელტიყ-

ლაპიები არიან და ოდესმე ხომ უნდა მიხვდნენ, რომ ცალ-ცალკე კი არა, ერთად უნდა შეუტიონ.

— ამ ადამიანების ერთ გუნდში ყოფნა რეალურად გეჭვენებათ?

— რატომაც არა?! თქვენ ალბათ კონკრეტულად, ნინო ბურჯანაძისა და ლევან გაჩეჩილაძის გარშემო ატეხილ სკანდალს გულისხმობთ, მაგრამ ამაში გასაგებებელი არაფერია. „გრეჩისამ“ უთხრა მიშას, — ჩემი ბავშვობის ოცნებაა საადგილმამულო ბანკის შექმნაო; რა მოხდა მერე?! არა მგონია, ეს სამშობლოს ღალატი იყოს.

— კი, მაგრამ ხომ აქვს მნიშვნელობა, საამისოდ ფულს საიდან მოიტან?

— დიას, მაგრამ ჩანაფიქრი ძალიან კეთილშობილურია და გარდა ამისა, ჩვენ არ ვიცით, ეს ფაქტი მართლა მოხდა თუ — არა... იცით, რა არის? სულ რაღაც 10 წელია, რაც ახალ ათასწლეულში შევბიჯეთ და ჭკუა უნდა გვექონდეს, რომ ახალი სტილით დავიწყოთ ცხოვრება. ოდესმე უნდა დადგეს დრო, როცა წარსულში მომხდარ კინკლაობებს დავივიწყებთ და ახალი განწყობილებით შევხედავთ ადამიანურ ურთიერთობებს. ახალი ათასწლეული ახალი სიყვარულის დასაწყისი უნდა გამხდარიყო; მიმანია, რომ გაცილებით გრანდიოზულად უნდა აღგვენიშნა ახალი წლის შემოსვლა...

— მეტი გრანდიოზულობა რაღა გვინდა — ასეთი პატარა ქვეყნის ორ ქალაქში უზარმაზარი კონცერტები გაიმართოს, სადაც მსოფლიო დონის მუსიკოსები იყვნენ მონაწილე.

— არ ვიცი, რამდენი მილიონი დაიხარჯა ამ ახალ წელს; ორივე კონცერტში ერთად, შეიძლება, „გასნიე-გამოსნიე“, 10 მილიონი დახარჯულიყო. ეს ჩემთვის ძალიან ბევრია, იმიტომ, რომ ჩემი ყოველთვიური შემოსავალი 1.000 ლარს არ აღემატება, მაგრამ სინამდვილეში, კოლოსალური თანხა სულაც არ არის... კი, ბატონო, მესმის,



თად, ისიც გააკეთა, რომ კლასიკური მუსიკის განვითარებაზე ზრუნვა დაიწყო, რაც მაღალი დონის „კლასიკოსების“ ჩამოყვანაში გამოიხატება... ისე, მე გულახდილი კაცი ვარ და სათქმელს ბოლომდე ვიტყვი: მოდი, ცოტა უკან დავიხიოთ და წელანდელ თემას განვავრცოთ. ხომ შეიძლებოდა, ხელისუფლებას ახალი ათასწლეულის რომელიმე ახალ წელს, ყველა პატიმარი გამოეშვა ციხიდან?!

რატომ?

— ისე, უბრალოდ — საყოველთაო ამნისტია ქართველებისნაირი ბუნების ერისთვის აუცილებელია — იმ საზოგადოებისთვის, რომელსაც ახალი ინიციატივებისა და გაბედული ნაბიჯების არ ეშინია, შემდგარია. ამით ჩვენ მთელი მსოფლიოს ცივილიზებულ საზოგადოებას მივცემდით მაგალითს... ქართველთა უმეტესობამ ჯაბა იოსელიანის „სწორუბოვარი“ სიკეთე ვერ გაიგო, როცა მან ციხიდან ყველა პატიმარი გაათავისუფლა. კეთილშობილება სწორედ დამნაშავეს შეწყალებას ნიშნავს, თორემ კეთილ ადამიანს არც არავინ ერჩის.

კი, მაგრამ ჯაბა იოსელიანის „სწორუბოვარი“ სიკეთე ნახევარ საქართველოს, განსაკუთრებით კი სამეგრელოს, რბილად რომ ვთქვათ, ძვირად დაუფვდა...

— არ არის ასე. მაშინ, საქართველოში პოლიტიკური განხეთქილება იყო. ამას მოჰყვა ის შემზარავი შედეგი. ანასცილოა იმის მტკიცება — ჯაბა იოსელიანი რომ არ ყოფილიყო, სამოქალაქო ომი არ დაიწყებოდაო... ან საყოველთაო ამნისტიას თავი რომ დავანებოთ, ხომ შეიძლებოდა, ახლა მინც, პოლიტიკურად დაპირისპირებულ მხარეებს ერთმანეთისკენ შემრიგებლური ნაბიჯი გადაედგათ?! მართლა, რა გახდა ეს სააკაშვილი ისეთი, რომ მასთან ლაპარაკი არ შეიძლება?! ბოლოს და ბოლოს, მე დაველაპარაკე ყველას! ჩემზე უკომპრომისო ვინმე გეგულებათ ქვეყანაში?... კი, ბატონო, ნავალ ამაზეც მთავარია, ისინი იყვნენ თანახმა.

თუ უარი თქვას?

— ნუ, მაშინ რა ვქნა — კისერზე ვერავის ჩამოვკვიდე, 140 კილო ვარ...

ბატონო ირაკლი, თქვენი აზრით, რომელ პოლიტიკოსს რა ბედი ეწვეა ამ წელს?

— გამიჭირდება პასუხის გაცემა. მოდი, „ლეიბორისტებით“ დავიწყოთ, იმიტომ, რომ ამ „ტყუილად მოთუხთუხე“ პარტიებში, შალვა ნათელაშვილს ყველაზე მეტი „თუხთუხის“ სტაჟი აქვს. ჰოდა, სანამ შალვა იქნება, „ლეიბორისტებიც“ იქნებიან. სხვებზე რა მოგახსენოთ?... ისინი რომ სულდგმულობენ, ეს მხოლოდ სააკაშვილის დამსახურებაა, სხვანაირი ხელისუფლების პირობებში მათი არსებობა წარმოუდგენელია. ეს ყველას

ხება, გუბაზ სანიკიძის გარდა, — ის ნიჭიერი და ეროვნული სულსკვეთების ადამიანია და ნებისმიერი მთავრობის ხელში შეძლებს თავის გატანას. პოლიტიკაში თუ არაფერი გამოუვიდა, რაიმე კარგ წიგნს მინც დანერს. მაგრამ ერთი ცუდი თვისება აქვს — „ბოლშა“.

რაში გამოიხატება?

— კარგის დანახვა არ უნდა... ამას წინათ, ძალიან დიდი გულისტკივილით ამბობდა, — საქართველოს მთები იცლებათ. მე, 49 წლის ირაკლი წერეთელმა, 47 წლის გუბაზ სანიკიძეს მინდა ვკითხო, — როდის ახსოვს მას სიცოცხლით სავსე მთა?! კომუნისტების დროიდან მოყოლებული, იქაურობა იცლებოდა. ეს პრობლემა მაღალმთიან რაიონებში მუდმივად იდგა და ახლა, როცა სვანეთსა და სხვა მთიან რეგიონებში ტურისტული ინფრასტრუქტურა ვითარდება, აეროპორტი და სასტუმროები შენდება, ახალი სათხილამურო ტრასები კეთდება, სანიკიძე ამბობს, — მთა იცლებათ. არადა, ტურიზმის განვითარების შემთხვევაში, ლოგიკის მიხედვით, ხალხს იქ ცხოვრებისთვის მეტი სტიმული ექნება.

ამაზე ხშირად ამბობენ, ხელისუფლებამ მომსახურე ვრად გვაქციაო...

— ეს მომსახურება კი არა, ბიზნესია. სვანს სტუმარი რომ მიუვა, ის უფასოდ კი არ მოეუბნებოდა; რასაც ანარმობს, იმას გაყიდის. რა არის ამაში სამარცხვინო?... თუ ის სჯობია, ტურისტებმა თურქეთიდან შემოტანილი პროდუქტი მიირთვან?! კარგი იქნება, იქ საერთოდ რომ აკრძალონ უცხოური საკვების რეალიზაცია — ეს მთაში სოფლის მეურნეობის განვითარებას შეუწყობს ხელს და მთის ხალხი უფრო ძლიერი, ამაყი და მდიდარი გახდება. თუ ასე არ მოხდა, ჩემი ფეხით ავალ იქ და იმ სასტუმროებს დავანგრეო... ისე, რა ამის პასუხია და, მთელი საქართველო მაქვს მოვლილი, მათ შორის — სვანეთიც, მაგრამ უშეგულში არასდროს ვყოფილვარ, ამ შობას კი უშეგულელებთან მინდა შევხედე. ისეთი არაყი უნდა ჩავუტანო, რომლის მსგავსიც გასინჯული არ ექნებათ.

რამდენჯერადუსიანა?

— ზუსტად არ ვიცი, მგონი, 80-ჯერადუსიანი უნდა იყოს, ნამდვილი ცეცხლია... ჩემი მეგობრის, „კნიაზ“ რევანოვის გამოხდელია. ერთხელ ჩემს ამერიკელ და შოტლანდიელ მეგობრებს დავალევი და უძლიერესი შოტლანდიური ვისკი ტკბილ ჩაიდ მოეჩვენათ...

ბატონო ირაკლი, ყველაზე გამორჩეული ახალიც წელი გაიხსენეთ...

— ყველაზე ნაყოფიერი და სახალისო წელი იყო 1990, როცა ძალიან

მაღალი რეიტინგი მქონდა; მაშინ სხვადასხვა კუთხის ადამიანებმა 12 გოჭი მომიკითხეს. 1991 წელს 11 გოჭი მივიღე, 1992 წელს კი ჩემმა რეიტინგმა მკვეთრად იკლო და მხოლოდ 7 გოჭი მივიღე. 1995 წლიდან უკვე გოჭი აღარავის „მოუძღვნია“ და მივხვდი, რომ ჩემი რეიტინგი დაცა... მაშინ აკაკი ასათიანმა იხუმრა, — ირაკლი წერეთელმა პოლიტიკოსების რეიტინგის უტყუარი პროგნოზი გამოიგონა, რომლის საზომიც გოჭიაო...

საინტერესოა, ოპოზიციის ლიდერებიდან, ვის რამდენი გოჭი „მოუძღვნეს“...

— არა მგონია, რომელიმე, გოჭს იმსახურებდეს. თუ ჩვენი საზოგადოება ამაში კიდევ ვერ დარწმუნდა, მართლა არაფერი გვეშველება... თუ ყველაფერი ისე გამოივიდა, როგორც დაგეგმილი მაქვს, გაირდებით, რომ ძროხებსა და კამეჩებს მოვაკითხვინებ.

რას აპირებთ?

— მთავარია, ისე გამოვიდეს, როგორც მინდა: ოპოზიცია უნდა გაერთიანდეს და ერთი ან რამდენიმე ნორმალური ლიდერი უნდა აირჩიოს, ვისაც ხალხი ენდობა და გაჰყვება. 1990-იან წლებში მე და ჩემმა მეგობრებმა საბჭოთა რეჟიმი დავემარცხეთ — მაშინ, როცა მისი სახელი ქუხდა და ერთ სააკაშვილს ვერ მოვერევი?! უბრალოდ, საზოგადოებაც და ოპოზიციაც უნდა მიხვდეს, რომ ერთად დგომა აუცილებელია. ახლა ჩვენი ავტორიტეტული ფიგურის დეფიციტია... არ ვიცი, ბოლო დროს რა დავემართა ამ ხალხს. ეროვნული მოძრაობის ლიდერებიდან მე ვარ მხოლოდ ცოცხალი, თან ის ადამიანი ვარ, ვინც ტელევიზიით არ გამოსულა და ბოდიში არ მოუხდია... არ არის დრო, საზოგადოება გამოცოცხლდეს?! —

რას ეყრდნობა თქვენი იდეა, რომ საზოგადოება გამოცოცხლდება?

— კაცობრიობის ისტორიას თვლი რომ გადაავლოთ, სასვე პიროვნებებისა და დიდი ლიდერების შეცდომებით. აღმავლობისა და დაცემის ხანა ყველას ჰქონია... თუ რომელიმე ოპოზიციონერს იმის შიში აქვს, რომ პირველობის ან პრეზიდენტობის ამბიცია მანუხებს, ხელს მოვანერ, რომ ეს საფრთხე არ იქნება. ოლონდ ქვეყნის საქმეს ეშველოს და არაფერი მინდა. კარგად ვიცნობ ამ ოპოზიციას. ისინი რეიტინგზე არიან „ჩამოკიდებული“ და ერთმანეთის მუშაობის ხარისხსაც ამ პრინციპით განსაზღვრავენ. მე დიდსულოვანი ადამიანი ვარ და საერთოდ არ მალეღვებს საკუთარი რეიტინგი. ჩემთვის ეროვნული პრინციპები ყველაფერზე მაღლა დგას და შემოიძლია, ჩემდამი ხალხის კეთილგანწყობილება საქმეს შევწირო... ყველას კი არა აქვს ეს თვისება და სანამ შემოიძლია, გამოიყენონ! ■

„ბომონდის“ იანვრის ნომერი

რუსუდან ლეტიცერისაძის დისკთან ერთად



შეაბროვე
კოლექცია



CD №6
საჩუქხად!



პვენი ხევის
საბანკური

- CD №1 ჯგუფი „ჰინ“
- CD №2 ჯგუფი „ქართული ხევი“
- CD №3 ჯგუფი „მისუარი ტრიო“
- CD №4 მამუკა ჩარკვიანი
- CD №5 პემლატ გონაშვილი

შეგიძლიათ შეიძინოთ „გიგლუსის“ ნიგნის მაღაზიათა ქსელში.

პროექტის
სპონსორია





კასი, როგორც ლიბარატორიის დიზაინერი და უაჩი



თათა დოლიძე

— „ქართული პროზის საგანძურს“ კიდევ ერთი ავტორი შეემატა — ოთარ ჭილაძე რომანით „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. სანამ ამ შესანიშნავ ავტორზე საუბარს დაიწყებდეთ, იქნებ ოროდეს სიტყვა ამ პროექტის შესახებაც გეთქვათ.

ნატო ინგოროყვა:

— პროექტი მომწონს. მეც იქ ვარ, სადაც წიგნის და ლიტერატურის სიყვარული და პატივისცემაა. მომწონს, როცა ჟურნალებთან ერთად წიგნებს ვხედავ და მათ მიყვარული და მკითხველი ჰყავს. წარმატებას ვუსურვებ „გზას“ ამ გზაზე. ამბობენ, წიგნის წაკითხვის შემდეგ ადამიანი ცოტათი იმაზე უკეთესი ხდება, ვიდრე არის და თუ ასეა და ვენდობით, ამ პროექტით კარგი ადამიანები გაგვიმრავლდებიან.

თამარ ჩხაბინაძე:

— ამ სერიით გამოცემული პირველივე წიგნებით ცხადი გახდა, როგორი მნიშვნელოვანი იქნებოდა ეს პროექტი. კარგი წიგნი ხელმისაწვდომ ფასად — ესეც ხომ დასაფასებელი ფაქტია?! უნაკლო არც ეს პროექტია. მართალია, ხარვეზები იყო, მაგრამ მთლიანობაში პროექტმა, ვფიქრობ, გაამართლა. სასურველი იყო, მკითხველს თავიდანვე სცოდნოდა ყველა გამოსაცემი წიგნის და მათი გამოცემის თანამიმდევრობის შესახებ. მესმის, რომ ეს ძნელი იქნებოდა, მაგრამ მაინც... გამოცემის ფორმატის მიხედვით თითოეული ტომი თითქმის ერთნაირი მოცულობისაა და ესეც სასესებით გასაგებია, მაგრამ პირადად მე, როგორც მკითხველს, მერჩივნა დიდი წიგნები („მთვარის მოტაცება“, „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“) დაუნაწევრებლად ანუ ერთ ტომად გამოსულიყო.

— ალბათ, მკითხველთა ნაწილს

„მე მარცვალი ვარ, ღმერთის კალთიდან გადმოვარდნილი და ღმერთმა იცის, რა მელოდება, ჩიტის ჩიჩახვი თუ თბილი სნული“, — წერდა ჯერ კიდევ ახალგაზრდა მწერალი, ოთარ ჭილაძე. ახლა უკვე ყველამ კარგად ვიცით, სად გალივდა და რა ამოვიდა ამ მარცვლისგან და რა დიდი საგანძური დაგვიტოვა მან. რადგან ოთარ ჭილაძის, მისი შემოქმედების შესახებ საუბარი ჩემგან დიდ გამბედაობასა და სითამამეს მოითხოვდა, გადავწყვიტე, გავსაუბრებოდი ჩემზე კომპეტენტურ ადამიანებს: ნატო ინგოროყვას (პოეტი, ჟურნალ „მასწავლებლის“ მთავარი რედაქტორი) და თემურ ჩხეტიანს (პოეტი). თავიდან მათაც უკან დაიხიეს, ასეთი ბუმბერაზი მწერლის შესახებ ჩვენ რა უნდა ვთქვათო, მაგრამ ბოლოს მაინც დამთანხმდნენ.

გაუჩნდება კითხვა, რატომ „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ და არა სხვა ნაწარმოებები, როგორცაა, მაგალითად, „ყოველმან ჩემთან მპოვნელმან“, „აველუმი“ და სხვა. თქვენი აზრით, რით გამოირჩევა ეს რომანი ბატონი ოთარის სხვა ნაწარმოებებისგან?

ნატო ინგოროყვა:

— შესაძლოა, გაუჩნდეს. არადა, ლოგიკურია, ჟურნალი „გზა“, „გზაზე ერთი კაცი მიდიოდათი“ ხვდებოდა მკითხველს. ეს ისე, ასოციაციურად. ოთარ ჭილაძის ყველა რომანს თავისი სათქმელი აქვს. მე „რკინის თეატრი“ ხელის განვდენაზე მიდექვ. მაგრამ რატომღაც დამკვიდრდა ასე — როცა ვახსენებთ ოთარ ჭილაძეს, მაშინვე ამბობენ: „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. წიგნებს თავისი ბედისწერა აქვს. ალბათ, ასეა.

თამარ ჩხაბინაძე:

— ამ პროექტს ოთარ ჭილაძის ნებისმიერი რომანი დაამშვენებდა. არც იმით დაშავდებოდა რაზე, მისი ყველა რომანი რომ გამოსულიყო — მაინც ხომ „ქართული პროზის საგანძური“ ჰქვია!.. „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“... ამ წიგნით იწყება ის დიდი და საოცარი სამყარო, რომელსაც ოთარ ჭილაძის პროზა ეწოდება. ეს მართლაც გამორჩეული წიგნია თავისი თემატიკით, მასშტაბურობით, სიღრმით — ზოგადად მხატვრული დონით. ჩემთვის იმ მხრივაც აღმოჩნდა დასამახსოვრებელი, რომ მისი წაკითხვა გამიჭირდა. მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და აღმოჩნდა, რომ ამ წიგნამდე ოთარ ჭილაძის ლექსებისა და პოემების გავლით უნდა მივსულიყავი.

— ხშირია, როცა მკითხველს ავტორი მისივე შემოქმედების ნაწილად ან რომელიმე ნაწარმოების გმირად წარმოუდგენია. ეს ალბათ განპირობებულია იმით, თუ რამდენად ცნობილია ამა თუ იმ ავტორის რეალური ცხოვრება. რა თქმა უნდა, არც ოთარ ჭილაძის ცხოვრებაა საზოგადოების ინტერესს მოკლებული. თქვენ თუ იცნობდით ბატონ

ოთარს? თუ — კი, იქნებ მასთან პირველი შეხვედრა გაიხსენოთ.

თამარ ჩხაბინაძე:

— ჩემდა სამწუხაროდ, ბატონ ოთარს არასოდეს შეხვედრივარ. ასეთი შეხვედრა არ დამავიწყებოდა და საიმოვნებით გავიხსენებდი... მხოლოდ მის ლექსებთან, პოემებთან და რომანებთან შეხვედრები შემიძლია გავიხსენო — ძვირფასი შეხვედრები დიდ მწერლობასთან.

ნატო ინგოროყვა:

— მკითხველს ყოველთვის თავისი შეგრძნებები და ასოციაციები აქვს. ავტორმა და ღმერთმა უწყის, სინამდვილეში „საკუთარი მე“ სად და როგორ, მოდი ასე ვთქვათ, შეფუთა მწერალმა. მკითხველი აქ შეუზღუდავია და მოდი, ეს განსასჯელად მას დაუტოვოთ. მე მაინც მგონია, მწერალი უნდა წაიკითხო. რეალური ცხოვრება მკითხველისთვის, შესაძლოა, საინტერესოა, მაგრამ აუცილებელი — არა. მე ვიცნობდი მას და შეხვედრივარ კიდევ. მასსოვს, ვუთხარი: — როცა ვფიქრობდი თქვენთან შეხვედრაზე — ვლელავდი, მოვდიოდი — ვლელავდი, აქ ვარ და ვლელავ. მან გაიღიმა და ყოველგვარი ფაზილარობის გარეშე მითხრა: — ეს კარგია, ნატო! ყველა შეხვედრა მასთან ჩემთვის იყო პირველი შეხვედრა, გაუნელებელი მღელვარებით და ინტერესით. მან ერთ თავის წიგნზე დამიტოვა წარწერა: „მიგულე შენს ერთგულ მკითხველად“. მას მერე ყოველ ჩემს ახალ ლექსს ვკითხულობ მისი თვალებით. არასდროს დამავიწყებდა დამშვიდობებისას, კარში მოდევნებული მისი ფრაზა: არასდროს მიატოვო ეს ქვეყანა, მაშინაც კი, როცა მას შენ არ უყვარხარო.

— „შთამომავლობისთვის ოთარ ჭილაძის ცხოვრების ყოველი დღე და თავგადასავალი სანუკვარი და საძებარი იქნება. ახლავე, ახალი მონშების თვალწინ უნდა დაინეროს მისი ცხოვრების ბიოგრაფია, უნდა შეკრობოს მოგონებები, უნდა გაჩნდეს წიგნი, რომელსაც ერქმევა „ოთარ ჭილაძე ანუ გზაზე ერთი კაცი მიდიოდა.“ — წერს პოეტი ბესიკ



ხარანაული. იქნებ ეს წიგნი დაწერ-
ილიც კია და უბრალოდ, მისი
შემოქმედების მეტი ყურადღებით
წაკითხვა საჭირო? თქვენი აზრით,
რომელი წიგნით თუ გმირის ენით
მოჰყვა ოთარ ჭილაძემ თავისი ცხოვრების ამბავი?

თაფურ ჩხაბიანი:

— ოთარ ჭილაძე — „გზაზე ერთი
კაცი მიდიოდა“... „ერთი“ ამ შემთხვევა-
ში უფრო დიდის და მთლიანის სინონი-
მად გამოდგება. ერთი იყო, მაგრამ
ბევრიც იყო და ყველგან თავისას ჰყე-
ბოდა. თუ მაინცდამაინც ერთ წიგნზე
შეგწერდებით, მე ვფიქრობ, ეს „აველუ-
მი“ იყო: რომანის მთავარი გმირი, თან-
ამედროვე ადამიანი თავისი ცხოვრე-
ბით, ფიქრით, ტკივილით და უკვე ჩვენი
მარადიული თანამგზავრი — აველუმი.

ნატო ინგოროყვა:

— წიგნი ოთარ ჭილაძეზე აუცი-
ლებლად დაინერება და ვფიქრობ,
არაერთი. როგორც მახსოვს, ერთხელ
თქვა კიდევ, — ძალიან მაინტერესებს,
როგორ გამოიყურება თქვენს თვალში
ჩემი სამყარო. ერთი კონკრეტული
რომ დავასახელო, არ ვიქნები მართა-
ლი. ყველა ლექსში, ყველა რომანში
და ყველა წიგნში, რომლის ავტორიც
ოთარ ჭილაძეა, უნდა ვეძებოთ ის.

— ოთარ ჭილაძის შემოქმედება
მარტო პროზით არ ამოიწურება.
ვისაუბროთ პოეტ ოთარ ჭილაძეზეც-
თქვენი აზრით, რომელი მათგანი
უფროა ოთარ ჭილაძე — პროზაი-
კოსი, პოეტი თუ ორივე ერთად?

თაფურ ჩხაბიანი:

— მწერალი ოთარ ჭილაძე ჩემთვის,
მისი პოეზიით იწყება. სამოციანელთა
ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენ-
ელი ჩემთვის დღესაც ძვირფას პოეტად
რჩება. მახსოვს, როცა მისი პოეზიის
გაცნობას ვინწყებდი, ისეთი შეგრძნება
მქონდა, თითქოს უფროს მეგობარს ვუს-
მენდი; მეგობარს, ვინც კარგად იცო-
და, რა მტკიოდა, რა მანუებდა, რა
მინდოდა... ალბათ მაინც პირობითია
გამოთქმა: ოთარ ჭილაძე — პოეტი
და ოთარ ჭილაძე — პროზაიკოსი. ეს
ერთი დიდი მწერალია; მწერალი, ვის
პროზასაც უფრო დიდი დიაპაზონი
და რეზონანსი აღმოაჩნდა, ვიდრე პოე-
ზიას... და ალბათ, ესეც პირობითია.

ნატო ინგოროყვა:

— ვერ გეტყვით. მართალი რომ
ვიყო მკითხველთან, ვალიარებ: არას-
დროს შემიდარებია. ჩემთვის პროზა-
შიც და პოეზიაშიც, ის მეტრი და
საზომია. მწერალია, გზაზე ერთი კაცი
მიდიოდაა, თავისი ღირსეული, პა-
ტიოსანი და თავისთავადი პროზითა
და პოეზიით. ვუსმენ, ვუყურებ თუ
ვკითხულობ, ვგრძნობ: ლიტერატურ-
ისთვის დაიბადა და შეეწირა.

„მოლაპარაკე“ ღვინო, ასალდაქორწინებულთა განმარტოებული ვახუშტი და ლაშაჟი კონსერპტი წვიმიან ბათუმში



ნათია ჟივიკა

ახალი წელი ყველა ადამიან-
ისთვის საყვარელი დღესასწაულია.
ამ ბოლო დროს გამოიკვეთა ტენ-
დენცია — ქართველების დიდი
ნაწილი ახალ წელს ქუჩაში სვდება.
ბოლო ორი წელია, ყველაზე გრან-
დიოზულად ეს დღესასწაული ბა-
თუმში აღინიშნება. პირადად მე,
ახალ წელს, ტრადიციისამებრ, ოჯახში
შეგვფდი. მართალია, ტელეარხები

კარგი საახალწლო გადაცემებით ვერ
დაიკვეხნიდნენ, მაგრამ ცოტა ხანს
ანდროა ბოჩელის ყურებით შევიტყვე
თავი. მეორე დილით კი ქუჩაში
გამოვედი და გადავწყვიტე, გამე-
ლულებსგან შემეტყუო, თუ ვინ სად
და როგორ შეგვფდა ახალ წელს...

პირველად, ასაკოვანი მამაკაცი
შემხვდა. ქუჩას ბანცალ-ბანცალით
მიუყვებოდა და ხმადაბლა ღიღინებ-
და. ახალი წელი მივულოცე და

<p>მუხის მაგიდა - სკამები</p> <p>740 ლარი</p>	<p>საძინებელი</p> <p>1360 ლარი</p>
<p>სამსახურის სკამები "კლასიკა" მბალიანი აბჯანის და ბანსტონის ფორმისა</p> <p>420 ლარი</p> <p>გასაშლელი დივან-სანოლი</p>	<p>370 ლარი</p> <p>გასაშლელი დივან-სანოლი</p>
<p>აღ. ყაზაგის გამზ.14 ☎ 38 88 11</p> <p>პაძე-ფხაველია გამზ.25 ☎ 37 11 11</p> <p>კლასიკა Classica</p>	



კვითხე, თუ ვინ იყო და როგორ შეხვდა 2011-ის მობრძანებას?

— კახელი კაცი ვარ, გენაცვალე, იქ ვცხოვრობდი, მაგრამ შვილები რომ წამოიზარდნენ, სწავლა მოუნდათ და თბილისში გადმოვსახლდით. მიუხედავად ამისა, კახეთს მაინც არ ვლაღატობ და იქ ხშირად ჩავდივარ. ვენახიცა მაქვს და სხვა ადგილ-მამულებიც. მარტო ღვინო მაქვს იგეთი, სულ თავისთა ლაპარაკობს... ახალ წელს, გენაცვალე, შინ შევხვდი, ოჯახთან ერთად. 10 თვის შვილიშვილი მყავს, ჩემი მოსახლე — გიორგი. იმაზე უკეთესი ვინ მეყოლებოდა გვერდით?! ერთი-ორი ჭიქა დავლიე... ახლა კიდევ, ჩემს დასთან ვიყავი დღესასწაულის მისალოცად და იქაც დავლიე. თუ წამოხვალ ჩემთან, იმ ჩემს მოლაპარაკე ღვინოსაც დაგაღვივებ. შენა ახალი საახალწლო კახური სიმღერა იცი?

კვითხე, საიდან მოდიოდნენ. ასაკით ყველაზე უმცროსმა გოგონამ ყველა შეკითხვაზე თვითონ გამცა პასუხი:

— მარი კოსრეიძე ვარ. მოსკოვში ვცხოვრობ. ჩემი მშობლებიც იქ არიან, მაგრამ და მყავს თბილისში გათხოვილი. 6 თვის დისშვილი მყავს, ანდრია; ჰოდა, გადავწყვიტე, ახალ წელს ჩემი დის ოჯახთან ერთად შევხვედროდი და 29 დეკემბერს ჩამოვედი. ახალი წლის მობრძანება ჯერ ოჯახში აღვნიშნეთ, მერე კი ყველა ერთად, ჩვენს ბიძაშვილთან წავედით და როგორც ხედავთ, თავზე ისე დაგვათენდა, ვერც გავიგეთ. სხვათა შორის, 3 იანვარს ჩემი დაბადების დღეა, 19 წლის ვხდები. ჰოდა, ამ დღესასწაულსაც ჩემი დის ოჯახთან და მეგობრებთან ერთად აღვნიშნავ. მერე კი კვლავ მოსკოვში დავბრუნდები...

ვიდრე ამ გოგონას ველაპარაკებოდი, ახალგაზრდა წყვილი დავი-

ყავით. მომავალ წელს დიდი იმედებით შევხვდით, მით უმეტეს, რომ 2011 წელს ჩვენი პატარა მოველინება ქვეყანას.

წყვილს ბედნიერება ვუსურვე და გზა განვაგრძე. ერთი ახალგაზრდა ბიჭი შემომხვდა, რომელსაც სადღაც მიეჩქარებოდა. რომ გავაჩერე და კვითხე, — საიდან მოდიხართ და სად მიბრძანდებით-მეთქი? — გაოცებულმა შემომხედა, მაგრამ როცა ვუთხარი, რომ ყურნალისტი ვარ, პასუხი მაინც გამცა:

— ბაკურიანიდან მოვდივარ. მეგობრებს ტრადიციად გვაქვს — ყოველ ახალ წელს ბაკურიანში ვხვდებით, მერე თბილისში ვბრუნდებით. მიუხედავად იმისა, რომ წელს ბაკურიანში დიდი თოვლი არ მოსულა, საახალწლოდ ცოტა მოთოვა და მაინც ლამაზად შევხვდით ამ დღესასწაულს. ცუდი მხოლოდ ის იყო, რომ არც ერთ რესტორანში ქართველებს პატივს არ გვცემენ, ცდილობენ, მეტი ყურადღება უცხოელებს მიაქციონ. თუ ვთქვათ, რესტორანში ერთი მაგიდალა დარჩა თავისუფალი, იქ ქართველებს არ დასვამენ, უცხოელს დაელოდებიან. ამ ამბავმა ძალიან გაგვაღიზიანა, თორემ სხვა მხრივ, ბაკურიანში ახალი წლის შეხვედრას არაფერი სჯობს...

ერთი გოგონა ბანკომატთან იდგა. ისეთი დაღლილი სახე ჰქონდა, ვიფიქრე, ყველაზე კარგ დროს ეს გაატარებდა-მეთქი და უამრავი შეკითხვა დავუსვი. მართალიც აღმოვჩნდი:

— მეგობრებთან ერთად, 31-ში დილით ბათუმში წავედი. ჯერ ერთი, ეს ქალაქი მართლაც, კარგად არის „გაკეთებული“; გარდა ამისა, ასეთი ლამაზი ახალი წელი არასოდეს მქონია. ყველაფერი კარგად ორგანიზებული და საინტერესო იყო. მხოლოდ ამინდმა არ შეგვიწყო ხელი — სამინლად წვიმდა. მიუხედავად ამისა, კონცერტს მაყურებელი არ აკლდა... მთელი ღამე ვქეიფობდით, გამთენიისას კი კვლავ თბილისში დავბრუნდით. ახლა შინ მიმეჩქარება, მეძინება, ძალიან დავიღალე, მაგრამ მერწმუნეთ, ეს სასიამოვნო დალლა იყო...

ჩემს რესპონდენტებთან საუბრის შემდეგ გადავწყვიტე, ტრადიცია შევცვალო და მომავალში ახალ წელს ან ბაკურიანში შევხვდე, ან — ბათუმში. ამჯერად კი ინტერვიუების ჩანერა დავასრულე და მეც, დღესასწაულის მისალოცად, მშობლებთან წავედი...



— არ ვიცი და ძალიან მაინტერესებს.

— „ღვინოცა მაქ, პურიცა მაქ და ხაშლამაც ზედაცაო, თოვლი პაპა თუ არ მოვა, ერთი იმი დედაცაო“... აეგრეა, გენაცვალე, ვის რათ უნდა თოვლის პაპა? მთავარია, ფული გვექონდეს და ჩვენ თვითონ ვიქნებით ჩვენი თავისა და ოჯახის თოვლის პაპაცა და ბაბოც...

ენად გაკრეფილ მამაკაცს ღიმილით დავემშვიდობე და შევპირდი, რომ მის „მოლაპარაკე“ ღვინოს აუცილებლად დავაგემოვნებდი. გზის მეორე მხარეს ახალგაზრდების ჯგუფი მოდიოდა. მათ მივუახლოვდი, დღესასწაული მივულოცე და

ნახე; ისეთი გაბრწყინებული სახეებით მოუყვებოდნენ ქუჩას, სიცივეს ვერც კი გრძნობდნენ...

— ჩვენს მშობლებთან მივდივართ, რომ ახალი წელი მივულოცოთ, — მითხრა სახეგაბრწყინებულმა გოგონამ. — ახალდაქორწინებულები ვართ და ეს ჩვენთვის პირველი ერთობლივი ახალი წელი გახლდათ. საკმაოდ რომანტიკულ გარემოში შევხვდით მის მობრძანებას — შინ მარტონი ვიყავით და სანთლის შუქზე ვივარდით. მართალია, უამრავმა მეგობარმა დაგვირეკა და თავისთან მიგვიპატიჟა, მაგრამ არავისი მიწვევა არ მივიღეთ, რადგან გვერჩინვა, მარტონი ვყოფილი-

ყოველ ჰარასეკს, ჟურნალ „საბავშვო ჯარუსელთან“ ერთად, გამოჩენილი აღამიანების ბიოგრაფიების თითო წიგნი!

- ❖ ალესანდრე მაკედონელი
- ❖ ალბერტ აინშტაინი
- ❖ მარკო პოლო
- ❖ კოლფვანგ ამაღუს მოცარტი
- ❖ გალილეო გალილეი
- ❖ მიგელ დე სერვანტესი
- ❖ მაჰთმა განდი
- ❖ უოლტ დისნეი
- ❖ ნიკოლაი კოპერნიკი
- ❖ ფრედერიკ შოპენი
- ❖ ლეონარდო და ვინჩი
- ❖ ლუი პასკეჩი
- ❖ ნაპოლეონ ბონაპარტი
- ❖ ისაკ ნიუტონი
- ❖ პლატონი
- ❖ ტომას ალვა ედისონი
- ❖ ქრისტეფორე კოლუმბი



7 იანვრიდან
14 დეკემბრამდე

1 >აქსანდრე მაკედონელი
გამოჩენილი აღამიანების ბიოგრაფიები

2 >იბეის აინშტაინი
გამოჩენილი აღამიანების ბიოგრაფიები

3 >შემდეგ
გამოჩენილი აღამიანების ბიოგრაფიები



**გამოჩენილი
აღამიანების ბიოგრაფიები**

წიგნის ფასი: 2.50
(ქრწლთან ერთად 3.50)

წიგნების სურია ბავშვებისთვის



სასე

ფიქსი სასიათი აქვს, მელანქოლიაში სშირად ვარდება, ყოველთვის „თათებზე ესემა“...



თაშუა კინიკაპე

„ძალიან მორიდებული ადამიანი ვარ“

ანი ჟორჯია:

— 2010 წემთვის ძალიან კარგი წელი იყო, განსაკუთრებით — ბოლო პერიოდი. ვფიქრობ, რომ პიროვნული თვისებებით კურდღელზე მეტად, კატას ვგავარ. იმედი მაქვს, ამ წელს ჩემი ცხოვრება უკეთესობისკენ უფრო მეტად შეიცვლება.

— ასტროლოგთა რჩევებს სშირად კითხულობ?

— დიახ. მათი დახასიათება ჩემს ხასიათთან თანხვედრაშია, ერთადერთი განსხვავებაა — ხელმომჭირნე არა ვარ. ერთი პერიოდი, პირადი ჰოროსკოპის შედგენაც მინდოდა. ეს ჩემმა რამდენიმე მეგობარმა გააკეთა და რომ ვნახე, მასზე რამდენად დამოკიდებულნი გახდნენ, გადავიფიქრე.

— თვეების მიხედვით, კირჩხიბი ხარ, ასტროლოგები კი ამ

გიგი უგულავა, ანი ჟორჯია, დიმიტრი შაშვინი, გიორგი ასანიძე, თამარი ჭოსონელიძე, დათო გოგიჩაიშვილი, ნინო ანანიაშვილი — ეს კურდღლის წელში დაბადებულ ცნობილ ადამიანთა არასრული ჩამონათვალია. ილბლიანი, ნიჭიერი, პატივმოყვარე და თავშეკავებული — ასე ახასიათებენ ასტროლოგები ამ წელში დაბადებულებს. ვნახოთ, რამდენად ემთხვევა მათი ხასიათი ასტროლოგთა ნათქვამს. ჩვენ რამდენიმე ცნობილ „კურდღელს“ დაფუკავშირდით. და აი, როგორი ასტროპორტრეტები გამოგვივიდა.

წელში დაბადებულებზე ამბობენ, — მორცხვი ადამიანები არიან, უარის თქმის უფრო მეტად ერიდებთ, ვიდრე ყველა სხვა წელს, ერთად აღებული...

— ბევრს ჰგონია, რომ თამამი ვარ, სინამდვილეში ასე არ არის. ასტროლოგები მართლები არიან — ძალიან მორიდებული ადამიანი ვარ.

— წარმატებისკენ შემოვლითი გზით მიიხარ?

— ყოველთვის ვამბობ, ჩემს დას — ლიკას ყველაფერი მზამზარეული „მისდის“, მე კი დიდი შრომის გარეშე ვერაფერს ვაღწევ.

— პატივმოყვარე ადამიანი ხარ?

— პატივმოყვარე?.. (ფიქრობს) შეიძლება ითქვას, რომ ეს თვისებაც მაქვს.

— ეჭვიანი?

— ძალიან. აქამდე მეგონა, რომ არ ვიყავი, მაგრამ ვცდებოდი. ახლა ვცდილობ, ეს თვისება მოვთოკო ხოლმე.

— იგი ვერ იტანს მკაცრ ლაპარაკს, მწვავე კრიტიკას, განურჩევლად იმისა, იმსახურებს ამას თუ — არა; მართალია?

— ფორმას გააჩნია: კრიტიკა ზოგჯერ უნდა მიიღო. მკაცრ კრიტიკა-

ზე მართლა ცუდად ვრეაგირებ. თავად ძალიან პირდაპირი ადამიანი ვარ, სხვებისგანაც ამას მოვითხოვ.

— მოგზაურობა გიყვარს?

— მიყვარს, მაგრამ რომ გითხრა, ძალიან მანანწალა ვარ-მეთქი, მო-





გატყუებ. ლიკას უფრო უყვარს.

— რომელ ქვეყანაში იმოგზაურებდი?

— მხოლოდ თბილ ქვეყნებში. მაიაში მინდა წასვლა, თან — ძალიან.

— ხშირად, სევდით იგონებს წარსულს, ბავშვობას; ასეა?

— სევდით მხოლოდ იმიტომ ვიგონებ, რომ ეს ყველაფერი უკან დარჩა, თორემ გული არაფერზე მწყდება. ბედნიერი ბავშვობა მქონდა.

— იშვიათად შმაგდება, მაგრამ თუ გაშმაგდა... ასეთ დროს როგორ იქცევი?

— ამბობენ, რომ ფიცხი ხასიათი მაქვს. სინამდვილეში ძალიან მომთმენი ადამიანი ვარ. შემძლია. ბევრი რამ, რაც არ მომეწონება, „გავატარო“ და აგრესია არ გამოვამჟღავნო. პირველი არავის ვესხმი თავს; ვცდილობ, ადამიანებთან თბილი ურთიერთობა მქონდეს, მაგრამ ერთხელ, ორჯერ რომ „გავატარებ“, მესამედ შეიძლება, „კრამიტი დამიცურდეს“; ასეთ დროს საკუთარ თავს ვერ ვმართავ. მერე ვნანობ, ასე რატომ მოვიქეცი. საბედნიეროდ, ასეთი რამ იშვიათად ხდება.

— ალკოჰოლთან როგორ დამოკიდებულა გაქვს?

— არ ვვსამ.

— ასტროლოგები გირჩევენ, ზომიერება გამოიჩინო.

— თრობის მომენტი საშინლად არ მომწონს. ერთი-ორჯერ მქონდა შემთხვევა, როცა მივხვდი, რომ ალკოჰოლის მიღებისას ზედმეტი მომივიდა. ძალიან ცუდ ადამიანად ვიქეცი, ხასიათი გამიფუჭდა, შარზე ვიყავი (იცინის)!

— ჭორაობა გიყვარს?

— მიყვარს-მეთქი, — ამას ვერ ვიტყვი. ყველა გოგო მეტ-ნაკლებად, ჭორიკანაა. ზოგჯერ ისეთი რამ გამიგონია, დავინტერესებულვარ და მიკითხავს, მერე რა მოხდა?

— ახალ წელს როგორ შეხვდი?

— 12 საათზე ყოველთვის ოჯახში ვარ, მშობლებთან ერთად ვხვდები, მერე მეგობრებთან მივდივარ. ეს დღესასწაული ძალიან მიყვარს, მიუხედავად იმისა, რომ ზამთარსა და სიცივეს ვერ ვიტან. წელს საახალწლოდ, საგანგებოდ შევიკერე კაბა, ახალი ფეხსაცმელები შევიძინე, რომელიც 31 დეკემბრამდე ცოცხალი თავით, არ ჩამიცვამს. სალონში ჩავენერე — მასაჟის, ვარცხნილობის, მაკიაჟის გასაკეთებლად.

— ახალ წელს საზღვარგარეთ არასდროს შეხვედრიხარ?

— არა. ამის შანსი თუ მექნება, საამისოდ თბილ ქვეყანას ნამდვილად არ ავირჩევ. ამ დღეს უნდა ციოდეს, თბილად უნდა გეცვას და ფანჯრიდან უყურებდე, გარეთ როგორ თოვს. ეს ყველაფერი ახალ წელს ძალიან უხდება.

„ყველანი მზად უნდა ვიყოთ ნახტომისთვის...“

პარლამენტის წევრი ბიორბი ბსანიძე კურდღლის წელში დაბადებული ქალწულია. ასტროლოგებთან პერიოდულად კონტაქტობს. მათ რჩევებსაც ითვალისწინებს, მაგრამ მიაჩნია, რომ ადამიანმა საკუთარი მომავალი თავად უნდა შექმნას.

— გიორგი, ილბლიანი ადამიანი ხართ?

— რომ გითხრა, არა-მეთქი, უმადური ვიქნები. ილბლიანი ადამიანი ვარ.

— ნიჭიერც?

— ნიჭიერზე მეტად, შრომის-მოყვარე ვარ.

— კურდღელი (კატა) ყოველთვის „თათებზე ეცემაო“, — ამბობენ ასტროლოგები...

— ცხოვრებაში კრიტიკული მომენტები ნაკლებად მქონია. დიდი განსაცდელიც არ შემხვედრია, მაგრამ არასასურველი მდგომარეობიდან ყოველთვის ღირსეულად გამოვსულვარ — „თათებზე დაცემულვარ“.

— თავშეკავებული ხართ?

— საჯარო პირებს თმენის ვალდებულებაც გვაკისრია. ალბათ გახსოვს, პარლამენტის წინ გამართული აქცია; ოპოზიციონერებმა წონასწორობიდან ჩემი გამოყვანა მოინდომეს, მაგრამ არ გამოუვიდათ.

— გამახსენდა — წყალი შეგასხეს, არა?

— ასე იყო (იცინის). ამას სხვა დროს და სხვა სიტუაციაში არავის მოვუთმენდი.

— კურდღელს უყვარს საზოგადოებაში ტრალი, სტუმრების მიღება...

— სტუმართმოყვარე ოჯახში დავიბადე და გავიზარდე. ახლაც ასეა — ისე არ გავა დღე, რომ სტუმარი არ მყავდეს. ეს განსაკუთრებით ითქმის ახალი წლის დღეებზე. ახალ წელს თბილისში ვხვდები, ძველით ახალ წელს — საჩხერეში.

— ასტროლოგები კურდღლებზე იმასაც ამბობენ, — ჭორიკანები არიან, მაგრამ ამას ფრთხილად აკეთებენო; რას გვეტყვი?

— ამ შემთხვევაში ვერ დავეთანხმები; ჭორიკანა საერთოდ არა ვარ. ზოგჯერ იმასაც მეუბნებიან — იქნებ, ხმა ამოიღოო?!

— ხშირად სიყვარულში იმედგაცრუებულნი რჩებიანო. თქვენს ცხოვრებაშიც იყო ასეთი მომენტები?

— სკოლის პერიოდში მქონდა გატაცებები. ვერ გეტყვი, რომ დიდი იმედგაცრუება მქონია, ეს უფრო, პატარა ტკივილი იყო, ცხოვრების ნაწილი, რომელიც შემდეგი, დიდი სიყვარულისთვის გწვრთნის.



— მერე, კარგად „გაინჭრეთნო“?

— ... (იცინის)

— ტყუილს ხშირად ამბობთ?

— არა. ტყუილს ვერ ვიტან.

— დაბადებით კრიტიკოსიაო, — ამბობენ ასტროლოგები. ეთანხმებით?

— ყველაზე მეტად, კრიტიკული თვალთ საკუთარ თავს ვუყურებ. მეტსა და მეტს ვითხოვ. ადრეც ასე იყო — ერთი ვარჯიში არასდროს მაკმაყოფილებდა.

— სანამ ყველაფერს არ აწონდანიონთ, გადაწყვეტილებას ისე მართლა არ იღებთ?

— ეს თვისებაც მაქვს.

— წასულიყავით თუ არა პოლიტიკაში — ამაზეც ბევრი იფიქრეთ?

— არა, მაგაზე ბევრი არ მიფიქრია.

— რატომ?

— ადამიანის მხეცთან შედარება ცუდია, მაგრამ ცხოვრებაში ჩვენ, მხეცების მსგავსად, ყველანი მზად უნდა ვიყოთ ნახტომისთვის... არ



ვნანობ, რომ ეს გზა ავირჩიე. ამით მომეცა შესაძლებლობა, უკეთესი გარემო შემექმნა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ახლა ადგანან ჩემ მიერ უკვე გავლილ გზას. თუ ადრე საამისოდ უმნიშვნელო თანხა ირიცხებოდა, დღეს ეს თანხა გაათმაგებულია — სპორტსმენების ჰონორარები გაიზარდა. კიდევ ბევრის გაკეთებაა საჭირო, მაგრამ ბედნიერი ვარ და ვამაყობ იმით, რომ რაც გაკეთდა, იმაში მეც მიმიძღვის წვლილი.

— გიორგი, თქვენი ერთ-ერთი შვილის ნათლია — ინგა გრიგოლია; თქვენ პოლიტიკაში სხვადასხვა მხარეს დგახართ. ეს ურთიერთობაზე არ აისახა?

— ნაკლებად. ორივენი ჩვენი ქვეყნის ინტერესებს ვემსახურებით, ისე, როგორც გვესმის. ყველა ადამიანი ერთ აზრზე ვერ იქნება.

— „უჩვეულო ახალი წელი“ — ამ სიტყვებზე რა გახსენდება?

— 1994 წელი დგებოდა. მაშინ თბილისში კახი კახიაშვილთან ერთად ვცხოვრობდი. ქვეყანაში რა მდგომარეობა იყო, ყველას გვახსოვს. კახის ვიდუოკამერა ჰქონდა და გადავწყვიტეთ, რამდენიმე კადრის გადასაღებად ქუჩაში გავსულიყავით. ისეთ სროლაში მოვეყვით, სიკვდილს როგორ გადავურჩით, არ ვიცი. ხეებს ამოვეფარეთ, ტყვიები ამ ხეებს ხვდებოდა. დამტვრეული ტოტები გვეყრებოდა თავზე. აი, ასეთი ექსტრემალური ახალი წელიც მქონდა.

„შინაგანად, ყოველთვის დიდ სევდას ვატარებდი...“

„ისტორიას რომ გადავხედოთ, ჩვენი მეფეები ომში ვარსკვლავთმრიცხველის გარეშე არ მიდიოდნენ. ეს დიდი მეცნიერებაა. ძალიან ჩალრმავებული არა ვარ, მაგრამ მჯერა“, — მითხრა თამარიკო ჭონონელიძემ...

— აქამდე მეგონა, რომ დრაკონი ვიყავი; თურმე კურდღელი ვყოფილვარ. თვეების მიხედვით, თხის რქა ვარ. სიმართლე გითხრა, კურდღელი და კატა ძალიან არ მომწონს. რომელიმე რომ შემეხოს, შეიძლება, ცუდად გაგხდეს.

— პატივმოყვარე ადამიანი ხართ?

— არა. ეს ჩემი თვისება არ არის.

— იღბლიანი?

— იღბლიანი ვარ.

— კურდღლის (კატის) მსგავსად, ვარდნის დროს ყოველთვის „თათებზე ეცემით“?

— პირდაპირი მნიშვნელობით გეტყვი: ბავშვობაში ძალიან ხიფათიანი ვიყავი, ტრავმატოლოგიური-



დან თაბაშირით 11-ჯერ ვარ წამოსული. ბოლოს ისე ვეცემოდი, ძალიან აღარ ვსახიჩრდებოდი. მეგობრები იცინოდნენ — ნაქცევაც ისწავლაო.

— საზოგადოებაში ყოფნა გიყვართ?

— განმარტოება და ოჯახის წევრებთან ერთად ყოფნა მირჩევნია. მე არ დავდივარ ე.წ. „ტუსო-ვკებზე“.

— მგონია, რომ თქვენი თვისებები თხის რქის ზოდიაქოს უფრო ემთხვევა.

— მეც ასე ვფიქრობ.

— სევდიანია და მელანქოლიაშიც სწორად ვარდებო, — ამბობენ ასტროლოგები; მართალია?

— ვეთანხმები ასტროლოგებს. ბავშვობაში გარეგნულად, ერთი მხიარული და სასაცილო გოგო ვიყავი, მაგრამ შინაგანად, ყოველთვის დიდ სევდას ვატარებდი. ვდარდობდი დეებზე, მშობლებზე, ვფიქრობდი, — ახლა სად არიან?... რას აკეთებენ?... ხომ კარგად არიან?... ახალ წელსაც კი სევდით ვაცილებდი. „იტალიურ“ ეზოში გავიზარდი. კარგი მეზობლობა გვქონდა. ერთი ოჯახი ვცხოვრობდით. ახალ წელს ყველა თავისთვის ფუს-ფუსებდა. ხან ერთ მეზობელთან შევირბენდი, ხან — მეორესთან და ვერსად ვპოულობდი იმ სევდას, რომელიც თან მდევდა. ვაცილებდი რალაცას, რაც არასდროს დაბრუნდებოდა.

— ეს თვისება დღემდე მოგვებათ?

— კი, დღესაც ასეა.

— მას ყოველთვის უნდა ჰყავდეს ისეთი ადამიანი, რომელიც გამუდმებით უმეორებს — „თავი ასნიე, ცხოვრება არც ისე ცუდია, როგორც შენ გგონია“; ის მთელი ცხოვრება დეპრესიას ებრძვის, მაგრამ ამას სხვებს არ აგრძნობინებსო... რას გვეტყვით?

— მართლა მჭირდება ასეთი ადამიანი, რომელიც შენ მიერ წარმოთქმულ სიტყვებს ხშირად გამიმეორებს, მაგრამ...

— მაგრამ არ გყავთ?

— ვინც მეგონა, სამწუხაროდ, ის არ აღმოჩნდა...

— მიზანს ყოველთვის აღწევთ?

— თითქმის ყოველთვის. შორსმჭვრეტელი ვარ და ინტუიციაც არ მალაღატობს.

— სიჯიუტე — თქვენი თვისებაა?

— ჯიუტი ვარ.

— ეჭვიანიც?

— არა, სანამ თავში არ „ჩამარტყამენ“ და არ მეტყვიან, — აზრზე მოდი, გაიხედე საეჭვიანოდ გაქვს საქმეო, — მანამდე ვერაფერს ვხვდები.

— ბუნებით კონსერვატორი ხართ?

— კი.

— გაქვთ თუ არა იმის ნიჭი, რომ შეარჩიოთ სიტუაცია და არ გაუშვათ ხელსაყრელი მომენტი?


— არა, ამაში მოვიკოჭლებ. მივტირი რამდენიმე შანსს, რომელიც სხვადასხვა დროს ხელიდან გამიშვია.

— ასტროლოგები გეკითხებიან: რად გაქციეს ვარსკვლავებმა წარმატების სახლის გამგებლად, როცა წარმატებას თითქმის არასდროს მოაქვს თქვენთვის სრული კმაყოფილებაო?..

— არასდროს არ მაქვს სრული კმაყოფილების განცდა, თუ არ ჩავთვლი ერთ დღეს — დღეს, რომელიც ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ეს არის 9 დეკემბერი: 1989 წლის 9 დეკემბერს 5 საათზე მარიამი დაიბადა, დედა გავხდი; 1 წლის შემდეგ, ისევ 9 დეკემბერს და ისევ 5 საათზე დაიბადა ჩემი მეორე შვილი — კოკო.

— საოცარია, ასეთი რამ არც მსმენია. 2010-ში კი ბებია გახდით. წელს განსაკუთრებული ახალი წელი გქონდათ: პატარა ელენე ამ დღესასწაულს პირველად შეხვდა.

— ჯერ 5 თვის არის და ამჟღავნებს, რომ გამორჩეული მუსიკალური გემოვნება აქვს. უყვარს „თბილისო“, „ეგრე ავად ნუ მიყურებ, მთვარეო“... როცა ტირის, ამ სიმღერებით ვაჩუქებთ. ელენე ჩემთვის მომავალთან და დიდ იმედთან ასოცირდება. მინდა, ყველა ქართულ ოჯახში იყოს ის სიხარული, რაც პატარის დაბადებას ახლავს. უნდა გავმრავლდეთ და გავძლიერდეთ!





ნატუკა გულისაშვილის მამაკვი ქალაქის გაღერა და საბედისწერო უცდომა

ნატუკა გულისაშვილი არ მიეკუთვნება იმ მსახიობების რიგს, რომელსაც შეუძლია, სიგამბდრით დაიკვებოს. როგორც მასზე მეგობრები ამბობენ, პუტკუნა და საყვარელია. თავად ნატუკას ეს სულაც არ ანაღვლებს, პირიქით — საკუთარი სხეულის ფორმები მოსწონს და ფიქრობს, რომ პოპულარობას სწორედ ამას უნდა უმაღლოდეს... ნატუკას ახალი წლის წინ შევხვდი და გემოვნებაზე ვესაუბრე.

მერი კობიაშვილი

— ახალი წელი ძალიან მიყვარს. ჩემს ასაკშიც კი ამ დროს სასწაულს ველოდები. ცოტა სენტიმენტალურიც ვხდები. ახალი წელი ჩემთვის, სიახლესთან ასოცირდება.

— ამ დღესასწაულისთვის როგორ ემზადები?

— ყოველ ახალ წელს შინაგანად ვემზადები. ბევრი სიახლე მელოდება 2011 წელს, მაგრამ წინასწარ არ მინდა ამაზე საუბარი.

— საახალწლო სუფრაზე შენს ოჯახში რომელი საქმელი უნდა იყოს აუცილებლად?

— სხვა დროს საცივს არ ვამზადებ — მასუქებს... ამბობენ, რომ ძალიან კარგი მზარეული ვარ. ახალი წლისთვის დედაჩემს მოაქვს პროდუქტები და მე ვამზადებ. დედა დამხმარეა, მე — შეფ-მზარეული. პატარა რომ ვიყავი, პირიქით იყო, ახლა როლები გავცვალეთ.

— ალბათ ამ საახალწლო დღეებში წონაშიც მოიმატებ, არა?

— აუცილებლად. რამდენიმე კილოს მომატება ჩემთვის, საახალწლო

საჩუქარია. მერე ისევ ვიკლებ. მარტო მე კი არა, ამ დროს ყველა იმატებს წონაში. მაგრამ თუ კარგ დროს ატარებ, ცეკვავ და ერთობი, ზედმეტი კალორიები იწვება და ბევრს არ იმატებ. ამიტომ ვცდილობ, სადაც უნდა მივიდე ახალ წელს სტუმრად, მარტო ჭამა-სმით არ შემოვიფარგლო და ვიცეკვო კიდეც.

— ბოლო დროს სწორად გინვევენ წონასთან დაკავშირებულ თემებზე მომზადებულ გადაცემებში...

— საქართველოში ჩემი თაობის მსახიობებს შორის, ჩემი გაბარიტებისა არავინაა. მიღებულია, რომ მსახიობი გოგო უნდა იყოს თხელი და ცისფერთვალა... ეს ამბავი ჯერჯერობით არ მანუხებს. პირიქით, ჩემი სახელი თუ რამეს ნიშნავს და თუ პოპულარული ვარ, ალბათ ისევ, ჩემი სხეულის ფორმების „დამსახურებაა“.

— აქედან გამომდინარე, ალბათ არასდროს გიფიქრია დიეტაზე, არა?

— გახდომამდე მიფიქრია, მაგრამ ძალიან გამხდარი ვერასდროს ვიქნები. გაძვალტყავებული ქალი ვერასდროს გავხდები და, სიმართლე რომ გითხრა, არც მინდა: ასეთი პუტკუნა დავიბადე და ალბათ მთელი ცხოვრება ასეთი ვიქნები. სხვანაირი ნატუკა ჩემთვის მიუღებელია.

— ფილმში — „მიდიოდა მატარებელი“ შენი საყვარელი ულტიმატუმს გიყენებდა: ამბობდა, — 15 კილო მოიკელი და ცოლად მოგიყვანო. ცხოვრებაში მსგავსი რამ ვინმეს თუ უთქვამს?

— ჩემი აზრით, მამაკაცები როდესაც რალაცის გამო ითრევენ ფეხს, ქალს ულტიმატუმს უყენებენ. ის არასდროს მომიყვანდა ცოლად, თუნდაც იმიტომ, რომ გვერდით უკვე ჰყავდა 15-კილომოკლებული ქალი, მაგრამ არც იმას ირთავდა... ცხოვრებაში მსგავსი ულტიმატუმი არავის ნამოუყენებია.

— გამხდარი მამაკაცები უფრო მოგწონს თუ პუტკუნა?

— მომწონს მამაკაცი, რომელიც გაგრძობინებს, რომ შენ ხარ ქალი და საუკეთესო ადამიანი. წონასა და გარეგნობას ჩემთვის არანაირი მნიშ-



ვნელობა არა აქვს. მთავარია, ადამიანს ის ჩვევები არ ჰქონდეს, რაც ჩემთვის მიუღებელია.

— მამაკაცის რა თვისებებია შენთვის მიუღებელი?

— ნარკოტიკებზე არ უნდა იყოს დამოკიდებული და აზარტულ თამაშებს არ უნდა თამაშობდეს. მომწონს, როცა მამაკაცს დალევა შეუძლია და სასმელსაც ირგებს; არ მიყვარს, როცა „აპათოლოგიურად“ მგონი, ეს თვისებები არც ერთ ქალს არ მოეწონება და გამონაკლისი ნამდვილად არ ვარ. როცა ადამიანი სულიერად ისეთია, როგორც მინდა, გარეგნობას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. როდესაც მამაკაცს გავიცნობ, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ მის გამოხედვას. თვალი ადამიანის სულის სარკეა. კაცი რომ გიყურებს, ხვდები, რა უღევს მას გულში და იტყუება თუ — არა. როდესაც ადამიანი კომპლიმენტს მეუბნება, ზუსტად ვხვდები, რატომ მეუბნება. ბევრ ქალს ვიცნობ, რომლებიც მამაკაცს სხვების დასანახავად ირჩევენ: თითქოს ამბობენ, — აი, ნახეთ, ვის გვერდით ვარო!.. ეს მათი ცხოვრებაა. მე ამ ნიშნით არასდროს ავირჩევ მამაკაცს.

— მსახიობი რომ არ ყოფილიყავი, რა სფეროში იმუშავებდი? რა პროფესია მოგწონს ყველაზე მეტად?

— ვოკალური სკოლა მაქვს დამთავრებული. ჩემი მასწავლებელი — ნოდარ ანდლულაძე იყო. ვიზარამაცე და ვოკალს არ გავყევი. შეიძლება, თავის ქებაში ჩამომართვათ, მაგრამ ძალიან კარგი ვოკალური მონაცემები მქონდა. მაგრამ სიყვარული





მეწვია, გავთხოვდი და ბავშვი გავაჩინე... თავიდან რომ ვირჩევდე პროფესიას, მსახიობობას თავს არ დავანებებდი, მაგრამ ვოკალსაც აუცილებლად გავყვებოდი. ჩემთვის ოპერა დღემდე, მაცოცხლებელი რამაა. მომწონს ჟურნალისტიკაც. ტექნიკური საგნებისგან ძალიან შორს ვარ.

— **შენი მონაწილეობით რა ფილმებიც მინახავს, ყველაზე მეძვიე ქალის როლი გქონდა...**

— პირველად, ლევან ნულაძის სპექტაკლში — „სამგროშიანი ოპერა“ — ვითამაშე მეძვიე ქალი და მას მერე მთავაზობენ მსგავს როლებს. თუმცა სხვა როლები მაქვს შესრულებული.

— **გი. ჭოლას ბრალი ყოფილა...**

— (იცინის) ნამდვილად ასეა — ჭოლამ გამიხსნა გზა ასეთი როლები-სკენ. მაგრამ ალბათ ეს ჩემი გაბარებების გამოც მოხდა. „მიდიოდა მატარებლის“ შემდეგ თუკი ვინმე ფილმში მინწვევს, ვეკითხები, — რა როლია-მეთქი? ყოფილი მსუბუქი ყოფაქცევის ქალის როლზეც კი უარი მითქვამს.

— **რატომ? „მიდიოდა მატარებელმა“ რა შეცვალა?**

— შეიძლება ითქვას, „მიდიოდა მატარებლით“ დავამთავრე ამ ტიპის ქალების შესრულება. მოსაბეზრებელია ერთი და იმავე როლის სხვადასხვა ვარიანტის თამაში.

— **შენი აზრით, რა ტიპის ქალს მოირგებ განსაკუთრებით კარგად?**

— ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი რომელიმე დედოფლის როლს, ან თუნდაც, ოდნავ ტრაგიკული ქალის როლს. ცხოვრებაში ბევრი რამ მაქვს გადატანილი და ჩემთვის ბევრი რამ უცხო არ იქნება... რაც უფრო მეტი საფიქრალია როლზე, მით უფრო საინტერესოა მუშაობა. ეს არის მსახიობის ცხოვრება.

— **თქვი რომ, თავის დროზე, იზარმავე და სიმღერას ამიტომ არ**

გაჰყვები. როცა ცუდ ან, პირიქით, კარგ სასიათზე ხარ, როგორ მუსიკას უსმენ?

— საოპერო მუსიკის მოსმენა მიყვარს. ამ დროს დადებითად ვიმუხტები. მოცარტის მუსიკის თანხლებით შემიძლია, სახლი დავალაგო. კიდევ, ქართული მუსიკა მიყვარს. უცხოურ რეტროსაც ხშირად ვუსმენ.

— **ცეკვა გებერება?**

— „მებერება“ ამ შემთხვევაში ალბათ ის სიტყვა არ არის — ცეკვა ძალიან მიყვარს. რატომღაც, ისე ხდება, რომ ღონისძიებებზე ხშირად არ ცეკვავენ. ეს ძალიან არ მომწონს. ზაფხულში მეგობრებთან ერთად, დისკოთეკაზეც წავსულვარ.

— **საყვარელი მწერალი თუ გყავს?**

— ძალიან მიყვარს ვაჟა-ფშაველა. როდესაც უგუნებოდ ვარ და ვაჟას გადავიკითხავ, ძალა მემატება. კითხვა მიყვარს. წიგნი რომ წამიკითხავს, იქიდან ხშირად ფრაზები ამომინწერია. იყო პერიოდი, როდესაც ბავშვებში წიგნის კულტი არ იყო; ახლა ისევ დაუბრუნდნენ კითხვას და ეს ძალიან მახარებს. ზაფხულში უფრო მიყვარს წიგნის კითხვა. ზამთარი კი არის პერიოდი, როდესაც შეგიძლია, „დეკამერონი“ წაიკითხო. ამ დროს სანოლში უნდა ჩაბთე და ლოგინთან პატარა ნათურა აანთო...

ყველა წიგნს თავისი „კითხვის სეზონი“ აქვს. უნდა გამოვტყდე — ორი თვეა, წიგნი არ გადამიშლია. ასეა ბევრი, ჩემი თაობის ადამიანი. გარშემო იმდენი პრობლემაა, რომ ამისთვის ფიზიკურად აღარ გცალკია. ყოფილა შემთხვევა, რომ წიგნი გადამიშლია და ვკითხულობდი, მაგრამ მივმხვდარვარ, რომ ფურცლებს ვშლიდი და სულ სხვა რამეზე ვფიქრობდი.

— **ბოლოს რა წაიკითხე?**

— ბოლოს „მადამ ბოვარი“ გადავიკითხე. ჩემმა შვილმა ბიბლიოთეკიდან გამოიტანა. ადრე რუსულად მქონდა წაკითხული და მაინტერესებდა, როგორია ქართული თარგმანი. კითხვისას ის პერიოდი გამახსენდა, როცა „მადამ ბოვარის“ ვკითხულობდი — მაშინ თეატრალურ ინსტიტუტში ვსწავლობდი და ამ წიგნის კითხვისას სულ სხვა შეგრძნებები მქონდა...

— **შეყვარებული ხომ არ ხარ?**

— არა, მაგრამ ალბათ ასა-

კი მომივიდა ისეთი, რომ ვამბობ, — რა მოხდება, შეყვარებული ვიყომეთქი?! შეიძლება ითქვას, შეყვარებული სულ ვარ, მაგრამ კონკრეტუ-



რაც უფრო მეტი საფიქრალია როლზე, მით უფრო საინტერესოა მუშაობა. ეს არის მსახიობის ცხოვრება



ლი ადამიანის შეყვარება ჩემთვის რთულია: აღარ მინდა, კვლავ განვიცადო ტკივილი.

— **ჩაცმასთან დაკავშირებით როგორი გემოვნება გაქვს?**

— კლასიკური ჩაცმულობა მიყვარს, მაგრამ ყოველდღიურად ამ სამოსით სიარული ძნელია. ძირითადად, მუქ ფერებში მაცვია, რაც ძალიან მოსაბეზრებელია, ამიტომ შემაქვს ჩემს ჩაცმულობაში მუქი ლურჯი და მწვანე ფერები. არ მიყვარს ყვითელი და სტაფილოსფერი სამოსი. კიდევ, ჩემმა მიყვარს ძალიან. ზაფხულშიც კი თხელი ჩექმით დავდივარ ხოლმე. მნიშვნელობა არა აქვს, მაღალი ქუსლი ექნება თუ — დაბალი, ჩემმაში თავს კარგად ვგრძნობ. მიყვარს მოკლე კაბების ჩაცმა. ტანსაცმლის არჩევნას ჩემი შვილისა და ჩემი უახლოესი მამაკაცებისა თუ გოგონების რჩევებს ვითვალისწინებ. დარწმუნებული ვარ — ისინი იმას მირჩევენ, რაც მიხდება. მამაკაცი, რომელსაც მოსწონხარ, ცუდ რჩევას არასდროს მოგცემს. შეილსაც ყოველთვის სიამოვნებს, როცა ლამაზად ჩაცმული დედა ჰყავს გვერდზე.



კონკრეტული ადამიანის შეყვარება ჩემთვის რთულია: აღარ მინდა, კვლავ განვიცადო ტკივილი



„31 დეკემბრის დილას გავარკვია, რომ ახალი წელი გვიასლოვდება“...

„ჯეოსტარემა“ OIO წამსაძამ 2011 წელი წარმატებულად დაიწყო: მუსიკალური პროექტის გორელი კონკურსანტი ახალი წლის დღესასწაულს „ჯეოსტარის“ გამარჯვებულის სტატუსით შეხვდა...

თუო ჟორღანაშვილი

— „ჯეოსტარის“ ფინალი განსაკუთრებულია, რადგან რჩეულთა შორის რჩეული ვლინდება. მინდოდა, რომ წელს ფინალი ყველაზე მეგობრული ყოფილიყო. მართლაც, ეს არ გახლდათ კონკურსი — ეს იყო „კონცერტი-ჩახუტება“! საოცარი გრძობაა, როცა მთელი საქართველო ტელეეკრანების მეშვეობით გიყურებს, ფილარმონიაში კი უამრავი ადამიანი ტაშს გიკრავს!.. დამწყები მომღერლისათვის „ჯეოსტარი“ ყველაზე დიდი ტრამპლინია, განსაკუთრებით — ჩემთვის, რადგან არანაირი მუსიკალური განათლება არ მაქვს მიღებული: წინათ მხოლოდ სუფრასთან, კარგი გორული (ატენური) ღვინის დალევის შემდეგ, ჩქარი ტაშის თანხლებით ვმღეროდი (იციინის)...

— **ოთო, დამარცხების შემთხვევაში როგორ მოქცეოდი?**

— კარგია, რომ გავიმარჯვე, მაგრამ თუ დამარცხდებოდი, ჩემთვის პრობლემა არც ეს იქნებოდა. ძლიერი კონკურენტი მყავდა, რომელსაც წარმატებებს ვუსურვებ! ჩვენ უკვე დაფეგობრდით...

— **შარშან შესარჩევ კონკურსში არ გაგიმართლა. წელს ფინალში მოხვედრას ელოდი?**

— არ ველოდი, რადგან ერთ დონეზე ვიყავი გაჩერებული. მაგრამ „ჯეოსტარში“ ყოფინისას, ყოველდღიურმა რეპეტიციებმა ძალიან „გამზარდა“. შევეჩვიე იმ აზრს, რომ ფინალში მოხვდები და გავიმარჯვე კიდევ!

— **პროექტის მსვლელობისას კონკურსანტებს შორის როგორი დამოკიდებულება იყო?**



— ჩვენ შორის არანაირი დაძაბულობა არ იგრძნობოდა. „ჯეოსტართან“ დაკავშირებული რამდენიმე ინციდენტი იყო, მაგრამ კონკურსანტებს შორის — არა: ერთმანეთი ძალიან გვიყვარს, ვმეგობრობთ. კონკურენციის შეგრძნებაც კი არ გვექონია. დამერწმუნეთ, „ჯეოსტარის“ ყველა მონაწილე ძალიან კარგი ადამიანია. ისინი ქართულ ესტრადაზე საკუთარ სიტყვას იტყვიან! „ჯეოსტარი“ მომავალ მომღერლებს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას აძლევს. ეს პროექტი მთელ საქართველოში ყველაზე სამართლიანი და მასშტაბურია!

— **პროექტის მსვლელობისას მეგობრები უწყურადლებობის გამო ხომ არ გასყვედურებდნენ?**

— არა, პირიქით — ცდილობდნენ, რომ მათთვის ნაკლები დრო დამეთმო. ზოგი მირეკავდა და მეკითხებოდა: რა ზომის ტანსაცმელი გინდა? ფეხი რა ზომის გაქვსო?.. ჩემი ყველა მეგობარი ერთ მუშტად შეიკრა. უნდათ, რაღაც მაჩუქონ. ზოგჯერ უცნობი ადამიანებიც სათამაშოებს მჩუქნიან.

— **ეი უკვე გრძობ, რომ პოპულარობის ხარ?**

— დიას და ეს მახარებს. თავდაპირველად დავიბენი: ჩემს ყველა ნაბიჯს რომ აკონტროლებდნენ, ამან ცოტათი დისკომფორტი შემიქმნა, მაგრამ ახლა მივეჩვიე. ხალხი ჩემ მიმართ სითბოს რომ გამოხატავს, ძალიან ბედნიერი ვარ!

— **პოპულარობის გამო, უფრო თავშეკავებული ხომ არ გახდები?**

— არა! როგორც ვიყავი, ახლაც ისეთი ვარ! ისევ ის გორელი თოთო ვარ...

— **შენს ოჯახზეც მოგიყვები. შენ გარდა, სიმღერის ნიჭი ოჯახის სხვა წევრებსაც ხომ არა აქვთ?**

— დედაჩემს და ჩემს ძმას. სიმღერისას მამაც აგვყვება ხოლმე. საერთოდ, მთელი ჩემი სანათესავო გადასარეგად მღერის. ერთი დიდი მუსიკალური ოჯახი გვაქვს, რომლის წევრებსაც სიმღერის გარეშე სიცოცხლე არ შეგვიძლია!..

— **ალბათ, მთლიანად „ჯეოსტარის“ ფინალზე იყავი ორენტირებული და საახალწლო სამზადისათვის არ გეცალა.**

— მართლაც ასე იყო: 31 დეკემბრის დილას გავარკვია, რომ



ახალი წელი გვიასლოვებოდა (იციინის).. ტრადიციულად, ახალ წელს ოჯახში ვხვდები, მერე კი მეგობრებთან ერთად ვერთობი. ჩემს მეგობრებთან ერთად სიმღერა და ჩახუტება ძალიან მომეწონება...

— **პროექტის მსვლელობისას ჟიურის რომელი წევრისგან მიღებული კომპლიმენტი დაგამახსოვრდა ყველაზე კარგად?**

— ლანა ქუთათელაძემ მითხრა: შენ ვინც „გადაგიყვარა“, დღეიდან აუცილებლად შეგიყვარებსო.

— **შენს პირად ცხოვრებაში რა ხდება? ვინ „გადაგიყვარა“?**

— სიმართლე რომ გითხრა, არავის „გადაუყვარებია“ (იციინის). ჩემს პირად ცხოვრებაში აბსოლუტური სიცარიელეა, რადგან ჯერ „ის გოგონა“ არ გამოჩენილა. იმედი, მალე გამოჩნდება. სად ხარ? მოდი!..

— **ბევრი თაყვანისმცემელი გყავს?**

— მყავს, მაგრამ მათ ჯერ მხოლოდ ინტერნეტით ვკონტაქტები. ბოლო ხანს ამის დროც აღარ მრჩება...

— **ჟიურის რომელიმე წევრის მზრიდან განსაკუთრებულ სიმპათიას თუ გრძნობდი?**

— ვერაფერს გეტყვი: ჟიურის არც ერთი წევრისგან შენიშვნა არ დამიმსახურებია. ძალიან მაგარია, როცა უამრავი მყურებლის წინაშე, ასეთი კარგი ადამიანები (ჟიურის წევრებს ვგულისხმობ) საქებარ სიტყვებს გუბუნებინ. მინდა, ჩემს საყვარელ მასწავლებელს („ჯეოსტარში“) — მანანა მორჩილაძეს დიდი მადლობა გადაუხადო! მას ყოველთვის ასე მივმართავ: „მე თქვენ მიყვარხართ, მანანა-მასნ!..“



„მიყვარს, როცა შობას წყნარ სიტუაციაში ვხვდები“

აჩი სოლოლაშვილი სამუშაოთი გადატვირთული ჯერ კიდევ 3 თვის წინ იყო — მაშინ, როცა მას პროექტ „ბრაგოს“ ქორეოგრაფიული ნაწილის ხელმძღვანელობა შესთავაზეს. გარდა ამისა, ახალ წელს გამართული კონცერტისთვის ცეკვების დადგმაც მას დაეკისრა. მიუხედავად ამისა, ინტერვიუზე უარი არ უთქვამს და მასთან შეხვედრა საშობაოდ მაინც მოვახერხე. ბუნებრივია, ჩვენი საუბარაც „ბრაგოს“ თემით დავიწყეთ.

ელენე ბასილია

— ამ პროექტმა ბევრი კარგი რამ მასწავლა. ყოველთვის ვამბობ, — მართლაც, სწავლა სიბერემდეა-მეთქი. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ლობისტებთან ურთიერთობა თუ მომიწევდა... როცა მოცეკვავეებთან მუშაობა გინევს, ეს საკმაოდ იოლია, რადგან „მასალა“ კარგია და მუშაობაც საინტერესოა. ახლა აღმოვაჩინე, რომ ძალზე საინტერესოა ისეთ ადამიანებთან მუშაობაც, რომლებმაც ცეკვა არ იციან: მათი მონაწილეობით, 2 დღეში უნდა დადგა ნომერი, რომელმაც წარმატება უნდა მოიტანოს.

— საკმაოდ შთამბეჭდავი იყო „მგზავრების“ მიერ შესრულებული ცეკვები...

— „მგზავრები“ ყველას უყვარს; „უხვადაც“ არიან... რაც მთავარია, ძალიან ნიჭიერები გახლავან და ყველაფერს პროფესიონალურ დონეზე აკეთებენ. მივიჩნევ, რომ „მგზავრების“ ორივე ნომერმა გაამართლა — ამ ცეკვას ისეთი დიდი გამოხმაურება მოჰყვა!.. ალბათ შრომამ შედეგი გამოიღო. ნანკასა და თიკო სადღუნიშვილზე აღარაფერს ვამბობ. იმდენად კარგი ადამიანები არიან, შეუძლებელია, არ გიყვარდეს. სიმართლე რომ გითხრა, ამ პროექტის დასრულებამ ძალიან დამწყვიტა გული. 3 თვის განმავლობაში გადაცემის სამზადისში ისე ვიყავი ჩაბმული, რომ „უბრაგობა“ ჩემთვის ძნელი აღმოჩნდა.

— ამის გამო ახალ წელს მოწყენილი ხომ არ შეხვდები?

— არა, ახალ წელს რა მომანყენს?! უკვე 2 წელია, რაც ახალი წლის შემობრძანებას მეგობრებთან ერთად, ქუჩაში ვხვდები. თავისუფლების მოედანზე გამართული კონცერტის ქორეოგრაფიულ გაფორმებაზე ვზრუნავდი და ახალი წლის



ლამეც ჩემს მოცეკვავეებთან ერთად გავატარე. ყოველთვის ვცდილობ, 31 დეკემბრის ღამეს ბედნიერი ვიყო. მჯერა, რომ ახალ წელს როგორც შეხვდები, მთელი წელიც ისე ჩაივლის. წივილ-კივილსა და ჟივილ-ხივილში ვხვდები ამ ზეიმს, შესაბამისად, მთელი წელი ჟივილ-ხივილიანი მაქვს ხოლმე. ერთხელ ვიფიქრე, ქუჩას მაინც ვერ ავცდები და სახლიდან მაგიდა ხომ არ წავიღო? დაედგამ ქუჩაში, თერმოსით ყავას მოვიდგამ და სიმშვიდის იმიტაციას მაინც შევიქმნი-მეთქი, — მაგრამ ამ განზრახვაზე მალევე ავიღე ხელი: სად მეთრია მაგიდა და სკამები?! ისევ ასეთი აქტიურობა მირჩევნია. წელს, მაგიდის გარეშე, კულისებში ვამხნევებდი ჩემს მოცეკვავეებს.

— ხშირად, ახალი წლის დღესასწაულზე გადაყოლა გვჩვევია და შობას თითქოს სათანადოდ ვეღარ აღვნიშნავთ...

— არა, მე ყოველთვის ვიცილი ამ დღესასწაულისთვის და, რაც უნდა მოხდეს, 6 იანვარს ღამით, შესაბამისი საშობაო განწყობილებაც მაქვს.

— როგორ ხვდები ამ დღესასწაულს?

— მეგობრების წრეში აღვნიშნავ. როგორც წესი, შობას აუცილებლად ემთხვევა ჩემი რომელიმე სპექტაკლი. სხვათა შორის, შობის დღეს ყოველთვის ძალიან ბევრი ადამიანი მოდის თეატრში... თეატრიდან გამოსვლის შემდეგ, რომელიმე მეგობართან ან სადმე წყნარ კაფეში მივდივარ, სადაც ძალიან თბილად და მშვიდად აღვნიშნავთ ამ დღესასწაულს. მიყვარს, როცა შობას წყნარ სიტუაციაში ვხვდები. ჩემთვის, როგორც მართლმადიდებელი ადამიანისთვის, შობას დიდი რელიგიური დატვირთვა აქვს და იანვარს, ღამის თორმეტ საათზე, განსაკუთრებული განწყობილება მეუფლება. თუ მეგობრებთან ვარ, ვცდილობ, მათ ჩუმად გავერიდო, ფანჯარასთან მივიდე, სანთლით ხელში მოწმენდილ ცას ვუყურო და უფალთან მქონდეს „პირადი დიალოგი“ (ილიმის). წელსაც ზუსტად ასე ვაპირებ, შობას შეხვდეთ...

— ალილოზე თუ ყოფილხარ ოდესმე?

— ვაი, არა, არასოდეს...

— არც გქონია ამის სურვილი?

— რა ვიცი, ამაზე არასოდეს დავფიქრებულვარ... იმედია, ეგ სიამოვნება წინ მელის.

— საშობაო სამზადისში თუ მიიღებ მონაწილეობას?

— ამ საქმეში ჩემი წვლილი არასოდეს შემეიტანია და წელსაც ჩემს ოჯახს ვანდობ. სახლიდან რომ გამოვდივარ, მხოლოდ შხაპის მისაღებად თუ ვზრუნდები შინ. გამიხარდება, თუ ამ დღეებში აბანოში არ მოვხვდები და ფილმის — „ბედის ირონია“ — პერსონაჟის ბედს არ გავიზიარებ.

— არა მგონია: საბჭოთა კავშირი დაინგრა, ერთნაირი დასასწავლებლები და ბინებიც აღარაა...

— რა ვიცი, მაგას ვერ ვიტყვი...

— აჩი, საშობაოდ რას გვისურვებ?

— ყველას — წარმატებას, ჯანმრთელობას, წინსვლას, ხვავსა და ბარაქას ვუსურვებ! რაც მთავარია, უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ! ამის გარეშე ჩვენი არსებობა შეუძლებელია.



ცხოვრება

9-უვილიანი ოჯახის სადღესასწაულო სამზადისი

„ნაჰვის ხეს 7 იანვარს პრთავთ...“

ვაკის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი — დეკანოზი გიორგი ჯიბუტი 9 შევილის მამა გახლავთ. ის გულდანყვეტილია იმის გამო, რომ ქართველების უმეტესობამ ტრადიციები დაივიწყა და დღეს წმინდა ბასილი დიდის (მოგესხენებათ, გურული ჩიჩილაკი სწორედ წმინდა ბასილის სახელს უკავშირდება) ნაცვლად, ახალი წლის მახარობლად სანტა-კლაუსს მიიჩნევენ. დეკანოზი გიორგის ოჯახი პირველ იანვარს მართული ნაძვის ხის გარეშე შეხვდა: ტრადიციების მიმდევარი, მართლმადიდებელი ოჯახი ახალი წლის დღესასწაულს 14 იანვარს აღნიშნავს, საშობაო ნაძვის ხეს კი 7 იანვრისათვის რთავს.

ერთ პორტანაჰვილი

დეკანოზი გიორგის შეილებს, 7 წლის მამუკასა და 10 წლის მიხეილს თოვლის ბაბუის არსებობის სჯერათ. მამუკამ თეთრწვერა მოხუცს სთხოვა, — საჩუქრად ფრინველებისა და ცხოველების შესახებ წიგნები მომიტანეო, მიხეილმა კი მორიდებით გამომხილა: მე ჯერ ის წიგნებიც არ წამიკითხავს, რაც მაქვს, ამიტომ საახალწლო საჩუქრად სათამაშოები მირჩევენიაო...

დეკანოზი გიორგი:

— 7 იანვარს საშობაო ნაძვის ხეს ვრთავთ. ზოგს ჰგონია, რომ ეს ტრადიცია ევროპიდან შემოვიდა და დამკვიდრდა, არადა ძველი, ქრისტიანული ტრადიციაა: ჯერ კიდევ პატარა იესო ქრისტეს მეფე იროდი დევნიდა, ამიტომ ქალწული მარიამი, იოსები და ყრმა იესო ეგვიპტეში გაიქცნენ; როცა დაინახეს, მღვერები ეწოდნენ, ნაძვის ხეს შეაფარეს თავი, მის ტოტეში დაიმალნენ. ჰოდა, ნაძვის ხის მორთვის ქრისტიანული საფუძველი სწორედ ეს ამბავია. XIX საუკუნის მოთხრობებს თუ გადახედავთ, ნახავთ, რომ მათში საშობაო ნაძვის ხეა ნახსენები და არა — საახალწლო.

ირმა ყაჭიუშვილი, დეკანოზი გიორგის მეუღლე:

— ჩვენს ოჯახში ნაძვის ხეს 6 იანვარს, უფროსი შეილები რთავენ, პატარები კი მათ ეხმარებიან.

დეკანოზი გიორგი:

— ბავშვობაში ნაძვის ხეს ჩვენც დიდი სიხარულით ვრთავდით, მაგრამ ამ ტრადიციის მნიშვნელობა არ ვიცოდით, ჩემმა შეილებმა კი იციან.

— პირველ იანვარს ნაძვის ხე თითქმის ყველა ოჯახშია, თქვენთან კი — არა. ამას პატარები ხომ არ აპროტესტებენ?

ირმა:

— ნაძვის ხეს რაც უფრო ადრე დავდგამთ, ცხადია, პატარებს უფრო გაუხარდებათ, მაგრამ ბავშვები ჩვენს ოჯახში არსებულ ტრადიციასაც პატივს სცემენ და შესაბამისად, არაფერს აპროტესტებენ.

მარიამი, დეკანოზი გიორგის ქალიშვილი, 23 წლის:

— პატარაობიდანვე მივეჩვიეთ იმ ამბავს, რომ ოჯახში ჯერ შობას აღნიშნავთ, 14 იანვარს კი ახალი წლის დღესასწაულს.

— როცა პირველ იანვარს მეგობრები გსტუმრობენ და შენს სახლში საახალწლო ნაძვის ხეს ვერ ხედავენ, როგორი რეაქცია აქვთ?

— მათ იციან, რომ ჩვენთან ყოველთვის ყველაფერი სხვანაირადაა (იციან). სხვათა შორის, ეს ტრადიცია მოსწონთ, მაგრამ მათთვის მოუხერხებელია — მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებლები არიან და ტაძარშიც დადიან, მათი ოჯახები ახალი წლის დღესასწაულს პირველ იანვარს



აღნიშნავენ.

— მამა გიორგი, ვიდრე ეკლესიურ ცხოვრებას დაიწყებდით, ახალი წლის დღესასწაულს როდის აღნიშნავდით ხოლმე?

— 14 იანვარს. ბაბუაჩემი ღორს 7 იანვრამდე არავითარ შემთხვევაში არ დაკლავდა, მაგრამ ამას ეკლესიური დატვირთვა არ ჰქონდა — უბრალოდ, ეს ტრადიცია ხალხის მესხიერებაში იყო შემორჩენილი... სიონის ტაძარში პირველად სტუდენტობის პერიოდში შევედი. ზუსტად იმ დროს ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი — ილია მეორე წირვას ატარებდა და იმ დღის მერე გადავწყვიტე, ეკლესიური ცხოვრება დამეწყო... უნივერსიტეტში ეკონომიკური ფაკულტეტი დავამთავრე, შემდეგ კი სასულიერო სემინარიაში ვსწავლობდი. 1993 წლიდან სასულიერო პირი ვარ. 9 წლის განმავლობაში გურიაში, ჩემს მშობლიურ რაიონში ვმსახურობდი, რადგან ჩემ გარდა იქ სხვა მღვდელი არ იყო. მღვდლად ეპისკოპოსმა — მეუფე იობმა მაკურთხა; 9 წლის შემდეგ თბილისში გადმოვედი. ამჟამად წმინდა გიორგის სახ-



ელობის ეკლესიაში ვმოღვაწეობ.

— **ოჯახი როგორ შექმნილი?**

ირმა:

— თანასოფლელები ვიყავით, ერთ-სა და იმავე სკოლაში ვსწავლობდით.

დეკანოზი გიორგი:

— ერთ ზაფხულს შავგვრემანი, გრძელნაწნავებიანი გოგონა დავინახე და მომეწონა. ირმას მანამდეც ვიცნობდი, მაგრამ რატომღაც, მაშინ სხვა თვალთ შევხედე (იმ დროს სტუდენტი გახლდით). ერთი წლის შემდეგ გადავწყვიტე, რომ უნდა დავქორწინებულყავით და ძველი ტრადიციისამებრ, საცოლის ოჯახს მამვალნი გავუგზავნე — ირმას მშობლებს ქალიშვილის ხელი ვთხოვე; თანხმობა მივიღე — ქალაქში ვცხოვრობდი და აბა, უარს ვინ მეტყოდა (იცინის)?!

ირმა:

— სოფელში ყველა ერთმანეთს იცნობს. მეც ვიცოდი, გიორგი როგორი ოჯახიდან იყო. ჰოდა, გადანყვებილების მისაღებად ბევრი ფიქრი არ დამჭირვებია.

დეკანოზი გიორგი:

— მერე ნიშნობა გვექონდა, ერთი თვის შემდეგ კი — ქორწილი. ჯვრის დასაწერად სამეგრელოში წავედი, რადგან გურიაში მაშინ მოქმედი ეკლესია არ იყო. ჯვარი სენაკში, თეკლათის მონასტერში დავინერეთ და საკუთარ ქორწილში მთელი 6 საათით დავიგვიანეთ. საერთოდ, გურიაში ქორწილში 2 საათით დავგვიანება ტრადიციად და ქცეული, მაგრამ ჩვენ ყოველგვარ მოლოდინს გადავაჭარბეთ! ქორწილში რომ მივედი, სტუმრები უკვე ქეიფობდნენ და ჩვენს სადღეგრძელოს ამბობდნენ (იცინის).

ირმა:

— ბავშვობაში ეკლესიურად ცხოვრების საშუალება არ გვექონდა და მოგვიანებით მოვიხატეთ.

დეკანოზი გიორგი:

— როცა დავინიშნეთ, ირმა ქუთაისში წავიყვანე და იქ მოვხატეთ...

— **პირველი იანვარი თქვენთვის**

ერთი ჩვეულებრივი დღე?

— არა, პირველ იანვარს ჩვენი უფროსი ბიჭის — ლუკას დაბადების დღეა, მაგრამ მარხვის პერიოდში დაბადების დღესაც არ აღვნიშნავთ.

დეკანოზი გიორგი:

— ლუკა 1993 წელს დაიბადა. ჩვენს სანათესავოში პირველი ბიჭი იყო! მისი დაბადება ქვეყანაში არსებულ არეულ სიტუაციას დაემთხვა, მაშინ ხალხი სხვადასხვა სახის იარაღიდან ისროდა და ვხუმრობდი ხოლმე, — ლუკას დაბადება მთელმა ქვეყანამ ხმაურით აღნიშნა-მეთქი. მასსოვს, შუქიც არ იყო, თან — თოვდა...

ლუკა:

— მართალია, დაბადების დღეს 7 იანვარს აღვნიშნავ, მაგრამ მოლოცვებს პირველ იანვარს ვიღებ.

— **ქალბატონო ირმა, სადღე-სასწაულო სუფრის სამზადისში შვილები გეხმარებიან?**

— კი, უკვე დიდი გოგონები არიან. ჩვენს სადღესასწაულო სუფრას აუცილებლად ამშვენებს ხოლმე ნახევარმთვარის ფორმის ღვეზელი.

მარიამი:

— ჩემი დები — 15 წლის თეკლა და 13 წლის თამარი სამზარეულოში ისე მარჯვედ ტრიალებენ, რომ სუფრის სამზადისში ჩვენი ჩარევა საჭირო აღარაა (იცინის).

— **დანარჩენები როგორი ბავშვები არიან?**

ირმა:

— ჭკვიანები, მაგრამ ზოგჯერ ცელქობენ. წლისა და 6 თვის ქეთევანს განსაკუთრებულად ვანებიერებთ. ერთი შვილი ბაღში დადის, ხუთი — სკოლის მოსწავლეა. მარიამი და კიდევ ერთი გოგონა, რომელიც უკვე გათხოვილია, სტუდენტები არიან.



ბავშვობაში ეკლესიურად ცხოვრების საშუალება არ გვექონდა

— **მარიამ, სად სწავლობ?**

— საპატრიარქოსთან არსებულ, ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტში. წელს უკვე მაგისტრატურას დავამთავრე; პარალელურად „ილიას უნივერსიტეტში“, იურისტის პროფესიას ვუფლები. მეც და ჩემმა დამაც გრანტი მოვიპოვეთ და უფასოდ ვსწავლობთ.

— **თქვენს ოჯახში თოვლის ბაბუა არ მოდის ხოლმე?**

დეკანოზი გიორგი:

— ერთ წელიწადს ჩემი მრევლიდან ერთ-ერთი თოვლის ბაბუის ამპლუაში გვესტუმრა. მისი დანახვისას ბავშვები გაოცდნენ...

მარიამი:

— მიუხედავად იმისა, რომ თოვლის ბაბუის არსებობის ყველაზე ნაკლებად მე მჯეროდა, თეთრწვერა მოხუცის დანახვა ყველაზე მეტად გამიხარდა (იცინის)!
ირმა:

— შემდეგ ის თოვლის ბაბუა ბავშვებმა ნირვაზე იცნეს (იცინის)...

— **მეკვლეობის ტრადიციას თუ მისდევთ?**

— არა, ეს მართლმადიდებლური არაა, მაგრამ თუ ვინმე გვესტუმრება, უპატივცემულოდ ნამდვილად არ მოვექცევით — სტუმარი ღვთისაა.

— **შობის დღესასწაულს როგორ აღნიშნავთ?**

მარიამი:

— ეკლესიაში ღამისთევით მივდივართ, დედა და პატარები კი შინ რჩებიან. როგორც პატრიარქმა გვიტხრა, ფანჯარასთან სანთლებს ვანთებთ და „ალილოს“ ისე ვმღერით, როგორც შეგვიძლია (ილიმის)... ახალი წლის დღესასწაულზე მეტად, შობა გვიყვარს!..

— **მამა გიორგი, ახალ 2011 წელს ქართველ ერს რას უსურვებთ?**


— უპირველეს ყოვლისა, მშვიდობას, კეთილდღეობას, ეკლესიურ ცხოვრებას... ღმერთმა დალოცოს მთელი საქართველო!..



ეკლესიაში ღამისთევით მივდივართ, დედა და პატარები კი შინ რჩებიან



საავეჯო კომბინატის თოვლის ბაბუა და სიბინდის მარცვლებზე დასმული მკვლე



თოვლის ბაბუა

„არასდროს დაბავიწყდეთ, რომ უკვდავები არა ვართ“

თეატრისა და კინოს მსახიობი — ტრისტან სარალიძე ახალი წლის დღესასწაულს ოჯახის ყველა წევრთან ერთად სვდება ხოლმე, მაგრამ წელს ეს ტრადიცია დაირღვა: ბატონი ტრისტანის უფროსი ვაჟი სასწავლებლად ჩეხეთში იმყოფება... როგორც მსახიობი ამბობს, ის ახალი წლის დღესასწაულს „ფერში და სუნში“ გრძნობს...

დი, ასეთი ფრაზით მთავრდება: „ყველა სიკეთე, რაც არსებობს დედამიწაზე, უკლებლივ უნდა ეკუთვნოდეს მას, ვინც სიკეთეს, სიკეთეს, სიკეთეს თესავს!“ თოვლის ბაბუა ხომ სიკეთეა? ჰოდა, ამიტომაც, მისი არსებობის დღესაც მწამს...

— თოვლის ბაბუის როლი შეგისრულებიათ?

— ჩემს სოფელში, ახალდაბაში საავეჯო კომბინატი არსებობდა, რომელსაც კულტურის სახლიც ჰქონდა. საახალწლოდ, საავეჯო კომბინატის კულტურის სახლში მუშა-მოსამსახურეებისათვის ზეიმი ეწყობოდა. მეცხრემეათე კლასში ყოფნისას, აღნიშნულ ზეიმზე თოვლის ბაბუა მე ვიყავი.

— მაინცდამაინც თქვენ რატომ?

— მსახიობის პროფესია თავიდანვე მომწონდა. თოვლის ბაბუის ფორმას რომ ვიცვამდი, ბავშვები ბედნიერები იყვნენ! ერთხელ შეცდომით, ბავშვის ნაცვლად, ერთი საჩუქარი ზრდასრულს მივეცი, პატარა კი უსაჩუქროდ დამრჩა. ჰოდა, იმ კაცს საჩუქრის უკან დაბრუნება ვთხოვე, — შენ არ გეკუთვნის-მეთქი (იციან)!..

— საახალწლო დღესასწაულზე, მინიმუმ, რამდენი სუფრის თამაძობა გინევთ?

— თამადა მართლაც, ხშირად ვარ, მაგრამ ბევრ ისეთ ადამიანს ვიცნობ, ვინც ჩემზე უკეთესი თამადაა... სუფრაზე „ნეიტრალიტეტის დამყარება“ ძალიან მიყვარს და არ მომწონს, როცა ვინმეს სასმელს აძაღებენ. სხვათა შორის, წინასწარ არასდროს ვიცი, რის სადღეგრძელოს შევსვამ... ქეიფისას რესტორნის საერთო დარბაზში არ ვჯდები, რადგან ასეთ შემთხვევაში ვერც სხვები ქეიფობენ და არც მე მაქეიფებენ: ბარბის „უკუკასავით“ სუფრიდან სუ-

ფრაზე დამატარებენ! აბა, ადამიანს, რომელიც გთხოვს: — ჩვენთან მობრძანდით, 1 ჭიქა შესვითო, — უარი როგორ უნდა უთხრა?! რესტორანში ყოფნისას მეუღლე ხშირად მეუბნება: კარგი, რა, ხალხს ნუ დაჰყვები, ნუ სვამ და სისულელეებს ნუ ლაპარაკობ! ხალხს განა იმიტომ მიყვები, რომ ღვინო მინდა, უბრალოდ — როცა ადამიანი სიყვარულს გაგრძნობინებს, მიპატივებაზე უარს ვერ ეტყვი. ქართველები ცოტა პრანჭია ხალხი ვართ: თავიდან თითქოს ვერც მამჩნევენ, მხოლოდ თვალს გამოაპარებენ ხოლმე, მაგრამ როგორც კი შეზარხობდებიან, უშუალოები ხდებიან... მეგობრებთან ერთად ქეიფი მიყვარს, მათთან ბოლომდე „ვიხსნები“, რადგან ვიცი, რომ ჭორს არავინ გამივრცელებს; როცა შენზე ჭორაობენ, ცუდი არაა, მაგრამ ზოგჯერ, ისეთ რამეს იტყვიან, გაგაგიჟებენ!

— მაგალითად?

— როცა ფილმში — „სიყვარული ყველას უნდა“ ვითამაშე, ჩემ შესახებ ქალაქში ასეთი ჭორი გავარდა: „მსახიობი არაა. ეს კაცი გიორგი შენგელია და დილომში იპოვა, კიტრი „მოჰყავდაო“ (იციან). არადა, მაშინ უკვე რუსთაველის თეატრის მსახიობი ვიყავი... მაგრამ არც ის ვარგა, როცა ჩრდილში ხარ და შენზე არავინ ლაპარაკობს. მსახიობებისგან გამიგონია, — პოპულარობა არ მომწონსო. მერწმუნეთ, ისინი ცრუობენ! თუ პოპულარობა არ გსურს, მაშინ მსახიობობა კი არა, სხვა პროფესია უნდა აირჩიო... ერთი ამბავი გამახსენდა: ერთხელ ბაზარში კარტოფილის საყიდლად შევედი და ფასი ვიკითხე. მითხრეს, — 50 თეთრიო. ძვირი ნამდვილად არ იყო, მაგრამ კარტოფილი არ მომეწონა და გზა განვაგრძე. უეცრად გავიგონე: ვერ იცანი? მსახიობი ტრისტან სარალიძეაო! იმ კაცის სიტყვებს შუბლზე ხელის შემოკერის ხმაც მოჰყვა და, — ვაიმე,

— თანამედროვე ბავშვებისგან განსხვავებით, რომლებსაც კომპიუტერის მეშვეობით ლაპლანდიის ნახვაც კი შეუძლიათ, ჩვენი თაობის პატარებს დიდი „გაქანების“ ოცნებები არ გვექონდა. თოვლის ბაბუის არსებობა დაახლოებით, მეხუთე-მეექვსე კლასამდე მჯეროდა. ახალი წლის დღესასწაულზე დედა საწოლის გვერდით, სკამზე გოზინაყს, ჩურჩხელებს მიწყობდა და დილით, ახალგაღვიძებულს ტკბილულულის ნახვა ძალიან მახარებდა!.. სოფელში (ბორჯომის რაიონში) ვიზრდებოდი. საახალწლო დღესასწაულების პერიოდში, თბილისიდან ჩვენთან ბევრი სტუმარი ჩამოდიოდა და ნამდვილი ზეიმი იმართებოდა!.. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში საახალწლოდ 2 მანდარინსა და კონახურის კანფეტს გვირიგებდნენ, ბავშვებს ეს საჩუქარი მაინც გვახარებდა. საერთოდ, ორი დიდი დღესასწაული გვექონდა: ახალი წელი და აღდგომა, რომელსაც, ახალი წლისგან განსხვავებით, ჩუმიად აღვიშინავდით...

— თოვლის ბაბუის არსებობაში ეჭვი მეხუთე კლასამდე არ შეგპარვიათ?

— ერთი არაჩვეულებრივი სპექტაკლი, რომელშიც ვმონაწილეობ-



ბიჭო, ეს რა დამემართაო, მერე კი მე დამიძახა: — ბატონო ტრისტან, მობრძანდით, წონაში არ მოგატყუებთო! ასეთ დროს ადამიანს „პადაჩები“ მაგრად უნდა „აუგდო“ და მეც, ვუპასუხე: ბიჭო, რა უნდა მომატყუო, ერთ საღამოს 800 კაცს მაინც ვატყუებ, თან — ამის გამო ტაშს მიკრავენ-მეთქი (იციინს)!..

— ხალხი ძირითადად, კინო-ფილმებიდან გიცნობთ...

— სკოლა დავამთავრე თუ არა, თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარე და მართლაც, არაჩვეულებრივ პედაგოგებთან მოვხვდი. ინსტიტუტში სწავლის პერიოდში 2 ფილმში გადაამიღეს. სწავლის დასრულების შემდეგ დადგა საკითხი, რომ თეატრიდან ნავსულიყავი — იმდენი გადალება მქონდა (წელიწადში 2-3 ფილმში მაინც ვმონაწილეობდი), თეატრში მისვლას ვერ ვახერხებდი.

— სულ რამდენ ფილმში მონაწილეობთ?

— 42 ფილმში და მათი 80% 90-იან წლებამდეა გადაღებული, მერე კინო „გაჩერდა“ და... შევარდნაძის მთავრობის დროს ვამბობდი: არავის არაფერში ვედავები, არც გულზე მჯილს ვირტყამ, რათა ვილატამ დაინახოს, თუ როგორ მიყვარს სამშობლო. უბრალოდ, ხელისუფლებაზე ნანყენი ვარ იმიტომ, რომ მან დრო „მომპარა“-მეთქი... მახსოვს, ერთხელ სპექტაკლის მსვლელობისას, სცენაზე შუქი ჩაქრა, თან — საშინლად ციოდა. მაყურებელს სპექტაკლი ისე მოსწონდა, რომ სანთებლები ანთეს, მთელი დარბაზი გაანათეს და რა გასაკვირია, რომ მსახიობებს სპექტაკ-

ლის გაგრძელების სურვილი მოგვეძალა... ერთხელ გოდერძი ჩოხელმა ერთ-ერთ ფილმში მონაწილეობა შემომთავაზა და იქვე დასძინა, რომ რალაც პრობლემები შემექმნებოდა. ვუთხარი: არაფერი მინდა. ჩემთვის ისიც კმარა, რომ ასეთი ბუმბერაზი ადამიანების — კახი კავსაძის, რამაზ ჩხიკვაძის, გივი ბერიკაშვილის — გვერდით უნდა ვიმუშაო-მეთქი. ფილმის გადასაღებად შატილში წავედი. უკან დაბრუნებისას ბატონმა რამაზმა ვახშობა შემოგვთავაზა და ყველამ მხარი აუჭიბით. გზის პირას მდებარე რესტორანში შევედით. მზარეული ბუფეტში პომიდორს, კიტრს ჭრიდა და არ დავუნახავვართ. ბატონმა რამაზმა ჰკითხა: რა კერძი გაქვთო? მზარეულს მისი ხმა ეცნო, თავი ასწია და დაგვინახა: კახი — დონ-კიხოტის ფორმაში, რამაზი — ლუარსაბის, გივი ბერიკაშვილი — სანჩოსი და მეც ჩემი პერსონაჟის — დათოს სამოსი მეცვა. კაცი ლამის გაგიჟდა, თავი ზღაპარში ეგონა და მაშინვე რესტორნის დირექტორს დაუძახა, რომელმაც გვითხრა: ვაიმე, თქვენ გვიკადრეთ და აქ მოხვედითო?! რესტორნის კუპებში ადგილი არ იყო, ამიტომ დარბაზში დავსხედით. ზუსტად 10 წუთის შემდეგ კუპები ხალხისაგან დაიკალა — ყველა დარბაზში გადმოვიდა (ილიმის). ბევრი ასეთი დღე მახსოვს...

— ბატონო ტრისტან, „სიცილის ზონასთან“ დაკავშირებით რაიმე სიახლეს ხომ არ გეგმავეთ?

— მე — არაფერს. ამ პროექტთან დაკავშირებით საზოგადოების აზრი ორ ნაწილად იყოფა: ზოგს მიაჩნია, რომ „სიცილის ზონა“ წარმატებულია, ზოგი კი ამბობს, — წარუმატებელიაო. ჰოდა, ვინც ასე ფიქრობს, იმას ვთხოვ, ხელკავი გამომდოს და ქუჩაში ჩემთან ერთად გაიაროს, ამის შემდეგ კი დარწმუნდება, რომ პროექტი ნამდვილად წარმატებულია... როცა „სიყვარული ყველას უნდა“ გამოვიდა, დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა: ეს რა კინო გადაიღესო! არადა, ამ ფილმმა ქართულ კინოეკრანზე 35 წელი იტრიალა, მთელი საქართველო

მოიარა და ბოლოს, ხალხმა ის ლამის დაიზეპირა... ფიქრობ, „სიცილის ზონა“ მაგარი პროექტია და ხალხი ამას 3-4 წლის შემდეგ უფრო მისხვდება.

— ბატონო ტრისტან, მეკვლეობის ტრადიციაზე რას ფიქრობთ?

— ბედისწერის მჯერა. ახალ წელს ისეთი კაცი რომ შემოგიღებს კარს, რომელიც არ გიყვარს, შეიძლება თქვა: რა უნდოდა, რას მოჩერ-



კლარი ფილმიდან „სიყვარული ყველას უნდა“

ჩეტდაო? მაგრამ კარს რომ გააღებ და ზღურბლთან საყვარელ, „ოცნება კაცს“ დაინახავ, ბედნიერი ფეხი რომც არ ჰქონდეს, მისი სტუმრობა მაინც მაგრად გაგახარებს! პირადად მე, მეკვლედ ბიძაშვილებთან მივდიოდი ხოლმე, რადგან ბიციოლა სულ იმას მეუბნებოდა, — კარგი ფეხი გაქვსო. მეკვლედ მისულს სკამზე იცით, რას მიყრიდნენ? — სიმინდის მარცვლებს, და დაჯდომას მაიძულებდნენ, — წელს კრუჩი კარგ წინილებს გამოჩეკსო. ჰოდა, მეკვლედ ნასვლა ამიტომაც არ მიყვარდა, მერე უკანალი მტკიოდა (იციინს)... მოკლედ, მეკვლეობის ტრადიცია ჩემს ბავშვობასთან ასოცირდება. საერთოდ, როცა რალაც ძალიან მაგრად მიყვარს, მას „ფერში და სუნში“ ვგრძნობ და ასევე ახალი წლის დღესასწაულიც... მინდა, „გზის“ მკითხველს ერთ-ერთი სპექტაკლიდან ძალიან მაგარი ფრაზა ვუთხრა: „ახალგაზრდავ, დიდხანს იფიქრე სიკვდილზე და უფრო მეტ სარგებლობას მოუტან ხალხს!“ ხალხნო, არასდროს დაგავინწყდეთ, რომ უკვდავები არა ვართ. ჰოდა, ერთმანეთს ძალიან მაგრად უნდა მოვეფეროთ, მით უმეტეს — ახალი წლის დღესასწაულზე მთელ საქართველოს ვულოცავ ახალ წელს და ყველას ჯანმრთელობას, სიკეთეს ვუსურვებ!..



„სიცილის ზონა“ მაგარი პროექტია და ხალხი ამას 3-4 წლის შემდეგ უფრო მისხვდება



ახალი წლის ღამის სასწაულები

რატომღაც, ახალი წლის დღესასწაული სურვილების აღდენასთან ასოცირდება. უკვე კარგა ხანია, თოვლის ბაბუის აღარ მჯერა, მაგრამ ყოველი ახალი წლის დადგომისას სურვილს მაინც ჩავიფიქრებ ხოლმე. ბევრი ამბობს, — სანტა-კლაუსი კათოლიკურ-ამერიკულია, ქართველებს თოვლის პაპა გვყავს და მას უნდა მივუხედეთ სიხარულითო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ახალი წლის დღეებში ქუჩებში მხოლოდ სანტა-კლაუსის ფორმაში გამოწყობილ ადამიანებს თუ შევხვდებით. ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ ტაძარში წირვას ვესწრებოდი. ქადაგებისას მოძღვარმა აგვისხნა, რომ მღვდელმთავარს, წმინდა ნიკოლოზს მრევლი ათასგვარ საჩუქარს უძღვნიდა, ეს წმინდანი კი იმ საჩუქრებს ყიდდა და აღებულ ოქროს მონეტებს ახალი წლის ღამეს, გაჭირვებული ადამიანების კართან აწყობდა. ხალხმა მალევე გაიგო, რომ ამ სასწაულებს სწორედ ის მღვდელმთავარი აწყობდა და მას სანტა-კლაუსი შეარქვა. სანტა წმინდანს ნიშნავს, კლაუსი — ნიკოლოზს. ქადაგების ბოლოს, მღვდელმა დასძინა: თუ ახალ წელს სასწაული მოხდება და სურვილი აგინდებათ, ეს წმინდა ნიკოლოზის დამსახურებააო.



— მგონი, მისამართი შეგეშალათ-მეთქი, — ვუპასუხე. ფურცელი ამოიღო, სადაც ჩემი მისამართი და გვარი ეწერა. მართალია, მისმა სტუმრობამ გამაკვირვა, მაგრამ შინ მაინც შევიპატიჟე. მან ჯერ ოთახი მოათვალიერა, მერე კი მითხრა, — სად სძინავს პატარას, ტკბილეულს ბალიშთან მაინც დავუტოვებო. ავუხსენი, რომ პატარა არ მყავდა და ისიც არ ვიცოდი, თუ ვინ გამოიძახა. მერე შევთავაზე: თუ სამუშაო საათები უკვე დამთავრეთ, დაბრძანდით და ახალი წელი ერთად აღვნიშნოთ-მეთქი. უარი არ უთქვამს, პირიქით — მთხოვა: ისეთი დალღილი და მშვიერი ვარ, იქნებ რამე მაჭამო, მერე კი ხელოვნური წვერი მოიხსნა. სამწუხაროდ, საჭმელი არ მქონდა და შემწვარი კვერცხით გავუმსპინძლდი. თურმე ობოლი ბიჭი იყო. თეატრალური ინსტიტუტი დაუმთავრებია, მაგრამ ვინაიდან სამსახური ვერ იშოვა, ახალ წელს „სანტა-კლაუსი გამოძახებით“ იყო, სხვა დროს კი ბავშვთა გასართობ ცენტრში მუშაობდა. ძალიან სიმპათიური გახლდათ და ცხადია, თავიდანვე მომეწონა. ნასვლისას ისიც გამომიტყდა, — ასეთი ღამაში ახალი წელი ჯერ არ მქონიაო... მეორე დღეს კართან სუნამოს პატარა ფლაკონი დამხვდა, წარწერით — „დაგვიანებული საჩუქარი სანტასგან“. ვერ წარმოიდგენთ, ამ საჩუქარმა როგორ გამახარა... რამდენიმე ხნის შემდეგ ჩემმა სანტამ დამირეკა და შეხვედრა მთხოვა, ოთხი თვის შემდეგ კი დავეკორწინ-

ნათია ჟივიკა

ნანიკო, 30 წლის:

— ახალი წლის დღესასწაული განსაკუთრებულად მიყვარს და მის დადგომას ყოველთვის მოუთმენლად ველოდი. ბავშვობაში თოვლის ბაბუას წერილებსაც ვწერდი და მისგან საჩუქრებს ვიღებდი, რომლებიც ნაძვის ხის ან ბალიშის ქვეშ მხვდებოდა. როცა წამოვიზარდე, მართალია, თოვლის ბაბუს აღარ ველოდი, მაგრამ ზუსტად 12 საათზე სურვილს ჩავიფიქრებდი ხოლმე; ეს სურვილები ხან სწავლას უკავშირდებოდა, ხანაც — კარგ სამსახურს. 25 წელს რომ გადავაბიჯე, უკვე ნამდვილ სიყვარულზე ვოცნებობდი. მახსოვს, 2008 წელი მოზრძანდებოდა, როცა ახალი ნაძვის ხე და მოსართავები შევიძინე, სახლი ღამაზად მოვრთე. ერთ-ერთ კომპანიაში ვმუშაობ და თანამშრომლებმა გადაწყვიტეთ, ახალ წელს რესტორანში შევხვედროდით. დედ-მამამ მითხრა, — ჩვენ სოფელში, მშობლებთან წავალთ, რათა მოხუცები მარტონი არ იყვნენო. მიუხედავად იმისა, რომ ღამით შინ არავინ იქნებოდა, სუფრაზე ტკბილეული, ხილი დავანყვე, მერე კი გამოვიპრანჭე და რესტორანში წავედი. აღმოჩნდა, რომ თანამშრომლების დიდ ნაწილს რესტორანში წამოსვლა გადაუფიქრებია: ზოგი მეუღლემ არ გამოუშვა, ზოგმა ბავშვი ვერ დატოვა და სულ რაღაც, ათიოდე კაცი შევიკრიბეთ, სუფრა კი 30 კაცზე იყო შეკვეთილი. იქ მყოფებს ნერვები ისე მოგვეშა-

ლა, რომ ახალ წელს უღიმამოდ შევხვდით და საათის ისრები 12-ს გადასცდა თუ არა, მაშინვე შინ წამოვედი. ტელევიზორის წინ მოვკალაბდი, გვერდით ტკბილეული, კონიაკის ბოთლი დავიწყვე და გადავწყვიტე, მარტოს მექეიფა. ღამის სამი საათი იყო, კარზე კაკუნის ხმა რომ გავიგონე. ვიფიქრე, ალბათ კარის მეზობელმა ჩვენი მეკვლეობა გადაწყვიტა-მეთქი და ისე, რომ არც მიკითხავს, თუ ვინ იყო, კარი გამოვალე, იქ კი სანტა-კლაუსი დამხვდა. — მაპატიეთ, რომ დამაგვიანდა, ბევრი გამოძახება მქონდა და აქამდე ვერ მოვედი, ალბათ თქვენმა პატარამ უკვე დაიძინაო, — მითხრა.





დით. ახლა 7 თვის ბიჭი, გიორგი გვყავს და თავს არაჩვეულებრივად ვგრძნობთ.

როგორც მოგვიანებით გავარკვეე, რესტორნიდან შინ გაბრაზებული რომ დავბრუნდი, თანამშრომლებს უფიქრიათ, იქნებ გავამხიარულეთო და თოვლის ბაბუა გამოუძახებიათ...

წინა, 37 წლის:

— ჩემს ოჯახში ახალი წლის დღესასწაულს ყოველთვის გრანდიოზულად აღნიშნავდნენ. სხვათა შორის, ჩემი მომავალი მეუღლეც ახალი წლის დღეებში, მეგობრის ოჯახში გამართულ წვეულებაზე გავიცანი, ერთმანეთი ძალიან შეგვიყვარდა და მალევე დავექორწინდით, ორი შვილიც შეგვგვძინა. წლების განმავლობაში ტრადიციად გვქონდა — ყოველ ახალ წელს იმ მეგობრის ოჯახში შევხვედროდით, ვისთანაც ერთმანეთი გავიცანი.

დაქორწინებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ჩემი ქმარი საოცრად შეიცვალა, შინ მოსვლას აგვიანებდა, აღარც მეფერებოდა და აღარც საჩუქრებს მიძღვნიდა, არც ერთი ღირსშესანიშნავი დღე აღარ ახსოვდა, ერთ დღეს კი გამომიცხადა, — სხვა შემოყვარდა და საცხოვრებლად მასთან უნდა გადავიდეო. მიუხედავად იმისა, რომ გული მეტკინა, მისთვის არანაირი წინააღმდეგობა არ გამიწევია, პირიქით — საკუთარი ხელით ჩავუღლავე ჩანთა და კარამდეც მივაცილე. მალე გავიგე, რომ ვიღაცაზე დაქორწინდა და სულ რამდენიმე თვეში შვილიც შეეძინათ.

მართალია, მამა ბავშვებს ხშირად ნახულობდა, მაგრამ ამას მაშინ ახერხებდა, როცა შინ არ ვიყავი. ასე გავიდა 5 წელი. ქმართან დაშორების შემდეგ ახალი წლის დღესასწაულს აღარ აღვნიშნავდი, არც მე მივდიოდი სტუმრად და არც ოჯახში ვიღებდი ვინმეს. 2009 წელი რომ მობრძანდებოდა, ბავშვები მშობლებთან გაუშვი, მე კი 12 საათის მოახლოებისთანავე დასაძინებლად დავწექი. გამთენიისას კარზე ბრახუნმა გამაღვიძა. ვიფიქრე, — ეტყობა, ბავშვებს რაღაც შეემთხვათ-მეთქი და კარი პურანგისამარამ გავაღე. იქ ჩემი ქმარი იდგა. გავიფიქრე, — ალბათ ნასვამია და ბავშვებთან ახალი წლის მოსალოცად მოვიდა-მეთქი, მაგრამ შემოსვლის ნებართვა რომ ითხოვა, მივხვდი, წვეთიც არ ჰქონდა დალეული. ვუთხარი, — ბავშვები დედაჩემთან არიან და აქ არაფერი გესაქმება-მეთქი. — ვიცი, რომ იქ არიან. მათ ახალი წელი უკვე მიუვლოცე და ახლა შენთან მოვედიო. სხვა რა გზა მქონდა,

შემოვუშვი, მერე კი მისი აღსარებაც მოვისმინე: თურმე მისთვის ყოფილ თანამშრომელს გაცნობისთანავე დაუდგამს თვალი, კაცისთვის მოსვენება აღარ მიუცია და ესეც აპყობია თამაშში. შედეგად ის ქალი დაორსულებულა, მერე კი საყვარელი დაუშანტაჟებია, — ცოლად თუ არ მომიყვან, შენი ფირმის მაქინაციების შესახებ საგადასახადო ინსპექციას ყველაფერს დანვრისლებით ვუამბობო და ამასაც, სხვა გზა არ დარჩენია, ოჯახი მიატოვა... ვიცი, ჩემს ადგილას ასეთ კაცს ბევრი ჰკრავდა ხელს, მაგრამ მე ყველაფერი ვაპატიე — მიყვარდა და აბა, რა მექნა?! მერწმუნეთ, მის გარეშე გატარებული 5 წელი ჩემთვის ყველაზე ტკივილიანი და მძიმე იყო, ამიტომ მეუღლე ოჯახში დავაბრუნე, მისი შვილიც საკუთარივით მივიღე.

ახლა ბედნიერად ვცხოვრობთ და ახალი წელი ჩემთვის კვლავ კარგი დღესასწაულია, რომელსაც ძველებურად, საერთო მეგობრის ოჯახში აღვნიშნავთ...

განა, 31 წლის:

— ახალი წლის მოსვლა არასოდეს მიხაროდა, რადგან მე და დედა ყოველთვის მარტონი ვცხოვრობდით და გამუდმებით მატერიალური პრობლემები გვქონდა. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ჩემთვის არც თოვლის ბაბუა არსებობდა ოდესმე და გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ვერც გოზინაყს მივირთმევდი. აი, ჩემს მეგობრებთან კი თოვლის ბაბუა ყოველწელს მიდიოდა, ისინი უამრავ საჩუქარს იღებდნენ ხოლმე და მართალია, ამ ყველაფრის გამო გული მწყდებოდა, მაგრამ დედას ცრემლიან თვალებს რომ დავინახავდი, ვუბნე-





ბოდი, — არაფერი მნიშვნელოვანიც არ ხდება. უბრალოდ, კიდევ ერთი წელი გავიდა-მეთქი. ერთმა ჯადოსნურმა ლამემ კი ჩემი ცხოვრება აბსოლუტურად შეცვალა...

დედა წარმოშობით გურიის ერთ-ერთი სოფლიდანაა. სკოლაც იქ დაამთავრა, მერე კი, როცა უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად თბილისში ჩამოვიდა, მისმა მშობლებმა სოფელში ნაკვეთი გაყიდეს და შვილს გარეუბანში, ერთოთახიანი ბინა უყიდეს... დედას თავისი კურსელი შეუყვარდა. თურმე ის ბიჭი ძალიან სიმპათიური იყო და ყველა გოგონა მას ეტრფოდა. გარდა ამისა, თბილისის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და შეძლებული ოჯახის შვილი ყოფილა. როგორც დედა ამბობს, მათ ერთმანეთი მართლა უყვარდათ, ის ბიჭი უამრავ სიურპრიზს უწყობდა და ცოლად მოყვანასაც ჰპირდებოდა, ჰოდა, გოგოც შეცდა, დაორსულდა. ეს ამბავი იმ ბიჭის მშობლებმა რომ შეიტყვეს, დედას შინ მიუცვივდნენ და სულ კახა ეძახეს, მერე კი თავიანთი შვილი საზღვარგარეთ, კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაუშვეს. მიუხედავად იმისა, რომ დედა მარტო დარჩა, მაინც გამაჩინა, მაგრამ ამ ამბავს ბებია (დედაჩემის დედა) შეეწირა — ინ-

ვამთავრე, ბებია-ბაბუას (მამის მშობლებს) ვწვიე და ვუთხარი, რომ მათი შვილიშვილი ვიყავი, მაგრამ არ მიმიღეს; მითხრეს: დარწმუნებული არ ვართ, რომ ჩვენი შვილიშვილი ხარო და კარი ცხვირწინ მომიჯახუნეს. მერე ინტერნეტის მეშვეობით, და-ძმას დაუუკავშირდი და ვუთხარი, ვინც ვიყავი. საბედნიეროდ, კარგად შემხვდნენ, ერთმანეთს დღემდე ვკონტაქტებით. მათ მამის შესახებ არაფერს ვკითხებოდი, ამის მერიდებოდა... ერთ ახალ წელს ზარი დაირეკა. კარი გავაღე თუ არა, ადგილზე გავმეშვი, თქმაც აღარ იყო საჭირო — იქ მამაჩემი იდგა, ჩვენ გაჭრილი ვაშლივით ვგავართ ერთმანეთს. მისი დანახვისთანავე დედა ცუდად გახდა და „სასწრაფოს“ გამოძახება დაგვჭირდა. წარმოიდგინეთ, ერთმანეთი 25 წელი არ ჰყავდათ ნანახი... იმ დღეს მამამ ბოდიში მომიხადა. მითხრა, რომ ჩემი არსებობის შესახებ არაფერი იცოდა და ვერც წარმოიდგენდა, თუ დედა ასე გარისკავდა, ყველას დაუპირისპირდებოდა და გამაჩენდა. ალი-არა: ძალიან ვნანობ, მშობლებს რომ დავუჯერე და საყვარელი ქალი მივატოვეო. თუმცა მამა ბედის უკმაყოფილო ნამდვილად არ არის. როგორც თქვა, მეუღლესა და შვილებში ძალიან გაუმართლა. თურმე, სწორედ შვილებმა უთხრეს ჩემი არსებობის შესახებ და აი-ძულეს, დამკავშირებოდა, ვნახე. იმ დღის შემდეგ მამასთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს. ჩემი და-ძმა და მამას მეუღლეს გავიცანი, მათ სშირად ვსტუმრობ. გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ დედა კვლავ მარტოა...

ნინო, 25 წლის:

— გოგო 20 წლის ასაკს რომ გადასცილდებო, უკვე გათხოვებაზე იწყებს ოცნებას და გამოწვევის არც მე ვყოფილვარ, ყოველ ახალ წელს ხან მაგიდის ქვეშ ვხვდებოდი, ხან ფერფლიან შამპანურს ვსვამდი და ხანაც — სახლს ახალი ცოცხლი ვგვიდი. 20 წლის ვიყავი, როცა პირველად შემიყვარდა. მასზე ფიქრში ვათენებდი და ვალამებდი. მინდოდა, მისი ცხოვრებით მეცხოვრა, უიმი-სოდ სუნთქვაც არ შემეძლო, მაგრამ დაოჯახებაზე სიტყვაც ვერ დავაცდენინე... მან სწორედ ჩვენი შეყვარებუ-

ლობის წლისთავზე მომიწყო სიურპრიზი — რალაც უაზრობის გამო ვიკამათეთ, ძალიან გამაბრაზა და შინ ისე წამოვედი, არც კი დავმშვიდობებოდა. მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში ტელეფონზეც არ ვპასუხობდი, რადგან ვიფიქრე (და მეგობრებიც ამას მეუბნებოდნენ), — სულ მის ჭკუაზე რომ დავდივარ, ამიტომაც აუფარდა თავში-მეთქი. ის ორი დღე ცდილობდა ჩემთან დაკავშირებას, მერე კი დაიკარგა და მეც, მოუსვენრობამ შემიპყრო, გული რალაც ცუდს მიგრძნობდა. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ორი კვირის შემდეგ ვაგვხვდა და დავურეკე. ტელეფონი ვილაც გოგონამ აიღო და მითხრა, — მე გიოს მეუღლე ვარ, თქვენ ვინ ბრძანდებითო?.. მეგონა, მოკვდებოდი. სამი თვე ისე ცუდად ვიყავი, ლოგინიდან ვერ ვდგებოდი. მინდოდა, მისი საქციელი გამემართლებინა, მაგრამ ვერ ვამართლებდი; ვერაფრით ვხვდებოდი, რა მოხდა. მოგვიანებით, ჩვენი საერთო მეგობრებისგან შევიტყვე, რომ ცოლი ჩემს ჯიბრზე მოიყვანა და ამ ამბავმა გამაგიჟა, მეგობრებს მისი სახელის სხენებაც კი ავუკრძალე...

ამ ამბიდან რამდენიმე თვეში ახალი წელიც დადგა. ამ დღესასწაულს მეგობრების წრეში შევხვდი და სწორედ იქ გავიცანი ლევანი, რომელსაც დანახვისთანავე მოვეწონე, გამოთენიისას კი სახლამდეც მიმაცილა. ჩემს სადარბაზოსთან კიბეზე ჩამომჯდარი ბიჭი შევნიშნეთ. ლევანს შეეცოდა და მითხრა: ეტყობა, სანყალმა იმდენი დალია, სახლამდეც ვერ მივიდა და მოდი, დავეხმაროთო, მერე კი ის ბიჭი გააღვიძა. იცით, ვინ აღმოჩნდა? — გიო, რომელსაც ჩემს ლოდინში თავზე დასთენებოდა. როგორც კი აზრზე მოვიდა, დამიჩოქა და პატივება მთხოვა. მითხრა, რომ დიდი შეცდომა დაუშვა, რომ გამუდმებით ჩემზე ფიქრობდა და უჩემოდ ცხოვრება არ შეეძლო. ვუპასუხე: ახლა ვერაფერს გეტყვი, ყველაფერს ავწონ-დავწონი და მერე ვილაპარაკოთ-მეთქი. მერე იცით, რა ვქენი? გიოს ვაპატიე და დღეს მისი ცოლი ვარ. მართალია, ჩემი ეს ნაბიჯი არც მშობლებს მოეწონათ და არც მეგობრებს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ დღეს ბედნიერი ვარ და არაფერს ვნანობ...

P.S. როგორც ჩანს, მთავარი, მომავლის იმედი არ დავკარგოთ, სასწაულების გვეჯეროდეს და ერთხელაც, ახალ წელს ჩვენს კართანაც ჩამოვივლის სანტა-კლაუსი...



ფარქტი დაემართა და მალევე გარდაიცვალა. ბაბუა და ჩემი ბიძები კი დღემდე არ ელაპარაკებიან დედას და არც ჩემი ნახვის სურვილი გასჩენიათ, მაგრამ წამოვიზარდე თუ არა, მათ სოფელში ჩავაკითხე და ვეღარ გამომაგდეს. მითხრეს, — შენ კი მიგიღებთ, ჩვენი სისხლი და ხორცი ხარ, მაგრამ დედაშენს მშობლის მკვლელობას ვერ ვაპატიებთო!..

მამაჩემის შესახებ შევიტყვე, რომ ის საზღვარგარეთ, ვილაც ქალზე დაქორწინდა და ორი შვილიც შეეძინა. იმ წელს, როცა სკოლა და-



„ჩახლაფორთიებული“ გამოცდა და მსახიობების ავადმყოფობა

„ხალხს „ფანჯებიდან“ უფრო ვახსოვარ...“

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია, სცენაზე დგას და თეატრში უამრავი საინტერესო სახე აქვს შექმნილი, ბატონ ნუგზარ ყურაშვილს მაყურებელი ძირითადად, ფილმიდან — „ფესვები“, „სვანი“ და ტელეესრიალიდან — „ცხელი ძაღლი“ იცნობს.

თამთა დაღევილი

— როგორც ვიცი, წარმოშობით სოხუმიდან ხართ. როდის დაინტერესდით თეატრით და რატომ გადამწყობთ მინცდამინც მსახიობის პროფესია ადგენიათ?

— სოხუმში ულამაზესი წლები მაქვს გატარებული. პირველ საშუალო სკოლასთან ვცხოვრობდი და ცხადია, ამ სკოლაში ვსწავლობდი, ბოტანიკური ბაღიც იქვე იყო. ხანდახან მესიზმრებოდა, ვითომ ისევ ბავშვი ვარ და იმ ადგილებში დავრბივარ, ვთამაშობ. ეჰ, კარგი დრო იყო... სოხუმის თეატრს მსახიობების სამჭედლოს, ტრამპლინის ეძახდნენ, სადაც ისეთი კორიფეები მუშაობდნენ, როგორებიც იყვნენ: სალომე ყანჩელი, მედეა ჩახავა, ოთარ კობერიძე, კუკური ლაფერაძე და სხვები. მათი ყურებისას საოცარი შთაბეჭდილებებით ვიცნებოდი და სალამობით, როცა ისინი ბულვარში სეირნობდნენ, ბავშვები უკან დავდევიდით ხოლმე. არ შეიძლებოდა, სოხუმის თეატრში ერთხელ მაინც შესულიყავი და იქაურობა არ შეგყვარებოდა.

— კარგი ვოკალური მონაცემები გაქვთ.

— სოხუმის პიონერთა სასახლის გუნდში ვმღეროდი. მაშინ კარგი ხმა მქონდა და გასტროლებზეც ხშირად დავდიოდით. სხვათა შორის, სპექტაკლში თუ მჭირდება, ახლაც ვმღერი.

— სამსახიობო ფაკულტეტზე იოლად მოხვდით?

— მისაღებ გამოცდაზე რომ შევედი და იქ მიშა თუმანიშვილი, გიგა ლორთქიფანიძე, დოდო ალექსიძე, საშა მიქელაძე დავინახე, ყველანაირი ტექსტი დამავიწყდა. ამ დროს აკაკი ხორავაც შემოვიდა. ის საპატიო სტუმრად ჰყავდათ მონწეული და მისი დანახვისას სულ ამერია დავთრები (იკინის). ბოლოს, როგორც იქნა, რაღაც „ჩავახლაფორთე“ და მიმიღეს. თეატრალურში ფანტასტიკური ატმოსფერო სუფევდა.

— იმ დროისათვის რომელ სპექტაკლებში მონაწილეობდით და როგორ პერსონაჟებს ასახეობდით?

— თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ყოველთვის მთავარი და საინტერესო როლები მქონდა... ინსტიტუტში სწავლისას ვთამაშობდი გორკის „მოხუცში“, მოლიერის „ტარტიუფში“, თამაზ ჭილაძის „დაუპატიუებელ სტუმარში“. ჩემი პედაგოგი კუკური პატარიძე იყო. საერთოდ, ადამიანს არტისტიზმს ვერ ასწავლი, მას საქმე უნდა ასწავლო. კუკური პატარიძე სანდრო ახმეტელის თანაშემწე იყო და როცა ახმეტელი დახვრიტეს, კუკურიც გააცემბირეს. ის განათლებული კაცი გახლდათ და ისეთ რაღაცებს მიყვებოდა, რომ ეს პროფესია შემაყვარა... ახლა ერთ ფაკულტეტზე 200 კაცი სწავლობს, მაშინ კი მთელ ინსტიტუტში ვიყავით ამდენი, თანაც



არ შეიძლებოდა, სოხუმის თეატრში ერთხელ მაინც შესულიყავი და იქაურობა არ შეგყვარებოდა

— სწავლაში ფულს ვინ გამოგართმევდა? ოღონდ შენგან რაზე „გამომდნარიყო“ და ფული ვის ადარდებდა?!

— როგორც ნუკი, მაშინ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მსახიობების განაწილება ხდებოდა. თქვენ სად მოხვდით?

— სოხუმის თეატრში, სადაც 4 წლის მანძილზე ბევრ საინტერესო სპექტაკლში ვითამაშე. მასხოვს, ნოდარ დუმბაძეს ახალი დაწერილი ჰქონდა „საბრალდებო დასკვნა“ და ეს ნაწარმოები მთელი საქართველოს მასშტაბით, ძალიან პოპულარული გახლდათ. 23 წლის ვიყავი, როცა ლიმონას როლი შევასრულე, თანაც — დიდი სახალხო არტისტების გვერდით მომიხდა მუშაობა, რაც ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა.

— როგორც ვიცი, ახმეტელის თეატრში მისი დაარსების დღიდან მუშაობთ...

— დიას, ასეა და აქაურობას ვერც ველევი... ბევრი როლია ჩემთვის ძვირფასი. მაგალითად, „აბრაჰუნი ჭიჭიმელში“ ყვეენი ვარდენია ვიყავი და ყველას გაუკვირდა, ეს როლი როგორ მოირგეო, სიცილით იხოცებოდნენ; ეროვნულ თემაზე გაკეთებულ კოლაჟში კი დემეტრე თავდადებული განვასახიერე... მერე თეატრში ნუკრი ქანთარია მოვიდა და მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ მისი მოსვლის დღიდან ახმეტელის თეატრ-




„პაგ-სინემას“ და რემო ჩხეიძეს „დონ-კისოტი“ ერთობლივი ძალებით უნდა გადაეღოთ, მაგრამ რაღაცაზე ვერ შეთანხმდნენ



ში რენესანსის ეპოქა დაიწყო. ძალიან ვნებარ, რომ ასეთი ნიჭიერი კაცი პოლიტიკაში ჩაერთო. ერთ ამბავს გავიხსენებ: იმ პერიოდში ოთარ ჭილაძის „ლაბირინთი“ დაიდგა და სახელმწიფო პრემიები მივიღეთ. მე და ბესო მეგრელიძე („მოზარდის“ მსახიობი), გიჟების როლს ვასრულებდით: ბაბილა პირველი და ბაბილა მეორე საგიჟეთიდან გაიქცევიან და ბაბილა იმალებიან. ჩემი პერსონაჟი მეგობარს ეუბნება: — მოდი, ვითამაშოთ, მე მგელი ვიქნები, შენ ირემი; გაიქეცი და თუ დაგეჭირე, შეგჭამო. ჰოდა, ეს „მგელი“ „ირემს“ იმდენ ხანს დასდევს, რომ მართლა მოუნდება მისი შეჭმა. მასსოვს, ამ სპექტაკლის პრემიერაზე, წინა რიგებში ქალები ისხდნენ; ერთ-ერთ მათგანს ისე შევემინდა, რომ ყვირილით წამოხტა და გაიქცა (იციინის).

— რაზე დამოკიდებული სპექტაკლის წარმატება?

— ნაწარმოებზე, რეჟისორზე, კარგად გადამწყვეტილ სცენარზე და მსახიობზე. 5-6 წლის წინ სამეფო უბნის თეატრში, თემურ ჩხეიძის ერთ სპექტაკლში ვითამაშე. ამ რეჟისორთან მუშაობა ძალიან მომეწონა და გამიხარდა, როცა თავადაც აღნიშნა, — შენთან მუშაობა სასიამოვნოა... ახმეტელის თეატრზე საუბრისას, არ შემიძლია არ ვილაპარაკო დათო ანდლულაძეზე, რომელიც ძალიან ნიჭიერი, შრომისმოყვარე, მიზანდასახული და თეატრისთვის თავგადადებული ადამიანია. მასთან მუშაობა საინტერესო იყო. ანდლულაძის წასვლის შემდეგ, ჩვენს თეატრში სრული სიბ-



სცენაზე გასვლისას მღელვარება იმდენად დიდია, რომ შეიძლება, რაღაც მომენტში გაითიშო

ნელის, სიყრუის ხანა დადგა, ახალმა მმართველებმა არ იცოდნენ, რა იყო თეატრი... საბედნიეროდ, ახლა კარგი მმართველი გვყავს — მეურნე კაცია, პატიოსანი და სულ რაღაცას აკეთებს...

— ბევრი აღნიშნავს, რომ შესაწავად ასრულებთ ამიკოს როლს სპექტაკლში — „ამიკო“, რომელიც მოზარდ მაცურებელთა თეატრში დაიდგა. მეტიც — ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ეს პიესა სპეციალურად თქვენთვის დაიწერა.

— ეს სპექტაკლი რეჟისორმა ოთარ ბალათურიამ დადგა. ამიკოს როლი თენგიზ არჩვაძეს უნდა შეესრულებინა, მაგრამ იმ პერიოდში ბატონმა თენგიზმა სმას მიჰყო ხელი და როლი ვეღარ გაითავისა... ერთ დღეს, რეჟისორ ქეთიწო ხარშილაძესთან ვიყავი სტუმრად. მან ოთარს ხუმრობით უთხრა, — მოდი, ეს როლი ნუგზარს მიეციო. ეტყობა, ბალათურიას მისი წინადადება ჭკუაში დაუჯდა და 1 კვირის შემდეგ დაიბრუნა, — მოვსინჯოთო. ჰოდა, მოვსინჯეთ და მოვსინჯეთ...

— თუ ყოფილა შემთხვევა, როცა სცენაზე მყოფს ტექსტი დაგვიწყნათ?

— ეს ყველა მსახიობის ავადმყოფობაა. სცენაზე გასვლისას მღელვარება იმდენად დიდია, რომ შეიძლება, რაღაც მომენტში გაითიშო, მაგრამ მაცურებელი ამას ვერ უნდა მიხვდეს.

— ნლებია, რაც სცენაზე დგასართ და მიუსხედვად ამისა, მაცურებლის წინაშე ყოველი გასვლისას მაინც ლელავთ?

— რაც დრო გადის, ადამიანს პასუხისმგებლობის გრძობა უფრო გემატება. ასე რომ, ამაში გასაკვირი არაფერია.

— პირველი ფილმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეთ, თუ არ ვცდები, „პორფირონი“ იყო, ამას მოჰყვა „ზღვის მამულანი“ და „ფესვები“.

— ბევრ ფილმში მითამაშია, ერთ წელიწადს კი 3 ფილმზე ერთდროულად ვიყავი მინვეული... „პატე-სინემას“ და რეზო ჩხეიძეს „დონ-კიხოტი“ ერთობლივი ძალებით უნდა გადავღოთ, მაგრამ რაღაცაზე ვერ შეთანხმდნენ. ჩვენი ბუნებით ალფრთოვანებულმა ფრანგებმა გადაწყვიტეს, სხვა ფილმზე ემუშავათ და შეიქმნა „ზღვის მამულანი“, რომელმაც პირველი წარმატება მომიტანა. ამ ფილმის რაღაც კადრები საქართველოში გადაიღეს, ნახევარი — საფრანგეთში.

— როგორ დაგამტკიცეს როლზე?

— ამ ფილმის მეორე რეჟისორი ილია გოგელია იყო და მან შემომთავაზა, — სინჯებზე მოდიო. მსახიობებს ჯერ ფოტოები გადაგვიღეს, მერე ვიდუფირზე ჩაგვწერეს და საფრანგეთში წაიღეს. როცა 3-4 თვის მერე დამირეკეს და მითხრეს, — როლზე დაგამტკიცესო, ძალიან გამიხარდა. ამ ფილმში ნოდარ მგალობლიშვილი და იმედა კახიანიც თამაშობდნენ და 2 თვე საფრანგეთში, ერთად ვიცხოვრეთ. მიუხედავად იმისა, რომ ფილმში — „ზღვის მამულანი“ უფრო დიდი როლი მაქვს, ვიდრე „ფესვებში“, ხალხს მაინც, ამ უკანასკნელიდან უფრო ვახსოვარ.

— როგორ ფიქრობთ, ეს რამ განაპირობა?

— ქართველი კაცი სხვანაირია — უფრო ეროვნული, გულიანი, ჰოდა, ანრი, როგორც ქართველი კაცის ძმაკაცი, ძალიან მოეწონათ და თქვეს, — ეს რა ჯიგარიაო; მერე ხალხი ჩემი პერსონაჟის მიმართ კეთილად განწყობილი და როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, ქუჩაში ინსპექტორებიც კი აღარ მაჩერებდნენ.

— დოდო აბაშიძე როგორი პარტნიორი იყო?

— სამწუხაროდ, მასთან ურთიერთობა ცოტა ხანს მომიხდა. ის უნიჭიერესი კაცი იყო. ამ ფილმზე მუშაობისას, უკვე მოხუცი გახლდათ და მალევე გარდაიცვალა.

— სეროლ „ცხელ ძაღლში“ თქვენი პერსონაჟი — უჩა ზურაგია უარყოფითი პიროვნებაა...

— დიას, უსამინლესი კაცია. უჩა ზურაგია იგორ გორგაძის პროტოტიპია ანუ ამ ფილმში აღწერილია ის, თუ რას აკეთებდა და სლართავდა ეს ადამიანი. სხვათა შორის, ამ სერილის ბოლო ნაწილი ეკრანზე არ გამოუშვეს... ფილმ „სვანში“ კიდევ უფრო უარყოფითი პერსონაჟი განვსახიერე. დაბოლოს, მიხდა გითხრათ, რომ ჩემი საქმე ძალიან მიყვარს და მაქვს სურვილი, ახმეტელის თეატრი ისეთსავე რელსებზე დადგეს, როგორზეც ნუკრი ქანთარის დროს იდგა...



რაც დრო გადის, ადამიანს პასუხისმგებლობის გრძობა უფრო გემატება

ბიბლიუსი

წიგნის
მაღაზიათა ქსელი

ღირსებას მოიფასდეთ წიგნებზე



ქართული პროზის საბანძური
20%



ღილი მხატვრები
20%



ეს სამყარო
20%



ჩემი საყვარელი ზღაპრები
20%



50 წიგნი
20%

ბიბლიუსის ყველა მაღაზიაში

- თბილისი რუსთაველის 40/1
- თბილისი - იოსებძის 49
- თბილისი - აღმაშენებლის 121
- თბილისი - რიზაშვილის 7
- თბილისი - ბაბტიანიძის 12
- თბილისი - ს.პ. თბილისი ცენტრალური კუთხისი - ლილი ნუსხიძის 1
- ბათუმი - მდებლე აკაშვილის 62
- ზუგდიდი - რუსთაველის 92
- სენაკი - რუსთაველის 241
- ფოთი - ფარნავაზ მეთვის 12
- სამბარდო - სააკაძის 6
- ბაზუკი - რუსთაველის 69
- ღუშეთი - რუსთაველის 11
- რუსთავი - მგომორიანის გამზ. 12
- ოზურგეთი - 9 აპრილის პარკი
- ბურჯანაძე - ნონოვილიისა და
- რუსთაველის ქუჩის პალატიანო
- ბურჯანაძე - კახის ბაღის 816
- ბოლნისი - სულხან საბას 106
- ჭავჭავაძის ქუჩის - აღმაშენებლის 87


20%

40%

გამომცემლობები:

- „პალიტრა L“,
- ქარჩხაძე,
- შემეცნება.
- ბაბურ სულაიაური,
- გორგა,
- სიესტა,
- ინტელექტი
- არტანუჯი.
- სეზანი.
- ანა-ბანა

და სხვა ტექსტურები



სამყარო

ქარცვა უოზის ღამეს — 1904 წლის „ფინეთის სამთავრო ბანკის საქმე“

1904 წლის იანვრიდან, როდესაც რუსეთ-იაპონიის ომი დაიწყო, სანქტ-პეტერბურგის წელში გასატყნად ტოკიოს დაზვერვა მთელი დატვირთვით ამოქმედდა. იაპონელებმა გადაწყვიტეს, რომ რაღაც უნდა დასჯდომოდათ, რუსეთში ეკონომიკურ-სოციალური კრიზისის გამოწვევის გზით, ვითარება უკიდურესად დაეძაბათ და სხვათა შორის, მალე მიზანსაც მიაღწიეს. უკვე 1904 წლის ნოემბრის დამლევს, რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე „რევოლუციური აქტიურობის“ პირველი ნიშნები გამოჩნდა, რამაც რუსული არმიის ზურგი მნიშვნელოვანწილად შეასუსტა. ცხადია, ეს საბრძოლო მოქმედებებზეც აისახა და იაპონურმა არმიამ რუსებს თითქმის ყველა ფრონტზე უკან დაახევინა.

მიხეილ ლაბაძე

იმავე წლის დეკემბერში, სანქტ-პეტერბურგში ბაზირებულმა იაპონელმა აგენტებმა შეიტყვეს, რომ ომის გაგრძელებისათვის საჭირო თანხა — 5 მილიონი მანეთი ოქროთი, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი ფინეთის სამთავროს დედაქალაქში, ჰელსინკიში მდებარე „სამთავრო ბანკში“ ინახებოდა. ჰელსინკი მაშინ ერთი პატარა, პროვინციული ქალაქი იყო და აგენტურის მიერ მოპოვებული, უტყუარი მტკიცებულებანი რომ არა, იაპონური საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელი, იაპონიის სტოკჰოლმელი სამხედრო ატაშე, პოლკოვნიკი მოტოჯირო აკაში ვერც კი იფიქრებდა, თუ იქ თვითმპყრობელი იმპერატორი საკუთარი საზინის მნიშვნელოვან რეზერვს მალავდა. იაპონელებმა ისიც დაადგინეს, რომ ფინეთის სამთავრო ბანკი უმაღლეს დონეზე იყო დაცული — მას 24 საათის განმავლობაში კაზაკების სამი ბრიგადა სდარაჯობდა.

ფინეთის სამთავრო ბანკიდან რუსეთის იმპერიის საზინის რეზერვის გატაცების იდეა პოლკოვნიკ მოტოჯირო აკაშის ცნობილმა ფინელმა რევოლუციონერმა და ანარქო-სოციალისტმა, კონრად ცილიაკუსმა მიაწოდა. აღსანიშნავია, რომ ჯერ

კიდევ 1904 წლის აგვისტო-სექტემბერში, ცილიაკუსი იაპონიის დაზვერვის ორგანიზებული, გახმაურებული „ჯონ გრაფტონის საქმის“ ერთ-ერთი მოთავე იყო (ცნობილ ქართველ ანარქისტ ვარლამ ჩერქეზიშვილთან ერთად) და ლონდონიდან რუსეთის იმპერიაში იარაღის სოლიდური პარტიის გადაზიდვას კურირებდა. რუსულმა კონტრდაზვერვამ და ჟანდარმერიამ მაშინ სრული კრახი განიცადა და საპასუხო ზომების მიღება ვერ მოასწრო, რის შედეგადაც რუსეთის იმპერიის რევოლუციური პარტიები გვარიანად შეიარაღდნენ და სამთავრობო ძალებს საკმაოდ სერიოზული თავსატეხიც გაუჩინეს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კონრად ცილიაკუსს „ბანკის გატანის“ საქმეში თავისი უპირველესი თანამოაზრისა და მასწავლებლის — იხსანად ლონდონში მცხოვრები ცნობილი ქართველი ანარქისტის, ვარლამ ჩერქეზიშვილის დახმარების დიდი იმედი ჰქონდა. ჩერქეზიშვილს, რასაკვირველია, პოლკოვნიკი აკაშიც კარგად იცნობდა და კონრად ცილიაკუსს დაფინანსებაზე უარი არ უთხრა: „გააცანით თქვენი აზრები ბატონ ვარლამს და თუ დაგთანხმდათ, ოპერაციისთვის საჭირო თანხას უყოყმანოდ გავიღებთ“, — ასეთი იყო მისი პოზიცია. კონრად ცილიაკუსსაც დრო აღარ დაუკარგავს, მამ-



ფინელი ანარქისტი კონრად ცილიაკუსი

ინვე გამგზავრა თბილისში, სადაც იმ დროისთვის ვარლამ ჩერქეზიშვილი იმყოფებოდა. ფინელ ანარქო-სოციალისტს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ „ბანკის გატანის“ მისეული გეგმა ქართველ რევოლუციონერებს ნამდვილად დააინტერესებდა: „ექსპროპრიაციის მოწყობასა და სხვა მსგავს საქმეებში ქართველებს ბადალი არ ჰყავდათ... 1905-1907 წლებში რუსულ მმართველობას არსად ისეთი ზიანი არ მისდგომია, როგორც თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში — კაზაკები, ჩვეულებისამებრ, სამხედრო სამსახურის იქ მოხდას თავს ყველა საშუალების გამოყენებით არიდებდნენ, მაშინ, როცა ომში, იაპონიის ფრონტზე, დიდი სიხარულით გარბოდნენ“, — იხსენებდა მოგვიანებით კონრად ცილიაკუსი.

ვარლამ ჩერქეზიშვილმა ფინელი



სტუმარი, ქართული წესით, ხელგამოწმად მიიღო, ყურადღებით მოუსმინა და, სრულიად მოულოდნელად, წარმოუდგენელი რამ შესთავაზა: „აქცია უსისხლოდ უნდა ჩატარდეს... ხუთი მილიონი — ოქროთი ძალიან დიდი თანხა; მის ხელში ჩასაგდებად ჩვენ რომ თოფი გავისროლოთ, საპასუხოდ ზარბაზანს გვესვრიან და ყველაფერი ჩაფლავდება“, — უთხრა მან ცილიაკუსს. ეს უკანასკნელი კი გაოცდა, მაგრამ აღარაფერი უთქვამს, რადგან ჩერქეზივილიმა დაწვრილებით აუხსნა, თუ როგორ უნდა „გაეტანათ ბანკი“ გასროლის გარეშე: „შობადღემდე მოცდა კი მოგვიწევს, თუმცა ეს ეღირება, რადგანაც საქმე მეტად მნიშვნელოვანია“, — დასძინა ვარლამ ჩერქეზივილიმა და მერე დაინტერესდა, წარმატების შემთხვევაში, ხუთი მილიონი როგორ უნდა გაეყოთ. „50 პროცენტს იაპონელები წაიღებენ, ჩვენ კი 25-25 პროცენტი დაგვრჩება“, — უპასუხა ცილიაკუსმა. ჩერქეზივილიმა კმაყოფილი დარჩა და სტუმარს აღუთქვა, რომ შობისწინა დღეებში მასთან, ჰელსინკიში, ქართველი „სპეციალისტები“ ჩავიდოდნენ.

დამედებული კონრად ცილიაკუსი უკანვე გაბრუნდა, ვარლამ ჩერქეზივილიმა კი დრო აღარ დაუკარგავს — სანდო ხალხის დახმარებით, იმხანად ბაქოში მყოფ, ცნობილ ქართველ ავანტიურისტს, სოლომონ აშორდიას დაუკავშირდა, რომელიც ამჟამინდელი აზერბაიჯანის დედაქალაქში ჯამბატოვის გვარით ცხოვრობდა. რევოლუციონერები მას დახმარებისთვის ხშირად მიმართავდნენ და აშორდიაც სიამოვნებით უმართავდა ხელს — ის პატრიოტი კაცი იყო და მიაჩნდა, რომ სამშობლოს გათავისუფლებისთვის ისე იბრძოდა, როგორც შეეძლო. წარგზავნილთა პირით, ვარლამ ჩერქეზივილიმა სოლომონ აშორდიას რამდენიმე ყალბი საბუთის შედგენა სთხოვა და კარგი გასამრჯელოც აღუთქვა; ამ უკანასკნელმა კი ფულის აღებაზე დიდსულოვნად თქვა უარი: „ასეთ მცირე საქმეზე აბა, ფული როგორ მოვიტოვო? კაცურად დაგეხმარებით!“ — შეუთვალა ჩერქეზივილიმს და მცირე ხანში, საჭირო საბუთებიც აახლა. ყოველი მათგანი ისე იყო დამზადებული, რომ ნამდვილისგან ვერავინ გაარჩევდა.

ამასობაში კი ჰელსინკიში კონრად ცილიაკუსმა და მისმა

„ფინეთის სამთავრო ბანკის“ მიერ 1904 წელს გამოშვებული, ერთი ოქროს მარკის ღირებულების ასიგნაცია

თანამოაზრეებმა კარგად შეისწავლეს ფინეთის სამთავრო ბანკის მუშაობის განრიგი და 1904 წლის 20 დეკემბერს კავკასიის სამეფისნაცვლოდან ჩამოსულ „სპეციალისტებს“ — ბესო სვანიძეს, აფრასიონ ჩიხრაძეს და პავლე გოცირიძეს მომზადებული დახვედნენ. სამივე ქართველი სტუმარი ჩერქეზივილის მიერ დაარსებული სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის წევრი იყო; ბესო სვანიძე თბილისში ცხოვრობდა, ხოლო აფრასიონ ჩიხრაძე და პავლე გოცირიძე კი ჩრდილო კავკასიაში, ალაგირში დასახლებული რაჭველები იყვნენ. შემდგომში კონრად ცილიაკუსი იგონებდა, რომ ჩამოსულები უზადო გარეგნობითა და არისტოკრატიული მანერებით გამოირჩეოდნენ, ხოლო ბესო სვანიძე უაქცენტოდ საუბრობდა არა მარტო რუსულად, არამედ ფრანგულადაც კი. „ბანკის გატანის“ ოპერაციასაც სწორედ იგი ხელმძღვანელობდა.

1904 წლის 21 დეკემბერს, მაღალჩინოსან სახელმწიფო მოხელედ გადაცმული ბესო სვანიძე ფინეთის სამთავრო ბანკის იმჟამინდელ ხელმძღვანელს, სენატორ კარლ თეოდორ ალექსანდრ ვეგელიუსს წარუდგა და აცნობა, რომ სანქტ-პეტერბურგიდან ზესაიდუმლო დავალებით იყო წარმოგზავნილი; სვანიძემ ბანკის ხელმძღვანელს იმპერატორის ბეჭდით და ხელმოწერით დამოწმებული დოკუმენტიც წარუდგინა, რომლის თანახმადაც რუსეთის სახელმწიფო ხაზინის რეზერვების შემოწმების უფლება ენიჭებოდა. ვეგელიუსმა ხმავე ვეღარ ამოიღო, რადგან აშორდიას ნახელავი „დოკუმენტის“ სიყალბის შეტყობა ძალზე ძნელი იყო და სტუმარს საიდუმლო საცავისკენ, როგორც წესი, თავადვე წარუძღვა. იმ დღეს ბესო სვანიძემ არა მარტო ხაზინის რეზერვები დაათვალიერა, არამედ კანალიზაცია და წყალგაყვანილობაც საფუძვლიანად შეამოწმა, ბანკის თანამშრომლებს ყველაფერი შესაბამისი ოქმით გააფორმებინა, მერე ვეგელიუსს „სამივლინებო ფურცელზე“ ხელი მოაწერინა, გულითადად გამოემშვიდობა და წამოვიდა.

მეორე დღეს, ბესო სვანიძემ ბანკის საცავების დეტალური სქემა დასაზა, თან კონრად ცილიაკუსსა და



მის თანამოაზრეებს საკუთარი ჩანაფიქრი გააცნო — ბანკიდან ხაზინის რეზერვის გამოსატანად გვირაბი უნდა გაეთხარათ, თუმცა ეს საკმარისი არ იქნებოდა: „ხაზინის რეზერვები ნამდვილ ცხრაკლიტულში ინახება და ცხადია, იქ შეღწევა ძალზე ძნელია; მაგრამ თუკი ბანკის თანამშრომელთაგან ვინმეს მოვისყიდოთ, საქმე უფრო გავიადვილდება“, — უთხრა სვანიძემ ცილიაკუსს. იმავდროულად, აფრასიონ ჩიხრაძესა და პავლე გოცირიძეს ბანკის უკან მდებარე შენობის სარდაფის სასწრაფოდ დაქირავება უბრძანა. ეს შენობა, რომელშიც პროტესტანტული საკვირაო სკოლა იყო განთავსებული, ერთ-ერთ ადგილობრივ, შვედ საქმოსანს ეკუთვნოდა. ქართველებმა მისი სარდაფი 1904 წლის 22 დეკემბერს, ვითომდა პურის საცხობის მოსაწყობად იქირავეს.

ამავდროულად, ცილიაკუსის ხალხმა ბანკის ერთ-ერთი მოლარის, ვინმე იან ფილიპ კუუსინენის მოსყიდვა მოახერხა; როგორც შემდგომში კონრად ცილიაკუსი იხსენებდა, კუუსინენი აზარტული მოთამაშე იყო და იატაკქვეშა სამორინეებს ხშირად სტუმრობდა. ფინელი „ანარქისტები“ (იმხანად რუსეთის იმპერიაში ცარისტული რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლებს ასე უწოდებდნენ) მას დაემუქრნენ, რომ თუ დახმარებაზე უარს იტყოდა, ყველაფერს ბანკის ხელმძღვანელს, კარლ თეოდორ ვეგელიუსს მოახსენებდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, კუუსინენი გატყდა და ცილიაკუსის





ხალხს ყველაფერში ხელის შეწყობა აღუთქვა: „ის დაგვირდა, რომ რასაც კი ვეცოდით, შეასრულებდა; თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ შემდეგ ბანკში მუშაობას ვეღარ გააგრძელებდა, გვთხოვა, რომ შვეიციაში გადასვ-



სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი, ცნობილი ქართველი ანარქისტი ვარლამ ჩერქეშიშვილი

ლაში დავხმარებოდით. რასაკვირველია, ჩვენ დავთანხმდით“ — წერდა შემდგომში კონრად ცილიაქუსი.

ვიდრე აფრასიონ ჩიხრაძე და პავლე გოცირიძე ნაქირავები სარდაფიდან ბანკამდე გვირავის გათხრით იყვნენ დაკავებულნი (კონსპირაციისათვის, ისინი ამბობდნენ, რომ სარდაფს მხოლოდ არემონტებდნენ), ბესო სვანიძემ და კონრად ცილიაქუსმა კიდევ ერთი მანიპულაცია განახორციელეს — სვანიძეს ხელთ სოლომონ ამორდიას მიერ დამზადებული, რუსეთის სამხედრო სამინისტროს გერბიანი ქალაქი ჰქონდა, კონრად ცილიაქუსმა კი „უნდერვუდის“ ფირმის საბუქდი მანქანა იშოვა, რომლითაც იმხანად რუსეთის იმპერიის ოფიციალური დაწესებულებები სარგებლობდნენ და გერბიან ქალაქზე რუსულად ვითომდა მინისტრ ვიქტორ სახაროვის საიდუმლო ბრძანება ამოებჭდა: „რადგანაც სამხედრო ნაწილებს დღეს დიდი ჯაფა აწევთ ერთი მხრივ იაპონურ არმიასთან, მეორე მხრივ კი რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო არასამხედრო ობიექტთა დაცვაში მათი მოწყობა მეტად აბრკოლებს ჯარისკაცთა სულისკვეთების ამაღლებას, ვბრძანებ, რომ ფინეთის სამთავრო ბანკიდან სამხედრო დაცვა დაუყენებლივ მოიხსნას, ხოლო გენერ-

ალ-გუბერნატორს კი დაევალოს, საკუთარი საშუალებით დაიცვას ობიექტი, ვიდრე ახალ განკარგულებამდე“. დოკუმენტს მინისტრის ხელმოწერაც ამშვენებდა — კონრად ცილიაქუსმა მისი კოპირება ჩვეულებრივი, ასლის გადასალები ქალაქით მოახდინა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული ბრძანება საიდუმლო იყო და ცხადია, მისი ფოსტით გაგზავნა არ შეიძლებოდა. ამიტომ, კაზაკურ ჩოხაში გამოწყობილმა ბესო სვანიძემ გენერალ-გუბერნატორის რეზიდენციაში, 1904 წლის 23 დეკემბერს, ის თავად მიიტანა, გენერალ-გუბერნატორს პირადად გადასცა და უკან გამობრუნდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ უკანასკნელს ეჭვიც არ შეჰპარვია იმაში, რომ „სამხედრო სამინისტროს შიკრიკი“ თვითმარქვია არ იყო — სოლომონ ამორდიას მიერ დამზადებული, შესაბამისი მოწმობის სიყალბე ვერავინ შენიშნა. რასაკვირველია, ბრძანება იმ დღესვე აღესრულა — გენერალ-გუბერნატორმა ბანკს სამხედრო დაცვა მოხსნა და მის მაგივრად პოლიციელთა ოცეული მიუჩინა. გარდა ამისა, ბანკის მოლარეებს ტაბელური იარაღი დაურიგდათ და ცვლიანი მორიგეობაც დაუნესდათ. ხაზინის რეზერვის საცავის გასაღები, რომელსაც მანამდე ვეგელიუსი ყოველი სამუშაო დღის ბოლოს სამხედრო დაცვის უფროსს აბარებდა, ახლა მორიგეთა ცვლის უფროსს ჩაჰპარდა, რამაც წყალი სვანიძისა და ცილიაქუსის ნისკვილზე დაასხა — მათ იან ფილიპ კუუსინენს სასწრაფოდ მოსთხოვეს, რომ შობის ღამეს, მორიგეთა ცვლის უფროსობა ეტვირთა. ამავდროულად, კუუსინენს



სხვა მორიგე მოლარეები უნდა დაეთრო და გვირავიდან ბანკში შეღწეული მძარცველებისათვისაც საცავის კარი დროზე გაეღო. ერთი სიტყვით, ყველაფერი დეტალურად დაიგეგმა.

ბესო სვანიძის მიერ შედგენილი სქემის თანახმად, გვირავი ბანკის საქვავებში უნდა გამოსულიყო — ნიჭიერმა ქართველმა იაზრმა, რომ გვირავის გათხრისას, ის მინისქვეშა კომუნიკაციები უნდა გამოეყენებინა, რომელთა მეშვეობით ბანკს წყალი მიენოდებოდა. ცილიაქუსის ხალხმა ამ მხრივ ყველაფერი აღრევე დაწვრილებით დაადგინა და სწორედ ამიტომაც, აფრასიონ ჩიხრაძეს და პავლე გოცირიძეს გვირავის გაყვანა არცთუ ისე გასჭირვებიათ — რამდენადაც საკვირაო სკოლა ბანკის შენობას უკანა მხრიდან მჭიდროდ ეკვროდა, ძირითადი სამუშაო სამ დღეში დაასრულეს. 1904 წლის 24 დეკემბრის საღამოს, მათ ფინეთის სამთავრო ბანკის მთავარ საქვავებში შეღწევა შეძლეს.

იქიდან გამომდინარე, რომ შობა თენდებოდა, მორიგეთა ცვლის უფროსმა, იან ფილიპ კუუსინენმა თანამშრომლებს ნაქეიფება შესთავაზა: „ხვალ დიდი დღესასწაულია და რა დაშავდება, თუ მოკრძალებულად აღვნიშნავთ? უფროსობა ზეგამდე არ მოგვაკითხავს“, — უთხრა პოლიციის ოცეულის უფროსსაც. ამ უკანასკნელს გამეორება არც დასჭირვებია, ისე დათანხმდა და თანაც — სიხარულით. კუუსინენმა ერთ-ერთ პოლიციელს დუქნიდან არაყი და მისაყოლებელი მოათანინა და თორმეტი საათის დადგომისთანავე, პირველი სადღეგრძელოც თვითონ წარმოთქვა. ქეიფი ეშხში რომ შევიდა, კუუსინენმა მენახეები შეუშინეველად მიატოვა, საქვავისა და ხაზინის რეზერვის საცავის კარი გააღო და ისევ სუფრას მიუბრუნდა. პოლიციელთა ოცეულის უფროსი უკვე გვარიანად შემთვრალიყო და ახლა დაჟინებით ითხოვდა „ბანკეტის გაგრძელებას“ — მან ბანკის ეზოდან რამდენიმე ხელქვეითი მოიხმო და მედიდურად უბრძანა: „ნადით, სადაც გინდათ, როგორც გინდათ, მიმოივებთ ბლომად არაყი და მომიტანეთ!“

აფრასიონ ჩიხრაძემ, პავლე გოცირიძემ და მათმა ფინელმა დამხმარემ — კრისტიან პუშმალაინენმა, რომელთაც პოლიციის ფორმები ეცვათ, ხელსაყრელი ვითარებით მშვენივრად ისარგებლეს — საცავში შეიპარნენ, ოქროს ზოდები წინასწარ მომზადებულ ტომრებში ჩაყარეს და გვირავის გამოვლით, თავიანთ სარდაფში გამოვიდნენ; ხაზინის რეზერვის

სოციალისტ-ფედერალისტი ბესო სვანიძის საგარაულო ფოტო



მთლიანად გამოტანას სამი გზობა დასჭირდა, თუმცაღა მოქეიფე დაცვის ნეერებს არაფერი გაუგიათ. როცა საცავიდან ბოლო ტომარაც გაიტანეს, კრისტინან პუუმალანინმა კუუსინენს ნიშანი მისცა; ამ უკანასკნელმა სუფრა კვლავ შეუმჩნევლად მიატოვა, საცავის კარი ჩაკეტა, გასაღები ვახტზე დაკიდა და მძარცველებთან ერთად, გვირაბში გაუჩინარდა. ასე დასრულდა გასული საუკუნის ცხრაასიანი წლების ყველაზე გრანდიოზული ძარცვა, რომლის შედეგმაც იაპონიასთან ომში რუსეთის დამარცხებაში დიდი როლი ითამაშა.

მომხდარის თაობაზე ჰელსინკის პოლიციამ და ჟანდარმერიამ ინფორმაცია მხოლოდ 1904 წლის 26 დეკემბერს, დილით მიიღო, როდესაც ვეგელიუსი სამსახურში გამოცხადდა და იქ კუუსინენი ვერ აღმოაჩინა; მორიგეებსა და პოლიციის ოცეულის უფროსს ფოიეში ეძინათ, არყის ცარიელი ბოთლები და ძხვეულის ნამუსრევი კი პირდაპირ იატაკზე ეყარა. შეშფოთებული ვეგელიუსი მაშინვე საცავის კარს ეცა და როგორც კი დაცარიელებული თაროები დაინახა, ინფარქტმა დაარტყა. მოგვიანებით გამოირკვა, რომ ხაზინის რეზერვის გარდა, ნაღებული იყო აგრეთვე ალმასების კოლექციაც — საერთო ჯამში, ზარალმა ხუთ მილიონ ოქროს მანეთს დიდად გადააჭარბა, რამაც რუსეთის იმპერიის მესვეურები შოკში ჩააგდო. „ფინეთის სამთავრო ბანკის საქმე“, რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მკაცრად გასაიდუმლოვდა და პირადად სამხედრო მინისტრის, ვიქტორ სახაროვის კონტროლს დაექვემდებარა, თუმცა გამოძიებამ ვერაფერი გაარკვია: კარლ თეოდორ ალექსანდრ ვეგელიუსმა, რომელზეც ჟანდარმერიამ ეჭვი მიიტანა, საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცება მალე მოახერხა — მან ძალოვნებს გენერალ-გუბერნატორის სპეციალური განკარგულება წარუდგინა, რომელიც ბანკიდან სამხედრო დაცვის მოხსნას ეხებოდა. გენერალ-გუბერნატორმა — ივანე ობოლენსკიმ მინისტრ ვიქტორ სახაროვისგან მიღებული საიდუმლო ბრძანება გამოამუხურა და ამგვარად, გამოძიებას თავგზა აუბნა.

რაც შეეხება მძარცველებს — ბესო სვანიძემ, პავლე გოცირიძემ და აფრასიონ ჩიხრაძემ საქართველოში მშვიდობიანად ჩამოაღწიეს, მიღებული წილიდან მილიონი მანეთი შვეიცარიის ბანკში, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ანგარიშზე ჩარიცხეს, 250 ათასი მანე-

თი კი ერთმანეთში გაიყვეს. კონრად ცილიაუსმა და მისმა თანამოაზრეებმა აღებული ფულით 1905 წლის იანვარში ანარქო-ტერორისტული ორგანიზაცია — „აქტიური წინააღმდეგობის პარტია“ დააარსეს, რომელმაც შემდგომში რუსი კოლონიზატორების წინააღმდეგ ბრძოლაში თავი ბევრჯერ გამოიჩინა. იან ფილიპ კუუსინენმა კი ფინეთი 1904 წლის 26 დეკემბერსვე, უპრობლემოდ დატოვა, შვეციაში გადავიდა და თან წაიღო ალმასების კოლექციაც. პოლკოვნიკმა მოტოჯირო აკაშიმ იაპონიის შეიარაღებული ძალების ბიუჯეტი 2.500.000 მანეთით გაზარდა, რის გამოც იმპერატორმა „მამაცობის ორდენით“ დააჯილდოვა.

რამდენადაც რუსულმა ჟანდარმერიამ და „ოსრანკამ“ „ფინეთის სამთავრო ბანკის საქმე“ მკაცრად გაასაიდუმლოვა და მეტიც — მასში შემავალი დოკუმენტების უდიდესი ნაწილი საერთოდ გაანადგურა, რუსეთში ეს ამბავი ფართო საზოგადოებრიობისთვის ცნობილი კარგა მოგვიანებით — გასული საუკუნის 90-იან წლებში გახდა, თუმცა ბევრი რამ დღესაც დაუდგენელია. ამ მხრივ, ისტორიკოსებისათვის ნამდვილად ფასდაუდებელ წყაროს კონრად ცილიაუსის მოგონებები წარმოადგენს, რომელიც 1919-1920 წლებში სტოკჰოლმში გამოიქცა და დღეს ბიბლიოგრაფიულ იმვიათობადაა ქცეული.

ისტორიული უპასუხაბითი უპრნალი

ანტიკვარისანი გზაში საკითხავი კოლაჟი

ქელეჩელი თქუი ივანიძე

1. ტრიპანოფობია აცრების შიშია.
2. ბულა რომის პაპის საგანგებო ბრძანებაა.
3. „კაპეიკა რუბლ ბერეჟოტ“, — ამბობენ რუსები.
4. მსოფლიოში 300 მილიონ ადამიანს ჭარბი წონა აწუხებს.
5. ოთხი წლის ბავშვი დღეში საშუალოდ 437 კითხვას იძლევა.
6. ბრაზილიური ორთაბრძოლა — კაპეირა — ცეკვის ელემენტებს შეიცავს.
7. მულტიპლიკაციურ სერიალს — „სიმფონიები“ — 107 ქვეყანაში აჩვენებენ.
8. ერთ კუბომეტრ თოვლში დაახლოებით 35 მილიონი თოვლის ფიფქია.
9. ტაქსას ჯიშის ძაღლი 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადის სიმბოლო იყო.
10. ამერიკელები თავიანთ ავტომობილებს სანავით წელიწადში 16 მილიარდჯერ მართავენ.
11. ვაშინგტონში, თეთრი სახლის მიმდებარე ტელეფონის ნომერი (202) 456-1414 გახლავთ.
12. ჭადრაკის დაფაზე 32 მხედრის განლაგებაა შესაძლებელი ისე, რომ ისინი ერთმანეთს არ ემუქრებოდნენ“.
13. უბრალო ხალხს ძალიან უყვარდა ელენე ავსტრალიანის მემწვანილეებს, მემანქნეებს, ხარაზებსა თუ ხაბაზებს მეგობრად მიაჩნდათ მხატვარი ქალი.
14. II მსოფლიო ომის დროს გერმანულ მფრინავებში არსებობდა რწმენა, რომ სახლში ის მფრინავი დაბრუნდებოდა, ვინც პირველი ათი გაფრენის შემდეგ ცოცხალი დარჩებოდა.
15. ლონდონში 25 ათასი ქუჩაა. ტაქსის მძღოლებს ლიცენზიის ასაღები გამოცდების ჩასაბარებლად ამ ქუჩების ზედმიწევნით შესწავლა უხდებათ.
16. ომის დროს ჯარის სწრაფად მოსაგროვებლად გალების ქურუმები მსხვერპლს სწირავდნენ ლმერთებს — კოცონზე წვადნენ ყველაზე ბოლოს გამოცხადებულ მეომარს.
17. ამერიკის პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონს ძალზე უყვარდა თანამშრომლებისა თუ ვიზიტორებისათვის საჩუქრების მირთმევა. მისი საყვარელი საჩუქარი ელექტრონული კბილის ჯაგრისი გახლდათ. ჯონსონის ბიოგრაფიის ავტორმა 10 წლის განმავლობაში პრეზიდენტისგან 12 ასეთი ჯაგრისი მიიღო საჩუქრად.
18. 1923 წლის ნოემბერში გერმანელებმა დაინგარიშეს, თუ რა დაუჯდა ყოფილ იმპერიას პირველი მსოფლიო ომი. გერმანიის სამხედრო ხარჯებმა 15,4 ბუნინგი შეადგინა, რადგან 1918 წლის კაპიტულაციიდან მოყოლებული, რაიხსმარკა დაახლოებით ტრილიონჯერ იყო გაუფასურებული.

McLaren model SLR-ის წარმოებას განაახლებს

კომპანია McLaren supercar SLR-ის წარმოების განახლებას გეგმავს, რომელიც დაახლოებით ერთი წლის წინ ამ ბრიტანულ კომპანიასა და გერმანულ Mercedes-ს შორის არსებული უთანხმოების გამო შეწყდა. ამჟამად ქალაქ შტუტგარტში „მერსედესი“ საკუთარ სუპერქარს — SLS AMG-ს აწარმოებს, ხოლო „მაკლარენმა“ საკუთარი სუპერქარი — MP4-12C შექმნა და უახლოეს რამდენიმე წელიწადში სამოდულო ხაზის გაფართოებას აპირებს. განახლებული ავტომობილის სახელწოდება McLaren SLR Edition იქნება



და მხოლოდ 25 ერთეული გაიყიდება. გარდა ამისა, სიახლე ჩვეულებრივი ვერსიებისგან წინა ბამპერით, გაზრდილი ჰაერშემაკავებლებით, მასიური კარბონის დიფუზორითა და წინა ფრთებზე დამატებითი, სავენტილაციო ჭრილებით იქნება გამოირჩეული. ახალი „პლუშაის“ წყალობით, ავტო-

მობილის საბურავების ზედაპირთან ჩაჭიდების სიმძლავრე 15%-ით გაიზრდება და ძრავას გაგრძელებაზე დადებითად იმოქმედებს. ძრავას რაც შეეხება, ის უცვლელი, „მერსედესუ-

ლი“ რჩება — 5,4-ლიტრიანი, V8, 650 ცხმ-ით, რომელსაც შესწევს უნარი, 340 კმ/სთ სიჩქარე განავითაროს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ უცნობია, ახალი SLR M „მერსედესის“ ემბლემით გამოვა თუ მისი შემქმნელის, „მაკლარენის“ სიმბოლოთი დამშვენდება. ■

Mercedes E-Class Cabrio Piecha Design-ისგან

ატელიე Piecha Design-ის ტიუნერებმა Mercedes E-Class Cabrio-სთვის პაკეტი წარმოადგინეს.

კომპანიის სპეციალისტები აეროდინამიკურ ექსტერიერს გვთავაზობენ, რომელსაც სახელწოდება — Caractere RS მიენიჭა. მასში შესულია ახალი წინა სპოილერი, აგრესიული უკანა დიფუზორი და უჩვეულო ფორმის უკანა სპოილერი, საბარგულის სახურავზე გარდა ამისა, პაკეტში შე-



სულია ე.წ. გვერდითა „კაბები“, ინტეგრირებული განათებით, გამოსაბოლქვი ახალი სისტემა, 4 მრგვალი მილით, 20-დუიმიანი საბურავები — DP2 PHANTOM და მოდერნიზებული სახურავის მოდული, რომელიც საშუალებას იძლევა, გაიშალოს და დაიკეცოს 50 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობის დროს.

დაბოლოს, Piecha Design-ის ინჟინრებმა კაბრიოლეტისთვის მწარმოებლურობის გასაზრდელი, პატარა მოდული შექმნეს, რომელიც სიჩქარეთა გადართვის დროს დროის ხანგრძლივობას ამცირებს. ■



Cadillac ავტოსპორტს უბრუნდება

კომპანია Cadillac-ის ხელმძღვანელობამ რამდენიმე დღის წინ ოფიციალურად განაცხადა, რომ სამწლიანი შესვენების შემდეგ ავტოსპორტს უბრუნდება.

ამ მიზნით სატრეკო ავტომობილი მზადდება, რომელიც „დამუხტულ“ კუპე CTS-V-ს ბაზაზე შეიქმნება. ავტომობილი კომპანია Pratt & Miller-თან ერთად აიწყო და განახლებული ჯგუფი ადგილობრივ ჩემპიონატებში —



Sports Car Club of America და World Challenge GT Series-ში მონაწილეობას მიიღებს. „კადილაკი“ სტარტზე ორი ავტომობილის წარმოდგენას აპირებს, რომლის „პილოტებიც“ ჯონი ოკონელი და ენდი პილიგრიმი იქნებიან. ცნობისათვის, ოკონელი ლემანის ამერიკის სერიის სამგზის ჩემპიონია კლასში — GT1, ხოლო პილიგრიმი World Challenge GT class-ის 2005 წლის ჩემპიონი გახლავთ. კომპანია Cadillac-ის ვიცე-პრეზიდენტის, დონ ბატლერის სიტყვებით, მარკეტინგის თვალსაზრისით, ავტოსპორტში დაბრუნება კომპანიას საშუალებას მისცემს, მოდელ CTS-V Coupe-ს პოტენცია უკეთ წარმოაჩინოს და შესაბამისად, კონკურენტებს ღირსეული მეტოქეობა გაუწიოს.

Kuga-ს წინასერიული ვერსია

2011 წლის იანვარში, ამერიკის ქალაქ დეტროიტში დაგეგმილ ავტოსალონზე კომპანია Ford Crossover Kuga-ს წინასერიულ ვარიანტს წარმოადგენს.

ამის შესახებ საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით გამოცემა — Automotive News Europe იტყობინება. სიახლის სერიული წარმოება სავარაუდოდ, 2012 წლის მეორე ნახევარში დაიწყება, ხოლო უშუალოდ ამერიკაში მის გაყიდვებს 2013 წლიდან შეუდგებიან. ჯერ არ არის ცნობილი, რა სახელით გამოვა სიახლე სერიულ წარმოებაში.



ჯერჯერობით მხოლოდ ორი ვარიანტი განიხილება: Escape (რა სახელითაც გამოდიოდა ის აქამდე აშშ-ში) და — Kuga, რომელთანაც ამერიკელებს შეჩვევა მოუწევთ, ვინაიდან კომპანია Ford-ის ახალი პროგრამის — „ერთიანი ფორდის“ (One Ford) შესაბამისად, ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოში, „ფორდის“ მარკის ქვეშ წარმოებულ ყველა მოდელს ერთნაირი სახელი უნდა ჰქონდეს. გარდა ამისა, გამოცემა კროსოვერის მწარმოებელი ქარხნის გერმანიიდან აშშ-ში გადატანის თაობაზეც ავრცელებს ინფორმაციას.



მათი ცნობით, გერმანიის ქალაქ საარლუიში ამიერიდან მხოლოდ ახალი თაობის „ფორდ ფოკუსის“ ავტომობილებს აწარმოებენ, რომლებიც ევროპის ბაზრისთვის იქნება განკუთვნილი.

ანტიუპარსანტი

გზაში საკითხავი კოლაქი

ქეპლერელი თუკუ ივანიძე

19. მეორე მსოფლიო ომის დროს ბრიტანეთის საჰაერო ფლოტში მომსახურე პოლონელ მფრინავ ზუმბეკს გერმანელებმა თვითმფრინავი დაუზიანეს და იჭულბული გახდა, პარაშუტიტი გადმოშტარიყო. მიწაზე დაშვებისთანავე ზუმბეკმა მოშორებით ბრიტანელ ჯარისკაცებს მოჰკრა თვალი და აყვირა, არ მესროლოთ, მოკავშირე ვარო. მათ დასანახავად პისტოლეტიც კი გადააგდო. ჯარისკაცებმა მაინც ესროლეს. რამდენიმე ტყვიამ მფრინავს ახლოს გაუზუზუნა. იარაღი გადავადე და რატომღა მესვრითო, აყვირდა პოლონელი მფრინავი და ბოლოს ძლივს გაარჩია მოახლეობული ბრიტანელი ჯარისკაცების ძახილი, ფეხი არ მოიცვალა, მინებით სასვე მინდორზე დგახარ და რომ არ განძრეულიყავი, იმიტომ გესროდიო.

20. ინჟინერი ცუტომუ იამაგუტი ხიროსიმაში იმყოფებოდა, როცა 1945 წლის 6 აგვისტოს ამერიკელებმა ქალაქში ატომური ბომბი ჩამოაგდეს. მინისქვეშა თავშესაფარში გატარებული კომპარული



ღამის შემდეგ იაპონელმა ინჟინერმა მშობლიურ ქალაქ ნაგასაკის შეაფარა თავი, სადაც ორი დღის შემდეგ, 1945 წლის 9 აგვისტოს, ამერიკელების მიერ ჩამოგდებული მეორე ატომური ბომბის აფეთქების მომსწრე გახდა. 2010 წლამდე იამაგუტი ერთადერთი ცოცხალი ადამიანი იყო, რომელიც ოფიციალურად ორივე ატომური დაბომბვის მსხვერპლად იყო აღიარებული.

21. ორქნიის გრაფი, სიგურდ ეინსტეინსონი, იგივე სიგურდ ყოვლისშემძლე, ორქნიისა და შოტლანდიის კუნძულებს IX საუკუნეში განაგებდა. ნორვეგიელი გრაფი შოტლანდიელ ბელად მავლ ბრიგტესთან მტრობამ შეინირა. სიგურდი და მავლი ბრძოლის წინ შეთანხმდნენ, თანაბარი ძალებით ებრძოლათ ერთმანეთის წინააღმდეგ — ორივე მათგანს ბრძოლის ველზე 40 მეომარი უნდა გამოეყვანა. სიგურდმა კი შეთანხმება დაარღვია და საბრძოლველად 80 მეომარი წაიყვანა. მან დაამარცხა ბრიგტე, თავი მოჰკვეთა და მოკვეთილი თავი საკუთარი ცხენის უნაგირზე თმით ჩამოკიდა. ქენებისას, მოკვეთილმა თავმა, რომელიც ერთთავად აქეთ-იქით ეხეთქებოდა, სიგურდს კბილებით მარჯვენა ფეხი დაუსისხლიანა. უშიშარ ვიკინგს ჭრილობა გაუმიზეზდა და რამდენიმე დღის შემდეგ სისხლის მონამვლით გარდაიცვალა.



ყველაზე ძლიერი ტორნადო

✦ 1958 წლის 2 აპრილს ამერიკის ქალაქ ვიჩიტა ფოლსში ამოვარდნილი ტორნადოს (კონუსის, ბოკალის, კასრის და ა.შ. ფორმის მქონე მბრუნავი გრიგალი) მაქსიმალური სიჩქარე 450 კმ/სთ იყო. ასეთი სიძლიერის ტორნადო დამანგრეველად მიიჩნევა. შეუძლია, ჰაერში აიტაცოს ავტომობილები, შეისრუტოს ნაგავი, ამოძრკვოს დიდი ზომის მცენარეები და დაანგრეოს და დაზიანოს სახლები. ამერიკაში ყველაზე მეტი ტორნადო აპრილიდან ივნისამდე, ქალაქ ვიჩიტა ფოლსში მოხდა. 1964 წლის 3 აპრილს ტორნადომ 7 ადამიანის სიცოცხლე შეინირა, 100 — დაშავდა. საერთო ზარალმა 15 მლნ დოლარს გადააჭარბა. 1979 წლის 10 აპრილს იმავე ქალაქში

ძლიერ ტორნადოს („მრისხანე სამშაბათი“) ელოდებოდნენ, მცხოვრებლებიც გააფრთხილეს, ქუჩაში არ გამოსულიყვნენ, მაგრამ მიუხედავად გაფრთხილებისა, 45 ადამიანი გარდაიცვალა, 1800 დაშავდა, 20 ათასი — სახლ-კარის გარეშე დარჩა. საერთო ზარალმა 400 მლნ დოლარი შეადგინა.

✦ 1879 წელს, ორმა ტორნადომ ქალაქი ირვინგი (კანზასის შტატი, აშშ) მთლიანად გაანადგურა, რკინის, 75-მეტრიანი ხიდი მოგლიჯა და ჰაერში ბურთივით აიტაცა.

✦ 1917 წლის 26 მაისს, ამერიკის ტერიტორიაზე გავილი ტორნადოს სიგანე 1 კმ იყო. სტიქიამ 110 ადამიანი შეინირა.

✦ 1926 წელს, ამერიკის შტატებს



— მისურის, ილინოისსა და ინდიანას რამდენჯერმე დაატყდა თავს დამანგრეველი გრიგალი. 689 ადამიანი დაიღუპა, 2 ათასზე მეტი დაშავდა.

✦ ფლორიდის შტატში ტორნადოები ყველაზე ხშირად მაისსა და სექტემბერში ხდება. 1935 წელს აქ ყველაზე ძლიერი — 500 კმ/სთ სიჩქარით მოძრავი ტორნადო დააფიქსირეს.



ოკობოს ანუ ხისძირიანი სანდლები ტარება იაპონელმა მანდილოსნებმა მრავალი საუკუნის წინ დაიწყეს. ე.წ. „პლატფორმის“ ფორმის ფეხსაცმლის ძირი საშუალოდ 14 სმ-ია, მაგრამ არსებობს უფრო მაღალძირიანიც. ფეხსაცმელს სახელი სიარულის დროს გამოცემული ხმის გამო შეერქვა. ოკობოს თასმის ფერი მანდილოსნის სტატუსზე დამოკიდებული. თავდაპირველად, ოკობო მაიკობმა — გეიშების მოსწავლეებმა ჩაიცვეს. დამწყებ მაიკობებს წითელი, ხოლო უკვე გამოცდილებს — ყვითელთასმიანი ხის სანდლები ეცვათ.

ქუსლიანი ფეხსაცმელი — კაბკაბები — XIV-XVII საუკუნეებში ლიბანელ მანდილოსნებსაც ეცვათ. დიდგვაროვანი ქალბატონები ვერცხლისა და ოქროს ორნამენტებით გაფორმებულ კაბკაბებს იცვამდნენ. თავდაპირველად, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ტანდაბალმა პატარძლებმა ჩაიცვეს. კაბკაბის მინიმალური სიმაღლე 60 სმ-ია. მოგვიანებით კი კაბკაბების ჩაცმა აბანოების მამაკაცებმაც დაიწყეს, რათა ცხელ

უსწაური ფეხსაცმელები

წყალში ფეხები არ დასწვოდათ.

XIV-XV საუკუნეებში ესპანელი მანდილოსნების მაღალქუსლიანი ფეხსაცმელს ჩოპინესები ერქვა. იგი ფიჭვის ან კორპისგან მზადდებოდა და ტყავს, აბრეშუმსა და ხავერდს აკრავდნენ. როცა ესპანელმა ქალებმა კაბები დაიმოკლეს, ჩოპინესების მოქარგვა დაიწყეს. ფეხსაცმელი საკმაოდ მაღალქუსლიანი იყო. ქალი, რომელსაც ჩოპინესები ეცვა, მსახურებზე დაყრდნობილი დადიოდა.

XVI-XVII საუკუნეებში იტალიელი



მანდილოსნები კოტურნებით დასეირნობდნენ. ფეხსაცმელი უფრო დეკორატიული იყო, ვიდრე — პრაქტიკული. ხის კოტურნებს 18 სმ-იანი ქუსლი ჰქონდა. ცხვირებს აბრეშუმით, მარმარილოთა და ვერცხლის ყვავილებით აფორმებდნენ.

ჩინური ტრადიციის თანახმად, ქალს ლოტოსის ფორმის ფეხი უნდა ჰქონოდა. ამისათვის, ბავშვობიდან ფეხს მჭიდროდ „უბინტავდნენ“ და

ძალიან ვიწრო ფეხსაცმელს აცემევდნენ. ასეთი მკაცრი კანონი დიდი ხნის წინ აიკრძალა, მაგრამ 1991 წელს, ლოტოსის ფეხის ფორმის მქონე, უხუცესი მანდილოსნებისთვის ფეხსაცმლის ქარხანამ უკანასკნელად 2 ათასი წყვილი „ოქროს ლოტოსი“ შეკერა.

XVIII საუკუნეში მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ფრანგმა მამაკაცებმაც ჩაიცვეს. აბრეშუმის ფეხსაცმელი მარამუხითა და ნაქარგვით იყო გაფორმებული.

IX საუკუნეში, საფრანგეთში, სენტ-ჟირონის მიდამოებში მცხოვრები მამაკაცები ქორწილისთვის ხის ქოშებს თლიდნენ, რომელსაც მაღლა აწეული, წვრილი ცხვირი ჰქონდა. გადმოცემის მიხედვით, ერთმა ფრანგმა საცოლის გამტაცებელს გული ასეთი ფეხსაცმლით გაუგმირა. მას შემდეგ, საცოლისადმი პატივისცემის ნიშნად, საქმრო ცდილობდა, ქორწილში ყველაზე მაღალცხვირიანი ფეხსაცმელი სცმოდა.





აღმოსავლეთის ყველაზე ლამაზი ტაძრები

ბუტანის ცნობილი მონასტერი ტაკცანგ-ლაკხანგი (ტაკსანგ-ლაკხანი) — „ვეფხვის ბუდე“ ქალაქ პაროდან 10 კმ-ში და ზღვის დონიდან 3120 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. მონასტერი შვიდი ტაძრისგან შედგება. მნახველები იქ ფეხით ან ვირებით ადიან.

ტაილანდის ვატ რონგის ტაძარი თეთრი ქვითა და მინითაა აგებული. მისი მშენებლობა 1998 წელს დაიწყო და 2008 წელს დაასრულეს. თეთრი ფერი ბუდას სიბრძნესთან ასოცირდება.

მიანმას ყველაზე ცნობილი ტაძარი ოქროსგუმბათიანი პაგოდა შვედაგონია. „შვე“ — ოქროს ნიშნავს, ხოლო „დაგონი“ ადგილის სახელწოდებაა. ტაძარი 5 ჰექტარზეა გადაჭიმული. მის ტერიტორიაზე სფინქსების, დრაკონების, ლომების, სპილოებისა და სხვა ცხოველების ოქროს



ბარეობს. 1530 წელს, პეკინის ჩრდილოეთით მიწის ტაძარი აიგო და მას შემდეგ ტაძარმა სახელიც შეიცვალა. ცის სადიდებელი ლოცვების გარდა, ტაძარში გარდაცვლილების სულების მოსახსენებლადც ლოცულობენ.

იაპონიის მთავარი ბუდისტური ტაძარი, ტიონ-ინი კიოტოს აღმოსავლეთით მდებარეობს. ჭიშკარი 1619 წელს დაამზადეს. ტაძრის



სიქების მთავარი სალოცავი ინდოეთშია. აქ წმინდა წიგნი — „გურუ გრანტ სახიბი“ ინახება. ტაძარი აუზის შუაგულში დგას. მლოცვეებს მიაჩნიათ, რომ წყალი სამკურნალოა და მასში განბანის შემდეგ გასხვივოსნდებიან. ტაძრის გუმბათის დამზადებაზე 100 კგ ოქრო დაიხარჯა. სიქები ერთ-ერთ უმდიდრეს დიასპორად მიიჩნევა. დღესასწაულებზე ტაძარს კოლოსალურ თანხებს სწირავენ.

ვიშნუს სადიდებლად აგებული ტაძარი რანგანატხასვამი, ინდოეთის მდინარე კავერის კუნძულ შირი რანგამზე მდებარეობს. ტაძარს 63 ჰექტარი მიწის ფართობი უკავია. რანგანატხასვამის ყველაზე ცნობილი დარბაზია „1000 სფეტის ოთახი“. სინამდვილეში, სვეტების ზუსტი რაოდენობა 953-ია.



ქანდაკებებია განლაგებული.

პაგოდას გუმბათის ქვეშ ვერცხლისა და ოქროს ზარები კიდია. გუმბათზე 4351 ბრილიანტის თვლით (ყველაზე დიდი 76 კარატიანია) გაფორმებული ფლუგერია დამაგრებული. პაგოდას ოქროს დროშა 1100 ბრილიანტისა და 1383 სხვადასხვა ძვირფასი თვლითაა მორთული. ოქროს გუმბათის სიმაღლე 99 მეტრია.

500 წლის წინ ჩინელებმა მრგვალი, ცის ტაძარი ააგეს. თავდაპირველად მას ცისა და მიწის ტაძარი ერქვა, რადგან აქ ცისა და მიწის სადიდებელი ლოცვები იკითხებოდა. იგი პეკინის სამხრეთით მდე-

ზარი 74 ტონას ინონის და მის დასარეკად 17 ბერს იწვევენ. ტაძრის ტერიტორიაზე უნიკალური ბალი და ტბორი მდებარეობს.



ანგკორ ვატი კამბოჯაში მდებარე სამიარუსიანი ტაძარია. მასში უამრავი კიბე და გასასვლელია. ანგკორ ვატის გარშემო ხუთი კოშკია აღმართული. ოთხი კუთხეებში და ერთი — ცენტრში. მისი სიმაღლე 65 მეტრია და მსოფლიოს ცენტრის სიმბოლოს განასახიერებს.

პრამბანანი შუასაუკუნეების დროინდელი, ბუდისტური და ინდუისტური ტაძრების კომპლექსია. იგი კუნძულ იავაზე, ვულკან მერაპის ძირში მდებარეობს. 1918-53 წლებში ტაძარი პოლანდიელმა რესტავრატორებმა აღადგინეს. 1991 წელს იგი იუნესკოს მსოფლიო საგანძურთა სიაში შეიტანეს.



შობით დაწყებული ხსნა, აღიღო და სარკმელში დანთიებული სანთელი

შობის დღესასწაული ეს არის დღე, როდესაც იშვა და კაცობრიობას ხორციელად მოველინა განკაცებული უფალი — იესო ქრისტე. „მთელი სამყარო დღეს ამ საიდუმლოთა საიდუმლოს ხილვით, მარადისობა მოვიდა დროში, რომ დროში მყოფნი მარადისობაში შესულიყვნენ. ღვთაებრებმა ყრმამ თავისი შობით ხელმეორედ გვშვა ყველანი მადლსა და უკვდავებაში“, — ბრძანებს წმინდა ანატოლი ოპტევი...

შორენა მერკვილაძე

პატრი გიორგაძე, დეკანოზი:

— იხშია რა აკრძალული ხის ნაყოფი ადამმა და დამარცხდა, ამ დამარცხებით მან დაკარგა ბატონობა, მეფობა ხილულ სამყაროზე — ის ბოროტმა მიიტაცა, მაგრამ უფალმა დამარცხებულ და სამოთხიდან გამოდევნილ ადამს მისცა ალექსა, რომ არ მიიტოვებდა დაცემულ მდგომარეობაში, ადამიანი უფლის დახმარებით შეძლებდა ბოროტზე გამარჯვებას და სამოთხეში დაბრუნებას, უფალთან შეწყვეტილი საუბრისა და დაკარგული ერთობის აღდგენას. ადამისადმი, მისი სახით კი შემცოდე მთელი კაცობრიობისადმი, ღვთის მიერ მიცემული ალექსის აღსრულებას ათასწლეულები დასჭირდა.

ათასწლეულების შემდეგ კაცობრიობას მოველინა მაცხოვარი, მხსნელი, განკაცებული უფალი — იესო ქრისტე. განხორციელება ღვთისა მოხდა უწმინდეს ქურჭელში — ყოვლადწმინდა ღვთისმშობელში, რომელიც თავის მხრივ, განსაკუთრებულად იქნა შერჩეული ამ უდიდესი საიდუმლოს აღსასრულებლად... განკაცებული უფალი მოველინა, ვითარცა ახალი ადამიანი, რომელსაც ძველი, შეცოდებული ადამის ცოდვის შედეგად დაცემული კაცობრიობა უნდა გამოეხსნა და განეახლებინა.

— რატომ გახდა აუცილებელი, რომ უფალს ადამიანთა ხსნისთვის უკიდურესად დაემდაბლებინა თავი — მონის სახე მიეღო, ადამიანის ხორცი შეემოსა?

— სხვაგვარად რომ ყოფილიყო შესაძლებელი კაცობრიობის გამოხსნა, უფლისაგან ამხელა მსხვერპლის გაღება საჭირო არ გახდებოდა — ადამიანის ხატებაში მოსვლა, შეურაცხყოფის დათმენა, ჯვარცმბ... კაცობრიობა გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებოდა. თუნდაც ის, რომ წმინდა ოჯახი არც ერთმა სახლმა არ მიიღო და ბაგაში მოხდა შობა უფლისა, იყო ნიშანი იმისა, რომ ადამიანის გული ჩაკეტილი იყო ღვთისთვის. კაცობრი-

ობა მძიმედ იყო დასნეულებული სულიერად, ადამიანმა ისე ჩაკლა ღვთის ხატება საკუთარ თავში, რომ ამ მდგომარეობიდან მის გამოსაყვანად, უშუალოდ ღვთის მოქმედება გახდა საჭირო. უფალმა კაცობრივი, ადამიანური ბუნების შემოსვით, ისევე აღადგინა ადამიანის ხატება და მასთან მსგავსება, კაცობრიობის ღმერთთან შერიგება და სამოთხეში დაბრუნება... თანაც, რადგან ადამიანმა შესცოდა, ადამიანური ბუნებაც უნდა გამხდარიყო თანამონაწილე გამოხსნისა. რასაკვირველია, ეს ყველაფერი უდიდეს პასუხისმგებლობასაც გვაკისრებს — ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რა მოიმოქმედა, რა აღასრულა უფლმა ჩვენთვის.

— ხშირად არის მსჯელობა ქრისტიანული სამყაროს ორ უდიდეს დღესასწაულს — შობასა და აღდგომას შორის უპირატესობაზე; მით უმეტეს, როცა დასავლეთის ქვეყნებში შობის დღესასწაულს განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნავენ...

— ადამიანთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მაცხოვრის შობა ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან როდესაც კაცობრიობას უფალი მოველინა, სწორედ იმ მომენტში იყვნენ ადამიანი და უფალი ყველაზე მეტად ახლოს ერთმანეთთან. ხორციელი გაგებით, მართლაც ასე იყო. მაგრამ ვიცით, რომ უფლის ხორციელად მოსვლით მისია არ შესრულებულა. ადამიანის ბუნებისა და ღვთის ყველაზე მეტი ერთობა მაშინ აღესრულა, როდესაც ჯვარცმა, გამოხსნა, შერიგება, აღდგომა მოხდა. უფალმა ჯვარცმით გამოიხსნა ადამიანი. სწორედ მაშინ მოხდა შერიგება ადამიანისა და ღვთისა, რაც აღდგომით დამტკიცდა. რომ არა აღდგომა, უფლის მოსვლა გაუგებარიც იქნებოდა, ყველაფერი აზრს დაკარგავდა. როდესაც ადამიანი ეკლესიაში მიდის, ეს ნიშნავს, რომ მის გულში უფალი იშვა; მაგრამ ჩვენ მას შევაგონებთ, რომ მხოლოდ გულში ღვთის შობა არ არის საკმარისი, — მან უფალი თავის გულში უნდა „გაზარდოს“, მასთან ერთად იცვალოს ფერი თაბორზე, მასთან ერთად გაიაროს გოლგოთა, დაითმინოს შეუ-

რაცყოფა, მასთან ერთად ზიდოს ჯვარი და დაითმინოს ჯვრის ტკივილები. მიზანი და შედეგი კი არის აღდგომა. მართლმადიდებელი ეკლესია ადამიანს მინიერი ცხოვრების გასულიერებაში ეხმარება. დასავლეთის ეკლესია კი, სამწუხაროდ, სულიერების გამინიერებას უწყობს ხელს. ამიტომაც არის, რომ დასავლეთში უდიდეს მნიშვნელობას შობის დღესასწაულს ანიჭებენ — უფლის ხორციელად შობა უფრო ახლოსაა მინიერებასთან.

— საინტერესოა, რატომ მიიღო უფალმა მხოლოდ ღარიბი მწყემსებისა და აღმოსავლელი მოგვების თაყვანისცემა?

— მდაბალი ადამიანების გულში შედის უფალი — „მდაბლთა მისცის მადლი და ამპარტავანთ შემუხრავს“, ამიტომაც ინება უფალმა, ღარიბი და მდაბალი მწყემსებისგან მიეღო თაყვანისცემა. მოგვები მაძიებელი ხალხი იყო და ამ მაძიებლობით მივიდნენ ქვემარტ უფალთან, ეზიარნენ ქვემარტებას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი წარმართები იყვნენ და კერპებს ემსახურებოდნენ. ეს იყო ნიშანი იმისა, რომ უფალი ყველა ადამიანისთვის მოვიდა და ყველა სარწმუნოებისა და ხელობის ადამიანს უხმობს თავისთან. ამასთან, იმ გზითა და საშუალებებით, რომლის მეშვეობითაც, ყველაზე ადვილად მოახერხებს ადამიანი უფალთან მისვლას. მოგვებს უფლის ანგელოზი ჯერ ვარსკვლავის სახით გამოეცხადა, ხოლო მას შემდეგ, რაც თაყვანი სცეს ღვთაებრივ ყრმას — ახალშობილ მაცხოვარს, უკან გამობრუნებისას უკვე არა ვარსკვლავი, არამედ ანგელოზი გამოეცხადათ, რომელმაც გააფრთხილა, არ მისულიყვნენ იერუსალიმში ჰეროდესთან, თავიანთ ქვეყანაში სხვა გზით ნასულიყვნენ...

— უფლის ხორციელად შობა, ეს უდიდესი სასწაული მინიერად ბეთლემში აღესრულა. საეკლესიო, საუფლო დღესასწაულებით ბიბლიური მოვლენების თანამონაწილენი ვხდებით; სანაცლოდ, საღვთო მადლი გვეძლევა. საინტერესოა, ქრისტეს შობის დღესასწაულის ბეთლემში შეხვედრით თუ იღებს ადამიანი განსაკუთრებულ საღვთო მადლს?

— გავისწვინოთ სახარებიდან, სამარიელ დედაკაცთან მაცხოვრის საუბარი (იოანე, 4,1-30). უფალი მიმართავს მას: „მერწმუნე, რომ დადგება ჟამი, როდესაც არც ამ მთაზე და არც იერუსალ-



იმში თაყვანს აღარ სცემთ მამას“ (ვიცით, ძველი აღთქმის პერიოდში ღვთისგან დაწესებული ჭეშმარიტი მსხვერპლშენიერვა მხოლოდ იერუსალიმში, სოლომონის ტაძარში ხდებოდა. მინიერად მხოლოდ იერუსალიმიდან სცემდნენ თაყვანს უფალს). სახარების ამ ადგილის თანახმად, უფალი ბრძანებს, რომ მოდის ჟამი არა ხორციელი, არამედ სულიერი თაყვანისცემისა ანუ მთავარი სულიერი თაყვანისცემაა. ადამიანი ამა თუ იმ საღვთო სასწაულს, სადღესასწაულო ბიბლიურ მოვლენას სულიერად უნდა მიეგებოს და სცეს თაყვანი; შობის დღესასწაულზე გულში მოაწყოს ბეთლემი, ფერისცვალების მიგებებისას — თაბორის მთა. გავიხსენოთ დავით გარეჯელი: როდესაც წმინდა მამა იერუსალიმის მოსალოცად წავიდა, იგი იმის ღირსად არ მიიჩნია, რომ წმინდა მინაზე დაედგა ფეხი და იერუსალიმის გალავანთან ლოცვა-ვედრებით გამოხატა ღვთისა და წმინდა მინის მიმართ თაყვანისცემა. უკან გამობრუნებისას, გალავნიდან სამი ქვა აიღო და მთელი იერუსალიმის მადლი წამოიღო, მთელი იერუსალიმის მადლი იმ სამ ქვას გამოჰყვა. ფიზიკურად არ მიახლებია წმინდა ადგილებს, თუმცა უდიდესი მადლი მიიღო. ვინაიდან ჩვენ ვიმყოფებით ხორცში, გვაქვს გრძნობები, იმ ადგილების ხორციელად ხილვისას, სადაც ესა თუ ის საღმრთო სასწაული, სულიერი მოვლენა განხორციელდა (ამ შემთხვევაში — მაცხოვრის შობა), შეგვიძლია, იმ გამოქვაბულში შევიდეთ, თვალი შევავლოთ და მივეახლოთ ბაგას, სადაც იშვა უფალი. ასე უფრო მეტად შევიგრძნობთ სადღესასწაულო სულიერ მოვლენას — სასწაულს. ხორციელი და სულიერი გრძნობები და ღვთის ნება თანმხვედრი ხდება ერთმანეთისა და მადლის მიღება გაგვიადვილდება.

— საშობაო „ალილოსთან“ დაკავშირებით რას გვეტყვი?

— სიტყვა „ალილო“ „ალილუიდან“ მომდინარეობს — „ალილუიას“ ხალხური სახეცვლილებია. „ალილუია“ — ანგელოზთა საგალობელია, რაც ნიშნავს — „დიდება მალაღა თინა ღმერთსა“.

„ალილო“ — ხალხური ტრადიციაა. მისი მონაწილენი გარეგნულად გამოხატავენ მაცხოვრის შობით გამოწვეულ სიხარულს, უფლის შობის სადიდებელი ხალხური საგალობლებით. ესეც ერთ-ერთი ფორმაა ღვთის დიდებისა, ღვთისადმი მსახურებისა.

საერთოდ, დღესასწაულში თანამონაწილეობის ერთ-ერთი გამოხატულებაა ამ მოვლენით გამოწვეული სიხარულის სხვებისთვის გაზიარება: როდესაც შენ გიხარია და არ გავინყ-

დება სხვებიც — მოყვასიც. სწორედ ადამიანის ასეთ სულიერ მდგომარეობას გამოხატავს საშობაო „ალილოს“ ტრადიცია — ქრისტესშობის დღესასწაულზე ადამიანები გულში ვერ იტყვენ უფლის შობით გამოწვეულ სიხარულს, ქუჩაში გამოდიოდნენ და გალობით ახარებდნენ ერთმანეთს ქრისტეს, მაცხოვრის შობას. როდესაც ადამიანები სულიერს ახარებენ, სხვები ხორციელს სწირავენ მათ. როდესაც მოციქულები მიდიოდნენ და ქადაგებდნენ, მათ უამრავ შესანიშნავ აძლევდნენ, რომელსაც შემდეგ თავად, მონაწილეების სახით, გასცემდნენ. როდესაც ქრისტიანი იქნეს, აუცილებლად უნდა გასცეს კიდევ, ამ მიზანს ემსახურება და ეს დანიშნულება აქვს პატრიარქის კურთხევით აღდგენით „ალილოს“ ტრადიციასაც: მსვლელობისას შემოსული შემოწირულობები მონაწილეების სახით გაიცემა; ეკლესიაში ბავშვებიც მოდიან და „ალილოში“ მონაწილეობისთვის კურთხევის ითხოვენ. ჩვენ მათ ამის ნებას ვაძლევთ, თან ვახსენებთ, მეათედიტ შენიერვა არ



დაავინყდეთ, რადგან ბავშვს მონაწილეების სახით მთელი შემოწირულობის გაცემას ვერ მოსთხოვ.

— რამდენიმე წელია, მისი უწმიდესობის ლოცვა-კურთხევით, შობის დღესასწაულის ღამეს სარკმელში სინათლის დანთების ტრადიცია დამკვიდრდა.

— ვიცით, რომ მაცხოვრის შობის მოახლოების ჟამს, როდესაც ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მოლოცვების დრო მოახლოვდა, მართალ იოსებსა და მარიამს რომის იმპერიაში გამოცხადებული საყოველთაო აღწერის გამო, ბეთლემში წასვლა მოუხდათ. ისინი ამაოდ ეძებდნენ ღამის გასათევ ადგილს. სასტუმროში ღამის გასათევად თანხა არ ჰქონდათ, ღარიბ-ღატაკნი კი არც ერთმა სახლმა არ მიიღო... შობის ღამით სარკმელში სინათლის დანთებით სიმბოლურად მივანიშნებთ, რომ ჩვენი გული და სახლი მზად არის

მიიღოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, ვითხოვთ, შინ გვეწვიოს და ჩვენს სახლში იშვას უფალი.

— შობის დღესასწაულს წინ უძღვის მარხვა. რა მნიშვნელობა აქვს დიდი საეკლესიო დღესასწაულების, მათ შორის შობის წინ, მარხვის დაცვას? რატომ არის დაწესებული იგი?

— მინიერადაც რომ მივუდგეთ, რაც უფრო დიდი, გრანდიოზული დღესასწაულისთვის ვემზადებით, მით უფრო ადრინად ვინწყებთ სამზადისს; მთელ გულსა და სულს ვდებთ მასში და მეტი პასუხისმგებლობითაც ვეკიდებით. სწორედ დღესასწაულის შესახებ დრად გვამზადებს მის წინ დაწესებული მარხვა. ერთი მარხვა შობის დღესასწაულისთვის გვამზადებს, ამ უწმიდესობის მოვლენას ეხება, მეორე — ღვთისმშობლის მსახურებას, მესამე — მოციქულთა მსახურებას და პატივს მიაგებს ყველას, ვინც უფალს ემსახურება, მეოთხე — უმთავრესი აღდგომის მარხვა, რომელიც უმთავრესი და უწმიდესობისთვის მოვლენის შესახებ დრად გვამზადებს. მარხვის პერიოდში — სამზადისში ადამიანმა უნდა მოკლას ხორციელი ვნებები გაძლიერებული მსახურებით, მოღვაწეობით, სინანულით, რათა სული განიწმინდოს, მგრძობიარე გახდეს და ჩასწვედეს დღესასწაულის არსს, შეიმეცნოს მისი მნიშვნელობა, თანაგანმცდელი, თანამონაწილე გახდეს სადღესასწაულო მოვლენისა. დღესასწაული მხოლოდ თარიღის აღნიშვნა როდია — მას გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს: საუფლო, სასულიერო დღესასწაულებით ბიბლიის ისტორიაში მომხდარ უწმიდესობის მოვლენებში ვმონაწილეობთ. სადღესასწაულო მოვლენა, თავისი არსით, ყოველწლიურად მეორდება. დღესასწაულებზე უამრავი ადამიანი მოდის, ივსება ტაძრები, მაგრამ უმეტესობა მის არსს ვერ სწვდება. ერთია, წვეულებებზე მონაწილეობის ტიტუმების განცდა, რომლებიც მზამზარეულზე მოდიან და სულ სხვა იმ ოჯახის წევრების განწყობილება, რომლებსაც წვეულების სამზადისში მთელი გული და სული აქვთ ჩადებული, — როდესაც ყოველივე კარგად წარიმართება, დიდ სიხარულს გრძნობენ. ასეთივე სულიერ სიხარულს გრძნობს მმარხველი ადამიანის გული სადღესასწაულო დღეებში — გრძნობს, რომ მისი გული სავსეა, რადგან მან ის მარხვითა და ლოცვით განწმინდა და მისი გული უფალმა შეავსო. ■



შობის ჯადოსნური ღამე

ახალი წლის დღეებმა ჩაი- არა... თუ ახალ წელს საყვარელ მამაკაცთან ერთად ვერ შეხვდი, ნუ იდარდებ, ყველაფრის გამოსწორება შეიძლება — შობის ზღაპრული ღამე ხომ ჯერ კიდევ წინ არის?! საზეიმო განწყობილებას ახლავს რაღაც განსაკუთრებული და მიმზიდველი, რაც სულს სასიამოვნო მოლოდინით ალაგებს. ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს. აი, რა მოხდება რეალურად, ეს უკვე შენზეა დამოკიდებული. შეყვარებული ადამიანი ხომ ამ დროს სასწაულის მოლოდინშია...



მის მოსვლას. შენ უნდა შეძლო მისი მონუსხვა ერთი შეხედვით, უნდა აგრძობინო შენი თამამი სურვილები. ამ დროს ფანტაზია უსაზღვრო უნდა იყოს — შობის ღამე ხომ განსაკუთრებულია...

ცხოვრება მშვენიერია, განსაკუთრებით მაშინ, როცა შეყვარებული ხარ. საღამო მოგონებებით დაიწყე — გაიხსენეთ, როგორ გაიცანით ერთმანეთი, როგორ გააკოცა პირველად, როგორ აგისხნა სიყვარული... ელპარაკე მას არა მხოლოდ სიტყვებით, არამედ სხეულთაც. შეეხე, დროდადრო გადაიხარე მისკენ და ვნებიანად უჩურჩულე ყურში რაიმე სასიამოვნო. ეცადე, უყურო თვალებში. უნდა მიხვდეს, რომ მთელ ქვეყანას გირჩენია ის, ვისაც ამწუთას ხედავ. შენს სიტყვებში მან ნამდვილი ლტოლვა უნდა იგრძნოს. არ არის აუცილებელი უხვსიტყვაობა, ხშირად ერთი, გრძობით ნათქვამი სიტყვა მთელი მონოლოგის ტოლფასია, ოღონდ გააჩნია, როგორ წარმოთქვამ...

შენ ის გიყვარს, მასაც უყვარხარ, თქვენს ცხოვრებაში საკმარისადაა თვებრუდამხვევი ვნებათაღელვა, თუმცა სიახლე და ორიგინალობა არ განწყენდათ.

იყო ნამდვილი ქალი — ნიშნავს იყო ამოუცნობი და იდუმალებით აღსავსე. მხოლოდ ასე იქნები შენი რჩეულისთვის საინტერესო და მუდამ სასურველი.

მოიწყვეთ ღაუჭიყვარული, როგანტიკული საღამო

არომატული სანთლები, მსუბუქი კოქტეილი, აბრეშუმის თეთრეუ-

ლი და რომანტიკული მუსიკა... — ეს ყველაფერი ინტიმური შეხვედრის აუცილებელი ატრიბუტია.

ნუ გააჩახახახებ ოთახს ნათურებით. ანთე ბრა, შეაფრქვე სასიამოვნო არომატი ჰაერში, გააწყვე სუფრა ტკბილეულით და დაელოდე

მაკიაჟი საღამოს ცვლადობისთვის

მსუბუქი და ბუნებრივი — ასე გამოიყურება დღის მაკიაჟი. გარდა ამისა, ადვილია დღის მაკიაჟის ზემოდან საღამოს მაკიაჟის გაკეთება.



თუ აქცენტის გაკეთება თვალებზე გსურთ, მის გარშემო მიდამოები მზინავი პუდრით გამოკვეთეთ. ნაისვით მუქი-ნაცრისფერი ჩრდილი თვალის ზედა ქუთუთოს გარე კუთხეში და ქუთუთოს ნაკეცში. აგრეთვე შეგიძლიათ გამოიყენოთ მუქი-მწვანე ან ლურჯი ჩრდილები.

შემდეგ გაიკეთეთ თვალის კონტური. თუ დიდი თვალის ჭრილი გაქვთ, მაშინ თვალის ფანქარი ქვედა ქუთუთოს შიდა მხარეს ნაისვით. სხვა შემთხვევაში — კონტური ნამწამების გაყოლებაზე გაატარეთ.

თუ აქცენტის გაკეთება თვალებზე არ გსურთ, მაშინ გამოკვეთეთ ტუჩები — უმჯობესია, მყვინთა ფერის პომადით. კონტური გაიკეთეთ პომადაზე ერთი ტონით მუქი ფერის, სპეციალური ტუჩის ფანქრით.

საშობაო კოქტეილი



დაზმირღებათ: 20 მლ შამპანური, 20 მლ თეთრი ღვინო, 10 გ დაფქული ნუში, 50 მლ ლიქიორი, 5 მლ კონიაკი. ამ ყველაფერს დაუმატეთ ახალი (ან დაკონსერვებული) ხილი და ყინული, კარგად ათქვიფეთ და შედგით მაცივარში.



ფერთა პალიტრა - სხლის ხასიათი

ფერები ადამიანის განწყობილებაზე გავლენას რომ ახდენს, ყველასთვის ცნობილია. ამ ეფექტს დიზაინერები ინტერიერის გაფორმების დროს იყენებენ. ფერების მეშვეობით შეგიძლიათ შეცვალოთ ოთახის სიმეტრია, თქვენ წარმოიდგინეთ, ტემპერატურაც — გახადოთ ის თბილი ან ცივი ტონალობის; ასევე — ვიზუალურად გაუზარდოთ მოცულობა ან შეიქმნათ პატარა მყუდრო სივრცე და ა.შ.

ფერი და მისი აქცია

რამდენი ადამიანიც არსებობს, იმდენნაირივეა გემოვნებაც და ეს გემოვნება დროთა განმავლობაში იცვლება. ახალგაზრდებს ხალისიანი, მკვეთრი ფერები მოსწონთ, ასაკოვნები კი — თბილ პასტელის ტონებს ანიჭებენ უპირატესობას.

მყვირალა ფერები უყვართ ენერგიულ, კონტაქტურ ადამიანებს. მუქი, დამამშვიდებელი ფერები უფრო სიმშვიდის მსურველი, ან მარტოხელა ადამიანების არჩევანია. ასევე ცნობილია, რომ რაც უფრო მაღალინტელექტუალურია პიროვნება, მით უფრო რთული ტონალობები მოსწონს.

ფერის შერჩევა ინტერიერისთვის ძალიან რთულია და ამიტომ კარგი იქნება, მხოლოდ საკუთარ შეხედულებებს თუ არ დაეყრდნობით. სასურველია, გაითვალისწინოთ ოჯახის წევრების გემოვნებაც, მათი ასაკი და ისე გააკეთოთ არჩევანი. მაგალითად, ნითელი ფერი, უმეტესწილად ცუდად მოქმედებს ხანდაზმულებზე; არცთუ იშვიათად, იწვევს თავის ტკივილს, უძილობასა და აგრესიას.

ვირჩევთ პალიტრას...

მყუდრო ინტერიერის შესაქმნელად, ავეჯი კარგად უნდა ეხამე-



ბოდეს კედლების ფერს. ამიტომ აუცილებელია, წინასწარ გქონდეთ შერჩეული, თუ როგორი იქნება ავეჯი, კედლის სურათები. კაბინეტისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ კონტრასტული ფერები: თეთრი კედლები, შავი ავეჯი; დაკიდოთ მყვირალა პოსტერები კედელზე. ამასთანავე, მცირედი ნითელი ტონის შეტანა ინტერიერში (აპლიკაციები, სკამი ან პატარა დივანი) აცოცხლებს ოთახს და სამუშაო განწყობილებას ქმნის. სამუშაო განწყობილების შესაქმნელად ასევე კარგია ლურჯი ფერი და მისი ვარიაციები.

საძინებლისთვის აირჩიეთ დამამშვიდებელი პასტელის ფერები (ღია ყვითელი შესამებული ყავისფერთან; ანდა ცისფერი ან მწვანე შესამებული თეთრთან ან ღია ყვითელთან).

მყვირალა, კონტრასტული ფერები ბავშვის ფსიქიკაზე არცთუ დადებითად მოქმედებს — ის შეიძლება ძილის წინ გაჭირვებულდეს და შესაბამისად დაძინებაც გაუძნელდეს. ამიტომ მისი ოთახი უშეკრებელია, გააფორმოთ მშვიდი პასტელის ფერებით. ღია ლიმონისფერს დამამშვიდებელი, ამავედროულად გამამხნეველი ეფექტიც აქვს, ამასთან ერთად, გაზაფხულის ასოციაციას იწვევს.

მისაღებში კი შეგიძლიათ ფანტაზიას ფართო გასაქანი მისცეთ: მაგალითად, ერთი კედელი შელემოთ მკვეთრ ფერად, დანარჩენები — მშვიდ ფერებში. სხვადასხვა ფერის კედელი არ ტვირთავს ოთახს, პირიქით — საკმაოდ ორიგინალურად და ჰარმონიულადაც გამოიყურება.

ფერები და არქიტექტურა

პატარა გეგმებით თქვენი ბინა? — გადაღებთ ღია ფერებში და ვიზუალურად ოთახის სივრცე გაიზარდება. ბნელი ოთახის კედლები ყვითლად ან ოქროსფერად შეღებეთ: ოთახი განათდება და უფრო „თბილი“ გახდება.

ცისფერი კი „გააგრილებს“ თქვენს ოთახს — მით უფრო, თუ ფანჯრები აღმოსავლეთ მხარეს გადის, საიდანაც მზე მთელი დღის მანძილზე ანათებს.

რაც შეეხება თეთრ კედლებს, ისინი ქალაქის სუფთა ფურცელივითაა, რომლის ფონზეც შესაფერისი ავეჯისა და აქსესუარების დახმარებით შეგიძლიათ მოიწყოთ სხვადასხვა — თქვენთვის სასურველი სტილის ინტერიერი. ასე რომ, მიეცით ფანტაზიას გასაქანი!

ღორის კუჭმაჭი

საჭირო პროდუქტები:

- 1 კგ კუჭმაჭი;
- 2-3 თავი ხახვი;
- 2 ჩ/ჭ ნიგოზი;
- 5-6 ძირი ქონდარი;
- 2 კბილი ნიორი;
- 1 ცალი ბროწეული;
- ყვითელი ყვავილი, წინაკა, ქინძი, სუნელები — გემოვნების მიხედვით.



მოზადების წესი:

კუჭმაჭი კარგად გარეცხეთ, გაასუფთავეთ, ჩაყარეთ წყალში და ხარშეთ. შემდეგ გააცივეთ, მოხარშული ხორცი დაჭერით წვრილად. დაუმატეთ წმინდად დაჭრილი ხახვი, ქონდარი. ცალკე დანაყეთ ნიგოზი, წინაკა, ყვითელი ყვავილი, ქინძი, სუნელი, ნიორი, მარილი. ყველაფერ ამას დაასხით ბულიონი, დაუმატეთ გემოვნების მიხედვით მწარი და აურიეთ მოხარშულ კუჭმაჭში. თუკი გამზადებული კერძი ზედმეტად მშრალი მოგეჩვენებათ, დაუმატეთ ბულიონი. სუფრაზე მიტანის წინ, მოაყარეთ ბროწეულის მარცვლები.

რუბრიკა მოამზადა
ქაა გუნთაიშვილმა



უწმინდესის ლოცვა-კურთხევით გაკეთებული კითხილი საქმეები და სასულიერო პირის პოლიტიკური მოგონებები

დეკანოზი ელიზბარ ოდიშვილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ს ერთ-ერთი პირველი სტიქაროსანი გახლდათ და უკვე რამდენიმე ათეული წელია, ქაშუეთის ტაძარში მსახურობს. მისი თაოსნობით არაერთი ტაძარი აშენდა და აღდგა. ეროვნული მოძრაობის დროს ზოგიერთ გამოსვლაშიც მონაწილეობდა. მამა ელიზბარი სწორედ მაშინდელ მოვლენებს იხსენებს და ამავე დროს, თავისი ცხოვრების შესახებ გვიამბობს — როგორ გაიცნო მისი უწმინდესობა და როგორ გახდა მოძღვარი...

თამთა დაღუპული

— გასული საუკუნის ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან — ზვიად გამსახურდიასთან, მერაბ კოსტავასთან, გია ჭანტურიასთან, ზურაბ ჭავჭავაძესთან და სხვა დანარჩენებთანაც ახლო ურთიერთობა მქონდა. ზოგჯერ, ეკლესიების გასახსნელად ერთადაც

ბი იქ გადავიტანეთ და მაშინ შევპირდი, რომ გარდაცვლილთა სულების საოხად მთავრობას ტაძრის ზედა შესასვლელს გადავკეტებინებდი — სწორედ მაშინ ავაშენეთ ქაშუეთის წინა მხარე. ბოლომდე დამთავრებულიც არ იყო, რომ ძმათა შორის ომი დაიწყო. ხალხი სულეირად იყო გატყევილი და პატრიარქი ცდილობდა, ისინი ამ



გურამ პეტრიაშვილი გელევიმით უცხადებდა პატრიარქს, გამოსვალ თუ არ გამოსვალ, შენი კარიერა დასრულებულიაო

დავდიოდით. 9 აპრილს, მიტინგზე პატრიარქის გვერდით ვიდექი. იმ ხოცვა-ჟლეტის დროს, რუსთაველზე მეც ბევრჯერ ამცდა ნიჩაბი — ღმერთმა გადაამარჩინა. ის ღამე ტაძარში გავათენეთ, — ხალხის ნაწილი ეზოში შემოვიყვანეთ, ნაწილი კი ქვედა მხრიდან გაუშვიტით... დალუპულთა ფოტოები და ყვავილები კარგა ხანს იდო პარლამენტის წინ, მშობლები კი მათ გატანაზე არ თანხმდებოდნენ. მოვიხმე ისინი და დროშებითა და ჯვრებით ხელში სიონისკენ წავედით. სურათე-

მდგომარეობიდან გამოვეყვანა. ზოგი მონამლული იყო, ზოგი — ფსიქიკურად დაავადებული. თბილისი მოვიარეთ, რომ შეგვეთვალეოვებინა, სად შეიძლებოდა ახალი ტაძრების მშენებლობა დაწყებულიყო.

— სამოქალაქო ომზეც თქვენ თვალწინ ჩაიარა...

— გამსახურდიას დროს პატრიარქთან ერთად მოლაპარაკებებში მონაწილეობდი. სანამ ბრძოლა დაიწყებოდა, ოპოზიცია მთავრობას დათმობებზე წასვლას სთხოვდა. ზოგჯერ,

ღამის 3 საათზე უნდოდათ პატრიარქთან შეხვედრა; მეც სულ თან ვახლდი. პატრიარქს სთხოვდნენ, პრეზიდენტი გამხდარიყო და მას ემართა ქვეყანა, მაგრამ რა თქმა უნდა, წინააღმდეგი იყო... როცა კიტოვანმა ტელევიზიის შენობა დაიკავა, კაკო ასათიანმა მთხოვა, მის უწმინდესობასთან ერთად ოპოზიციასთან მოლაპარაკებაზე მივსულიყავი. ოპოზიციის ნაწილი დავითანხმე — დავარწმუნე, რომ ჯარი ტელევიზიიდან უნდა გამოსულიყო და სამაჩაბლოსკენ წასულიყო. მათ დოკუმენტს ხელი მოაწერეს, რომ პირობას შეასრულებდნენ. მაშინ ზვიადის მოძღვარიც იქ იმყოფებოდა. მართლაც, კიტოვანი თავისი ბიჭებით გორისკენ წავიდა. ამ დროს გამსახურდია პარლამენტის წინ გამოვიდა და თქვა, პუტჩისტებზე გავიმარჯვებ და მიდიანო. ეს რომ კიტოვანს უთხრეს, გაბრაზდა, გზიდან მობრუნდა და თბილისის ზღვაზე ავიდა. შემდეგ მათ პოლიციამ „დაარტყა“. ეს, ცოტა არ იყოს, არ მესიამოვნა — თუ მთავრობა მოლაპარაკებაზე მიშვებდა, რატომღა დაესხა თავს? ამის გამო მათ საქმეში აღარ ჩავერიე... ომის წინააღმდეგ ზვიადს კვლავ შევხვდი. მითხრა, მოლაპარაკებაზე მივიღვარო და პატრიარქთან წერილი გამატანა. თან დაცვის ბიჭები და რამდენიმე მინისტრი გამოიყვანენ. ისინი ამბობდნენ, ზვიადი მოლაპარაკებაზე არ წავაო. მე გამომიშვეს, მითხრეს, თავისუფალი ხარ, შენი საქმე უკვე გააკეთეო. რა მეთქვა? მღვდელი ვიყავი... ეს მოლაპარაკებაც არ შედგა. როცა ბრძოლა დაიწყო, ჩვენ ტაძრის კართან ვიდექით და ხალხის გაყვანა დავინწყეთ. კედლებს ახლაც ემჩნევა ტყვიების კვალი. ეკლესია დავეკეთეთ და წავედით. გახურებული ომი იყო, როცა ისევ თქვეს, მამა ელიზბარი მოლაპარაკებაზე წავიდესო. მე და მამა ზაქარია ძინძიბაძე წავედით. ერთ ხელში წერილი მეჭირა, მეორეში ჯვარი — არ მესროლოთ-მეთქი. ამ დროს მოსწავლეთა სასახლეში ადამია იჯდა, „თბილისი-მარიოტში“ — სიგუა-კიტოვანი; მთავრობის სახლში — გამსახურდია. ბუნკერში ჩავედი, სადაც გურამ პეტრიაშვილი ტელევიზიით უცხადებდა პატრიარქს, გამოსვალ თუ არ გამოსვალ, შენი კარიერა დასრულებულიაო. რომ დამინახეს, ზოგიერთმა ყვირილი ატყის: ამას აქ რა უნდა, პატრიარქის კაციაო. ზვიადთან შევედით, წერილი მივეცით და ვუთხ-



არით, სასწრაფოდ მოლაპარაკებაზე უნდა დავსხდეთ, თორემ ქალაქი თავზე გვენგრევავო. ზვიადმა გეთხოვა, იქნებ პატრიარქი დროშებით გამოვიდეს და ხალხი შეაჩეროსო. ავუხსენი, რომ საპატრიარქოში მხოლოდ მისი უწმინდესობა, 2 მღვდელი, მე და 10 მონაზო-

ამოვაგეთ, ეკლესია აღვადგინეთ და გადავხურეთ კიდეც. სხვათა შორის, მერე ის სახლებიც გადაწვეს, რომლებიც წესით, სამღვდლოებას ეკუთვნოდა, მაგრამ საერონი ცხოვრობდნენ. ნიკო ლევიშვილისა და ზურა ბიბილეიშვილის დიდი დამსახურებაა, ტაძრის ირგვლივ მდებარე ეზო ჩვენი საკუთრება რომ გახლავთ. სადაც სამრეკლოა, იქ ფოტოატელიეს აშენებას აპირებდნენ, უკან — რესტორნის...

— **პატრიარქთან ერთად ხშირად მოგზაურობდით. ამასთან დაკავშირებულ რაიმე ამბავს ხომ ვერ გაიხსენებთ?**

— ერთხელ, ასპინ-

დაგემტკიცებინათ, რომ იგი სომხების საკუთრებააო, მიუგო პატრიარქმა.

— **როგორი ცხოვრება განვლეთ, სანამ მოძღვარი გახდებოდით?**

— 1955 წელს, დუშეთის რაიონში დავიბადე — მართლმადიდებელ, მრავალშვილიან ოჯახში. 3 თვის რომ ვიყავი, დიდუბის ტაძარში მომნათლეს. ოჯახში 5 დედამიწვილი ვიზრდებოდით — 3 ძმა და 2 და. დაღმწინი ცხოვრება არ გვექონდა, მშობლებს მატერიალურად მე ვეხმარებოდი და სწავლის პარალელურად, არდადეგებსა თუ დასვენების დღეებში, სამუშაოდ თბილისში ჩამოვდიოდი. მამაჩემი ვაკის „ლოკომოტივის“ სტადიონის მშენებლობაში მონაწილეობდა და სხვათა შორის, იქვე სახლის ასაშენებელი ადგილიც მისცეს, მაგრამ მაინც დუშეთში ცხოვრებას ამჯობინებდა. ახალგაზრდობაში სპორტსმენი ვიყავი —



ზვიადმა გეთხოვა, იქნებ პატრიარქი დროშებით გამოვიდეს და ხალხი შეაჩეროსო

ნი ვიყავით და მისი ჩანაფიქრი არ გამოვიდოდა. წერილი არ გამოაქვეყნეს... უცნაური ამბებიც ხდებოდა — ერთ დღეს, საპატრიარქოში ორივე მხარის წარმომადგენლები მოვიდნენ, — ეკლესიიდან ვილაც ისვრისო. ამან ძალიან გაგვაოცა. ღამე მე და გუჯა ბურდული შესამონებლად მივედით. ყველა მხრიდან ისროდნენ, მე კი მანქანით დავდიოდი — გიჟი უნდა იყო, ასე რომ მოიქცე (იციინის). ეკლესიას შემოვუარე, საკეტები ისევ ისევ იყო, როგორც დავტოვეთ. შიგნით ვერავინ შეაღწევდა. იმ პერიოდში ეზოში კერძო სახლები იდგა, სადაც სამტრედიეები იყო და იქიდან ისროდნენ, ზოგს კი ეგონა, ქაშუეთში სატანაა დაბუდებული და გუმბათიდან ეშმაკები ისვრიანო. აიღეს ყუმბარები და ტაძარს ესროლეს. საბედნიეროდ, ჩემი სულიერი შვილების თანადგომით ნატყვიარებიც



ყველა მხრიდან ისროდნენ, მე კი მანქანით დავდიოდი — გიჟი უნდა იყო, ასე რომ მოიქცე

ძაში, ერთ-ერთი სასტუმროს დირექტორმა ერთი ადგილისკენ მიმითითა და მითხრა, აქ დიდი ეკლესიის აშენება მინდაო. ეს კი ჯერ მთავრობასთან და პატრიარქთან უნდა შეთანხმებულიყო. მის უწმინდესობასთან ერთად რომ ჩავედით, რაიკომის მდივანმა სუფრასთან უთხრა, ახალქალაქში რომ გვესტუმრებით, ვაზგენს შეგახვედრებთო. პატრიარქმა კი მიუგო: ვაზგენს თუ ჩემთან შეხვედრა უნდა, თბილისში, სიონის ტაძართან პატარა, მოკრძალებული სახლი მაქვს და იქ მოვიდესო. უნივერსიტეტის ერთი პროფესორი ადგა და მის უწმინდესობას უთხრა, სომხებს რომ ეკლესია არ დაენგრიათ, მე დავამტკიცე, რომ ის ეკლესია სომხური იყო. — ჯობდა, ის ეკლესია დაენგრიათ, ვიდრე თქვენ, პროფესორს, ისტორიულად

მორაგბე, მოჭიდავე; ფალანგთა კლუბში ვვარჯიშობდი, მაგრამ მენისკი გაჩინდა და თავი დავანებე. სამშენებლო-საბუღალტრო ფაკულტეტი დავამთავრე. შემდეგ 10 წლის განმავლობაში საავიაციო ქარხანაში ვმუშაობდი.

— **როდის გადაწყვიტეთ, სასულიერო პირი გამხდარიყავით? რამ მიგიყვანათ ტაძრამდე?**

— ჩემი და რომ დაიბადა, 7 დღე და ღამე თითქმის მკვდარი იყო. საავადმყოფოში გვიტხრეს, მის მკურნალობას აზრი არ აქვს, ვერ გადარჩება და შინ წაიყვანეთო. 1 კვირა სახლში გვეწვინა. მერე ასეთი რამ მოხდა: თეთრებში ჩაცმული 3 ადამიანი გამომეცხადა და მითხრეს, თუ იმას გააკეთებთ, რასაც გეტყვით, ბავშვი გადარჩებაო. მათი პირობა ასეთი იყო: ბავშვისთვის სახელი უნდა შეგვეცვალა, წმინდა სალოცავში საკლავითა






და ლამისთევით მივსულიყავით, სან-
თლები დაგვენთო. ეს ყველაფერი აღ-
ვასრულეთ. მართლაც, ამ ამბის შემ-
დეგ ბავშვი გამოკვთდა, წველების მიღე-
ბა დაიწყო და დღემდე არაფერს შეუ-

— ამავე პერიოდში, პარალელუ-
რად, ხუცურს, ძველ ქართულს ვსწავ-
ლობდი. მაშინ თბილისში მხოლოდ
13 მოქმედი ტაძარი იყო, წირვა-ლოცვა
კი რუსულ ენაზე მიმდინარეობდა —

ლიმე ტაძრის აღდგენა გვინდოდა,
მთავრობისთვის წერილობით უნდა
მიგვემართა და სანამ მოსკოვიდან დად-
გენილება არ მოვიდოდა, ხელს ვერ
ვახლებდით. ყოფილა შემთხვევები, რე-
გიონებში ღია ცის ქვეშ ჩამიტარებია
წირვა-ლოცვა, რომ ხალხი მომეზიდა.

**— გაგიჭირდათ პირველად წირ-
ვა-ლოცვის ჩატარება, ქადაგება?**

— თავს ცოდვილ ადამიანად მივ-
ჩნევ, რადგან ადრეული ბავშვობიდან
არ აღვზრდილვარ მონასტრული წეს-
ით. ვერ გეტყვით, რით მოვიზიდე
ამდენი მრევლი. ბევრს არ ვქადაგებ
ხოლომე — სათქმელს მოკლედ ვამბობ.
ადრე დროც არ მქონდა, რომ ქადაგე-
ბა მომეზადებინა, ეფრემისეული გა-
მომშვების სახარებიდან და სამოციქუ-
ლოდან უცებ თუ ამოვკრეფდი რამეს...
ქადაგება წინასწარ არასდროს დამი-
წერია. რთული პერიოდები გვექონდა
— ეკლესიის შემოსასვლელში მილი-
ცია იდგა და ყველას ამონებდა. მრევ-
ლს პარტიიდან ან სკოლიდან რიცხ-
ავდნენ. მასსოვს, პირველი სკოლიდან
ბავშვები მოდიოდნენ ხოლომე და სას-
ანთლებებს მწმენდნენ. ისინი ახლაც
დადინ ჩემთან, უკვე დიდი შვილები
ჰყავთ და მიხარია, როცა ვხედავ. ზო-
გიერთს შვილიც კი მოვუნათლე. ასე
ნელ-ნელა იკრიბებოდა ეს მრევლი,
პატარ-პატარა გოგო-ბიჭებით და მათი
დამსახურებაა, დღეს რომ ფეხზე ვდ-
გავარ. ყველაფერი ჩემი მრევლის წყა-
ლობით მაქვს — შესამოსელიც კი.
ყოფილა შემთხვევა, ფული არ გვექო-
ნია და ისეთ დროს გამოჩნდებოდა
ვინმე კეთილსინდისიერი ადამიანი,
როცა სულ არ ველოდი. ყოველთვის
უნწმინდესის ლოცვა-კურთხევით ვა-
კეთებდი ყველაფერს და ამ კურთხე-
ვას იმხელა ძალა ჰქონდა, რომ ვერ
აღგინერთ.



თითოეულ
ჩვენგანს
გვითვალთვალბდ-
ნენ. ქადაგება-
ში რამეს რომ
ვიტყოდით,
მოვიდოდნენ და
გვეკითხებოდ-
ნენ, ეს ასე
რატომ თქვი-
თო?

სიონშიც, ქაშუეთშიც, მა-
მადავითზეც. ვცდილობ-
დით, რუსული ქართულით
ჩაგვენაცვლებინა. როცა დი-
აკვანი გავხდი, წელიწად-
ნახევარი პატრიარქთან ერ-
თად ვმსახურობდი. შემდეგ
კი ქაშუეთის ეკლესიის
ღვთისმსახურად მაკურთხე-
ეს.

**— როგორ იყო მაშ-
ინდელი ეკლესიის ცხოვრე-
ბა?**

— ძალიან რთული. კო-
მუნისტების პერიოდში,
ვინმე უცხოელი რომ ჩამ-
ოვიდოდა, აქ ვერ ველა-
პარაკებოდით. თუ რაიმე
გვჭირდებოდა, ქალაქგარეთ
გაგვყავდა და ისე ვუუბნებოდით. პა-
ტრიარქის რეზიდენცია „ჩართული“
იყო — ისმინებოდა. თითოეულ ჩვენ-
განს გვითვალთვალბდნენ. ქადაგე-
ბაში რამეს რომ ვიტყოდით, მოვი-
დოდნენ და გვეკითხებოდნენ, ეს ასე
რატომ თქვითო? დაგვეკვდნენ, რამე
„ისეთი“ დაეჭირათ, რითაც ჩვენს „შერ-
ცხვენას“ შეეცდებოდნენ. გარდა ამისა,
ყველაფერი იბეგრებოდა. მთავრო-
ბისთვის ოფიციალური გადასახადი
უნდა მიგვეცა. დღესასწაულზე ტაძ-
არში დაგვისხდებოდნენ ხოლომე და
ითვლიდნენ, რა შემოსავალი შემოვი-
და. ხალხისთვის ფულის თხოვნა არ
შეიძლებოდა — გვიჩვილებდნენ.
ვინმეს ერთდოლარიანი რომ შე-
მოენირა, ვერ გამოვართმევდით, შეი-
ძლებოდა, დავეჭირეთ. როცა რომე-

წუხებია... გარდა ამისა, ბიძაჩემი (დე-
დის ძმა) კომუნისტური პარტიის წევრი
იყო, ნაომარიც, მაგრამ ამავე დროს,
ძალიან მორწმუნეც. მას რომ ვუყურებ-
დი, რწმენა სულ უფრო მიძლი-
ერდებოდა.

**— სად და რა ვითარებაში
გაიცანით მისი უწმინდესობა?**

— რალაც პერიოდი დიდუბეში
ვცხოვრობდით, ბიძაჩემის სახლსა და
ტაძარში ხშირად დავდიოდით. ქარხ-
ანაში კარგი ხელფასი მქონდა — 600
მანეთი, რაც მაშინ დიდი ფული იყო.
თან მშენებლობაზე ზედამხედველი
ვიყავი. იქ ჩემი ნათესავი, რომელიც
ბიძად მეუუთვნოდა, „პრარაბი“ იყო.
გადახურვა რომ მიმდინარეობდა, ის
ზემოთ იდგა, შენობა ჩამოინგრა და
ბიძაჩემს ხერხემალი დაუზიანდა. 1
თვის განმავლობაში მას ვცვლდით და
მამა ღვთისო შალიკაშვილმა სწორედ
იქ მნახა. ის ამ დროს პატრიარქის
მძღოლი და დიაკვანი გახლდათ.
მითხრა, ჩვენთან იარე, სიონის ტაძ-
არშიო და პატრიარქთან მიმიყვანა.
მაშინ პატრიარქის პატარა, 2-სართუ-
ლიანი რეზიდენცია სიონთან იყო.
მისმა უწმინდესობამ მაკურთხა და
სტიქაროსნად შემოსა, თავისი მი-
ტრა, შესამოსელი ჩამაბარა. ტაძარში
ბევრ საქმეს ვუძღვებოდი, ხალიჩებ-
საც კი ვწმენდდი. თუ სადმე ელექტრო-
გაყვანილობის აღდგენა იყო საჭირო,
იმასაც ვაკეთებდი, ზოგჯერ დაცვა-
შიც ვრჩებოდი. პატრიარქს ისე დაყვებ-
ოდი, როგორც სტიქაროსანი და თუ
სადმე გადაადგილება სჭირდებოდა,
ჩემი მანქანით მივდიოდით.

**— როდის დაიწყეთ სასულიერო
ლიტერატურის შესწავლა?**



ყოველთვის
უწმინდესის
ლოცვა-
კურთხევით
ვაკეთებდი
ყველაფერს
(აჭარა, 1989
წლის მაისი)



რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარბიშვილი

მკურნალი ფანჯრის რაფიდან

საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს, რომ ბევრი მცენარე სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა, მაგრამ რატომღაც გვგონია, რომ ეს მხოლოდ ველურ ფლორას ეხება. ოთახის მცენარეებიდან უმრავლესობას ალოესა და სურდოს სანინალმდეგო კალანკოეზე თუ სმენია რამე. სინამდვილეში, ოთახის ყვავილების მოქმედების სპექტრი ძალიან დიდია.

ფიკუსი

ფიკუსს გასული საუკუნის 60-იანი წლების სიმბოლოც კი შეიძლება ვუწოდოთ: იგი ოჯახში სიმშვიდისა და კეთილდღეობის მომტანად მიიჩნეოდა. დღეს, ფიკუსი კვლავ „მოდაში შემოვიდა“ და მარტო ინტერიერის მნიშვნელოვანი დეტალი კი არა, ნამდვილი, მწვანე „ფიტოთერაპევტიცაა“.

თუ ფიკუსს კარგად მოუვლით, „ვალში არ დაგრჩებათ“. მას ბევრი დაავადების მორჩენა შეუძლია. ხსნის ანთებასა და ტკივილს, ასტიმულირებს ლაქტაციას და სხვა მრავალ „კეთილ საქმეს“ ემსახურება.

ბრონქული ასთმისა და ხველის დროს: ფიკუსის 2 დიდი ფოთოლი 2-3 წუთით მდულარე წყალში ჩადეთ. როცა შეგრილდება, ცხელ არაყში დასველებულ მარლაში ცალ-ცალკე შეახვიეთ. ერთი ფოთოლი გულმკერდზე დაიდეთ, მეორე — ზურგზე და შალის თავშლით გადაიხვიეთ. ასეთი პროცედურა ყოველდღიურად (უმჯობესია, ძილის წინ), მდგომარეობის გაუმჯობესებამდე ჩაიტარეთ.

მასტობათისა და საშვილოსნოს მიომის დროს დამატებითი მკურნალობის სახით: ფიკუსის 2-3 ფოთოლი ხორცის საკვებ მანქანაში გაატარეთ, მარლაში ჩადეთ და წვენი გამოწურეთ; დაამატეთ თავლი გემოვნებით და მიღებული მასა მაცივარში შეინახეთ. მიიღეთ: 1 ჩ/კ დღეში ერთხელ (დილას ან საღამოს),



ჭამამდე 1/2 საათით ადრე. მკურნალობის კურსი 1 კვირაა. 2-დღიანი შესვენების შემდეგ შეგიძლიათ კურსი გაიმეოროთ.

საშვილოსნოს მიომის დროს კარგ სამკურნალო ეფექტს იძლევა ფიკუსის ნაყენი: ფიკუსის 2-3 ფოთოლი დააქუცმაცეთ, 1 ჩ/ჭ არაყი დაასხით, მოათავსეთ მუქი ფერის მინის ქილაში, თავი მჭიდროდ დაახურეთ და 2 კვირით მაცივარში შეინახეთ. შემდეგ გაფილტრეთ, დაამატეთ 1 ჩ/კ თავლი და გულდასმით გადაურიეთ. ეს მასა ხელის მსუბუქი მოძრაობით მუცლის ქვედა ნაწილში შეიზილეთ, რის შემდეგაც თქოები შალის თავშლით შეიხვიეთ. პროცედურა დღეში ერთხელ (სასურველია ძილის წინ) ჩაიტარეთ. მკურნალობის კურსი 10-14 დღე შეადგენს.

ლაქტაციის გამძლიერებელი: ნატეს შაქარზე 4-5 წვთი ფიკუსის წვეთი დაანვეთეთ და ნელ-ნელა წუნეთ. 30-60 წუთის შემდეგ მიირთვით ბანანი. ასე გააკეთეთ დღეში 1-2-ჯერ, მდგომარეობის გაუმჯობესებამდე.

ართროზის დროს: ფიკუსის 2 ქვედა ფოთოლი ცივ, გამდინარე წყალში გარეცხეთ, ქალაღის ხელსახოცით გაამშრალეთ და როდინში ან სანაყში დააქუცმაცეთ. „სამმაგი“ („ტრონილი“) ოდევკოლინი დაასხით, ორი კვირით ბნელ ადგილზე მოათავსეთ და ყოველდღიურად ურიეთ. შემდეგ გაფილტრეთ. ეს ნაყენი მსუბუქი მოძრაობით მტკივნეულ სახსარში შეიზილეთ და შალის თავშლით შეიხვიეთ. ასეთი კომპრესი საღამოობით გაიკეთეთ. მკურნალობა მდგომარეობის გაუმჯობესებამდე განაგრძეთ (2-3 კვირა).

რადიკულიტისა და სახსრების ტკივილის დროს: ფიკუსის ერთი საშუალო ზომის ფოთოლი ხორცის საკვებ მანქანაში ან სანაყში დააქუცმაცეთ, დაასხით 1/2 ჩ/ჭ არაყი, 2 კვირით სიბნელეში გააჩერეთ, შემდეგ 2 ფენა მარლაში გაფილტრეთ, მუქი ფერის მინის ბოთლში ჩაასხით და მაცივარში შეინახეთ. მოხმარების

წინ ნაყენი უნდა შეათბოთ, მაგრამ არა ცეცხლზე, არამედ ცხელი წყლის ნაკადის ქვეშ. დაძინებამდე 1 საათით ადრე სუფრის ან ზღვის მარილიანი (სახსე აბაზანაზე 200 გ მარილი) ცხელი წყლის აბაზანა (39-გრადუსიანი) მიიღეთ, შემდეგ მტკივნეული ადგილი ფიკუსის ნაყენით დაიზილეთ და თბილად, შალის თავშლით შეიხვიეთ. მკურნალობის კურსია 10 დღე.

კბილის ტკივილი: აურიეთ 1 ჩ/კ ახალგაშობილი ფიკუსის წვენი და 3 ს/კ 70-%-იანი სამედიცინო სპირტი და მაცივარში გააჩერეთ 2 დღე. კბილის ძლიერი ტკივილის დროს ეს ნაყენი აკურატულად ჩაიწვეთეთ კბილის ღია ღრუში ან ნაყენი გააზავეთ ცხელ წყალში (38-39-გრადუსიანი) პროპორციით 1:3 და დღეში 5-ჯერ გამოივლეთ პირში, 2-3 წუთის განმავლობაში.

მეჭექების დროს: ფიკუსის წვენი და ძმრის ესენცია ერთმანეთში 2:1 პროპორციით აურიეთ. პლასტიკის პატარა ნაჭერი შუაში მეჭექის ზომაზე ამოჭერით, დაიდეთ მასზე (გარშემო სალი კანი რომ არ დაზიანდეს) და დაიწვეთეთ უშუალოდ მეჭექებზე 1-2 წვეთი ფიკუსის ძმარი. 5-10 წუთის შემდეგ წყლით ჩამოიბანეთ. ეს პროცედურა ჩაიტარეთ დღეში ერთხელ, მეჭექის სრულ გაქრობამდე.

ყურადღებოთ!!! მიიჩნევა, რომ ფიკუსი ძნელად ხარობს ადამიანებთან, რომელთაც სასუნთქი სისტემის მხრივ პრობლემები აქვთ. მისი მეზობლობა არასასურველია მათთვის, ვისაც ქრონიკული დაღლილობის სინდრომი და დაბალი წნევა აწუხებთ.

ბალზიფოთოლა (პალარკონია)

პელარგონიას უწოდებენ ბოტანიკოსები ლამაზ, ბალახოვან ბუჩქს, ბურთისებური ფოთლებითა და მსხვილი, სხვადასხვა ფერის (თეთრი, ვარდისფერი, მკვეთრი ნიღელი და ცისფერი) ყვავილებით.

ვარდისფერი ბალზიფოთოლა უფრო ახალგაზრდა გოგონას ან მოხუცებულის ოთახს დაამშვენებდა და მათ დადებითი ემოციებით აავსებდა. ნითელყვავილიანი მცენარე შუახნის ადამიანებსა და ახალგაზრდებს შეუხარჩუნებს ჯანმრთელობასა და სულიერ წონასწორობას; თეთრი კი ემოციურ (ფეთქებადი ხასიათის მქონე) მამაკაცებსა და მოზარდებს უფრო თავდაჯერებულს გახდის.

ყურადღებოთ!!! შინაგანი მიღებისთვის ბალზიფოთოლას ფესვებსა და ფოთლებსგან დამზადებულ ნაყენსა და ნახარშს გამოიყენებენ. ფოთლები



და ფესვები შემოდგომასა და გაზაფხულზე, მცენარის გასხვლის პერიოდში უნდა მოიკრიფოს. ალსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი სამკურნალო თვისებების მქონე წითელყვავილიანი მცენარეა (მას გერანსაც უწოდებენ).

დამტკიცებულია, რომ ბალბიფოთოლა ადვილად ერევა მიკრობებს, მისი არომატი თავის ტკივილს ამცირებს, ხსნის დაღლილობას და არეგულირებს ძილს. იტალიელი მეცნიერების აზრით, პელარგონიას ბინაში არასასურველი ენერგეტიკული ზონების განმუხტვის უნარი აქვს.



ხალხურ მედიცინაში ბალბიფოთოლას პრეპარატებს ფალარათის, დიხენტერიის, თირკმლების დაავადების, რევმატიზმისა და პოდაგრის დროს იყენებენ. აგრეთვე ცნობილია, რომ მას აქვს სისხლდენის შემაჩერებელი და თირკმლებში კენჭის დაშლის უნარი.

გერანის ზეთი მრავალი დაავადების სამკურნალო საშუალებაა. მის დასამზადებლად, ერთ მუჭა დაქუცმაცებულ ფოთოლს დაასხით თბილი ზეთის ზეთი, პროპორციით — 2:5. გადაიტანეთ მუქი ფერის მინის ბოთლში და 2 კვირით მაცივარში დადეთ, შემდეგ რამდენიმე ფენა მარლაში გაფილტრეთ (არ უნდა დარჩეს ფოთლების სულ მცირე ნამცეციც კი).

ყურადღებით!!! ბალბიფოთოლას ზეთის მომზადებისას აუცილებელია შემდეგი წესების დაცვა:

1. გერანის ფოთოლი ადრე გაზაფხულზე, ყვავილობის დაწყებამდე უნდა მოიკრიფოს;
2. ზეთის დასამზადებლად მხოლოდ მცენარის წვეროდან მოკრეფილი, ქორფა ფოთლები გამოიყენება;
3. ბალბიფოთოლა წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ყვაოდეს; მიიჩნევა, რომ სწორედ სამკურნალო თვისებებით მდიდარი მცენარეა.
4. დამზადებული ზეთი აუცილებლად მაცივარში უნდა ინახებოდეს.

ბრიჩქელი ძთმის გართულებისა: მიიღეთ თითო-თითო ჩ/კ ზეთი დღეში 2-3-ჯერ, ჭამამდე. მას პიტნის ან ბარამბოს ჩაი (თუ ამ მცენარეებზე ალერგია არ გაქვთ) უნდა დააყოლოთ. მკურნალობის კურსი 14 დღეა. აუცილებლობის შემთხვევაში ორდღიანი შესვენების შემდეგ კურსი შეგიძლიათ გაიმეოროთ.

პლევრის დროს: ზეთი ფილტვების საპროექციო არეში (ზურგსა და გულმკერდზე) შეიზილეთ, შემდეგ შალის თავშლით შეიხვიეთ, ლოგინში ჩაწეით და თბილი საბანი დაიფარეთ.

გასტრიტის, კოლიტისა და ფალარათის დროს: 1 ს/კ დაქუცმაცებულ ბალბიფოთოლას 1 ჩ/ჭ მდულარე წყალი დაასხით, დაბალ ცეცხლზე ან ცხელი წყლის აბაზანაზე 3-5 წუთი გააჩერეთ, 1 საათის განმავლობაში გასაცივებლად დატოვეთ და შემდეგ განურეთ. მიიღეთ სრულ გამოჯანმრთელებამდე, თითო-თითო ს/კ დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 15-20 წუთით ადრე.

ფურუნკულების, პატარა ქროლოებისა და წყლულების სამკურნალოდ: 2 ჩ/კ დაქუცმაცებულ გერანის ფოთლებს 1 ჩ/ჭ მდულარე წყალი დაასხით, დაბალ ცეცხლზე 6-7 წუთი ადულეთ და გაგრილების შემდეგ გაფილტრეთ. გამოიყენეთ დაზიანებული კანის ჩამოსაბანად და მასზე კომპრესის გასაკეთებლად.

შუფხორცხელი, ტროპიკული წყლულისთვის კრემი: 2 წილ გერანის დაქუცმაცებულ, ნედლ ფოთლებს შუფრით 3 წილი საბავშვო კრემი ან გამდნარი ლორის ქონი. ნაისვით დაზიანებულ ადგილზე ყოველდღე. კრემი შეინახეთ მაცივარში, არა უმეტეს, 1 კვირისა.

ორგანიზმიდან რადიონუკლიდების გამოყვანა: 1 ჩ/კ წითელყვავილიანი ბალბიფოთოლას დაქუცმაცებულ ფოთლებს დაასხით 1 ჩ/ჭ მდულარე წყალი, გააჩერეთ 10-15 წუთი, შემდეგ გაფილტრეთ. მიიღეთ 2-3 ს/კ ნაყენი, 3-4-ჯერ დღეში. მკურნალობის კურსი უნდა იყოს არანაკლებ 1 თვისა.

სამწვერა ნერვის ანთების სამკურნალოდ: მონყვიტეთ ბალბიფოთოლას რამდენიმე მწვანე ფოთოლი, მტკივნეულ ადგილზე დაიდეთ, ნახვევით დააფიქსირეთ და შალის ნაჭრით შეიხვიეთ. 2 საათის განმავლობაში 2-3-ჯერ შეცვალეთ ფოთოლი ახლით. ამ პროცედურის ჩატარება ყოველი შეტევის დროს შეგიძლიათ.

მარლების დაგროვების დროს: 1 ს/კ დაქუცმაცებულ ბალბიფოთოლას ფოთლებსა და ლეროს 1 ჩ/ჭ

მდულარე წყალი დაასხით, ნელ ცეცხლზე 5 წუთი ადულეთ, შემდეგ გაფილტრეთ. მიიღეთ 1-2 ს/კ სადილობის დროს.

საშვილოსნოს ყელის ეროზიის დროს დამატებითი მკურნალობის სახით: 2 ს/კ ბალბიფოთოლას დაქუცმაცებულ ფოთლებს დაასხით 1/2 ჩ/ჭ ცივი, გადადულებული წყალი, გააჩერეთ 2 საათი და შემდეგ გაფილტრეთ. ეს ნაყენი მიიღეთ დღის განმავლობაში, მცირე ულუფების სახით; ასევე გამოიყენეთ შესასხურებლად. მკურნალობა განაგრძეთ მდგომარეობის გაუმჯობესებამდე.

დეპრესიისა და დაღლილობის დროს: დილა-სალამოს, 10-15 წუთის განმავლობაში დაჯექით ბალბიფოთოლას სიხლოვეს და დატკბით ყვავილის სილამაზით.

გამელოტებისა: 2 ს/კ დაქუცმაცებული ბალბიფოთოლას ფოთლებსა და ლეროებს დაასხით 0,5 ლ მდულარე წყალი, 4-5 წუთის განმავლობაში ადულეთ დაბალ ცეცხლზე, გააჩერეთ 15-20 წუთი და შემდეგ გაფილტრეთ. შეიზილეთ ნაყენი თმის ძირებში კვირაში 3-4-ჯერ. სასურველია, თუ ამ პროცედურას ძილის წინ ჩაიტარებთ. მკურნალობის კურსი 2 კვირას შეადგენს.

ყურადღებით!!! პელარგონიის ზეთმა შეიძლება მგრძნობიარე კანი გააღიზიანოს. ამიტომ ამ მცენარისგან დამზადებული პრეპარატის დიდი ხნის განმავლობაში მიღება არ ღირს. ასევე არ არის მათი მოხმარება რეკომენდებული 6 წლამდე ბავშვებისთვის. გარდა ამისა, პროცედურის დაწყებამდე უნდა დარწმუნდეთ, რომ ამ მცენარეზე ალერგია არ გაქვთ.

ტრადესკანცია (ჭორბანა)

60-იან წლებში ოჯახებში ყველაზე „მოდურ“ მცენარედ ტრადესკანცია მიიჩნეოდა. მისი ნახვა თითქმის ყველა ბინისა და დაწესებულების ფანჯრის რაფაზე შეიძლებოდა. მას ხალხი ჭორბანას (ჭორიკანას) უწოდებს ლამაზი, ერთმანეთში გადაგრეხილი, ქვემოთ ჩამოშლილი ლეროების გამო. ტრადესკანცია პოპულარობა მარტო სილამაზის კი არა, უპრობლემო „ხასიათის“ გამოც მოიპოვა. ის არაწვეულებრივად გრძნობს თავს მზიან ფანჯრის რაფაზეც და ჩრდილშიც. ჭორბანა განსაკუთრებულ მოვლას არ საჭიროებს. მთავარია, ქოთანში მინა ყოველთვის სველი იყოს.

მცენარის დადებით ენერგეტიკას სახლში სიხარული და ხალისი მოაქვს, ადამიანებს ცუდი ფიქრებისა და შეგრძნებებისგან იცავს. უმჯობესია, ტრადესკანცია საძილე ოთახში მოათავსოთ — გაღვიძებისთანავე არაჩვეუ-



ლებრივ ხასიათზე იქნებით. ტრადესკანციის ფოთლების წვენი არაჩვეულებრივი ანტიბიოტიკია, აქვს ქრილობის შემასორცებელი და ანტიდიაბეტური მოქმედებაც.

ღიაბეტის დროს (დამატებითი მკურნალობის სახით): 2 ს/კ დაქუცმაცებულ ტრადესკანციას ფოთლებს 1 ჭიქა მდულარე წყალი დაასხით, გააჩერეთ 1 საათი და შემდეგ გაფილტრეთ. მიიღეთ 1/3 ჩ/ჭ ნაყენი დღეში 3-ჯერ, ჭამამდე. მკურნალობის კურსია 3-4 კვირა. ერთთვისანი შესვენების შემდეგ შეგიძლიათ, კურსი გაიმეოროთ.

ტუბერკულოზისას: 3 ს/კ დაქუცმაცებულ ტრადესკანციას ფოთლებსა და ლეროებს 1/2 ჭიქა ცივი, გადადუღებული წყალი დაასხით, გააჩერეთ 2 საათი, შემდეგ გაფილტრეთ. ფილტრზე დარჩენილი მასა ხორცის საკეპში გაატარეთ და წვენი გამოწურეთ. მიიღეთ თითო-თითო ს/კ ჭამამდე, 3-ჯერ დღეში. ყოველდღიურად ახალ-ახალი წვენი მოამზადეთ. მკურნალობის კურსია 1 თვე. საჭიროების შემთხვევაში, 2-კვირიანი შესვენების შემდეგ კურსი გაიმეორეთ.

კუჭის წყლულის დროს (დამატებითი მკურნალობის სახით): 3 ს/კ ტრადესკანციას დაქუცმაცებულ ფოთლებს 1 ჭიქა არაყი დაასხით, დააყენეთ ბნელ, გრილ ადგილას 1 კვირა, შემდეგ გაფილტრეთ. მიიღეთ ნაყენი დესერტის კოვზით, დღეში 2-ჯერ, ჭამამდე 1 საათით ადრე. მკურნალობის კურსია 7-10 დღე.



ანგინის, გაცივებისა და გრობის პროფილაქტიკის მიზნით: 2 ს/კ ჭორტანას დაქუცმაცებულ ფოთლებსა და ლეროებს 0,5 ლ ადუღებული წყალი დაასხით, ნელ ცეცხლზე 2-3 წუთი ადუღეთ, 2 საათი გააჩერეთ, შემდეგ კი გაფილტრეთ. ეს ნაყენი გამოივლეთ ყელში და გამოირეცხეთ ცხვირის ღრუ დღეში 5-ჯერ, სრულ გამოჯანმრთელებამდე.

პარადონტოზის დროს: ღრძილებში ყოველდღიურად შეიზილეთ ჭორტანას ფოთლების ნაყენი.

მცირე ზომის ქრილობის, ნაკანრის, ნახეთქების, ჩირქგროვებისა და თრომბოფლებიტური წყლულების სამკურნალოდ: ჩამოიბანეთ დაზიანებული უბანი, დაადეთ კარგად გარეცხილი და დასრესილი ჭორტანას ფოთოლი და შეიხვიეთ. ნახვევი შეიცვალეთ ყოველ მეორე დღეს, სრულ გამოჯანმრთელებამდე.

კოყრების („მაზოლი“) სამკურნალოდ: ჭორტანას ფოთოლი კოყრზე დაიდეთ და პლასტირით დაიმაგრეთ. როცა ფოთოლი გაშრება, ახლით შეცვალეთ.

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

თქვენი ოჯახის მკურნალი



www.mkurnall.go



ადამიანი

„გაუნათლებელი“ თოვლის ბაბუ და „კედლებზე მოსიარულე“ ბავშვები

თოვლის ბაბუს ჩემთან საჩუქრები ჩუმად მოჰქონდა და სანოლთან ტოვებდა. ბავშვობაში ცოცხალი სანტა არასოდეს მენახა, დღეს კი, როცა ქუჩებში უამრავ სანტა-კლაუსსა თუ ქართველ თოვლის ბაბუს ვხედავ, თითქოს ბავშვობაში ვბრუნდები და ძალიან ბედნიერი ვარ. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ მომინდა, ამ კეთილ მოხუცს პირადად გავსაუბრობოდი და ეს მოვახერხე კიდევ...

„პატარების გართობა სახაოდ ძალია“

ელენე ბასილიძე

სანტა:

— უკვე 30 წელია, რაც ყოველი ახალი წლის დღესასწაულზე თოვლის ბაბუად გარდავისახები ხოლმე. სტუდენტი ვიყავი, როცა პეტერ-ბურგში (იქ ვსწავლობდი) გასამგზავრებლად ფული ვერ ვიშოვე და ერთმა ღვთისწიერმა კაცმა მიჩიია, — თოვლის ბაბუს ფორმა ჩაიცვი და მერწმუნე, ფულს „გააკეთებო“. მის რჩევას ყური დავუგდე და გაფხდი რუსი თოვლის ბაბუა. მერე, დროთა განმავლობაში, როგორც კეთილმა მოხუცმა, რამდენიმე ეროვნება „გამოვიცვალე“ ანუ როგორ თოვლის ბაბუაზეც იყო მოთხოვნა, მეც ისეთი ვიყავი: საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ და ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობისას ქართველი თოვლის ბაბუა იყო პოპულარული, დღეს კი მოთხოვნა ლაპლანდიელ სანტაზეა (ილიმის). ჰოდა, ვცდილობ, ისეთი სანტა ვიყო, რომლის დანახვაც პატარებს გაახარებს და რაც მთავარია, ბავშვები ვერ უნდა მიხვდნენ, რომ ნიღბის მიღმა შავი თმა-წვერი იმალება... ბავშვებს ჯერ ინგლისურად ვესალმები, მერე კი ვეუბნები, — დღეს ლაპლანდიელი სანტა მხოლოდ ქართულად ილაპარაკებს-მეთქი... მთელი წლის

განმავლობაში ვამზადებ ჯადოსნურ ფიფქებს, რომელსაც პატარებს დამშვიდობებისას თავზე ვაყრი და ვეუბნები, რომ იქნებიან ძალიან ლამაზი, ჯანმრთელი და ჭკვიანი ბავშვები... სხვათა შორის, თუ სტუდენტობის პერიოდში ამ ყველაფერს ფულის გამო ვაკეთებდი, ახლა ეს საქმიანობა მოთხოვნილებად მექცა — არ შემიძლია, ახალ წელს ის სიამოვნება არ მივიღო, რასაც თოვლისბაბუობა მანიჭებს; თითოეულ ოჯახში სტუმრობისას ვგრძნობ, რომ ჩემი დანახვისას არა მარტო პატარები, არამედ დიდებიც უზომოდ ბედნიერები არიან, ეს კი მერწმუნეთ, ბევრს ნიშნავს. ერთხელ, სკოლაში ვიყავი მინვეული. ოთახში გამოსაცვლელად რომ შევედი, ცოტა ხანში ჩემთან გასასაუბრებლად მასწავლებელი შემოვიდა და გაოცებულმა უკან დაიხია, — ვაიმე, რა ლამაზი ბრძანდებითო (ილიმის). ჩემს კოსტიუმზე, წვერსა თუ ნები-



სმიერ აქსესუარზე დიდი ხნის განმავლობაში ვფიქრობ და ვმუშაობ; ვცდილობ, ლამაზი და ბუნებრივი სანტა ვიყო.

— სკოლის ზემო ახსენეთ ანუ გამოძახება სკოლიდან და ბალიდანაც გაქვთ ხოლმე?

— ჩემი სამუშაო 21 დეკემბრიდან იწყება და ძირითადად, კერძო სკოლებსა და საბავშვო ბალებს ვსტუმრობ... დღეს თბილისში ბევრი თოვლის ბაბუა და ფიფქია, რომლებიც სახლებში მიდიან და პატარებს ახარებენ, მაგრამ როცა საქმე ზემის ჩატარებაზე მიდგება, ორჭოფობენ, რადგან პატარების გართობა, თამაშში აყოლიება და მათთვის სიხარულის მინიჭება საკმაოდ ძნელია. თითქმის ყოველ წელს ვამბობ: — მომავალში სანტა აღარ ვიქნები, საამისოდ უკვე





დავბერდი-მეთქი, მაგრამ როგორც კი ახალი წელი მოახლოვდება, ვერაფრით ვისვენებ (ილიმის)... სხვათა შორის, პატარები მთელი წლის განმავლობაში მირეკავენ, რაღაც-რაღაცებს მთხოვენ... ჩემი ტელეფონი ბავშვების ნომრებითაა სავსე. ერთმა პატარამ აგვისტოში დამირეკა და თოვლის ბაბუა მოიკითხა, მერე კი შემომჩვილა: — ცუდად მექცევიან და მინდა, ეს ამბავი თოვლის ბაბუს შევივლო. ვუთხარი, რომ სანტა ლაპლანდიაში იყო, მაგრამ მის თხოვნას აუცილებლად გადავცემდი, მერე კი რჩევაც მივეცი, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო. რამდენიმე დღის შემდეგ დამირეკა, — თქვენი რჩევა გავითვალისწინეო. იცით, ხშირად პატარები სანტას ეჭვის თვლით უყურებენ ხოლმე, მაგრამ ვცდილობ, მათ ეს ეჭვი გავუქარწყლო და სხვათა შორის, ამას ვახერხებ კიდევ. ხშირად მისვამენ კითხვას: — შენ ნამდვილი არა ხარ, არა? ვპასუხობ: — ზუსტადაც, რომ ნამდვილი თოვლის ბაბუა ვარ! თუ არ გჯერა, მაშინ წავალ-მეთქი და, — კარგი, მჯერაო, — მეუბნებიან... ამას წინათ მერიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე ცხენბუმბული მარხილით მიმიყვანეს. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან შთამბეჭდავი სანახავი იყო, მაგრამ ყველგან ასე ხომ ვერ ვივლი?! მასსოვს, მარხილით ბესიკის ქუჩიდან უნდა ჩამოვსულიყავი. მოგეხსენებათ, იქ როგორი საშინელი გზებია და ცხენებს სიარული უჭირდათ, მე კი სული კბილით მეჭირა და ვფიქრობდი: ეს მარხილი არ გადაბრუნდეს, ამ მილეთის ხალხში სირცხვილი არ ვჭამო, ფეხმოტეხილს არ დამესიონ-მეთქი (იციინის).



— პატარების თხოვნები თქვენამდე თუ აღწევს?

— რა თქმა უნდა! მათთან საჩუქრები მიმაქვს: ზღაპრებისა და ფოკუსების წიგნი, მფრინავი ჯოხები, ნიღბები, მასხარას ცხვირები, სათამაშოები... მაგრამ ხშირად, პატარები ძვირად ღირებულ საჩუქრებს ითხოვენ, ამის ყიდვის საშუალება კი სანტას არა აქვს და ამ შემთხვევაში, მათი სურვილების ასრულებაზე მშობლები ზრუნავენ — ყველაფერს კართან მახვედრებენ და პატარასთან მე შემაქვს.

— სანტა, რას უსურვებთ ხალხს?

— ბედნიერებას, ღამაზ ცხოვრებას, კეთილდღეობას! დაე, გაბრწყინებულ საქართველოში ეცხოვროთ!..

ბაბა, 23 წლის:

— თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ. 2 წლის წინ მე და ჩემმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ, გავვეკეთებინა სერვისი: „თოვლის ბაბუა გამოძახებით“... საერთოდ, პატარები ძალიან მიყვარს და მათთან ურთიერთობაც მეხერხება, მაგრამ... მოდი, ერთ ამბავს გავიხსენებ: მუშაობა დავიწყე თუ არა, მესამე თუ მეოთხე კლიენტის ოჯახში 2 უსაყვარლესი პატარა დამხვდა — გოგონა და ბიჭი. მათმა შემხედვარემ ვინატრე: — ნეტავ, მეც მყავდეს ასეთი შვილები-მეთქი, მაგრამ ახლა, როცა მათთან ერთად გატარებულ საათებს ვიხსენებ, შვილი საერთოდ აღარ მინდა (იციინის).

— რატომ, ასეთი რა მოხდა?

— ყველა კლიენტს შევუთანხმდი, რომ პატარასთან მხოლოდ ნახევარი საათი დავრჩებოდი და ამ დროის განმავ-

ლობაში პატარებს ან რამეს მოვუყვებოდი, ან ისინი წამიკითხავდნენ ლექსებს, მაგრამ ამ ბავშვებმა გეგმები ამირიეს: ოჯახში შესვლისთანავე ორივე კალთაში ჩამიხტა და ათასი კითხვა დამაყარა: — სად ცხოვრობ? შვილები რატომ არ გყავს? ყველა ბავშვის დასაჩუქრებას როგორ ასწრებ?.. როცა მათი ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილე, გამომიცხადეს, — ადე, ახლა უნდა ვითამაშოთო და მიბრძანეს: თვალები დახუჭეო, თავად კი დაიმაღლნენ. მერე მე ვიმალებოდი — ჯერ მათი სასადილო ოთახის მაგიდის ქვეშ, მერე აბაზანაში — ხალათების უკან... ცოტა ხნის შემდეგ, ბავშვების დედამ (გაახაროს ღმერთმა, შეგნებული ქალი აღმოჩნდა) ჩემს საცოდაობას ვეღარ გაუძლო და მაშინ, როცა კარადაში შეძრომას ვცდილობდი, მითხრა, — ამათ თქვენთან თამაში მთელი ღამე არ



მოჰბებრდებათ და თუ გნებავთ, ჩუმიად გაგაპარებთო... სადარბაზოში რომ გამოვედი, ჰაერი ღრმად ჩავისუნთქე. ასეთი გადარეული და „კედლებზე მოსიარული“ ბავშვები ჯერ არ მინახავს!

— უცნაურ ბავშვებთან სტუმრობა ხშირად გინევს?

— მასსოვს, ერთხელ აკადემიკოსების ოჯახში ამოყვავი თავი. ბავშვი დედ-მამის ასლი იყო — სათვალისანი, გამხდარი და ყვითელსახიანი; მთელი ნახევარი საათი ისეთ გამოცანებს მეუბნებოდა, რომლებსაც პასუხი ვერ გავციე და ბოლოს, როცა მკითხა: — აბა, რამდენი ფეხი აქვს რვაფეხასო? ისე დავიბენი, ვერაფერი ვუპასუხე. პატარა დედას მიუბრუნდა და იცი, რა ჰკითხა? — ეს თოვლის ბაბუა ასეთი გაუნათლებელი რომაა, ლაპლანდიის განათლების სისტემის ბრალიაო (იციინის)?.. აი, ასეთ ბავშვებთანაც მიხდება ურთიერთობა და ალბათ სვდები, როგორ დღეშიც მაგდებენ...



ბარბაროსობის დღესასწაული, „ტირორისტი“ ბაბო და ახალბედა გამოძიებლის გასაჭირი

სოსო გორგაძე 22 წლის იყო, როცა მთანმინდის პროკურატურაში დაიწყო მუშაობა. მალე ახალბედა გამოძიებელი პროფესიონალი იურისტად ჩამოყალიბდა და ძალიან დიდხანს, ქალაქის პროკურატურაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიებელი გახლდათ; თბილისში მომხდარი რეზონანსული საქმეების დიდი ნაწილი სწორედ მისი გამოძიებულია. ის ამჟამად ადვოკატად მუშაობს.

თბა სურსილავა

„მე ჯამლეთი ვარ...“

— მუშაობა ახალი დაწყებული მქონდა, როცა წვევამდელების საქმე დამეწერა. მაშინ სავალდებულო სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდება კანონით ისჯებოდა, მაგრამ სახელმწიფომ გადაწყვიტა, წვევამდელებისთვის კიდევ ერთი შანსი მიეცა. მათთან უწყებას ვტოვებდი და ვუსხნიდი, — შანსს გაძლევენ ანუ თუ ჯარში წახვალთ, თქვენ წინააღმდეგ აღძრული საქმე ავტომატურად შეწყდება, თუ არა და, პასუხისგება მოგიწევთ-მეთქი. ურჩ წვევამდელს 3 წლამდე პატიმრობა ელოდა. ამ გაფრთხილების შემდეგ ჯარში ბევრი წავიდა.

ერთ დღეს ტელეფონი რეკავს:
— სოსო ხარ, გორგაძე?
— გისმენო, ბატონო!
— მე ჯამლეთი ვარ!

მაშინ გენერალური პროკურორი ჯამლეთ ბაბილაშვილი იყო და მეგონა, ის რეკავდა, ამიტომაც სუბორდინაცია დავიცავი, ფეხზეც კი წამოვდექი და ისე ვესაუბრე-ბი.

— ამ კალატბურთელთან უწყება რა უფლებით დატოვე?! შენ ამას ვინ გაპატიებს! — მეუბნება გაცხარებული.

— ბატონო ჯამლეთ, ამ პიროვნების წინააღმდეგ საქმეა აღძრული და ოჯახი გავაფრთხილე, ყველაფერი კანონის დაცვით მოხდა...

— იცი, როგორ კალატბურთელს ლუპავ? ამისთვის დაისჯები! — შემომიტია ისევ.

ამ სიტყვებმა უკვე დამაჩქვავა და გაკვირვებულმა ვკითხე:

— კი, მაგრამ თქვენ რომელი ჯამლეთი ხართ?..

— ხუხაშვილი...

ამ კურიოზული სიტუაციიდან ორი დღე იყო გასული, როცა ვი-ლაცამ დარეკა და მკითხა:

— რომელი ხარ?

— თქვენ ვინ გნებავთ და სად რეკავთ?

— მე კი ვიცი, სადაც ვრეკავ, მაგრამ შენ რომელი ხარ? რომ გეუბნები, მიპასუხე! — ტონი შეიცვალა მამაკაცმა.

— ახლა დანყნარდი და ისე მითხარი, შენ თვითონ ვინ ხარ? — არც მე დავიხიე უკან, რადგან მეგონა, ისევ მოქალაქე რეკავდა.

— ანზორი ვარ, ბალუაშვილი. რამდენი ხანია, შენს პროკურორთან ვრეკავ, მაგრამ ტელეფონს არ იღებს. უკვე 12 საათია და სად არის, კაბინეტის ტელეფონს რომ არ პასუხობს? — მითხრა ჩემი თავხედობით გაბრაზებულმა გენ-



სოსო გორგაძე

ერალური პროკურორის მოადგილემ.

— ქალაქის პროკურატურაშია, თათბირზე, — ვუთხარი ნირნამხდარმა და ავიწურე...

სრუბანგაუი

— მთავარ პროკურატურაში მივედი და ვხედავ, მიმდებარე ტერიტორია სავსეა პატრულის თანამშრომლებით, რომლებიც შენობაში არავის უშვებენ.

— რა ხდება? — ვიკითხე.

— ვილაცამ მისაღებში ჩანთით ნაღმი დადო და გამნაღმველებს ველოდებით, — ამისხნა პოლიციელმა.

სხვა რა გზაა, ვდგავარ და ველოდები, როდის მომცემენ შენობაში შესვლის უფლებას.

ცოტა ხანში ასე, 80 წლის მოხუცი დავინახე, რომელიც ჯოხით ხელში იდგა და მისაღებში შესვლას ითხოვდა:

— გამატარეთ, მისაღებში უნდა შევიდე.

— არა, ბაბო, არ შეიძლება, იქ ნაღმი დადებული.

— უი, იქ ქალაღებით სავსე ჩანთა დამრჩა. ორი წელია, პროკურატურაში და სასამართლოში დავატარებ, არ მინდა დამეკარგოს, — შენუხდა მოხუცი.

როგორც გამნაღმველების მოსვლის შემდეგ გაირკვა, ის საეჭვო ჩანთა სწორედ იმ მოხუცის საჩივრებითა და საქმის მასალებით იყო სავსე.

ახალბედა გამოძიებელი

— ჩვენს ერთ კოლეგას პროკურატურაში მუშაობა ორი დღის დაწყებული ჰქონდა, როცა ვერაზე, ადამიანი ფანჯრიდან გადმოხტა და თავი მოიკლა. ახალბედა გამოძიებელმა არ იცის, რა როგორ უნდა გააკეთოს, რა პროცედურებია ჩასატარებელი და გარდაცვლილის სახელიდან სამსახურის ნომერზე



რეკავს, რათა რჩევა გამოცდილი კოლეგისგან მიიღოს. ჭირისუფლებმა მიცვალებულის ტირილი შეწყვიტეს, — ხელი არ შევეშალოთო. გამომძიებელი მათ მიუბრუნდა:

— იტირეთ, იტირეთ, ქალბატონებო, თქვენ ხელს არ მიშლით, იტირეთ, რა... — კოლეგას კი ჩუმად ეკითხება:

— ახლა ექსპერტი უნდა მოვიდეს და მასწავლე, რა გავაკეთო?

— პირველ რიგში, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა უნდა დანიშნო.

— როგორ?

— დადგენილებას ქვემოთ „კაპიროვკა“ ამოუდებ და ისე დაწერე, მერე შემთხვევის ადგილი დაათვალიერე.

— „კაპიროვკა“ ამოვუდო კი არა, ფურცელზე რა დაწერო? როგორ დავათვალიერო შემთხვევის ადგილი?

— დაწერე, ამ ადგილას გვამია, აქანა დგას მაგიდა, იქანე აწყვია ფლოსტები, იქანა კიდეც, საწოლია... — ასეთი რჩევის შემდეგ ახალბედა გამომძიებელი საქმეს თავს

როგორც გაართმევდა, თავადაც მიხვდებოდა.

კურიოზები

სვან გამოძიებალვა

— მთანმინდის პროკურატურაში სვანი თანამშრომელი გვყავდა და მასთან დაკავშირებულ რამდენიმე სახალისო ამბავს მოგიყვებით.

ერთ დღეს მას სამსახურში სვანმა მეგობარმა მოაკითხა. მამინ მთანმინდის პროკურატურა დადიანის ქუჩაზე, მესამე სართულზე იყო. ზაფხულია და გარეთ ისე ცხელა, რომ ლამის, ასფალტიც დადნეს. სამსახურიდან სვანი იმ მეგობართან ერთად გავიდა. სადარბაზოში, მეორე სართულის კიბეზე ჩადიოდნენ, როცა თანამშრომელმა მათ წყალი გადაასხა. სვანი ვერ მიხვდა, რა მოხდა, თავზე ხელი გადაისვა და მეგობარს უთხრა: — ხომ გითხარი, განვიდებამეთქი.

* * *

— 17 დეკემბერია, ბარბარობა და სამსახურში ერთმანეთს ამ დღესასწაულს ვულოცავთ. ამ დროს ოთახში ჩვენი სვანი

თანამშრომელი შემოდის და ამბობს:

— როგორა ხართ, ყველას გილოცავთ ბარბაროსობას!..

* * *

— სვანთან ოთახში გამომძიებელი შევიდა და სთხოვა: — კალამი მათხოვეო.

— წაილე, მაგრამ არ მუშაობს, დამთავრებულია, — უპასუხა სვანმა.

* * *

— პროკურორთან სტუმრად ახლობელი მივიდა. ძალიან ეჩქარება, შეხვედრას აგვიანდება და წუხს. ამ დროს ჩვენი მეგობარი სვანი მანქანით საქმეზე უნდა გასულიყო. პროკურორმა სტუმარ ქალბატონს უთხრა, — მიდი, იმს სთხოვე და წაგიყვანსო.

ქალი სვანთან დასალაპარაკებლად წავიდა, მაგრამ ცოტა ხანში ისევ პროკურორის კაბინეტში, უცმაყოფილი სახით შებრუნდა.

— რა მოხდა, რატომ არ გაჰყევი ჩემს თანამშრომელს? — ჰკითხა პროკურორმა.

— ასე მითხრა, ახლა არ მცალია, ხვალ დილით მოდი და წაგიყვანო.

თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის!
 ყველ ზღუდათს, ერნალ „განათან“ ერთად შეაძინეთ ცნობილი ქართველი მწერლების თითო ტომი

45 ქართული პრინციის საგანძურის

ტომი №45
 ოთარ შილაძე

ოთარ შილაძე

ოთარ შილაძე (ნახილი II)

გიორგი შატბერაშვილი

ფანაბო მინოვილი

ოთარ შილაძე
 მსახური მათი ქვენი მიღიდა

45 წმინდი II

წიგნის ფასი **3 ლარი!**
 6 - დან - 13 იანვრამდე!

უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში

№1 ბურაბ ფონანაშვილი	№23 ბურაბ ფანჯიქიძე
№2 მიხაილ ფანჯიქიძე	№24 კონსტანტინე ბაშახურაძე (ქარი-I)
№3 ნოდარ ფანჯიქიძე	№25 კონსტანტინე ბაშახურაძე (ქარი-II)
№4 ილია ფანჯიქიძე	№26 კონსტანტინე ბაშახურაძე (ქარი-III)
№5 ბურაბ რეზაიშვილი	№27 ფილიპო შიფინანი
№6 ვაჟა-ფშაველა	№28 ლავროვი არფაზიანი
№7 რაზო შიფინანი	№29 შილაძე ელიზბეთი
№8 აბაჰი ნარევილი	№30 ალექსანდრე შატბერი
№9 ბურაბ შატბერი	№31 ნუზარ შატბერი
№10 ფანჯიქიშვილი	№32 უნარაუ (კონსტანტინე თათაროვილი)
№11 ოტარ იოსელიანი	№33 ფანჯიქიანი
№12 ბრიგოლ აბაშიძე (წიგნი-I)	№34 იაკობ გონაგაშვილი
№13 ბრიგოლ აბაშიძე (წიგნი-II)	№35 ქრტი ფანჯიქიანი
№14 არჩილ სულაპაძე	№36 ლევან სანგიძე (წიგნი-I)
№15 ნიკო ლორთქიფანიძე	№37 ლევან სანგიძე (წიგნი-II)
№16 გორდონი მონაძე	№38 თამარ შილაძე
№17 ლევან გომეზა	№39 ლეო თინაძე
№18 აბა მორჩილაძე	№40 ვაჟა გიგინეილი
№19 ვასილ ბარნოვი	№41 გიორგი ნარევილი
№20 თამარ გიგინეილი	№42 პავლე ხარაძე

გამოიწერეთ **გზა** საგანძურის ყველა ტომს ადგილზე მოგართმევთ .. **ელვა.ჯი** " ტელ: 38 26 73; 38 26 74



ლენინი ჭიკაანში ანუ ამბავი კახელი მონტაჟი-კაპულაბისა

მარინა გაბუნაშვილი

ეს ამბავი შუაგულ კახეთში, არც-თუ შორეულ წარსულში მოხდა. ხომ გახსოვთ, ადრე, კომუნისტების დროს ყველაფერს ლენინის სახელს რომ უკავშირებდნენ? ჰოდა, ალბათ, ასე დაერქვა ერთ დიდ და ლამაზ სოფელსაც ოქტომბერი — „დიადი რევოლუციის“ პატივსაცემად. ამ სოფლის მეზობლად კი ჭიკაანი იყო და, რა თქმა უნდა, დღესაც არის. რატომღაც, ოქტომბრელები და ჭიკაანელები ერთმანეთს სულ ჯიბრში ედგნენ: თუკი ვინმე ოქტომბერში 300-კაციან საქორწინო სუფრას გაშლიდა, ჭიკაანში 500-კაციანი ქორწილი უნდა გადაეხადათ; თუ ჭიკაანში ვინმე მოკვდებოდა, ქელების „საარაკო“ ამბავი ახლომდებარე სოფელში სწრაფადვე ვრცელდებოდა და ცოტა ხანში, მიცვალებულს ოქტომბერშიც „გრანდიოზულად“ კრძალავდნენ... ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში და ამ ორი სოფლის ქიშპობას ბოლო არ უჩანდა.

ოქტომბერში დიდი კლუბი ჰქონდათ, სადაც ყოველ შაბათს ხალხი მხატვრული ფილმის სანახავად იკრიბებოდა. კლუბის გამგე მიტო გახლდათ. ჯერ სოფელ ოქტომბერში უშვებდნენ ფილმს, მერე კი ჭიკაანელებს მიჰქონდათ თავისთან. მიტოს ეს ფაქტი უზომოდ სიამოვნებდა, სიამაყეს ჰგვირიადა. მას ძალიან ლამაზი გოგო ჰყავდა, მაყვალა, რომელსაც მართლაც, მაყვალისთვის შავი თვალები ჰქონდა და ერთხელაც, ეს „ორი მაყვალი“ ფილმის სანახავად ჭიკაანიდან გამოსულ თედოს რომ შეანათა, მას შემდეგ სამუდამოდ მოიკალათა ბიჭის გულში. მიტომ იცოდა, რომ მის გოგოს ბევრი ეტრფოდა და გამუდმებით აფრთხილებდა: „გო, ჭიკაანელს არ გაჰყვე, თორემ, სახლში ფეხს აღარ დაგადგმეინებ!“ არადა, იქით ჭიკაანელები იგიუბდნენ თავს: ოქტომბრიდან არც ქალი და არც კაცი არ დაგვანახვოთ ოჯახში შემოყვანილიო! რომ გეკითხათ, — ერთმანეთს რას ერჩითო, ვერ გიპასუხებდნენ, თითქოს დასაბამიდან მოდიოდა მათი უმიზეზო მტრობა.

შეყვარებულ თედოს სულ არ აინ-

ტერესებდა მონტეკისა და კაპულაბის კახური ვერსია, უყვარდა გოგო და მისი ხელიდან გამშვები არ იყო; დღე არ გავიდოდა ისე, რომ ძმაცაცებთან ერთად ჭიკაანიდან ოქტომბერში არ ჩაესიერნა. მალე, გოგოც გამოუტყდა სიყვარულში და აბა, ამის მერე ვინლა დააკავებდა?! შეყვარებული წყვილი მაინც ფრთხი-

მას კი ვერ მიხვდა, რომ ოქტომბერი თვის დასახელება იყო და არა მისი სოფლის.

დადგა ნანატრი შაბათი და მიტომ კლუბის წინ აფიშა გამოაკრა — „ლენინი ოქტომბერში“. იმ დღეს იმდენი ხალხი მოგროვდა, დარბაზში ტევა არ იყო, ყველაზე „ცრემლსალვრელ“ ინდურ ფილმსაც კი არ დასწრებია ამდენი ხალხი... თედომ სწორედ იმ დღეებში გადაწყვიტა მაყვალას მოტაცება.

— უი, რას ამბობ, მამა გაგიჟდება... თუ მაინცდამაინც, როცა ფილმს ჭიკაანში წამაიღებენ, მერე წამიყვანე, მაგ დროს მიტო თბილისში იქნება, ახალი ფილმისთვისა, — უთხრა მაყვალამ დანაზებული ხმით.

გადანწყდა — როცა ფილმი ჭიკაანში გადაინაცვლებდა, თედოს მერე უნდა მოეთაცა ქალი...

როგორც იქნა, ფილმი ჭიკაანში ჩაიტანეს. იქაურებმა იფიქრეს, რითი ვართ ოქტომბრელებზე ნაკლებიო და საკმაოდ დიდ ქალაქზე გააკეთეს წარწერა — „ლენინი ჭიკაანში“.

— ესეც ასე, თვალის დაუდგეთ ოქტომბრელებს; თავისთან რომ ისტუმრეს ლენინი, რა ეგონათ, ჭიკაანში კი ვერ ამისიერნებდნენ? — ხითხითებდნენ და უკან არ იხევდნენ. სწორედ იმ ღამეს გაიპარნენ თედო და მაყვალა. მეორე დღეს, შინ დაბრუნებულ მიტოს თავნაკრულმა მარომ მიატირა, — ჭიკაანელებმა ლენინი წაიყვანეს თავისთან და ჩვენს გოგოს უხატრებდნენო?!

მას შემდეგ წლები გავიდა... თედოს და მაყვალას უკვე სამი შვილი და ხუთი შვილიშვილი ჰყავთ. მათი შეუღლების შემდეგ კახელი მონტეკი-კაპულაბების გაუთავებელი შუღლი თითქოს, შემცირდა. თმაშევრცხილი წყვილი დღემდე ღიმილით იხსენებს თავის გაბედნიერების ამბავს: ჩვენა იმ დღეს შევუღლდით, როცა „ლენინი ჭიკაანში“ იყოო.



ლობდა, არ უნდოდათ, მიტოს ვადაზე ადრე გაეგო „გულის გასახეთქი“ ამბავი.

ახალი ვიდეოკასეტების შესაძენად მიხო თბილისში დადიოდა ხოლმე. ერთხელაც, თვალში მოხვდა ფილმის დასახელება — „ლენინი ოქტომბერში“ და ბევრი აღარც უფიქრია, ორ ინდურ ფილმთან ერთად ესეც ხელს გააყოლა. ხუმრობა ხომ არ იყო, დიდი ბელადი გახლდათ ნახსენები, თანაც — მის სოფელში;



სვანი გოგონას ტკივილი

„თქვენი დახმარება ისევ გვჭირდება...“

„სვანეთის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობს დედით ობოლი, უღამაზესი გოგონა, რომელიც სულ რამდენიმე თვის წინ ქვეყანას შესაროდა, მეგობრებთან თამაში ძალიან უყვარდა, მათთან ერთად დარბოდა, სტუნაობდა, კისკისებდა, მაგრამ ერთხელაც მისვდა, რომ სხვებისგან რაღაცით გამოირჩეოდა და მეგობრებისგან განსხვავებით, ძალიან მალე იღლებოდა. თუმცა, უფროსებისთვის ეს არ გაუშვლია. მოგვიანებით, გოგონას კბილიდან სისხლდენა დაეწყო და ის სასწრაფოდ, ექიმთან წაიყვანეს, მაგრამ სტომატოლოგმა მხრები აიჩეჩა, სისხლდენა ვერაფრით შეუჩერა და ელისოს მამას უჩივია, შვილი სასწრაფოდ, ქალაქში წაეყვანა. პატარამ სვანეთიდან ქუთაისში, ქუთაისიდან კი თბილისში ამოყო თავი, სადაც თეთრხალათიანებმა მას მიძინე განაჩენი გამოუტანეს — 12 წლის ელისოს ლეიკემია აღმოაჩნდა. ავადმყოფობაზე მეტად, გოგონა ქიმიოთერაპიის შედეგად გაცვე-
ნილ თმაზე დარდობს და ყველაზე მეტად, დალაღებთან გან-
შორება სტკივა“ — ასე იწყებოდა სტატია, რომელიც რამდენიმე თვის წინ, რუბრიკით — „მადლი“ დაიბეჭდა.



ლიკა ქაჯია

მაშინ გოგონას ჩვენი მკითხველები დაეხმარნენ კიდევ, მაგრამ არ შეგროვდა იმდენი თანხა, რამდენიც მისი სრული განკურნებისთვის(!) იყო საჭირო. ახლახან ამ პატარა ფერისას (რომელიც უკვე 13 წლისაა) ნათესავები კვლავ დამიკავ-
შირდნენ და მთხოვეს, — იქნებ ელისოს შესახებ რაიმე გამოაქვეყნოთ, თქვენი დახმარება ძალიან გვჭირდებაო.

თინა გვიჩიანი, ელისოს მამიდა:

— ელისო ჩემი გაზრდილია. 3 წლის იყო, როცა დედამისმა მომიყვანა (მე ზუგდიდში ვცხოვრობ) და



ეს სურათი მანამ გადავიღე, ვიდრე თმას შემაჭრიდნენ და ქიმიოთერაპიის კურსს ჩამიგარებდნენ

მითხრა: ცუდად ვარ, უნდა ვიკურნალო და გთხოვ, ჩემს შვილს შენ მიხედო. რა უნდა მექნა? — ერთი ძმა მყავს და მისი შვილის გაზრდაზე უარს როგორ ვიტყვი? სამწუხაროდ, ჩემი რძალი გარდაიცვალა და ამ ბავშვის აღზრდა მე ვიკისრე.

— ახლა ელისო ისევ თქვენთან ცხოვრობს?

— რამდენიმე წლის წინ ჩემმა ქმარმა ინფარქტი მიიღო და ვინაიდან გოგონას მოსავლელად ვერ ვიცლიდი, ის მამამისს, სვანეთში ჩაუყვანე. სწორედ იმ პერიოდში გახდა ცუდად და მას შემდეგ ისევ ჩემთანაა, გვერდიდან არ ვიშორებ.

— ელისოს და ან ძმა არ ჰყავს?

— როგორ არა, ექვსი და-ძმანი არიან. ჰოდა, მაშინ, როცა ელისო, იაშვილის სახელობის საავადმყოფოში იწვა, ჩემი ძმა თბილისში ჩამოსასვლელადაც ვერ იცლიდა — დანარჩენ ბავშვებს მოვლა-პატრონობა არ უნდათ?! თან, სოფელში მოსავალი დაუბინავებლად რომ დაეტოვებინა, მერე შვილებისთვის რა უნდა ექმია? საცოდავი, წელზე ფეხს იდგამს, რათა შვილები გამოკვებოს... მეც, სახლში სამჯერ ნაინფარქტალი ქმარი მივატოვე და ელისოს გამოვყევი, ბავშვს გვერდიდან არ მოვცილებივარ... ოღონდ ეს იყოს კარგად, ამან იცოცხლოს და ამქვეყნად არაფერი მინდა.

— თქვენ შვილები არ გყავთ?

— როგორ არა, 3 შვილი და 2 შვილიშვილი მყავს... ყველა ძმის-

ვილი მიყვარს, მაგრამ ელისო ჩემთვის გამორჩეულია — ის ხომ მე გავზარდე.

— ვიდრე კბილიდან სისხლდენა დაეწყო, მას დაავადების რაიმე სხვა ნიშანი ვერ შენიშნეთ?

— თურმე, მანამდე ბავშვი მოწამლულა. როგორც ამბობს, რაღაც ბალახისგან დამზადებული კერძი უჭამია და პირველად სწორედ მაშინ გამხდარა ცუდად. მე ვფიქრობ, რომ ლეიკემია ამან გამოიწვია... როცა მოწამლული ექიმთან წაიყვანეს, აღმოჩნდა, რომ თირკმლის პრობლემაც ჰქონდა. სამწუხაროდ, არ ვიცი, ზუსტად რა დიაგნოზი დაუსვეს, მაგრამ ძალიან ვერაგი დაავადება კი იყო. თან, თუ არ მეშლება, მარჯვენა თირკმელი აქვს გადიდებული... ამ ამბიდან ცოტა ხანში ელისოს კბილიდან სისხლდენა დაეწყო და ჩემმა ძმამ ის სასწრაფოდ, სტომატოლოგთან წაიყვანა. ექიმმა სისხლდენა რომ ვერ შეაჩერა, ჩემს ძმას უთხრა: გოგონა ქუთაისში წაიყვანეთო. ქუთაისში გვითხრეს, ლეიკოციტები აქვს ძალიან დაბალი და თბილისში, იაშვილის საავადმყოფოში უნდა გადაიყვანოთო. აქ დაადგინეს, რომ ბავშვს ლეიკემიის უძიმესი ფორმა ჰქონდა. თურმე, სისხლდენა ფარულად, კუჭშიც მიმდინარეობდა და ბავშვი განუწყვეტლად, სისხლს ალებინებდა. ამ საავადმყოფოში,



ექიმიდან დაწყებული და სანიტრით დამთავრებული, ყველა ფეხზე დადგა, ბავშვი მოაძლიერეს, მაგრამ მერე ქიმიოთერაპიის კურსი ვერ აიტანა, მთელი ტანი ისე ჰქონდა დამწვარი, გეგონებოდათ, მდულარე გადაასხესო. საშინელი სანახავი იყო... სამკურნალოდ გერმანიაში უნდა წავსულიყავით, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ მოვახერხეთ.

— როგორც ვიცი, საზღვარგარეთ მკურნალობასაც ბადრი პატარკაციშვილის ფონდი აფინანსებდა...

— დიას, მკურნალობას და ყველა ხარჯს, გარდა ტრანსპორტირებისა და კვებისა, ეს ფონდი აფინანსებს, მაგრამ ჩვენ იმის საშუალებაც აღარ გვქონდა, რომ იქ ყოფნისას ბავშვი გამოგვეკვება... ელისოს მამას არაფერი ჰქონდა, ჩემი ოჯახიც არაა მატერიალურად ძლიერი, ნათესავებს კი თავადაც არაფერი აქვთ და ჩვენ აბა, რითი დაგვეხმარებოდნენ?.. რაც დრო გადის, მით მეტად გვიჭირს თავის გატანა. მე ვიმიძლია, მაგრამ ელისოს რა ვუყო, კარგი კვება სჭირდება...

— როგორი ბავშვი იყო ელისო მანამ, ვიდრე დაავადდებოდა?

— სიცოცხლით სავსე, ვერცხლისწყალივით სწრაფი. სხვათა შორის, ძალიან ნიჭიერია და რასაც ხელს მოჰკიდებს, აუცილებლად გამოუვა. უყვარს ხელოვნება, სიმღერა და ინგლისური ენა. ეკლესიური და სიკეთით სავსე ბავშვია. სხვათა შორის, ძალიან კარგად ქსოვს... აღარ შემიძლია ელისოზე ლაპარაკი. არ ვიცი, რა გვეშველება (ტირის)...

— კი, მაგრამ ხომ გპირდებიან, რომ ელისო გერმანიაში მკურნალობის შემდეგ საბოლოოდ გამოჯანმრთელდება.

— კი, გპირდებიან, მაგრამ (ელისოს გადახედა)... იცით, ელისოს ლეიკემიის მართლაც, ძალიან მძიმე ფორმა აქვს და მას მთელი ცხოვრება გაფრთხილება სჭირდება. სანამ შეეძლებო, ვიბრძოლებთ გამოჯანმრთელებისთვის. იმედია, უფალი არ გაგვწირავს.

— როგორც მითხრით, როცა თქვენ შესახებ „გზაში“ სტატია დაიბეჭდა, ბევრი ადამიანი დაგესმარათ...

— დიას და ახლა მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და თითოეულ მათგანს დიდი მადლობა გადაუხალო. მათ მიერ გაღებული თანხით, თბილისში ყოფნისას ელისოს სრულფასოვანი კვება არ მოჰკლებია. სამწუხაროდ, იძულებული ვარ, ხალხს

დახმარება ისევ ვთხოვო — ელისო მორიგი კურსის ჩასატარებლად, თბილისში უნდა ჩამოვიყვანო. მერწმუნეთ, ჩვენ იმის საშუალებაც კი აღარ გვაქვს, რომ ბავშვი გამოვკვებოთ. ძალიან რომ არ გვიჭირდეს, არ შეგანუხებდით, მაგრამ სხვა გზა მართლა აღარ დაგვრჩა...

სამწუხაროდ, ამჯერად ელისოსთან შეხვედრა ვერ მოვახერხეთ. სხვათუ არაფერი, მაინტერესებდა, ამოუვიდა თუ არა თმა, რომლის დაკარგვასაც ასე განიცდიდა... შეგახსენებთ, ქალბატონ თინასთან ჩანერილი პირველი ინტერვიუს დროს, ელისოს ლაპარაკის სურვილი გაუჩნდა და თავისი გულისხმადებიც გაამნდო:

„— ძალიან მინდა, ტელეფონი მქონდეს.

— ტელეფონი რად გინდა?

— მეგობრები მომენატრა და მათ დავურეკავდი ხოლმე.

— ტელეფონის გარდა, რაზე ოცნებობ?

— ძალიან მინდა, ჩემი თმა დამიბრუნონ, — მითხრა ელისომ და თითო კედელზე მიყუდებული სურათისკენ გაიშვირა: — ეს სურათი მანამ გადავიღე, ვიდრე თმას შემაჭრიდნენ და ქიმიოთერაპიის კურსს ჩამიტარებდნენ. თმის შეჭრა არ მინდოდა, მაგრამ მაიძულეს (ტირის)... მაღე თმა ისევ ამომივა და მას აღარასდროს შეველევი... მამიდამ გითხრათ, რომ ბალახმა მომწამლა. იცით, ბალახის შემდეგ ნაყინით მოვინამლე, ცოტა ხანში თავბრუ დამეხვა და საპირფარეოში წავიქეცი. მას შემდეგ „მაროჟენის“ დანახვა არ მინდა, მეზიზღება, რადგან მგონია, რომ ჩემს ავადმყოფობაში ისაა დამნაშავე.

— ასე რატომ ფიქრობ?

— იმიტომ, რომ მალევე დამენყო კბილიდან სისხლდენა.

— მამიდაშენმა მითხრა, რომ ლეიკემიაში ხარ.

— დიას და უფლის ნებით, ყველაფერი ისე მოხდება, როგორც საჭიროა. უფალო, დაგვიფარე ყველანი და შეგვიწყალებ ჩვენ“.

P.S. თუ გოგონას დახმარების სურვილი და საშუალება გაგიჩნდებათ, შეგიძლიათ გადარიცხოთ თანხა ქალბატონი თინა გვიჩიანის სახელზე, „საქართველოს სახალხო ბანკში“ გახსნილ ანგარიშზე: ბანკის კოდი: 220101488, საანგარიშსწორებო ანგარიში: 5539046930. გულისხმიერებისთვის წინასწარ გიხდით მადლობას.

ახალი წლის შემობრძანებასთან ერთად, აქტუალური გახდა ლოთობის ანუ გადაბმული ქეიფის თემა. ბევრისთვის ქართული ქეიფი ღრუობასთან ასოცირდება და ალბათ ამიტომაცაა, რომ ზოგ ოჯახში სტუმრის მიღება ან სტუმრად წასვლა ჭირის დღესავით სძულთ, ეზარებათ. იმაზე, რომ ეს პრობლემა არა მართო ქალებისთვის, არამედ მამაკაცებისთვისაც აქტუალურია, ერთერთ ფორუმზე გახსნილი თემაც — „რას ფიქრობენ გოგონები ალკოჰოლის მოყვარულ კაცებზე“ — მეტყველებს.

ფრანკენშტეინი:

„ვეთქვით, ბიჭს მოეწონეთ... გარეგნულად კარგი ტიპია, ზრდილობიანი, დამოუკიდებელი, მაგრამ დროთა განმავლობაში შეატყვევთ, რომ ძალიან უყვარს ქეიფი და 3 დღეში ერთხელ მინც ვაშამ. მართალია, არ იღეშება, არც ივინება, არც ჩხუბობს, მაგრამ ალკოჰოლი მინც ალკოჰოლია და ვინ იცის, შეიძლება, ცოტა ხანში გალოთდეს კიდევ... რას იზამთ, მასთან ურთიერთობას ამის გამო შეწყვეტთ?“

პიპიტო:

„ქართველი და ქეიფი რომ არ უყვარდეს, ასეთი კაცი ჯერ არ მინახავს, მაგრამ ზომიერად უნდა იცოდეს. თუ საღამოს ბოლოს თავი სალათაში არ ექნება ჩაყოფილი, დალიოს, კაცო, მერე რა მოხდა, მაგრამ 3 დღეში ერთხელ მინც ბევრია; მასე დანიყო ჩემმა მეზობელმა და ახლა სადარბაზოში სძინავს ხოლმე“.

HONEY:

„ძალიანაც კარგი, მეც შევეურთდები და ერთად ვილოთავებთ, ერთმანეთს სახლამდე მივიყვანთ ხოლმე. ისე, ზედმეტი არ უნდა მოუვიდეს, თორემ სამსახურის შემდეგ, პარასკევ ან შაბათ საღამოს შეიძლება...“

მიშპარაული:

„მთვრალი კაცი საზიზღარი სანახავია! არასდროს დამავიწყდება, ერთერთი ლექციის დროს რალაც ბრახუნი რომ გავიგონეთ... 24 წლის ალკოჰოლიკი ბიჭი, რომელსაც ლეიკია აღარ უვარგოდა და ამის გამო საავადმყოფოში მოხვდა, იმ საავადმყოფოს მეორე სართულიდან გადმოხტა და მოკვდა...“

ფიორანტინო:

„ლოთი კაცი, კაი კაცი...“

ოლივიერ:

„მე თვეში ერთხელ თუ ვსვამ, მაგრამ ზემოთ ხსენებულ კრიტერიუმებს — სიმპათიურიო, ზრდილობიანიო, კაი მანერების მქონეო — ვერ ვაკმაყოფილებ. ეჰ“.

ფიორანტინო:

„მთავარია, ლოთი არ იყო (მენტისივე იქნება ცუდი, თორემ მე, რა...), თორემ „პროსტო“ დალევის სიყვარული ახწორებს... მე მიყვარს დალევა!“



ალკოჰოლის მოყვარულები

ნათალია 23:

„კი, ლოთთან ურთიერთობას შევწყვეტ... ლოთები, მანიაკები და ნარკომანები არ მინდა...“

FERLADOR:

„ლოთობა არ გამაგონოთ!“

ფიორანტინო:

„და რა პონტი ავინროვებთ ლოთებს? ისინიც ხომ ადამიანები არიან?! ერთხელ, პატარაობაში ვადაგასული ლიმონათით დავთვერი...“

ნანანა:

„შეწყვეტ კი არა, ვერც დავინწყებ ურთიერთობას ისეთ ადამიანთან, რომელიც ყოველ სამ დღეში ერთხელ სადღეგრძელოებს ამბობს ან ისმენს!“

ბარკუნა:

„ყველაფერში ზომიერებაა საჭირო... თუ შევატყვე, რომ გალოთების გზაზეა, შევეშვები.“

NIGHT-ANGEL:

„გაუმარჯოს ქეიფსა და მოლხენას. მთავარია, „კლაპანი“ ჰქონდეს და არ გალოთდებ. უდიდესი სურვილი მაქვს, მოქიფე მუღლე შემხვდეს და სამხიარულოდ ერთად ვიაროთ. აბა, რესტორანში კარგ ქეიფსა და ცეკვას რა სჯობია?! თუმცა ყველაფერს თავისი დრო აქვს...“

ფიორანტინო:

„ლოთი ვერ გახდები, ლოთად უნდა დაიბადო!“

CHERVA:

„ვინ რას ფიქრობს, არ ვიცი, მაგრამ ქალის გამო რომ ძმაკაცებთან ერთად დალევა არ შევწყვეტ, ეგ ვიცი!“

SATTIN:

„კაცმა სმაც უნდა იცოდეს და კარგი ქეიფიც, მაგრამ ყველაფერში ზომიერებაა საჭირო. ის კაცი, ვინც 2-3 დღეში ერთხელ თვრება, არაფრად ვარგა. რაში უნდა დამჭირდეს ისეთი ადამიანი, რომელიც დროის უმეტეს ნაწილს ქეიფში ატარებს და არა — ჩემთან?!“

GEORGE:

„სმის დედაც... ქეიფშია მთელი მუღამი! აბა, სიმღერის გარეშე რაა სუფრა?... გუმინ ვიქეიფე, ძმაცაცთან ერთად და ღვინის დანახვაც აღარ მინდა... ხშირად ქეიფსაც არა აქვს მუღამი ანუ რაც დიდია პაუზა, მით უკეთესია. ხომ გაგიგონიათ, — ოდეს ტურფა გაიფუდესო...“

MISS-YLONEN:

„ქართული მენტალიტეტი — ღვიწიკი, დუღუკი, ქალები, არა?“

GEORGE:

„გემოვნების ამბავია, რა. თანამედროვე თინეიჯერებს არ მოსწონთ ქართული სუფრა, მე კი არ მევახება ეგეთი ქალო-ბიჭები... სადღეგრძელოს თქმას ნიჭი უნდა, სიტყვები გულიდან



უნდა მოდიოდეს. საერთოდ, თუ ადამიანს სმა არ შეუძლია და არც იუმორის გრძობა აქვს, თუ არც სიმღერა და ცეკვა არ ესერხება, ეს მისი პრობლემაა და აქ ქართული სუფრა არაფერ შუაშია...“

ფრანკენშტაინ:

„ლოთია ადამიანი, რომელიც სასმელზე ხდება დამოკიდებული. მე არა ვარ დამოკიდებული, უბრალოდ, სმა მსიამოვნებს... ზოგი ყავას სვამს დღეში 3-ჯერ, მე კი თუ 3 დღეში ერთხელ მსუბუქად შევზარხოვდები, რა პრობლემაა? თანამშრომლები ყოველ კვირა დღეს მივდივართ გასართობად; დაახლოებით კვირაში ერთხელ, იმ ხალხთან ერთადაც ვქეიფობ, რომლებთანაც ბავშვობიდან ვიზრდებოდი. კვირაში ერთი დღე ჯგუფებისთვისაც მაქვს გამოყოფილი... მოკლედ, საკმაოდ დიდი სამეგობრო წრე მყავს და გართობა კიდევ, ალკოჰოლის გარეშე ვერ წარმომიდგენია. სხვათა შორის, სადღეგრძელოებიც მიყვარს.“

GEORGE:

„მთავარია, სმის დროს კაცმა ადამიანის სახე არ დაკარგოს და ყველას კოცნა-პროშნა არ დაუნყოს, თავი არავის მოაბეზროს.“

WAITER:

„3 დღეში ერთხელ ნამდვილად არ სვამს, სიმთვრალეც კარგი აქვს, მაგრამ მე მაინც ძალიან მაღიზიანებს, ჩემთვის ეს კომპარია; მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მიყვარს, სიმთვრალეში ნერვებს მიშლის. მილიონჯერ მაინც ვთხოვე, არ დალიომეთქი, მაგრამ... აღარ ვიცი, რა ვქნა.“

GURSED:

„სადღა არიან ლოთი კაცები, როცა ლიმონათზე გაზრდილი ახალგაზრდობა მოდის.“

GIRL:

„ასეთ ადამიანთან ურთიერთობა უკვე შეწყვიტე! ოღონდ არ სვამდეს და... მეზიზღება კაცი, რომელსაც ალკოჰოლის სუნი ასდის. ნუ, თუ რაღაც

დღესასწაულია და ერთად ვსვამთ, ეგ უკვე სხვა საკითხია.“

SERJ:

„ისე, რა მოხდა, კაცს დალევა თუ გიყვარს? ზოგი ნარკომანია, ზოგი — ლოთი, ზოგიც — სპორტსმენი... პირადად მე, ნარკოტიკის მიღებას (მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებების გარდა) მირჩევნია, არაყში ჩავისრჩო. ვსვამ და ყოველთვის დავლევ, ამაში ხელს ვერავინ შემიშლის, მაგრამ ლოთი ნამდვილად არ ვარ. შემიძლია, დალევაზე უარი ნებისმიერ დროს ვთქვა. ასე რომ, თუ ადამიანი ხშირად სვამს (თუნდაც, ყოველდღე), ეს იმას არ ნიშნავს, რომ ლოთია.“

ზაზუნო:

„მე ვსვამ უფრო მეტს, ვიდრე ჩემი შეყვარებული ანუ იქით გავალოთე, რა. P.S. ცნობისათვის, გოგო ვარ. ოღონდ, ლოთი არ გეგონოთ, ცოტაცოტაც ვსვამ და ხშირად. გუმინ მაგალითად, უნივერსიტეტის აუდიტორიაში დავლიეთ.“

ფრანკენშტაინ:

„რა თქმა უნდა, აუდიტორიაში არაყს დალევდით, იქ ხომ ღვინო არავის მოაქვს და ჩიპსს ან შოკოლადის ფილას მიყოლებდით... ისე, ეგ უკვე ლოთობაა :)“

ზაზუნო:

„არა, ჩვენ ლუდი გიყვარს, ბევრი ლუდიი... ლოთობაა, აბა, რა. მე ოჯახში შესაშვები არ ვარ.“

SERJ:

„X და XI კლასში ყოფნისას, არაყს მერხის ქვეშ ვმალავდი, ბოლოს კი მასწავლებლებიც ავიყოლიე, მათაც ვასმევდი.“

ფრანკენშტაინ:

„შენა ხარ ოჯახში შესაშვები, თუ ხარ — მამამთილსაც „გაუსწორებ“ მაგრამ, ფეხბურთის ყურებისას ლუდზე და მინის თხილზე რომ დაენწვევი... ისე, სტუდენტობის დროს აუდიტორიაში დალევასაც თავისი მუღამი აქვს. თუმცა, ამას ბევრი ვერ მიხვდება და ლოთად მიგიჩნევენ.“

AU:

„პირადად მე, შევეცდები, საყვარელი ადამიანი მავნე ჩვევას გადავჩვიო, მაგრამ თუ ამას ვერ შევძლებ, მეც მიყვარს დალევა და მასთან ერთად დავინწყებ ქეიფს. აუ, ხომ წარმოგიდგენიათ, რა ოჯახი გვექნება...“


P.S. არ ვიცი, ლოთობა ვისთვის რასთან ასოცირდება, მაგრამ თუ ადამიანი ცოტაოდენ ალკოჰოლს მიიღებს, პირადად მე, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ, თუმცა გადამეტებული მართლაც, არაფერი ვარგა... ■



გიგლუსი

გიგლუსი — იკივავ, რას პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია



* * *

ეცემა თოვლი, თეთრი ფრინველი,
ეცემა, მაგრამ რა იცის თოვლმა,
ან რას გაიგებს, რომ დღეს პირველად
არ შემოძლია მე შენი პოვნა.

და დღე, რომელიც უშენოდ მოვა
მხოლოდ გარედან იქნება მშვიდი.
ეცემა თოვლი... რა იცის თოვლმა,
რა იცის ჩიტმა, მიფრინავს ჩიტი.

ეცემა თოვლი, როგორც ცხოვრება
თოვლივით ჩემი და შემპარავი;
მე ჯი ყოველთვის მემასსოვრება,
რაც ახლა მინდა, მაგრამ არ არის.

ეცემა თოვლი და დროს მიყვება
ლამაზი, მაგრამ უკვე ყოფილი,
როგორც შემკრთალი ჩვენი ტანდები
სადღაც სივრცეში გადაჭდობილი.

ოთარ ჯილაძე

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია

არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამომცემი

ქართული ენის

ბანმარტაბითი ლექსიკონის

ერთომეულის მიხედვით

შემდგენილი თეგურ ივანიძე

კ

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-52, 2010

კაკრა — 1. მცენარე, რომლის ნაყოფიც არ იჭმება; 2. ლელვისა და ზოგიერთი სხვა მცენარის უმნიფარი ნაყოფი, რომელიც არ იჭმება.

კაკუტი — მარცვლეულის (სიმინდის, ღომის) საფშენელი (საცხევი), ხელკავი (იციან იმერეთში).

კალანდა — ასე უწოდებენ ახალ წელს გურიაში.

კალანჩა — პატარა კალათი.

კალკი ფრ. — 1. გამჭვირვალე ქალაქი ან ქსოვილი ნახაზების პირის გადასაღებად — ლივი; 2. (ლინგვ.) სხვა ენის ნორმების მიხედვით წარმოებულ სიტყვა ან შექმნილი გამოთქმა.

კალმასობა (ისტ.) — პურის (სურსათ-სანოვავის) მოგროვება კალოებზე ჩამოთხოვით ეკლესია-მონასტრების სასარგებლოდ.

კალმუტი — ცხვრის ტყავის ერთგვარი ქუდი.

კალნაბი — ყვავილოვანი კომპოსტო.

კალორია ლათ. — სითბოს რაოდენობის ერთეული.

კალოსპირული — ერთგვარი სიმღერა კალოობის დროს; ოროველას სახეობა.

კალტი (კუთხ.) — ხაჭო (ჩვეულებრივ გუნდებზე გამხმარი).

კამარა — 1. შენობის კედლების, სვეტების და ზევითა ნაწილების შემაერთებელი გადამხურავი ნაგებობა, ჩვეულებრივ რკალისებური; 2. აკვნის ხელმოსავლები ჯოხი (კამარას შეკრავს — მაღლა ახტება და შორს დაეშვება; ფრენით ნახევარწრეს გააკეთებს.)

კამკამი — სინათლის გამოკრთობა, წმინდა შუქის გამოცემა, არაძლიერი ელვარება გამჭვირვალე საგნისა, — ციმციმი, კიაფი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ანა კალანდაძე



თემაზე დაწერილი მისი ლექსი გამოირჩევა სულიერი სინაზით, ჰარმონიულობითა და სისადავით. იგი ქართული პოეზიის ნამდვილი დედოფალი იყო, რაზეც არა მხოლოდ ქართველი მკითხველის დამოკიდებულება, არამედ მის მიმართ უცხოელი პოეტებისა თუ ლიტერატორების მიერ გამოთქმული აზრებიც მოწმობს.

ანა კალანდაძე 2008 წლის 11 მარტს, 83 წლის ასაკში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.

ქართული პოეზიის დედოფალი — ანა კალანდაძე დაიბადა 1924 წლის 15 დეკემბერს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში. საშუალო სკოლა ქუთაისში დაამთავრა და

წელს კიდევ ერთი ლიტერატურული პრემიით დააჯილდოეს — საპატიო „საბას“ ლაურეატი გახდა, რომელიც ლიტერატურაში შეტანილი წვლილისთვის გადასცეს... ანა კალანდაძემ ლექსების წერა 11 წლის ასაკში დაიწყო. პირველი ლექსები 1946 წელს გამოაქვეყნა. პირველი კრებული კი 1953 წელს გამოსცა, რომელმაც დიდი პოპულარობა და საყოველთაო სიყვარული მოუტანა. მისი პოეტური კრებულები მრავალჯერ არის გამოცემული (1957, 1960, 1967, 1976, 1984, 1985). საკუთარი ორიგინალური ლექსების გარდა, ჰქონდა მსოფლიო კლასიკოსების ნამუშევრების პოეტური თარგმანები, ასევე წერილები, ესეები, მოგონებები. ანა კალანდაძის ლექსები თარგმნილია რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, პოლონურ და სხვა ენებზე. მისი პოეზია თვითმყოფადია — ლექსები გამოირჩევა სინატიფით და პოეტური აზროვნების მაღალი კულტურით. ნებისმიერ



„საბას“ პრემიით დაჯილდოებისას

სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო, რომელიც კავკასიური ენების სპეციალობით დაამთავრა. 1952 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში, უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე... 1993 წელს კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს... 1985 წელს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო და გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიები მიენიჭა... 2006


„ბედნიერი ვარ, რადგან თანამედროვე ქართული ლიტერატურის ჯილდო გადმომეცა. ეს ნიშნავს, რომ ჩემი ლექსები ჯერ კიდევ აინტერესებს ახალგაზრდა მკითხველს“.

2006 წელი, ანა კალანდაძის მცირე კომენტარი „საბას“ დაჯილდოების ცერემონიაზე.

ქალი ემუღეხი ნანას,
შობაში ემუღეხი ქალაქი...
ქვემო აღეხის მკვლამ
ქვემო საუდარში...
ქვემო ღმერთო
ქვემო სახელო სარაში?
ანა კალანდაძე



თამარ ჭილაძესა და მუხრან მაჭავარიანთან ერთად



მარი ჯაფარიძე

მორიგანი

არხიდიტა დედოფალი

დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52

— შენ რომელი დათო ხარ? პირველი თუ მეორე? — ვლუღლუღებდი და ვცდილობდი, სახეში შემეხედა, რომ გამერკვია, რომელი იყო. ვგრძნობდი, რომ გონება მეზინდებოდა...

უეცრად, აზრზე ცივმა წყალმა მომიყვანა... ერთბაშად გამოვფხიზლდი.

სააბაზანოში ვიდექი ჩაცმული და თავზე ცივი წყალი მესხმებოდა. უეცრად შემამცივნა და ავკანკალდი. მამაკაცმა ონკანი დაკეტა. წყალი შეწყდა, მაგრამ სველი ტანისამოსი ტანზე მეკვროდა, მიჭერდა, მოძრაობას მიშლიდა. როგორც კი მიხვდა, რომ გონის დაკარგვის საშიშროება უკვე აღარ მელოდა და ასე თუ ისე, გამოვფხიზლდი, თბილი წყალი მოუშვა. სხეულში სითბომ დამიარა, მაგრამ არ მესიამოვნა. თითქოს ცივი წყლის ქვეშ უფრო კარგად ვგრძნობდი თავს.

— დაკეტე, დაკეტე, — ვანიშნე და სააბაზანოდან ამოსვლა დავაპირე.

— მოიცა, პირსახოცს მოვიტან, შენ კი გაიხადე და ხალათი ჩაიცვი, — პირსახოცის ხალათი საკიდრიდან ჩამოსხნა და მომანია.

— გადი, — ვუბრძანე.

— მარტო ვერ მოახერხებ სველი ტანისამოსის გახდას, გაგიჭირდება...

— გადი!

— კარგი, მე ცხელ ჩაის მოგიმზადებ, შენ კი დროზე იმოქმედე, ფილტვების ანთება არ დაგემართოს, — მამაკაცი გავიდა.

ძლივს მოვახერხე გახდა-ჩაცმა. ხელები არ მემორჩილებოდა. თან, ვკანკალებდი და კბილს კბილზე მაცემინებდა.

„ფუმფულა“, მშრალი ხალათის ტანზე შეხება უზომოდ მესიამოვნა. შიშველი ფეხები ფლოსტებში წაყვავი და ოთახში გავედი. წონასწორობის შენარჩუნება ჯერ კიდევ მიჭირდა, თუმცა გონება უკვე საღად აზროვნებდა და მზერაც აღარ მქონდა დაბინდული.

სტუმარმა ცხელი ჩაი და ცხელი წყლით სავსე სათბურა დამახვედრა. დივანზე დამსვა, სათბურა ფეხებთან დამიდო, პლედი მომახურა და ჩაი ჩემკენ ახლოს მოსწია.

ფინჯანი ხელებში მოვიქციე და მოვხვრიბე. ხმას არც ერთი არ ვიღებდი. როცა ცახცახმა გამიარა და გავთბი, საუბრის დაწყება მოვახერხე.

— რა გქვია? — ვკითხე და თან თვალი ავარიდე.

— სანდრო.

— დათო შენი ძმია, ხომ?

— კი, ტყუპისცალია, — გავჩუმდი. — მკითხე, ნუ მოგერიდება, — შემავლუიანა, რადგან სვდებოდა, ბევრი რამ იყო ჩემთვის გაუგებარი.

— კი, მაგრამ რატომ აქამდე არ მეუბნებოდით სიმართლეს?

— მეგონა, რომ იცოდით. ლალისთან პირველად რომ მოვედი, ცოტა არ იყოს, დავიბენი, რადგან არ მეგონა, აქ ვინმე უცხო თუ დამხვდებოდა. იცი ალბათ, რომ ლალი მამაჩემის საყვარელია და ჩვენ მასთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. მე და დათოს მეგობრად მიგვაჩნია. 8 წლისეტი ვიყავით, დედა რომ გარდაგვეცვალა, 2 წლის შემდეგ მამა დაქორწინდა, მაგრამ დედინაცვალმა ვერ შეგვიყვარა. არც მამას ჰქონდა კარგი ურთიერთობა მეორე ცოლთან, მაგრამ რალაცების გამო იძულებული იყო, მისი გამოხდომები აეტანა. ლალი მის ცხოვრებაში მოგვიანებით გამოჩნდა, როცა ჩვენ 14-15 წლისეტი ვიყავით. მამას მთელი გულით უყვარს ეს ქალი. ჩვენც კარგად გავუყუთ. ფაქტობრივად, დედის მაგივრობას გვინევს. ეგაა, „დედას“ არ ვეძახით და თვითონაც მეგობრებად მიგვიჩნევს. მოკლედ...

— ლალი სად მუშაობს? — რატომღაც გადავწყვიტე, რომ ჯობდა, ლალის თემა ამოგვეწურა და

რაც მაინტერესებდა, ბოლომდე გამეგო.

— შენ ეგეც არ გცოდნია... ლალი ვაჭრობის მინისტრის მოადგილეა — მამამ გაქაჩა. ყველაფერი გააკეთა, რომ საყვარელი ქალისთვის ცხოვრება მოეწყო. ალბათ თვითონაც მოგიყვება ოდესმე თავის თავგადასავალს.

— ააა, — ხმამალლა მხოლოდ ეს ვთქვი, გულში კი გავიფიქრე, ახლა მივხვდი, რატომ იქცეოდა ის „სან-ყობის კაცი“ ასე მოწინებით და საიდან ჰქონია ლალის ასეთი გავლენა და სიმდიდრე-მეტეტი. თუმცა, ამ ქალთან ურთიერთობის ასე მოკლე ხნის მანძილზეც კი მივხვდი, რომ ლალი ღირსეული, კეთილი, სათნო ადამიანია და იმსახურებდა იმას, რაც ჰქონდა.

— ჰოდა, რას ამბობდი? — ფიქრებიდან გამოვერკვიე.

— ჰოდა, აქ უცხო სარავის ველოდი, მით უმეტეს — ასეთ საყვარელ და ლამაზ გოგონას. მაშინვე მივხვდი, ქართველი რომ არ იყავი.

— როგორ გეკადრება?! ქართველი ვარ! — რალაცნაირად, ამაყად წარმოვთქვი.

— ქართული არ იცი და როგორი ქართველი ხარ? — არ დამიჯერა.

— მამა ქართველი მყავს; ეგაა, რომ მოსკოვში გავიზარდე. ახლა ვსწავლობ ქართულს და მალე ავლაპარაკდები, მერე კი ნამდვილი ქართველი ვიქნები.

— ეს მომწოროონს, — ბოლოსიტყვა გააგრძელა სანდრომ, — რადგან ასე ამბობ, შენს ძარღვებში ნამდვილად ჩქეფს ქართული სისხლი. ჰოდა, მივხვდი, რომ დათო გეგონე, რადგან პირველად გხედავდი, შენ კი შინაურით შემხვდი. ყავის მოსადულებლად სამზარეულოში რომ გახვდი, თუ გახსოვს, ტელეფონზე დავრეკე მაგ დროს. დათოს ველაპარაკე და მისგან გავიგე, როგორ მოხვდი ლალისთან. გადავწყვიტე, არ მეთქვა, რომ დათო არ ვიყავი — შემეშინდა, არ დამეფრთხე. მერე ვიფიქრე, რომ ლალისგან შეიტყობდი სიმართლეს, მაგრამ ბოლოს შეხვედრიდან გამომდინარე, მივხვდი, რომ არაფერიც არ იცოდი და ჭურში იჯექი. მე გიმტკიცებდი,

დიდი საახალწლო ფასდახლება ნიგნაზა

-20%

„ბიბლუსის“ მალაზიებში!

-40%

თოვლის ბაბუს საოცარი ამბავი



თოვლის ბაბუს ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და გამორჩეული ახალი წლის ამბავი. ეს წიგნი გაგიმხელთ თოვლის ბაბუს საიდუმლოებებს და პასუხს გასცემს ბავშვების უამრავ შეკითხვას.



ფასი: ~~19.99~~ 15.99



თვალაბი, ყურაბი, ცხვირი და ხელი



გაეცანი მხიარულ ცხოველებს: ვირუჯას, გოჭუნას, ჰატარა ლეკვსა და კენტრუშა ბატანს. შეიტყვე, როგორ ცხოვრობენ ისინი ერთად.

ფასი: ~~19.99~~ 15.99

წარმოიდგინე, რომ ხარ რაინდი



წიგნში მოთხრობილია ყველაფერი რაინდების შესახებ - ვინ იყვნენ ისინი, როგორი უნდა ყოფილიყო ნამდვილი რაინდი? ამ წიგნის საშუალებით ნებისმიერ ბავშვს შეუძლია თავი ნამდვილ რაინდად წარმოიდგინოს!



ფასი: ~~22.99~~ 18.40

თამარ მეფის საფლავის საიდუმლოება



შეფე თამარის საფლავის ბურუსით მოცული ისტორია. რა სენით გარდაიცვალა და სად არის დაკრძალული ქართველთა სათაყვანებელი შეფე. წიგნი პასუხს გასცემს თქვენს ყველა კითხვას!

ფასი: ~~4.99~~ 2.99



მე, პრეზიდენტი და მხოფლიო ჩემპიონი

მსუბუქი ფრაზები, ამბის გაღმომცემის სიწრფელე... ამ წიგნში უამრავ ნაცნობ სახეს შეხვდებით. იყითხება ლაღად და თავისუფლად. მერე კი რჩება ფიქრი და განსჯა.

ფასი: ~~9.99~~ 7.99

„გამომცემლობა პალიტრა L“ გილოცავთ შობა-ახალ წელს!



დათო არა ვარ-მეთქი, შენ კიდეც შენსას „ანვებოდი“... გადავწყვიტე, ქორწილში სიურპრიზი მომეწყო, მაგრამ მგონი, არ გამომივიდა. გაბრაზდი და ამის გამო წამოხვედი ქორწილიდან, არა?

— ჰო, გაბრაზდი, ცოტა მენწყინა კიდეც, რადგან პატარა ბავშვივით მომატყუე. მარტო შენ კი არა, ყველამ მომატყუეთ.

— ნუ იბუტები ახლა; თუ გაბრაზდი, ეგ სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მარტო უნდა გამოთვრე და ერთი ბოთლი კონიაკი გამოცალო.

— 3 ჭიქა დავლიე, — ჯიუტად გავიმეორე.

სანდრომ ბოთლი ასწია და დამანახვა. მართლაც, ლამის ბოლომდე გამომენრუბა, 2-3 სირჩა სასმელი თუ იქნებოდა დარჩენილი. როგორც ჩანს, მესამე ჭიქის შემდეგ აღარაფერი მახსოვდა.

— ეს ძალიან ბევრია, ამდენი კონიაკის „ათვისება“ მამაკაცსაც გაუჭირდება. ღმერთმა გამომგზავნა ალბათ, რომ გადამერჩინე. რომ არა და არ გამოჩნდი, მივხვდი, სადაც იქნებოდი და წამოვედი.

ლოყაზე თითები ჩამომისვა. მესიამოვნა მისი შეხება. თავი არ გამინევიან. ხელი მომხვია, ნელ-ნელა თავისკენ მიმიზიდა და ტანზე მიმიკრა. საერთოდ არ ვუნევედი წინააღმდეგობას და გულში ვფიქრობდი, რომ რაც უნდა მომხდარიყო, ყველაფერზე თანახმა ვიქნებოდი.

სანდრომ თვალეში ჩამხედა და ტუჩებზე შემეხო. თვალეები დავხუჭე. მისი ხელების სითბოს მთელ სხეულზე ვგრძნობდი. თითქოს ცეცხლი მეკიდა. არ მინდოდა, მისი ტუჩები მომშორებოდა და როგორც კი ვიგრძნობდი, რომ საკოცნელად ლოყაზე ან კისერში აპირებდა გადანაცვლებას, ამის საშუალებას არ ვაძლევდი — ტუჩებს არ ვაშორებდი. სანდრომ ხელში ამიყვანა და საძინებლისკენ წამიყვანა. კისერზე მოვეხვიე და ლოყით მკერდზე მივეხუტე.

სანოლზე ნელა დამიშვა, ქამრით შეკრული ხალათი გამიხსნა და დამხედა.

ცოტა ხანში მისი ვნებიანი კოცნა მთელ სხეულს მიფარავდა; სადაც შემეხებოდა, თითქოს ცხელი შანთი დამადესო, ისეთი შეგრძნება მქონდა. ეს მამაკაცთან ჩემი პირველი სიახლოვე იყო. მომავალზე არ ვფიქრობდი, იმ ნუთში ამ მამაკაცის მკლავებში სიკვდილსაც კი სიხარულით შევეგებებოდი. თავდავიწყებით აღერსმა დიდხანს გასტანა. არ მახსოვს, რამდენ ხანს მკოცნიდა

და მეფერებოდა სანდრო... გონს მისმა სიტყვებმა მომიყვანა:

— მარგო, თანახმა ხარ, ჩემი გახდე? — ყურში ისე ტკბილად ჩამჩურჩულა, ლამის დავდნი.

— კი, — არც მიყოყმანია, ისე დავეთანხმე.

ჩაიცინა და თავი რალაცნაირად გადააქნია. წამოდგა და ოთახიდან გავიდა. ხალათი შემოვიცვი და უკან გავედევნე.

— რას ნიშნავს ეს? რატომ გავეცინა?

— არა, ტყუილად იბრალებ ქართველობას; არც ერთი ქართველი გოგო ასე არ დამნებდებოდა, ასე უცებ არ დაუნეებოდა მამაკაცს. მაინც რუსის სისხლი ჭარბობს შენში...

ამ სიტყვების გაგონებისას, არ ვიცი — ქართველის, არ ვიცი — რუსის სისხლმა თავში ამასხა. სიბრაზისგან თვალთ დამიბნელდა, ხელი მთელი ძალით მოვიქნიე და ისეთი სილა გავანანი, რომ დარწმუნებული ვარ, თვალეებიდან ნაპერწკლებს გამოყრიდა.

— პატარა კატავ, შენ კლანჭების გამოჩენაც გცოდნია, — განითლებულ ლოყაზე ხელი მოისვა და წავიდა.

კარი გაიხურა თუ არა, მაშინვე ავბლავდი. იმის გამო არ ვტიროდი, რაც სანდრომ მითხრა. უფრო იმის გამო ვიტარიე, რომ მისი ნათქვამი მენიშნა და სიმართლედ მივიჩნიე. თვალნი დედაჩემი და მისი თანამეინახენი წარმომიდგინე, რომლებიც სიმთვრალეში რას აკეთებდნენ, თვითონაც არ უწყოდნენ, — ორგიებს აწყობდნენ და პარტნიორებს ერთმანეთის მიყოლებით, ცხვირსახოცებივით იცვლიდნენ. ჩემი თავი მათ შევაფარე და ვერაპირთარი სხვაობა ვერ დავინახე.

„როგორ მივეცი ამის უფლება? როგორ ვნებდებოდი 16 წლის გოგო, 12 წლით უფროს მამაკაცს! არც მიკითხავს მისთვის, ვუყვარდი თუ არა, ისიც კი არ ვიცოდი, ახლა რომ რამე მომხდარიყო, კიდე მოვკრავდი თვალს თუ არა ამ ადამიანს. ნამდვილი დეგენერატი ხარ, იდიოტი, პატარა ბოზი! — საკუთარ თავს უშვერი სიტყვებით ვამკობდი, არანაირ ბინძურ ეპითეტს არ ვიშურებდი. — მეზიზღები, შე სატანავ! მძულხარ! — ბოლო სიტყვები სარკეში საკუთარ გამოსახულებას ვუთხარი და მივაფურთხე, — მსგავს შეცდომას კიდეც ერთხელ დაუშვებ, კიდეც ერთხელ აპყვები ამძუნებული სხეულის კარნახს და იმ ქალებს დაემსგავსები, ცხოვრების ნუშპეში რომ

იხრჩობიან და იძირებიან. დღეიდან მამაკაცზე ფიქრი გეკრძალება! სწავლა, დიპლომი და კარიერა იქნება შენი მიზანი!“ — საკუთარ თავს ისე ველაპარაკებოდი, როგორც სხვა ადამიანს.

ეს თვისება ბავშვობიდან მქონდა და დღემდე შემომრჩა — საკუთარ თავთან ხმამაღლა ლაპარაკი, გაკიცხვა და დასჯაც კი შემეძლო. თუ რაიმეს გადავწყვეტდი, სამყარო რომ ამორბუნებულიყო, იმას მაინც შევასრულებდი.

იმ დღიდან ლალი იქცა ჩემს იდეალად და მიზნად დავისახე, მასავით მდიდარი, წარმატებული, ამავე დროს — კეთილი და სათნოებით სავსე ქალი „გამოვსულიყავი“ და ეს გადანყვებილება მივიღე თუ არა, მაშინვე ვიცოდი, რომ ამას აუცილებლად მივალწევდი.

იმ ლამით ისე დავიძინე, ლალი თვალითაც არ მინახავს. დილით, სანამ ჩემი ოთახიდან გავიდოდი, ტუმბოს უჯრაში ჩადებულნი, ლალის ნაჩუქარი, მოზრდილი ბლოკნოტი ამოვიღე და პირველი ჩანანერი გავაკეთე:

- 1. სკოლაში საბუთების შეტანა.
- 2. მამას მოძებნა.

ჩანანერს დავხვედი და კმაყოფილმა გავიღიე. გუშინდელი უსიამოვნება აღარც მახსოვდა. ვიფიქრე, რომ ის ერთი ცხოვრებისეული გამოცდა იყო, რომელმაც სწორ გზაზე დამაყენა. ამიტომ, მისი უსიამოვნებად მიჩნევა არასწორი იქნებოდა. ახალ ცხოვრებას ვინყებდი და ეს სწორედ წინა დღის „დამსახურება“ იყო.

შხაპი მივიღე, ჩავიცვი და სამზარეულოში მოფუსფუსე ლალის თავზე დავადექი. მაგიდასთან იდგა და ჭიქაში ყავას ყრიდა. უენიდან მივეპარე და ლოყაზე ვაკოცე. რატომღაც, ძალიან მომიწინდა, რომ ასე მოქცეულიყავი. ამით ლალი უზომოდ გავაკვირე.

— მარგო, ავად ხომ არ ხარ? — მკითხა შემფოთებით.

— არა, ძალიან კარგად ვარ! — თავი ორივე ხელით დავუჭირე და სახე დავუკოცნე. — მიყვარხარ, ლალი, შენ ყველაზე კარგი ხარ მათ შორის, ვისაც ვიცნობ. შენ სამყაროს დედოფალი ხარ და მიხარია, რომ ბედმა შენთან მომიყვანა.

— ჯერ ერთი, ბედმა კი არა, დათომ მოგიყვანა, მეორეც, ცოტა გადაჭარბებულია შენი წარმოდგენა ჩემზე. დედოფლობას სულ ცოტა მიკლია... გვირგვინი დავკარგე სადღაც და ვერ ვპოულობ, ეგ მიშლის ხელს, — გადაიკისკისა ქალმა და თავზე მაკოცა, — შენც ყველაზე



კარგი გოგო ხარ მათ შორის, ვისაც ვიცნობ. შვილი რომ მყოლოდა, სწორედ შენნაირი იქნებოდა — ლამაზი, ჭკვიანი, მხიარული, ამაყი, ცოტა მორცხვი და ცოტაც ამპარტავანი...

— ჭკვიანი სულაც არ ვარ, — რატომღაც, უცებ გადაწყვიტე, რომ ლალისთვის გული გადამეშალა და გუშინდელი ამბავი დაწვრილებით მომეყოლა. ჰოდა, საუბრის წამოსაწყებად ამაზე უკეთეს დროს ვერც შევარჩევდი.

— რატომ წამოხვედი გუშინ ქორწილიდან? რამე მოხდა? — ლალიმ მეორე ჭიქაშიც ჩაყარა ყავა და შაქარი, ადუღებული წყალი დაასხა, მოურია, მაგიდას მიუჯდა და მეც მანიშნა, დაჯექიო.

— კი, მოხდა, — ჭიქას ხმაურთანად მოვუხრიე და ცოტა ხანს გავჩუმდი, რომ გონებაში სათქმელი დამელაგებინა.

— ამოიღე ხმა! რა დაგემართა? და ამ ჭიქას თავი დაანებე, გადნა შაქარი.

ლალის დაუფარავად მოვუყევი ყველაფერი, რაც მის სახლში მისვლის დღიდან ხდებოდა ჩემს თავს. არც ის დამიმალავს, რაც გულში მქონდა და უცხო თვალისთვის შეუმჩნეველი რჩებოდა. ლაპარაკი დავმთავრე და გავჩუმდი — ლალის რეაქციას დაველოდე.

კარგა ხანს ვილაპარაკეთ, ბევრი რამ გავიგე იმ დღეს ლალის შესახებ. ჭკუაც დამარიგა და ჩემი გულახდილობის საპასუხოდ, მისგანაც იგივე მივიღე. იმ დღემ მე და ლალი დაგვაახლოვა და ისეთი გრძნობა გამიჩნდა, თითქოს ამ ქალს მთელი ცხოვრება ვიცნობდი.

— ლალი, ჩემს საბუთებს როდის შეიტან სკოლაში? — ჩემი გეგმა არ დამვიწყებია და ერთი სული მქონდა, მის განხორციელებას როდის შევუდგებოდი.

* * *

როგორც დამპირდა, სანდრო მეორე დღეს მოვიდა და ფული მომიტანა. როგორც კი თანხა გადმომცა, მაშინვე ავფუსფუსდი და წასასვლელად გავემზადე.

— სადმე დაგპატიუებ, მარგო, — მითხრა, როდესაც კიბეზე ჩავდიოდით.

უარის ნიშნად ხელი ავუქნიე და ისე დავშორდი, სიტყვაც აღარ მიტყვამს.

პირველ რიგში, ტანისამოსი შევიძინე. შემდეგ — რემონტისთვის საჭირო ის მასალები, რომლისთვისაც წინააღმდეგ ფული არ მეყო.

იმ დღესვე ბინის გაქირავებაზე განცხადებები ჩამოვარიგე შესაბამის ოფისებში.

სალამოს, ვეროჩკას დახმარებით კედლებიდან ძველი შპალერი ჩამოვხიე, ახლის გაკვრა მეორე დღისთვის გადავდე.

დილაუთენია ვერას ზარმა გამაღვიძა. კარზე გამწარებული რეკავდა. საქმეს დილიდან შევუდექით, — მოვადულეთ ფაფა, რომლითაც შპალერი უნდა გაგვეკრა, რულონები დავშალეთ და ზომაზე დავეჭერით, ვერამ შინიდან კიბე გამოიტანა

— შენი სიმამრის აღარ გეშინია?

— მისი დავალებაა, მან თავად გამოგზავნა შენთან ამ წინადადებით.

— ეს კარგს არაფერს მოასწავებს. ალბათ კიდევ რამე გექნებათ ჩაფიქრებული, რაც ჩემ სასარგებლოდ არ იქნება მომართული, რა თქმა უნდა, — უნდობლობით სავსე მზერა მივაპყარი, — იმისი არ მჯერა, რომ ამ კაცს ჩემზე გული შესტკივა და ამ სამსახურის განწევით დანაშაულის გამოსცილდეს ცდილობს.

— მარგო, წინადადება მაქვს, სპეცსამსახურებთან ითანამშრომლო...

საკუთარ თავს უშვერი სიტყვებით გამკობდი, არანაირ ბინძურ ებითეტს არ ვიშურებდი. — მეზიზღები, შე სატანავ! მძულხარ!

და გვიან ღამით სამუშაოები სამივე ოთახში დავასრულეთ. ახლა იატაკის მოხვნა, სააბაზანოსა და სამზარეულოში კაფელის გაკვრა და ფანჯრების შეღებვა რჩებოდა. საამისოდ კი მეორე დღეს მუშები მოვიყვანე და რამდენიმე დღეში ყველაფერი მზად მქონდა. ავეჯი და საყოფაცხოვრებო ტექნიკა შევიძინე და სახლი მოვანწყვე. იქაურობა ისე მომეწონა, ბოლოს გაქირავება დამენანა კიდევ.

კლიენტიც მალევე ვიშოვე. ფაქტობრივად, ცხიდან გამოსვლიდან 2 კვირაში ყველაფერი მოვასწარი და თბილისში წამოსვლა გადავწყვიტე.

წინააღმდეგ სანდრო მესტუმრა.

— როდის აპირებ საქართველოში დაბრუნებას?

— ხვალ მივფრინავ.

— რას აპირებ? რა უნდა გააკეთო თბილისში?

— იქ რომ ჩავალ, მაგას მერე გადავწყვეტ. პირველ რიგში, ლალის და მამაჩემის საფლავს მოვინახულებ, მერე ალბათ იქაურ სახლსაც მივხედავ, სიტუაციაში გავერკვევი და სამსახურის ძებნას დავიწყებ. ფული კი კიდევ დამჭირდება და ჯობია, ახლავე მოვილაპარაკოთ, რამდენის მოცემას შეძლებ.

— რამდენი გჭირდება?

— ერთი იმდენი კიდევ, რაც უკვე მომეცი...

— მარგო, სამსახურს მე შემოგთავაზებ.

— შენ?! — გაოცებულმა შევხედე.

— ჩემს გადაბირებას აპირებთ? არაფერი გამოგივთ, იცოდე!

— მარგო, შენს ადგილზე დავფიქრებოდი, ვიდრე გადანყვებილებას მივიღებდი.

— მაშ, ჩემი გათავისუფლება იმიტომ გადაწყვიტეთ, რომ თქვენ სასარგებლოდ გამომიყენოთ?

— მათ ისეთი ადამიანი სჭირდებათ, ვისაც ნათესავები არ ჰყავს ან ცოტა ჰყავს, რისკიანია, ჭკვიანი, იარაღსა და სხვადასხვა ორთაბრძოლის ილეთებს კარგად ფლობს...

— და ასეთი მე ვარ, ხომ?

— არჩევანი შენზე შეაჩერეს...

— დიდი პატივია, საყვარელო. და გგონიათ, რომ მე ამ წინადადებას სიხარულით მივიღებ?


— მოგიწევს!

— ჰმ... ახლა უკვე ყველაფერი გასაგებია... ადექი და წადი! გუნებაშიც არ გაივლო, რომ ოდესმე დამითანხმებთ.

— მარგო, საუკეთესო პირობებს გთავაზობენ, იქნებ ჯერ მოგვისმინო, სამაგიეროდ, რას მიიღებ?

— სამაგიეროდ, რასაც მივიღებ, უკვე წინასწარ ვიცი. არც გუშინდელი ბალლი ვარ და არც თქვენი სათამაშო ტიკინა. ჩემი ცხოვრების წარმართვის უფლებას არავის მივცემ. არჩევანი თავად უნდა გავაკეთო, მე კი თავისუფლებას ვირჩევ... — კიდევ ბევრი რამის თქმას ვაპირებდი და „რეჩი“ მომზადებულიც მქონდა, მაგრამ ლაპარაკი კარზე ზარის ხმამ გამანყვებინა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ნანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza@palitra.ge

რუსულან პერიოდი

დასაწყისი იხ. „გზა“ №51-52

— მისმინე, კოტე, მგონი, ძალიან ჩქარობ. ნახე ერთი, დღეს რა საინტერესო რამე ვიყიდე, — წყალწაღებულივით ხავსს ეჭიდებოდა გოგლა.

— მორჩა! — ხელები გაასავსავა ახალკაცმა. — დღეიდან ეს უკვე მხოლოდ შენი საქმეა. თან ეს გარიგება ხომ უჩემოდ შედგა. ასე რომ, მხოლოდ ნივთებს ჩავილაგებ და... ჰო, მართლა, კომპიუტერს გიტოვებ, ახალი ნოუტბუკი მაქვს.

— რომელ კომპიუტერზეა ლაპარაკი, ჩემი ფულით რომ იყიდე?

— ჰო, როგორც არის... საბოლოო ჯამში ხომ მაინც მოგებულნი რჩები? — საიდან დაასკვნი?

— იქიდან, რომ მზა ბიზნესი გრჩება, მე კი ყველაფრის ნულიდან დაწყება მომიწევს.

— იქნებ, ამაშიც მე დამადანაშაულო!

— მგონი, გითხარი, რომ შენ არავინ გადანაშაულებს.

— დიდი მადლობა!

— არ გინდა, — თავი ნერვიულად გაიქნია კოტემ, — მგონი, ორივესთვის აჯობებს, თუ მშვიდობიანად დავცილდებით.

— ომს არც მე გიცხადებ. არ მესმის, ასე რატომ ჩქარობ გაქცევას? ის მაინც ხომ შეგიძლია, რომ აქ დარჩე და შენი საქმე აკეთო? ადგილი ორივეს გვეყოფა.

— დამიჯერე, არ ღირს. ერთმანეთს ხელს თუ შევეშლით. თანაც, უკვე ახალი ბინაც მოვძებნე, — კარისკენ შებრუნდა კოტე.

— მოიცა! — კინალამ ხელით შეაჩერა ახალკაცი გოგლამ, რომელსაც ეჩვენებოდა, რომ კომპანინონის წასვლით მთავარი საყრდენი ეცლებოდა. — მარტო ყველაფერს როგორ გავწვდები? ყველა კონტაქტზე ხომ შენ გადიოდი?

— გასწვდები, — კოტემ კარი უკანმოუხედავად გამოაღო, — ჩვენი კლიენტების მონაცემთა ბაზა კომპიუტერშია. მაგრამ თუ რამე გაგიჭირდება, დამირეკე. ჩემი მობილური ტელეფონის ნომერი ხომ იცი...

ახალკაცის წასვლის შემდეგ გოგლა თავის ოთახში შებრუნდა და სანოლზე ჩამოჯდა. „მორჩა, სულ მარტო

დავრჩი, — გაიფიქრა მან, — მთავარია, როგორმე ცოტა დავმშვიდდე, აზრი მოვიკრიბო და შემდგომი ცხოვრება ისე დავგეგმო“. მაგრამ ლაღიძეს თავში ერთი სალი აზრიც კი არ მოსდიოდა, რადგან ფიქრში კვლავ ახალკაცთან საუბარს უბრუნდებოდა. უეცრად თვალი მაგიდაზე გაშლილი ტილოსკენ გაექცა და მწარედ გაელიმა. უკვე ახალი შენაძენიც კი აღარ ახარებდა. თუმცა, მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, მაგიდასთან მაინც მივიდა და სურათს ისე დააშტერდა, თითქოს პირველად ხედავდა. პრინციპში, ასეც იყო, რადგან ისე იყიდა, წესიერად არც კი დაუთვალა ირგვლია. უბრალოდ, მ შემოთავაზებული ტილოდან თვალში ეს მოუვიდა. გოგლა სურათისკენ დაიხარა და რაღაც წარწერა შენიშნა. ნახატს სახელად „უკანასკნელ გზაზე“ ერქვა. ნამუშევარზე დაკრძალვის ცერემონია იყო ასახული. ცენტრში მარხილი და მასში შებმული ცხენი იყო გამოსახული. მარხილს აქეთ-იქიდან ორი ტყაპუჭიანი მამაკაცი ამოსდგომოდა. ორივე წვერმოშვებული იყო. მათი სახეები ოსტატურად იყო შესრულებული და, მწუხარებასთან ერთად, მათზე ცხოვრებისეული სიბრძნე და გამოცდილებაც კარგად იკითხებოდა. მარხილს უკან ძვირფას პალტოში გამოწყობილი სუფთად წვერგაპარსული შუახნის მამაკაცი მიჰყვებოდა. როგორც ჩანს, სწორედ ის აცილებდა ბოლო გზაზე ახლობელ ადამიანს. მარხილზე მდგარი მომცრო კუბო კი იმაზე მიუთითებდა, რომ გარდაცვლილი ტანდაბალი ადამიანი ან სულაც ბავშვი უნდა ყოფილიყო.

სურათი იმითაც იყო საინტერესო, რომ მთელ სამგლოვიარო პროცესისას, მხოლოდ ეს მ ადამიანი შეადგენდა. ის მოახლოებული ავდრის ფონზე იყო გამოსახული და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ცოტაც და ლეგა შავი ღრუბლებით დაფარული ცა, ამ ისედაც გულდამძიმებულს პირდაპირ თავზე ჩამოემხოდა. მთელ ამ პირქუშ სურათს მხოლოდ მზის სხივი ახალისებდა, რომელსაც რაღაც სასწაულით, ღრუბლებიდან გამოლწვევა მოეხერხებინა და მოშორებით მდგარი ეკლესიის გუმბათს დასთამაშებდა... ტილოს მარჯვენა ქვედა კუთხეში თარიღი და ავტორის ვინაობა იყო მითითებული.

„მდაა, — ნელში გასწორდა შეფიქრიანებული გოგლა და კეფა მოიფხანა, — ასეთ სურათს საძინებლებში, თვალის გასახარად ნამდვილად არავინ დაიკიდებს. ალბათ, ის უფრო რომელიმე კერძო კოლექციის შესავსებად თუ გამოდგება. თუმცა ამაზე მისმა მომავალმა მფლობელმა იმტვიროს თავი“, — დაასკვნა მან ბოლოს, ტილო ისევ ფაქიზად დაახვია და შეინახა. ახლა ლაღიძის მთავარი მიზანი ნამუშევრის შემომწება და შემდეგ სარფიანად გაყიდვა იყო...

„საჭირო“ ადამიანის შეხვედრაზე დასათანხმებლად, გოგლას თითქმის ერთი კვირა დასჭირდა. ეს ადამიანი სახვითი ხელოვნების ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ექსპერტად მიიჩნეოდა. მიხეილ დოლიძე (ასე ერქვა ექსპერტს) დედანს ნაყალბევისგან უტყუარად არჩევდა და, ამიტომაც, არაერთი ქართული თუ უცხოური მუზეუმების საექსპერტო კომისიების შემადგენლობაშიც ხშირად იწვევდნენ. დოლიძემ გოგლას თავის ძირითად სამსახურთან დაუთქვა შეხვედრა და მალე ორივე მის მისაღებად აღმოჩნდა, რომლის შუაგულშიც მოზრდილი მაგიდა იდგა. დოლიძე კლიენტებს ძირითადად ამ ოთახში იღებდა, კაბინეტში იშვიათად თუ ვინმეს უშვებდა.

— მაჩვენეთ, ყმანვილო, რა გაქვთ ასეთი საინტერესო, — მაგიდისკენ გაუძღვა ექსპერტი გოგლას. ამ უკანასკნელმაც ტილო ფუტლარიდან გამოიღო და მაგიდაზე ფრთხილად გაშალა.

— საინტერესოა, — მაშინვე სათვალე მოირგო დოლიძემ და ნამუშევარს დაჟინებით დააქცურდა, — ეს მხატვარი ნაკლებადაა ცნობილი, ყოველ შემთხვევაში — საქართველოში მაინც.

— დიხ, ის სიცოცხლის ბოლომდე



საფრანგეთში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

— ნამდვილად საინტერესო ნამუშევარია და საკმაოდ პროფესიონალურადაც არის შესრულებული, — განაგრძო დოლიძემ, — ცოტა უცნაური სიუჟეტი კი აქვს, არ მეთანხმებით? — შემდეგ გოგლას მიუბრუნდა, რაზეც მან მხრები აიჩეჩა.

— ისე, მხატვრის ჭეშმარიტი ჩანაფიქრი რა ჩვენი განსასჯელია?

ამის შემდეგ დოლიძემ შტატივზე დამაგრებული ნათურა სურათთან ახლოს მიიტანა და ოდნავ შეფიქრინებულმა დაუმატა:

— მაშ ასე, ყმანვილო, თითქმის დარწმუნებით შემიძლია გითხრაო, რომ ეს ნაყალბევი არ არის. მართალია, უცნობი მხატვრის ასევე უცნობი ნამუშევარია, მაგრამ იმის თქმაც დარწმუნებით შემიძლია, რომ მხატვარი იმ დონის არ გახლავთ, რომ მისი ნამუშევრები ვინმემ გააყალბოს. თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რომ ოდესმე მის სურათებს ძალიან დიდი ფასი დაედოს და მსოფლიოს ცნობილ მუზეუმებშიც გამოიფინოს.

— სხვათა შორის, იგივე მითხრა იმ მოხუცმა ქალბატონმაც, ვინც ეს ნამუშევარი მომყიდა. ოღონდ, ირწმუნებოდა, რომ ეს ნამუშევარი დღესაც მილიონები ღირსო.

— რა თქმა უნდა, ასე გეტყვოდათ, — მონყალედ გაელღიმა დოლიძეს, — რადგან, როგორც წესი, თვით ყველაზე პატარა კოლექციის მფლობელიც კი მტკიცედაა დარწმუნებული, რომ ყველაზე ძვირი სწორედ მის ხელთ არსებული ნამუშევრები ღირს. მართლა, ის ქალბატონი ვინ იყო?

— მარიამ იაშვილი.

— იაშვილი?

— დიახ, ამ მხატვრის ქალიშვილი. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასე გამეცნო.

— მაშინ ყველაფერი გასაგებია. ამ ქალბატონს, რა თქმა უნდა, ისიც მტკიცედ სჯერა, რომ მამამისი გენიალური მხატვარი იყო.

— ალბათ...

— და საპირისპიროსაც ვერავინ დაუმტკიცებს. თუმცა, ეს უკვე ჩვენი პრობლემა ნამდვილად არ არის, — როგორც იქნა, ტილოს თვალი მოაცილა დოლიძემ და გიგლას მიუბრუნდა: — ოფიციალურ დასკვნას ზეგისთვის გა-

გიზადებთ. ტარიფი ალბათ, თქვენთვის უკვე ცნობილია. ასე რომ, ზეგამდე, წარმატებას გისურვებთ, ყმანვილო! — თვალები ეშმაკურად მოიკურა ექსპერტმა...

მომდევნო დღეებში გოგლას მართლა ძალიან გაუმართლა და ჯერ კიდევ ბიზნესის დასაწყისიდან შემორჩენილი, ვენეციური მინისგან დამზადებული რამდენიმე ბოკალისა და ძველი ჩინური ფაიფურის ლარნაკის გაყიდვა მოახერხა. ამაში მისი და კოტეს საერთო ნაცნობი — სამა კლიმიაშვილი დაეხმარა. კლიმიაშვილი მდიდარი კლიენტების მოძებნით იყო დაკავებული და გარიგებიდან საკუთარი მყარი საკომისიოც ჰქონდა. ის კოტესა და გოგლას ადრეც არაერთხელ დახმარებია, მაგრამ ახლა მართო დარჩენილ ლალიძეს, რომ იტყვიან, პირდაპირ სულზე მიუსწრო. თანაც, გარიგებაც სწრაფად შედგა, რადგან ორმოცდაათს მიტანებულ, შეძლებულ ქალს, რომელიც კლიმიაშვილმა გოგლას რატომღაც შინ აახლა, ვაჭრობაც კი არ დაუნყია, ყველაფერი ისე იყიდა. ამან გოგლა განსაკუთრებით გაახარა. ჩვეულებრივ, ის და კოტე საქონელს გასაყიდზე ოდნავ მეტ ფასს ადებდნენ, რათა კლიენტთან ვაჭრობის შემდეგ საჭირო თანხამდე დასულიყვნენ. ასე რომ, ამჯერად მოსალოდნელზე მეტი აიღო. „კოტე უნდა გავახარო“, — გაიფიქრა მან სტუმრების წასვლის შემდეგ და ყოფილი კომპანიონის ტელეფონის ნომერი აკრიბა.



— გისმენ, — გაისმა ყურმილში ნაცნობი ხმა.

— კოტეს გაუმარჯოს.

— გისმენ-მეთქი. სწრაფად მითხარი, რა გინდა, თორემ ძალიან ცოტა დრო მაქვს, — ხმაში გაღიზიანება დაეტყო კოტეს და უცბად გოგლას მისი ძალიან „შორს“ გაგზავნა მოუწვდა, მაგრამ თავი მაინც შეიკავა:

— შეგიძლია, გამომიარო? საქმე მაქვს.

— ძალიან დაკავებული ვარ. ამიტომ თუ რამე გჭირდება...

— ეს მე კი არა, შენ უფრო გჭირდება, — გაანწყვეტინა გოგლამ.

— მე?

— ჰო, შენ. ჩვენი კოლექციიდან რამდენიმე ნივთის გაყიდვა მოვახერხე და შენი წილის წასაღებად გეძახი.

— მართლა? — მაშინვე ხმა შეარბილა კოტემ. — მაინც რამდენი მოიგე?

გოგლამ თანხა დაუთხარა.

— ოჰო, ეს ხომ იმაზე მეტიც კია, ვიდრე ვვარაუდობდი. როგორ მოახერხე?

— სოლიდური კლიენტი შემხვდა, — მოკლედ მოუჭრა ლალიძემ, რომელიც კოტეს გადამეტებულ მერკანტილურობას ყოველთვის წონასწორობიდან გამოჰყავდა, — ჰა, რას შერები, მოდიხარ?

— კი, რა თქმა უნდა, ოღონდ...

— რა იყო?

— პატარა პრობლემა მაქვს და ალბათ, ცოტათი შემაგვიანდება.

— რა პრობლემა?

— წუთი-წუთზე რალაც უნდა მომიტანონ და ჯერ შინიდან გასვლა არ შემიძლია. ისე, თვითონ რომ მოსულიყავი ჩემთან, ძალიან დამაფალებდი... თან, დალაგებაშიც მომეხმარებოდით.

— რის დალაგებაში?

— ავეჯი ვიყიდე...

— ავეჯი? — ჩაეკითხა გოგლა, რომელიც ვერ მიხვდა, რაში დასჭირდა კოტეს ნაქირავები ბინის მოწყობა. — მერედა, სადაც გადახვალ, ავეჯიც თან უნდა ატარიო?

— აღარსად ვაპირებ გადასვლას. ეს ჩემი ბინაა.

— ესე იგი, ბინაც იყიდე?

— ბინაც და ავეჯიც. მოდი და შენი თვალით ნახავ ყველაფერს.

ოცი წუთის შემდეგ გოგლა უკვე კოტეს მითითებული კორპუსის წინ იდგა. მალე ახალკაცმა კარი გაუღო



და შინ ღიმილით შეიპატიჟა.

— აქა მშვიდობა! — შესვლის შემდეგ, ირგვლივ ყურადღებით მიიხედ-მიიხედა გოგლამ. — უნდა ვაღიარო, რომ მართლა ძალიან გამაოცე.

— ჰო, გადავწყვიტე, ცხოვრები-სგან ყველაფერი ერთად მიმეღო.

— მაინც როდის მოასწარი? ეტყობა, თამაშისა არ იყოს, საკუთარ ბინაზე ზრუნვაც ჯერ კიდევ ჩვენი ერთად ყოფნის დროს დაიწყე, ხომ?

— არც უმიგისობა იყო... — სათვალე ნერვიულად გაისწორა კოტემ.

— ჰა, როგორ მოგწონს ჩემი ბუნაგი? კოტეს „ბუნაგი“ ერთი ჩვეულებრივი ერთოთახიანი ბინა იყო, მაგრამ მაინც საკუთარი ქონება ეთქმოდა, რაზეც გოგლა ჯერ ოცნებასაც კი ვერ ბედავდა.

— შენ რა, ბანკი გაძარცვე? — გაოცებული ათვალე იგი ახალთახალ რემონტს.

— ბანკი არა... ხომ გითხარი, ვთამაშობ-მეთქი. თან იცი, როგორ მიმართლებს? — თვალეში აზარტული ცეცხლით აენთო ახალკაცს, მაგრამ მერე მიხვდა, რომ ზედმეტი წამოაყრანტალა და სწრაფად დაუმატა: — მაგრამ მაპატიე და პარტნიორად ვერ აგვიყვან.

— არც მიფიქრია. ჩემი შემოსავალიც მყოფნის. ჰო, მართლა, აჰა, აილე შენი ფული.

— აი, ამისთვის კი დიდი მადლობა, — საკუთარი წილის გადათვლა დაიწყო კოტემ, — ბევრი არაფერია, მაგრამ მაინც გამოვიყენებ.

„ბევრი არაფერიაო? — გაუკვირდა გოგლას. — ეტყობა, მართლა მაგრად გაუტია, თუკი ეს თანხა არაფრად ეჩვენება. ბევრი მის საშოვნელად ნახევარი წელი მაინც მუშაობს...“

გაუჩინარებული ანტიკვარის სახლის დასათვალე რებლად მისული ოთარ ორდენიძე ტყავის რბილ სავარძელში მოკალათებულიყო და დისტანციური მართვის პულტით ლამის მთელი კედლისსიგანე ტელევიზორის არხების გადართვა-გადმორთვით იყო დაკავებული. პრინციპში, მას არც ერთი პროგრამა არ აინტერესებდა. უბრალოდ, ეკრანზე ერთმანეთის მიყოლებით გამოჩენილ-გაუჩინარებული გამოსახულებები სწრაფად ფიქრსა და ლოგიკური დასკვნების გამოტანაშიც კი ეხმარებოდა. ორდენიძეს მაძებრის ყნოსვა, შინაგანი ხმა თუ კიდევ რალაც სხვა უკარნახებდა, რომ ხიმშიაშვილის სახლში ხელჩასაჭიდს თითქმის ვერაფერს ნახავდა. თავად სახლის დათვალე რებაში არ მონაწილეობდა, რადგან მიაჩნდა, რომ სპეციალისტები ამას მასზე უკეთესად გაა-

კეთებდნენ. ამიტომაც ოთახებში უფრო ცნობისმოყვარეობისთვის თუ შეიხედა.

ორდენიძე არაერთხელ ყოფილა მდიდარი ადამიანების სახლებში და ყოველი ასეთი „სტუმრობის“ შემდეგ კიდევ ერთხელ რწმუნდებოდა, რომ ადამიანის სურვილებსა და მადას უბრალოდ საზღვარი არ აქვს. გამომძიებელი მიიჩნევდა, რომ როგორც კი ადამიანი ფულს იშოვის, მაშინვე საკუთარ სახლს ყიდულობს. შემდეგ ამას აუზი, ნაირ-ნაირი ავტომანქანა, საკუთარი იახტა, ვერტმფრენი თუ თვითმფრინავი მოსდევს. ის კი არა და, ზოგს უკვე კოსმოსისკენაც კი გაურბის თვალი. მოკლედ, თვითდაპყვიდრებისა თუ უბრალოდ, საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად მდიდარი კაცი რალას არ იგონებს. „თუნდაც მთელი ცხოვრება ანტიკვარიატის შეგროვებას გამოდევნებულ კოლექციონერები ავიღოთ. ისინი ხომ ერთ ძვირფას ნივთს მეორეს ისეთი თავგანწირვით უმატებენ, კაცი იფიქრებს, ამაზე თვით მათი სიცოცხლეც კია დამოკიდებულიო, — თავისთვის მსჯელობდა იგი, — არადა, რომ ჰკითხო, მაინც რისთვის აკეთებთ ამ ყველაფერსო, ალბათ, ჭკუასთან ოდნავ ახლოს მყოფ პასუხსაც კი ვერც გაგცემენ. ეტყობა, ეს განსაკუთრებული ავადმყოფობა, რალაც დაუსრულებლისკენ სწრაფვაც, ყველა ქალის შეყვარების განუხორციელებელ სურვილს რომ ჰგავს. თუმცა ალბათ, ისიც მართალი იყო, ვინც პირველმა თქვა, ყველა ქალის შეყვარება შეუძლებელია, მაგრამ ამისკენ მაინც უნდა ისწრაფოდყო“.

ორდენიძეს ფიქრი მობილური ტელეფონის მელოდიურმა ზარმა გაანყვიძნია. არქივიდან ურეკავდნენ. თურმე, ბოლო 2 წლის განმავლობაში ქალაქის სხვადასხვა რაიონში სამოცს გადაცილებული ორი მდიდარი ადამიანი დაკარგულიყო. ორივე კოლექციონერი იყო და დღემდე არც ერთი მათგანის ადგილსამყოფელი არ იყო დადგენილი. ისიც ნიშნადობლივი იყო, რომ ორივე შემთხვევაში კოლექციონერების სახლებიდან არაფერი დაკარგულა. ამდენად, საბოლოოდ ყველა იმაზე თანხმდებოდა, რომ შინიდან გასვლის შემდეგ, ამ ხანდაზმულმა ადამიანებმა რალაც მიზეზით მახსოვრობა დაკარგეს და საკუთარ სახლებს ველარ მიაგნეს. „სამწუხაროდ, მოხუცებს ასეთი რამ მართლაც ხშირად ემართებათ, — შეფიქრანდა გამომძიებელი, რომელსაც, თავისი მრავალწლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე, უამრავი ასეთი მაგალითის მოხმობა შეეძლო, — მაგრამ მგონი, აქ მაინც

ცოტა უფრო სხვა რამე ხდებდა. მაინც სად უნდა ქრებოდნენ მდიდარი კოლექციონერები ისე, რომ წლობით ნაგროვებ სიკეთეს სრულიად ხელუხლებლად ტოვებდნენ“.

არონ ხიმშიაშვილი ბოლო 2 წლის განმავლობაში უკვალოდ გამქრალი მესამე კოლექციონერი იყო, რომლის სახლიდანაც ასევე არაფერი იყო ნალეული. ყოველ შემთხვევაში, ასე ამტკიცებდა მისი პირადი მცველი. თუმცა ორდენიძე არ გამორიცხვდა, რომ შეიძლება, გოგიჩაიშვილს წარმოდგენა არც კი ჰქონოდა ყველა იმ ფასეულობაზე, რაც კოლექციონერის სახლში ინახებოდა. „იქნებ, ეს ხიმშიაშვილის შვილმა მაინც იცოდეს, — იმედს არ კარგავდა ორდენიძე, რომელიც უკვე მეორე საათი იყო, კოლექციონერის სახლში უსაქმოდ იჯდა. თუმცა ჯგუფის დანარჩენი წევრების აჩქარება მაინც არ უცდია. „დაე, ყველაფერი გულმოდგინედ შეამოწმონ, — ფიქრობდა იგი, — იქნებ, სწორედ ამ გზით რალაც ისეთი დეტალიც კი ამოტივტივდეს, რომელიც საქმის გამოძიებაში დაგვეხმარება. როგორც წესი, თვით ყველაზე კარგად შენიღბული დანაშაულის ადგილზეც კი რჩება რალაც კვალი. მთავარია, მისი მიგნება შეძლო“.

ამასობაში გამომძიებლის ზურგს უკან ვილაცის ფეხის ხმა მოისმა. ეს მისი თანაშემწე, ანდრო ლევიშვილი იყო.

— ბატონო ოთარ, ყველაფერი დავათვალე რეთ, — მოახსენა მან ორდენიძეს, — არც სახლის გატეხის, არც ძარცვის კვალი არ ჩანს. ყველა ნივთი სრულ წესრიგშია. ცოტა ხანში ექსპერტიც მორჩება თავის საქმეს და შეგვიძლია, წავიდეთ.

— აი, ეს კი ძალიან ცუდია, — შენიშნა დელვრემილმა ორდენიძემ.

— რა არის ცუდი? — ვერ მიუხვდა ლევიშვილი. — წასვლა რომ შეგვიძლია?

— ცუდია, რომ ყველაფერი წესრიგშია.

— ააა... — დამნაშავესავით გაელიმა ლევიშვილს.

— პირადად შენ, რას ფიქრობ ამ ყველაფერზე? — თითქოს ისე, სხვათა შორის ჰკითხა მას შემდეგ ორდენიძემ და, თან, ტელევიზორის პულტის ლილაკებით თამაში განაგრძო.

— მე? — დაიბნა ანდრო. — მგონი, აქ საჩვენო არაფერია. ადგილზე არც გვამი, არც ძალადობის კვალი არ დაგვხვდრიდა. დაკარგვითაც არაფერი დაკარგულა. მაგრამ განა ერთი და ორი ასეთი მოხუცი დაკარგულა? თავადაც იცით, ბატონო ოთარ, დღემდე რამდენი ასეთი შემთხ-



ვევა ხდება. მათზე საქმის აღძვრა კი მხოლოდ ზედმეტი თავის ტკივილია. ჩვენ ხომ ისედაც ამდენი გაუხსნელი საქმე გვაყრია თავზე...

— ანუ იმის თქმა გინდა, რომ რადგან ბევრი გაუხსნელი საქმე გვაქვს, თავი აღარ უნდა ავიტვივოთ და მეტი აღარ უნდა დავიმატოთ, ხომ? — ორდენიძემ შუბლი შეიკრა. — საინტერესო მოსაზრებებია. აუცილებლად უნდა დავიმახსოვრო.

ანდრო შეცბა. შეფის დაღვრემილი სახე მას კარგს არაფერს უქადადა. „კაცმა რომ თქვას, ჩემი ბიჭების გაგებაც შეიძლება. ხიმშიაშვილის შემთხვევა ნამდვილად ზედმეტი თავის ტკივილია. თუმცა არა მგონია, ლეკიშვილი ვერ ხვდებოდეს, რომ აქ სხვა რამესთან გვაქვს საქმე. რა თქმა უნდა, ადამიანები იკარგებიან. მაგრამ როცა 2 წელიწადში 3 უმდიდრესი კოლექციონერი ქრება უკვალოდ, მაინც სერიოზული დაფიქრება გვმართებს“, — თავისთვის დაასკვნა ორდენიძემ და შემდეგ ხმაბალა დაუმატა:

— კარგი, დაასრულეთ დათვალიერება და განყოფილებაში დაგბრუნდეთ.

გამომძიებელმა პულტი თავის ადგილზე დააბრუნა, ფეხზე სწრაფად წამოდგა და წელში გასწორდა: „გადანწყვეტილება მიღებულია. სისხლის სამართლის საქმეს არ აღვძრავ, საფუძველი არ არსებობს და იმიტომ. მაგრამ გამოძიებას მაინც ჩავატარებ, ოღონდ — პირად გამოძიებას. მასში სხვას არავის ჩავრთავ, ანუ ყველაფერს მხოლოდ საკუთარი ინიციატივით გავაკეთებ“.

აგერ უკვე მერამდენე დღე იყო, გოგლა გამოძიებას ველარაფრით ახერხებდა. დღისით შეხვედრებსა და მოლაპარაკებებზე სიარულმა და ლამით კომპიუტერთან საათობით ჯდომამ თავისი გაიტანა და დილით ადრე ამდგარს შუადღემდე უკვე კისერი სწყდებოდა. ლალიძე ხვდებოდა, რომ თანაშემწის გარეშე ფონს ძნელად თუ გავიდოდა, მაგრამ ჯერ ვინმეს გამოსაძებნი დროც კი არ რჩებოდა. გოგლას უკვე ისიც კარგად ესმოდა, თავის დროზე სწორედ მასზე რატომ შეაჩერა არჩევანი კოტე ახალკაცმა. „ეტყობა, ძალიან დიდხანს მაკვირდებოდა და მსწავლობდა, სანამ პარტნიორობას შემომთავაზებდა“, — დაასკვნა მან და, თან, საათზე დაიხედა. შუადღე ახალი გადასული იყო, მას კი უკვე მკვდარივით ეძინებოდა. და ის იყო, ცოტა ხნით თვალის მოსატყუებლად მიწვა, რომ ტელეფონიც აწკრიალდა. საშა კლიმაშვილი ურეკავდა.

— დიახ, გისმენთ, — ნერვიულად ჩაბლუჯა ტელეფონის ყურმილი გოგლამ, რომელმაც კარგად იცოდა, რომ კლიმაშვილი უმიზეზოდ არასდროს აწუხებდა.

— მაგარი თავსატეხი გამიჩინე, გოგლა ბატონო და აღარ ვიცი, რა ვქნა?

— რა მოხდა? — იაშვილის ტილოზე მოგახსენებ.

— მაინც რა სჭირს ასეთი?

— რა და, პრაქტიკულად, უცნობი მხატვარია და, ამიტომაც, მისით მარტო მოყვარული თუ დაინტერესდება. დღევანდელი ბომონდი კი შენც კარგად იცი, რომ მხოლოდ ცნობილ გვარებს ეტანება. ეს ერეკლე იაშვილი კი აბა, ვინაა?

— არა მგონია, მთლად ასე ცუდად იყოს საქმე.

— კი, შესაძლოა, როგორც მხატვარი მთლად ურიგო არც იყოს და ამას ხელოვნებათმცოდნეებიც ადასტურებენ, მაგრამ შენც კარგად იცი, რომ საბოლოოდ ყველაფერს მაინც სახელი წყვეტს.

— როგორ არ ვიცი, ბატონო საშა, მაგრამ ალბათ, უნდა დამეთანხმოთ, რომ ადამიანს სახელს სხვა არაფერი გაუთქვამს, თუ არა რეკლამა ანუ კარგად გაკეთებული პიარი. განა ყველა ამ შავ კვადრატებს, რომლებსა თუ წრეებს, დღეს რომ მილიონები ღირს, თავის დროზე ფასი სწორედ ასე არ დაედო?

— ასეა, ასე, — დაეთანხმა კლიმაშვილი, — მაგრამ რეკლამა ძალზე ძვირი სიამოვნებაცაა და არა მგონია, ვილაც იაშვილის რალაც სურათისთვის ვინმემ თავი ძალიან გამოიდოს.

— ეგ მეც კარგად მესმის, — ამოიხრა გოგლამ, — და, ამიტომაც, მთელი იმედი მართლაც მხოლოდ მოყვარულზეა.

— და ჩემზე, — შეფარვით დასძინა კლიმაშვილმა.

— თავისთავად.

— ჰოდა, მგონი, უკვე შეეძელი, ერთი ასეთი მოყვარულის მოძებნა.

— ეჭვიც არ მეპარებოდა.

— არის ერთი ქვრივი, რომელსაც ქმარმა სურათების მოზრდილი კოლექცია დაუტოვა. მოკლედ, საკმაოდ მდიდარი მემკვიდრეა, მაგრამ ხელოვნების საკითხებში დილეთანტია.

— ის ქალი თავადაც შედეგებს ყიდის?

— არაფერსაც არ ყიდის. პირიქით, რაც თვალში მოუვა, ყველაფერს ლამის ერთმანეთის მიყოლებითაც კი ყიდულობს.

— კარგი ერთი...

— ასეა და რა ვქნა? თან კარგ ფულსაც იხდის. ასე რომ, შენ გამო სინდისზე ხელი ავიღე და იაშვილის



ტილოც შევთავაზე.

— მერე? — მოთმინება აღარ ჰყოფინდა გოგლას.

— მოეწონა...

— ნამდვილი გენიოსი ხართ, ბატონო საშა...

— მოიცა, ჯერ ადრეა სიხარული. ქალი სურათს იმ პირობით იყიდის, თუ ამ მხატვრის თუნდაც კიდევ ერთ ნამუშევარს მაინც მოუძებნი.

— აუ, რას ვიფიქრებდი, რომ...

— რა იყო?

— რა და ეს ამბავი ცოტა ადრე რომ მცოდნოდა, იაშვილის 3 ტილოსაც კი ერთად შევთავაზებდი.

— ახლა რალა ხდება?

— შეიძლება, დანარჩენი ორი უკვე გაიყიდა. ყოველ შემთხვევაში, მათ პატრონს ახლავე დავუკავშირდები.

— აბა, შენ იცი! როგორც კი რამეს გაარკვევ, მაშინვე დამირეკე.

ორიოდ წუთში გოგლა უკვე მარნიამ იაშვილის ტელეფონის ნომერს კრებდა, მაგრამ სატელეფონო ხაზის მეორე ბოლოში ყურმილის აღებას არავინ ჩქარობდა.

„ეტყობა, არ ესმის, ან სძინავს, ან სულაც ეზოშია ჩასული საჭორაოდ, — დაასკვნა მან ბოლოს. ამიტომ, ყურმილი დაკიდა, სახლიდან სწრაფად გავიდა და პირდაპირ მარნიამ იაშვილისკენ გასწია.“

გაგრძელება შემდეგ ნომერში

რომანტიკა თუ

დანაშაული?

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №31-52

ნიკა ვაკეში ცხოვრობდა. როცა აღნიშნულ მისამართზე მივედი, გაოცებისგან დავუსტივინე. უზადოდ ლამაზი სახლი და ეზო ჰქონდა ჩემი ოცნების მამაკაცს. სწორედ ისეთი, როგორსაც თავად ვინატრებდი. მანქანიდან გადმოვედი, საგანგებოდ ნაყიდი შოკოლადების ასორტი გულზე მივიხუტე და კიბეზე ავირბინე. ზარი დავრეკე თუ არა, ნიკამ იმწამსვე გაალო კარი.

— შემოდი, — მიმიპატიჟა.

უზარმაზარი ჰოლი გავიარეთ და მისაღებ ოთახში აღმოჩნდი. არა, ოთახში კი არა, დარბაზში, ვეებერთელა ვენეციური ჭაღით გაჩახახებულ დარბაზში. იქაურობას თვლი სწრაფად მოვავლე. შუაში შადრევანი გაეკეთებინათ, საიდანაც წყალი ნაკადულივით მორაკრაკებდა, ხოლო მთავარი კედლის მთელ გაყოლებზე, ერთ გრძელ ზოლად, აკვარიუმი იყო ჩამონებული და სხვადასხვა ფერის ულამაზესი თევზები ზანტად დაცურავდნენ ხელოვნურ „ზღვაში“. საოცარი სანახაობა დამხვდა, რამაც დამამუწჯა — არა იმიტომ, რომ მსგავსი არასდროს მენახა. უკეთესებიც მინახავს, საქართველოში თუ არა, იტალიაში მაინც, მაგრამ ნიკა არ მეგონა ასეთი სიმდიდრის პატრონი. ჩემი გაოცება ამან გამოიწვია.

— დალევ რამეს? — მისმა ხმამ გამომარკვია.

— არა, გამაღობ. აჯობებს, საქმეს შევუდგეთ. მეჩქარება.

— პაემანზე? ნუთუ არ გააფრთხილე

„ის“, რომ შეგაგვიანდება?

— არა უშავს, დაძვლოდება, — გულგრილად მივუგე.

ისარივით მზერა მესროლა. ამ დროს ჩემ წინ კარი გაიღო და ოთახში ულამაზესი ქალი შემოვიდა. ისეთი ლამაზი, რომლის მსგავსი დიდი ხანია, არ მენახა. თითებს ერთმანეთს ნახად უსვამდა. მივხვდი, ხელის კრემი ჰქონდა წასმული და ჰაეროვანი მოძრაობებით იზელდა თითებში. ერთი შეხედვით, ორმოციოდე წლის იქნებოდა... არც კი მაღალ თევზებს მედიდურად მოარხევდა. ნიკამ ამ ქალთან დამტოვა და მეორე სართულზე ავიდა.

„ნუთუ ეს არის ქეთი? კიდევ ერთი ახალი ასაკოვანი ქალი? ხომ გამაფრთხილა, სტუმარი მყავსო. თავისი ახალი საყვარლის დემონსტრირებას აკეთებს?“

ჩემს დანახვაზე ქალს ჯერ შემფასებლური გაუხდა მზერა, „ზედმინწვნით“ შემათვალისწინებდა, მერე კი სათნო ღიმილი გადაეფინა ტუჩებზე.

— როგორც მივხვდი, ლოლა, არა? — თბილად მკითხა.

— დიას... საღამო მშვიდობისა, — დაბნეულმა შოკოლადების ასორტი მას გაუწოდე.

— ოოო! დიდი მადლობა, ჩემო კარგო, რატომ შეწუხდი? მე ქეთი მქვია, — ალერსიანად მითხრა და თავისი ულამაზესი გრძელი თითები თეატრალურად გამოიმინოდა.

ტანში გამცრა. გამოდის, არ შევმცდარვარ. ხელი ჩამოვართვი და ნაძალადევა შევლიე.

— მე ნიკას დედა ვარ, — დააყოლა ქალმა.

როგორც ჩანს, ძალიან სწრაფად მეცვლებოდა სახე, რადგან ქეთიმ წარბები კეკლუცად აზიდა და გამომცდელად შემომაჩერდა.

— დედა? ასეთი ახალგაზრდა? — ვიკითხე უცნაურად მიმქრალი ხმით. არ ვიცი, რა დამემართა.

— არც ისე ახალგაზრდა. თქვენი აზრით, რამდენი წლის ვიქნები?

მხრები ავიჩქჩე შემსუბუქებულმა. გამიხარდა, მეტოქის ნაცვლად მშობელი რომ შემრჩა ხელთ.

— არ ვიცი... გამიჭირდება ამის თქმა. დაახლოებით ორმოცამდე, ალბათ.

— ჰა, ჰა, ჰა... კარგია, თუ ასე გამოიყურები და უბრალოდ, კომპლიმენტს არ მეუბნები. არც მასსოვს, ორმოცის როდის ვიყავი... 12 თუ 13 წლის წინ ალბათ.

— არაჩვეულებრივად გამოიყურებით. რომ არ გეთქვით, ნიკას დედა ვარო, ვიფიქრებდი...

— ნიკას, თქვენ რომ იფიქრებდით, ისეთი ქალები სახლში არ მოჰყავს, ჩემო კარგო. მიხარია, რომ გაგიცანით. ბევრი მსმენია თქვენზე. ვიცი, რომ ჭკვიანი და გამჭრიახი გოგო ხართ. ლამაზიც ყოფილხართ. ჩემი ბიჭი კადრების არჩევაში არასდროს ცდებოდა.

ახალა გავაცნობიერე, რომ ნიკა საოცრად ჰგავდა დედამისს. აი, თურმე, რატომ არის ასე „არნახულად“ ლამაზი. დედის ნაკვთები გამოჰყოლია და იმიტომ. ერთი შეხედვით, თითქოს არც ჰგავდნენ ერთმანეთს, მაგრამ რომ დააკვირდებოდით, ადვილად შეამჩნევდით მსგავსებას.

— მეც მგავს, მაგრამ უფრო — მამას. მამის ალი-კვალია, — ისე მიპასუხა ქალმა, თითქოს ჩემი ფიქრი ხმამალა გამქმნოვანებინოს.

უხერხულად შევიშუშუნე.

— კარგი, ხელს არ შეგიშლით. ვიცი, რომ საქმე გაქვთ. როცა მორჩებით, ყავაზე დამეწვიეთ.

— გამაღობთ, ქალბატონო, მაგრამ როგორც კი დავამთავრებ, უნდა გავიქცე, მელოდებიან.

— მაშინ მე და ქეთი დავლევთ... ნიკა! ქეთი ჩემთან გამოუშვი, რააა! — ხმამალა დაიძახა.

კიდევ ერთხელ შემეკუთმე გული. როგორც ჩანს, ეს სწორედ ის ქეთია, სამსახურში რომ რეკავდა და რომელზეც მარიკა მელაპარაკა. ზემოდან კისკისის ხმა მოისმა და კიბეზე პატარა, თხუთმეტოდე წლის მოკლეთიანი სიფრიფანა გოგონა დაეშვა.

— მოვდივარ, ქეთინო დედა... გამარჯობა! — მკვირცხლად მომესალმა გოგონა და თავისი ბრჭყვიალა ცისფერი თვალები შემომანათა.

კიდევ უფრო მომეშვა გულზე. ასეთი პატარა არ შეიძლებოდა, ნიკას „მორიგი ქალი“ ყოფილიყო.

— გაიცანი, ქეთი, ეს ლოლაა, ნიკას მეგობარი და თანამშრომელი... ეს კი ქეთია, ნიკას ნათლული და ჩემი დაქა-



ლის კუდრაჭა ქალიშვილი, — დიასახლისმა ერთმანეთს გავაცანო.

ისეთი სიყვარულით გავუღიმე პატარა ქეთის, თითქოს მადლობას ვუხდოდი, ის რომ არ აღმოჩნდა, ვისი გამოჩენისაც ასე ძალიან მეშინოდა.

— ლოლა, აქ ამოდი! — ამ დროს ნიკა მოადგა მოაჯირს და ზემოდან ჩამომძახა.

მუხლები მიცახცახებდა დაძაბულობისგან. ნელა შევუყვები საფეხურებს. ჩემი უფროსი კაბინეტში შემიძღვა. ქურდულად მივიხედ-მოვიხედე. პატარა ოთახი იყო, თუმცა გემოვნებით მონყობილი. ერთ კუთხეში ტყავის სამეული იდგა, შუაში — ოვალური შავი შუშის მაგიდა და ასეთივე სკამები. იქვე კომპიუტერი იდგა. კედელში კარადა იყო ჩამოწმული, კოხტად ჩამწკრივებული წიგნებით.

— აი, ეს სამი წერილი გადაამითარგმნე და მერე კომპიუტერზე ამიკრიბე. რამდენ ხანში შეძლებ?

— თხუთმეტ წუთში მზად იქნება, მაქსიმუმ — ოცში, — ხმადაბლა ვუპასუხე.

— ძალიანაც კარგი. მართლა არაფერს დალევ? ყავა, ჩაი, წვენი...

— არა, გმადლობ, არაფერი მინდა. ნუ შეწუხდები.

— როგორც იტყვი... როცა საქმეს მორჩები, ამ მისამართზე გამიგზავნე სამივე, კარგი? — და თაბახის ფურცელზე წაწერილი მისამართი მაჩვენა.

— ჩვენი ოფისის მელით?

— ჰო. ეს ოფიციალური წერილებია და სამსახურის მისამართით უნდა გაიგზავნოს...

— ამას რომ გავამზადებ, შემიძლია, წავიდე?

— თუ ჩემთან დარჩენა არ გსურს, რა თქმა უნდა, — ორზაროვანი ღიმილით მომიგო და კარს მიღმა გაუჩინარდა.

ზუსტად ოც წუთში ჩავვტიე. წერილები ცოტა შევალამაზე, ოფიციალურთან ერთად, არაოფიციალური სახეც მივცე და გავგზავნე. მერე ერთხანს დაველოდე ნიკას დაბრუნებას, მაგრამ ისე გავიდა მომდევნო ოცი წუთი, არ გამოჩენილა. გაწბილებული დავრჩი. არ ვიმსახურებდი მისგან იგნორირებას. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მისთვის აღარ წარმოვადგენდი „მთავარ ფიგურას“, ამიტომაც ნათარგმნი წერილები კოხტად დავაწყვე კომპიუტერთან, დავაჯლე ჩემს ჩანთას ხელი და ისე დავტოვე სახლი, არავის გამოვშვებობებივარ.

ნახევარი გზაც არ მქონდა გავლილი, რომ დამირეკა. პასუხის გაცემა გავაჭინაურე.

— ბატონო, — ყრუდ ჟღერდა ჩემი ხმა.

— ვინ გასწავლა ასე მოქცევა? რატომ გაიპარე? — გაღიზიანებული ჩანდა.

— მეჩქარებოდა, — ჩავიდუღლუნე. — შენ რა, მეზუტები?

მის შეკითხვას დუმილით შევხვდი.

— მითხარი, რას გაჩუმდი?

— არა, რატომ...

— აბა? დედაჩემს მაინც არ უნდა დამშვიდობებოდი?

მართალი იყო. ცუდად მოვიქეცი, მაგრამ ამასაც ჰქონდა თავისი ახსნა. არ მინდოდა, ჩემი დამჯავებული სიფათი რომელიმეს ენახა — ან დედას, ან — შვილს. ამას კი მას ვერ ვეტყვოდი.

— მაპატიე... ცუდად გამოვივიდა, — ჩავიღუღლულე ნირნამსდარმა.

— სხვა დროს არ მოიქეც ასე... წერილებისთვის კი დიდი მადლობა, — მითხრა ბოლოს, პასუხს არ დაელოდა და გამითიშა.

მომდევნო დღეებმა უფერულად ჩაიარა. ერთადერთი კარგი ის მოხდა, რომ თედომ მარიკა თეატრში წაიყვანა, მერე კი სთხოვა, მიატოვე სამსახური და სახლში დაჯექი, არ მინდა, მდინად იმუშაო. პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო, მე მოგხედავთ სამივეს, არაფერს გაგიჭირებთო. მარი თავადაც გაოგნებული იყო, ასე რამ შეცვალა ეს კაცი, ვერ ვხვდებო. მოგვიანებით ყველაფერი გაირკვა. თედოს ცოლს თურმე განქორწინებაზე შეუტანია განცხადება და ამან, როგორც ჩანს, ცოტათი შევბაც კი მოჰგვარა დირექტორს. მარიკასაც იმიტომ აუკრძალა მუშაობა, რომ არ უნდოდა, ვინმეს ეთქვა, დირექტორმა მდინადთან გააბა რომანიო. არ იყო გამორიცხული, დროთა განმავლობაში, როცა პატარა გაჩნდებოდა, ცოლადაც შეერთო იგი და ყველაფერი ჰეფი-ენდით დამთავრებულიყო.

ნიკა ახალი მდივნის კანდიდატურის ძებნას შეუდგა. ორ დღეში შეცვალა მარი ერთი გაკნაჭული, შეუხედავი გოგოთი. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, რა გაუჭირდა ასეთი, ამისთანა „უჟასი“ რომ მიიღო-მეთქი, მაგრამ მალევე დაირხა ოფისში ხმა, ახალი გოგო საუკეთესო მდივანია, ინგლისურად სხლავს და ტექსტებს ავტომატის ჯერივით სწრაფად ბეჭდავსო.

ამასობაში 31 დეკემბერი გათენდა. ქირის დღესავით მეზარებოდა ახალი წლის დადგომა. ყველაფრის ხალისი მქონდა დაკარგული. არც თადარიგი დამიჭერია, არც არაფერი გამიკეთებია. ნაძვის ხეც კი არ მომირთავს. ხილი და შოკოლადები ვიყიდე მხოლოდ, ვინიცოხა, ვინმე მოვიდეს, რალაც მაინც გამოვუტანო-მეთქი. ბაბუმ 500 ევრო

გამომიგზავნა საახალწლოდ, სამსახურში პრემია გამომინერეს 300 ლარის ოდენობით, ამასთან, ხელფასიც და, რომ იტყვიან, ავეშენდი პრემია ერთიანად მამას გავუგზავნე და შევპირდი, შობას აუცილებლად შენთან გავატარებ-მეთქი. 4 თვეზე მეტი იყო გასული, არ მენახა და ძალიან მენატრებოდა. ცოტა არ იყოს, სინდისმაც შემანუნა, მეზობელს რომ შევატოვე ავადმყოფი კაცი, მაგრამ სხვანაირად არ შემეძლო. აღარაფერი მადარდებდა ამქვეყნად ნიკას მეტი. მხოლოდ მასზე ვფიქრობდი, დღევ, ღამევ, დალილივ, დაუღლევივ, მძინარევივ და „მღვიძარევი“. მისგან კი სახეირო არაფერი ისმოდა. ერთხელაც არ უცდია, ჩვენს ურთიერთობაზე სიტყვა ჩამოეგდო, რალაც გავგვრკვია. მეც ხელი ჩავიქნე, რაც იქნება, იქნება, ოდესმე გადამივლის-მეთქი. გადავწყვიტე, რალაც უნდა დამეჯდომოდა, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ



ჩამეკირა მისი სიყვარული გულში. საღამომდე დაჯავი სამსახურში. როცა ნელ-ნელა ყველა გაიკრიბა, მარტო დარჩენის შემრცხვა. ახალი წელი თენდებოდა, ყველას შინისკენ მიექნებოდა, მე კი მარტო ვიყავი ოფისში გამოკვტილი და არაფრის სურვილი არ შემრჩენოდა. იმ დღეს ნიკა სამსახურში არ ყოფილა. ამის გამო უფრო შემოვრჩი, იქნებ წუთით მაინც შემოირბინოს-მეთქი. არა, არ მოვიდა. ნეტავ, ახალ წელს თუ მომილოცავს?



ახლა ეს კითხვა ამეკვიცაბა, მთელი საღამო მხოლოდ ამაზე ვფიქრობდი. წესით, მე უნდა მივულოცო, ის ხომ ჩემი ბოსია. ვალდებულებაც ვარ. ო, როგორ მზარავდა ამის გაფიქრება. მთელი საღამო ვალაგებდი წინადადებებს, რა სიტყვები შემერჩია მისალოცად, რომ არც ძალზე ბანალური ყოფილიყო და არც ძალზე ორიგინალური.

10 საათიდან, როგორც ახლა მოდაშია, წინასწარი ზარების განხორციელება დაიწყო. ყველა მირეკავდა, ვისაც გავახსენდი, — მერე ხანები გადატვირთული იქნება, ამიტომ გილოცავ, გისურვებ ამას და იმას და ა.შ. პირადად მე არც არავისთან დამირეკავს და არც დამიმესივნება. მთელ სამყაროში თითქოს მარტო მე ვარსებობდი... ან პირიქით, ყველა არსებობდა, ჩემ გარდა.

12 საათი ხდებოდა, ჩემი მობილური ტელეფონი კვლავ რომ ახმაურდა. ნიკა მირეკავდა. მის ნომერზე განსხვავებული მელოდია მქონდა დაყენებული და ვხვდებოდი, ვინ მირეკავდა. ცახცახმა ამიტანა, თურმე ამ ზარს როგორ ვულოდი!

— გისმენთ! — ათრთოლებულმა ამოვთქვი.

— საღამო მშვიდობისა, ლო, — მხიარულად მომესალმა, — ხომ ხარ საახალწლო განწყობილებაზე?

— გამარჯობა, ნიკა! ჰო, რა ვიცი. დიდად ვმზადდები-მეთქი, რომ გითხრა, მოგატყუებ.

— რატომ, რატომ? ახალი წელი ლამაზი დღესასწაულია, კარგ ხასიათზე უნდა შეხვდე.

— ნუ... ვისთვის როგორ.

— ერთი თხოვნა მაქვს შენთან, თუ არ დამზარდები, — არ ჩაუღრმავდა ჩემს პასუხს ნიკა და პირდაპირ თხოვნაზე გადავიდა.

— კი, ბატონო, თუკი შევძლებ, — გული ლამის ბუდიდან ამომივარდა. ნეტავ, რა უნდა მთხოვოს?

— მგონი, ჩემი ბინის კარი ღია დამრჩა ამ დღით. ცოტა ნაბახუსევი ვიყავი და არ მახსოვს, დავეტე თუ — არა. შედი, რა, თუ გასაღები კლიტეში არ დაგხვდა, ოთახში მაგიდაზე იდება და დაკეტე, მაგის გამო ნუ გამომიყვან ახლა, საცაა შემოვა ახალი წელი.

ვერ წარმოიდგენთ, რა დამემართა. ირგვლივ ყველაფერი აყიარავდა. თითქოს ჩამოხრწებოდა და სამინელმა სიცვიემ დაისადგურა გარშემო. ერთიანად ამაკანკალა. სულ ეს არის მისი თხოვნა?

— ახლავე, მაგაზე იოლი რა არის, — ჩამქრალი ხმით ვუპასუხე, — გილოცავ დამდევს, ბედნიერების მომტანი წელი გქონოდეს, უფროსო, — დავამატე და თვალები დავხუჭე.

— დიდი მადლობა, ლო, მეც გილოცავ. ოცნებების ასრულების ყოფილიყო ეს წელი შენთვის. აბა, შენ იცი,

ბევრი არ დალიო. ჩემსავით ცუდი „ბახმელია“ იცი, არ დაგავინწყდეს.

ტელეფონი საწოლზე მივაგდე და მეც ზედ გადავეშე. სამაგიეროს მისდის თუ რას ნიშნავს ეს ყველაფერი? რამდენიმე წუთის განმავლობაში თავდაღმა ვვადე და არაფერზე ვფიქრობდი. მინდოდა მეტირა, მაგრამ წვეთი ცრემლი ვერ გადმოვავგორე. ცრემლსაც კი აღარ „ვუნდოდი“.

ბოლოს ძლივს ავითრეი წელი, ქურთუკი მხრებზე მოვისხი და გარეთ გავედი, რომ ნიკას ბინა დამეკეტა. მართლაც, კარი შევალე თუ არა, დავინახე, რომ ოთახიდან შუქი გამოდიოდა. ნაცნობი გარემოს ხილვამ სასიამოვნო მოგონებები ამიშალა. გული მომწურა ახლო წარსულის გახსენებაზე. გამახსენდა, როგორ და რამდენჯერ მომეფერა ამ ბინაში... რა კარგი დრო იყო...

კლიტეში გასაღები არ დამხვდა. მის ასაღებად ოთახში შევედი. მოულოდნელად უზარმაზარი ნაძვის ხის ფერადფერადი ნათურების ციმციმმა მომჭრა თვალი. იქვე ჟურნალების მაგიდა ორი კაცისთვის ლამაზად იყო განწყობილი. ამის დანახვაზე ელდა მეცა. რას ნიშნავს ეს? ნუხელ ჰყავდა აქ ვინმე, თუ ამაღამ უნდა მოიყვანოს? იქნებ საგანგებოდ დატოვა კარი ღია, რომ მერე მე დამეკეტა და შუალამისას უნდა მომადგეს გასაღებისთვის, რათა დამანახვოს, ახალ ქალთან ერთად რომ აპირებს ამ ბინაში ღამის გათევას? ნუთუ ასეთი ნაძირალაა?

თვალი მრისხანედ მოვაველე იქაურობას. გასაღები სუფრაგამილილი მაგიდის ქვედა თაროზე იდო, უცხოურ ჟურნალებთან ერთად. ცივად დავავლე ხელი და გასასვლელისკენ გავემართე. ის იყო, ჰოლში უნდა გავსულიყავი, რომ მოულოდნელად ხმა შემომესმა ზურგს უკან:

— საით გაგიწვივა?

ამ ხმამ ადგილზე გამაქვავა. აქ არის! — ფიქრის სისწრაფით გამიელვა გონებაში. ნელა შემოვბრუნდი. ნიკა საძინებლის კარს მოსცილდა და ჩემკენ გამოემართა. ძალიან გამოპრანჭულიყო. წვერი საგულდაგულოდ გაეპარსა, თმა გაცვრიჭა... ერთი სიტყვით, სადღესასწაულო ფორმაში იყო.

— კარი უნდა დამეკეტა... — ჩურჩულით ვთქვი, თან საძინებლისკენ გავაპარე მზერა, ის „მეორე“ როლის გამოვა-მეთქი.

— ვის ექებ? — მრავალმნიშვნელოვნად ჩაიღიმა.

— რა ვიცი... არ მინდა, კიდევ ერთხელ გავხვდე შენი ინტიმური რიტუალის უნებლიე მოწმე! — პირგამქნებული მივაჩერდი.

— შეგიძლია დამშვიდდე, ამჯერად მარტო ვარ.

— მშვიდად ვარ.
— რალაც არ გეტყობა, — კიდევ უფრო მომიახლოვდა.

— სამაგიეროდ, შენ გეტყობა, რომ გინარია ახალი წლის დადგომა, — ბანზე ავუვადე სიტყვა.

— რატომ არ უნდა მიხაროდეს? ვგრძნობ, რომ კარგი წელი მექნება. შენ არ გინარია?

— მე — არა.
— რატომ, ლო? არ დამიმალო, მითხარი, რა გჭირს, — თითქოს ჩემს ნერვებზე თამაშობდა.

ვიცოდი, რომ უკვე ყველაფერი დამთავრებული იყო და თამაში აღარ მჭირდებოდა. ამიტომ გადავწყვიტე, სიმართლე მეთქვა და ამით საბოლოოდ დამესვა წერტილი ჩვენი ურთიერთობისთვის.

— გეტყვი, — ვთქვი, ამოვიოხრე და გავაგრძელე, — იყო დრო, როცა ყველაზე ბედნიერი ქალი ვიყავი... ეს მაშინ, როცა შენ გხვდებოდი... ბედნიერი ვიყავი შენთან შეხვედრიდან დაშორებამდე, შენი ჩამინებიდან შენს გაღვიძებამდე. მიუხედავად იმისა, რომ სულ რალაც 12 საათი გრძელდებოდა ჩემი ბედნიერება, მაინც კმაყოფილი ვიყავი და მაინც მიხაროდა ცხოვრება. ახლა კი ცუდად ვარ და ალბათ კიდევ ძალიან დიდხანს ვიქნები ცუდად, შეიძლება, უარესადაც.

— მაგრამ რატომ? ამის ახსნა შეგიძლია? — თვალები მოჭყუტა და ირიბად გამომხედა.

— შემიძლია... იმიტომ, რომ... შენ მე დამაავადე.

— მართლა? რა გჭირს?

— ქრონიკული მონატრება.

— აჰა... ესე იგი, სიბერემდე უნდა მინატრო?

— ჰო, ეგრე გამოდის.

— მდააა. ესე იგი, შეყვარებული ხარ ჩემზე... ამის თქმა გინდოდა?

— არა, შეყვარებული არ ვარ, — რატომღაც, უცებ დავიხიე უკან, რადგან მომეჩვენა, რომ ის დასცინოდა ჩემს გრძნობებს.

— როგორ არ ხარ, ხარ და არ გინდა ამის აღიარება, — არ მომეშვა.

— მე იმაზე მეტი ვაღიარე ახლა. ასე რომ, არც ამას დავამალავდი, — მაინც მძლია სიამაყემ.

— ო! — ზუსტად ჩემნაირად შესძახა, — მაშინ მითხარი, რომ არ გიყვარვარ.

— ამის აუცილებლობას ვერ ვხვდები.

— რატომ?
— იმიტომ, რომ მე შენ არ მძულხარ.
— ეგ პასუხი არ არის.
— რატომ არ არის? მიყვარხარ კიდევ, როგორც უფროსი, თანამშრომელი და... როგორც მეგობარი, — ვიპოვე გამოსავალი.



არ მიყვარხარ-მეთქი, ვერასდროს ვეტყოდი, რადგან გონის დაკარგვამდე მიყვარდა.

— სულ ეს არის?
— სულ ეს არის.
— ეგეც საქმეა. მე კი მეგონა, თვალის დასანახავად გეჯავრებოდი.
— რატომ გეგონა? ასე ნამდვილად არ არის.

— იცი? დედაჩემს ძალიან მოეწონე. ასე მითხრა, ყველაზე კარგი გოგოა, ვინც კი შენ გარშემო ოდესმე მინახავსო, — უეცრად სხვა თემაზე გადაიტანა საუბარი.

— მატყუებ, — სიმწრით გავიღიმე.
— არ გჯერა? ახლავე დაგიმტკიცებ, — მოულოდნელად ჯიბიდან მობილური დააძრო და დარეკა, — დედიჯან, ვუთხარი და არ სჯერა! — ხმაძალდა თქვა, როცა მობილურში ქალის ხმა გაისმა, თან სპიკერზე დააყენა ტელეფონი.

— ნუ აწვალვებ მაგ გოგოს, თორემ მოგკლავ! — გაისმა ქეთევანის მხიარული სიცილი.

— რატომ ვაწვალვებ, შენ არ თქვი, კარგი გოგოაო?

— ნიკა! მორჩი ლაზღანდარობას და დროზე დაბრუნდი სახლში, გელოდებით!
— კარგი, მოვრჩი, — ტელეფონი გათოშა და კვლავ ჯიბეში ჩააბრუნა, — ახლაც არ გჯერა?

— ნახვამდის, ნიკა. გილოცავ, მრავალს დაესწარი, — ცივად ვუთხარი და გამოვბრუნდი.

არ გამომიკვირებია. ერთიანად დავიცალე ემოციებისგან. დამძიმებული შეგბრუნდი ბინაში, კარი ჩაკვრე და კედელს ოხვრით მივეყრდენი. ორი წუთიც არ გასულა და კარზე კაკუნი გაისმა... ისეთი, ნიკასეული... ასე სხვამ არ იცოდა დაკაკუნება. ძალიან ნელა გამოვადე კარი.

— შენ თუ იცი, რომ შენი სენი გადაამდებია? — მკითხა და ზღურბლს უკითხავად გადმოაბიჯა.

— ნუთუ? ვინ გითხრა? — უკან დავისიე და თვალებით გავბურღე.

— მე გეუბნები. იმიტომ, რომ ამწუთას ვიგრძენი, მეც რომ გადამდე.

ურუნტელმა ერთიანად მომიცვა. მინდოდა, დაეჯერებინა, რომ მართალს მეუბნებოდა.

— და ისე გადამდე, რომ სხვა ვერაფერზე ვფიქრობ. თვალწინ მხოლოდ შენი სახე მიდგას ყოველთვის. შენ ჩემი კონკია ხარ.

— თვითმარქვია დაგავინწყდა, — ხმა ჩამიწყდა.

— არ დამვიწყებია. თუმცა, სულ არარსებულს თვითმარქვია მირჩევნია... გამომეყვები ცოლად?

მისი შეკითხვა შოკის მომგვრელი აღმოჩნდა ჩემთვის. უეცრად თავბრუს დამეხვა და წაგებარბაცდი. ნიკამ მსწრაფლ

მომხვია ხელი და გულზე მიმიკრა.

— შენ ყველაზე ლამაზი კონკია იქნები ჩვენი ქორნილის მეჯლისზე, რომელიც სულ მალე შედგება, — ზედ ყურთან მიჩურჩულა, — მანამდე კი მე შენს სენს ვუმკურნალებ, — ამ სიტყვებით ყელზე დამეკონა, — მიყვარხარ, ლო... ყველა ქალზე მეტად მიყვარხარ.

— ვიცი, — საყვარლად დავეჯღანე, რადგან მივხვდი, რომ ეს არ იყო სიზმარი და მისი ყველა სიტყვა გულწრფელად ჟღერდა.

— მე კი ყველაზე ლამაზი პრინცი ვიქნები.

— ეგ მეეჭვება, — ეშმაკურად შევხედე.

— მართლა? ესე იგი, აღიარებ, რომ ეს ის არ არის, რასაც შენ ელოდი?

— არა... ეს მეტია, ვიდრე ველოდი.

— ანუ, გომბეშოდ აღარ დამტოვებ?

— არა, გადავიფიქრე, ქმრად პრინცი მირჩევნია.

— მაშინ მაკოცე, რას უცდი, საცაა, 12-ს ჩამოკრავს.

ვაკოცე... თან ისე, როგორც არასდროს... მთელი ჩემი ოსტატობა ჩავაქსოვე ამ ერთ კოცნაში — რაც ვიცოდი და რაც არ ვიცოდი.

— ახლა კი ჩაიცივი, გამოიბრანჭე. ჩემი ნაჩუქარი ფესსაცმელი არ დაგავინწყდეს. ჯერ აქ შევხვდეთ ახალ წელს, ნახევარ საათში კი ჩემები გველოდებიან. არ უნდა დავაგვიანოთ. მერე კი უკან დავბრუნდეთ და თაფლობის ლამე აქ გავატაროთ, დიდი ნაძვის ხის ქვეშ.

— ჩემთვის მოაწყვე ის ყველაფერი?

— აბა, ვისთვის, მე სხვა არავინ მყავს,

— ცხვირის წვერზე მოწყვეტით მაკოცა.

— სად არიან სხვა ქალები? —

ყასიდად გავიკვირე.

— ყველა ერთად შენში გადავცვალე. კმაყოფილი ხარ?

— უუუუკმაყოფილეისიიიიი! — მთელი ხმით ვიყვირე.

— მაშინ დროზე, სანამ გადამიფიქრებია, — გემრიელად გაიცინა.

— რატომ მანვალე ამდენი, რას მერჩოდი? — ველარ მოვითმინე, ეს კითხვა არ დამესვა მისთვის.

— შენ არა, შენს სიამაყეს ვერჩოდი, თანაც... სამწუხაროდ, შენ აღმოჩნდი ის საცდელი ობიექტი, რომლითაც საკუთარ ნებისყოფას ვამონშებდი.

...ახალ წელს იქ შევხვდით, მის ნაქირავებ ბინაში, უზარმაზარი ნაძვის ხის გვერდით. მერე ნიკასთან წავედით, სადაც ათიოდე სტუმარი დაგვხვდა, ჩემთვის სრულიად უცხო ადამიანები, მაგრამ მისი ოჯახის ახ-



ლობლები. მერე კვლავ უკან დავბრუნდით და თაფლობის ლამე „ჩავატარეთ“, რომელიც მთელი იანვრის განმავლობაში თაფლობის თვედ გვექცა, თანაც... იტალიაში.

ჯვარი მხოლოდ იქიდან ჩამოსვლის შემდეგ დავინერეთ, რასაც მართლაც არნახული ქორნილი მოჰყვა. ჩემი ბედნიერება იმდენად უსაზღვრო იყო, სივრცეშიც კი აღარ ეტეოდა.

— შენ ჩემი ახდენილი ოცნება ხარ, — მიჩურჩულა ნიკამ, როცა საქორნილო სუფრის შემდეგ, ქეიფით და დროს ტარებით დაღლილები საძინებელში შევდიოდით, — და დღეიდან ჩემი ტყვეც. სამუდამო პატიმრობა გაქვს მოსჯილი, განაჩენი უკვე გამოტანილია და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

— მაგრამ რა დავაშავე, რისთვის დამაპატიმრე ასე მწარედ? — ავყევი ხუმრობაში.

— რომანტიკული დანაშაულის ჩადენისათვის. ხომ არ დაგავინწყდა, რომ შემაცდინე?

— არა, არ დამვიწყებია... შენ როგორ ფიქრობ, ნიკ, ეს კარგია თუ ცუდი? — ვკითხე და სანამ რამეს მეტყოდა, სასწრაფოდ დავამატე: — რა თქმა უნდა, კარგია, — ჩემს საყვარელ შეკითხვაზე, ცხოვრებაში პირველად, მქონდა პასუხი.

— უუუუუუკარგესიიიიიიი! — მთელი ხმით იყვირა ნიკამ, ხელში ამიტატა და საძინებლის კარი ფეხით შეაღო...

დასასრული

გზის გზნიღლები

ყველაფერი სიმთვრალის ბრალი იყო

მარი ჯაფარიძე

მეგსალმები ყველას, ვინც ახლა ამას კითხულობს. როგორ ხართ? ჰო, მართლა, ახალ წელს გილოცავთ, მრავალს დაესწართ, სურვილების ასრულების წელი ყოფილიყოს, ყველასთვის, ისარეთ, იდეგრძელეთ... მოიცა, კაცო, ახლა ისე „ვლაპარაკობ“, თითქოს ისევე ჭიქა მიჭირავს ხელში და თამადა ვარ... მიუჩვეველს ნუ მიაჩვევ და მიჩვეულს ნუ გადააჩვევო, სწორედ ჩემზეა ნათქვამი... ჯერ სულ არ ვსვამდი, „მარშრუტ-

კით“ ვარ, ნუ დამაძალებთ-მეთქი, ახლა კი ვისწავლე, როგორ უნდა მოვიქცე — დავევ და შინ ტაქსით წავალ. ახალ წელს ბათუმში შევხვდი, მეგობრებთან ერთად... სიმართლე რომ გითხრათ, ასე სასიამოვნოდ კარგა ხანია, ახალი წლის დადგომა არ მიზემი... ახლა მომდევნო ნომრის თემაც ამომიტევიდა გონებაში, რომელსაც, სადაც საჭიროა, იქ მოგახსენებთ, მანამდე კი თქვენს მესიჯებს გავეცნოთ.

„ველიკი არხიბაკორ“

ღვინით სავე ბოცა ციმციმ აარბენინა კიბეზე პეტომ და გამოგებებულ დათას კითხვით სავე თვალეზი მიაპყრო — სად დავავანო ძვირფასი ჭურჭელი?! ლოჯიაში მიუჩინეს ადგილი, გაშლილ სუფრასთან ახლოს, რომელსაც ქალაქის სამმართველოს ოფიცრები უხსდნენ — სულ რამდენიმე კაცი. უფროსობის ჯუჯღუნსა და პოლიციის პირქუმ გარემოს ცოტა ხნით გამორიდებულნი ლაღობდნენ და ხორხოცებდნენ. გვარიანად შექეფიანებულები იყვნენ, როცა სუფრის თამადას, რევიას, ალევომ ტელეფონი მიაწოდა.

— აქაც მომაგნეს? — უკმაყოფილება არ დამალა თამადამ, მაგრამ როგორც კი ტელეფონში ხმა გაიგონა, უცბადვე მოლბა. — კი, შვილო... რაო, რაო?! 20 ლიტრის მოცულობისოო?!. ჭურჭელიო?!. ისე ნიშანს არ გაღირსებთო?!

ტელეფონი გათიშა და სუფრის წვერებს შესჩივლა — ჩემი ვაჟი იყო, „გეპეიში“ სწავლობს და ლექტორს ოცლიტრიანი ჭურჭლის ნახაზი დაუვალებია... მისაღები გამოცდები ხომ ჩავაბარე და ახლა სესიებიც ჩემი ჩასაბარებელი შეიქნა. რა ვქნა, რომელი არქიტექტორი მე ვარო?

დათამ, შენ მაგაზე არ ინერვიულო, აგერ ჩემი მეზობელი და მეგობარი მოგვიგვარებს ამ პრობლემასო და ამჟამად საკმაოდ ცნობილ,

წერეთლის სკოლაგამოვლილ, მაშინ ჯერ კიდევ დამწყებ, ახალგაზრდა არქიტექტორს დაურეკა და დახმარება სთხოვა. მეზობელს უარი არ უთქვამს, მხოლოდ დამიკონკრეტე, რა ჭურჭელი გინდა და თუ თვალსაჩინოებასაც მომიტან, ძალიან დამავალეზო.

რევიამ, რადგან ხსნა ნახა, კატეგორიულად განაცხადა, — ტექნიკური მიზეზების გამო ღვთიური სითხის მიღება დროებით შეჩერებულია, მანამ, სანამ ის ღვთისნიერი კაცი პირველ ესკიზს არ შექმნის ფორმატზეო. ალევომ პროტესტის გამოხატვა სცადა, მაგრამ არ გაუვიდა და ისევე პეტოს ნათელ გონებას უნდა უმადლოდნენ ქეიფის გაგრძელებას. ის თავისი განუმეორებელი ღიმილით ღვინის ბოცას მიუახლოვდა და დარჩენილი ათიოდე ლიტრი სხვა ჭურჭლებში გადაანაწილა. შემდეგ ცარიელი ბოცა ხელში შეათამაშა, დათა გაიხმო და შესცინა: ა, ბატონო, ესეც ოცლიტრიანი ჭურჭელი და ესეც თვალსაჩინოება. ცარიელი ბოცა (ვაი, სირცხვილო) მეზობელს გაუტანეს, რომელმაც ერთი კი აიჩეჩა მხრები, მაგრამ უსიტყვოდ შეუდგა მუშაობას. განახლდა პურობა და იყო ქეიფი, „სმა და გადარევა იყო ოხრად“. იყო ვაჟას, ტიცინის, პაოლოს, ტერენტის, მურმანის, ანას სიტყვაკაზმულობით აღმაფრენა... ჭე-

ტომ (სიმთვრალე საერთოდ რომ არ ეკარებოდა), — ქართული, მჩქეფარე სიტყვის სადიღებელი მჩქეფარე სითხით შევსვათო, — და შამპანური ააქაფა... შამპანურმა კი სხვა მოგონებები აუშალა — ფიქრებით მცხეთაში გადასროლა და სუფრის წვერების თხოვნით კიდევ ერთხელ გაიხსენა ლეგენდად ქცეული ამბავი.

ეკონომიკურ დანაშაულთან მეტროლი განყოფილების, სხვაგვარად ენ. „ობხეს“ დაბალ და მაღალჩინოსნები მცხეთაში, ან უკვე „ორდენოსან“, მაშინ და ახლაც თბილისელთათვის (და არა მარტო) საყვარელ სალობიეში შეკრებილიყვნენ. პოლიციელებს მომხიბლავი და სრულიადც არასაეჭვო რეპუტაციის მანდილოსნებიც ახლდნენ. ცხადია, „წვრილფეხა“ ოფიცრობა ცალკერდ უფროსობას უკმევდა გუნდრუქს, ცალკერდ — გოგონების გულის მონადირებას ცდილობდა, მაგრამ ორივეს ერთად ვერ ახერხებდა და ამით ძალზე ხალისობდა დარბაისელი რევია. ფაცხაში სუფრის გაშლის მოლოდინში, სალობიეს ეზოში, ამომშრალ შადრევანთან მუსაიფით ირთობდნენ თავს. ერთ-ერთი ბანოვანი აუზს ჩააშტერდა და გულდანიყვეთით შენიშნა — რატომ არ უნდა გადმოჩუხჩუხებდეს აქ წყალი? მონეტებსაც ჩაყვრიდით და სურვილებსაც ჩავეუთქვამდითო.

— ან თუნდაც — შამპანური... ჰე, ჰე, — აროხროხდა მაღალ-მაღალი ოფიცერი, ათანთალებული, ნაპ-



ატივები მუცლითა და მკერდამდე ჩამოზრდილი ლაღებით.

— აბა, აბა! — აშკარა პირფერობით დაუკრეს კვერი დანარჩენებმა და ქლესა სახით ხან უფროსს შესცივინებდნენ, ხანაც გოგონას უღიმოდნენ, მრავალმნიშვნელოვნად.

რევიამ ღვინოში სცადა ჩაეხშო ამრეზილობა, მაგრამ რამდენიმე კოლეგის უღირსმა საქციელმა ხასიათი ნაუხდინა და სუფრა მალევე დატოვა. მანქანას გაუაზრებლად მართავდა და მიხვდა, თავის თავს ჰკიცხავდა წამოსვლისათვის. რატომღაც ავჭალთი წამოსულიყო. ერთ დროს, აქვე, ღვინის ქარხანაში რევიზიით იყო შესული და სასმლის ზედმეტობაც ჰქონდა აღმოჩენილი. ბევრი აღარ უფიქრია, პირდაპირ ღვინის ქარხნის დირექტორს მიადგა კაბინეტში: — ის ზედმეტობა რომ აღმოგიჩინეთ, სასწრაფოდ, აქტივ გაანადგურეთო, — შემდეგ კიდევ რამდენიმე მითითება მისცა და ისევ მცხეთაში დაბრუნდა. გულით უნდოდა მოლხენა და კოლეგებთან „სმა-ჭამა დიდად შესარგი“. ესამოვნა, რომ მხიარულად და თბილად მიიღეს, „უღირსი შვილის“ დაბრუნების სადღეგრძელოც ერთხმად შესვეს და მის არაორდინარულ ელეგანტურობას არაერთხელ გაუსვეს ხაზი. ნასამოვნები სუფრის წევრები ეზოში გამოეფინნენ და ნასასვლელად ემზადებოდნენ, როცა რევიამ მიმტანს ფუფერები გამოართვა, შადრევანს მიუახლოვდა და საზეიმოდ განაცხადა:

— შეგიძლიათ, მონეტები გადაყაროთ, სურვილებიც ჩაუთქვით და მათი ასრულების სადღეგრძელოც შესვათ.

— აუ, დაგვითვრა რევიამ და რამსებაც არევია, — ნაიქილიკა ერთერთმა ქლესა თანამშრომელმა, რომელსაც მორიგი ნოდება ახლახან ჰქონდა მიღებული და „ხალხში გარევის“ „სამართლიანი“ პრეტენზიაც გასჩენოდა.

— პოლკოვნიკი ხარ ვიცე, ტ...ი

არავის მისცე! — არ დაუგვიანდა პასუხიც.

შემდეგ, საერთო ხარხარში და იქ მყოფთა გასაკვირად, ამ პენიანმა კაცმა ფუფერი შადრევენის აუზში გაავსო, სურვილების ასრულება უსურვა ყველას და სულმოუთქმელად შესვა თეთრ ქაფად და უხილავ ნაპერწკლებად გადაქცეული აუზის წყალი. პირველად გოგოები მიესიგნენ შადრევანს, ფრთხილად უსინჯავდნენ გემოს და გაოცებულები აღნიშნავდნენ, რომ აუზში უგემრიელესი შამპანური ლივლივებდა. შემდეგ სალობიეს ყველა სტუმარი ეზოში ჩამოლაგდა; ყველას სურდა ამ სიურპრიზის პირადად დაგემოვნება და სურვილების ასრულების სადღეგრძელო შესმა... მეორე დღეს სამინისტროში განხილვის საგანი რიგ პოლიციელთა თავაშვებულობის საკითხი გახლდათ. სამინისტროს ხელმძღვანელობა ღიმილს ვერ იკავებდა რევიას ამ ოინზე და საყვედურს მხოლოდ იმ მოტივით გამოხატავდა, რომ თვითონ არ შეეცნრო ამ ფაქტს.

— აი, დღესაც შამპანური გაისხნა და ჩემი სურვილიც ასრულდა, — დაასრულა თხოვრა რევიამ, — გადავართე ჩემი ვაჟი მესამე კურსზე...

დილით უმცროსი რევიამ ისე მიაცუხტუხტებდა ინსტიტუტში დახვეულ ნახაზს, რომ არც იცოდა, შიგნით რა იყო...

დათა სამსახურში დღის მეორე ნახევარში მივიდა. დერეფანში პეტო გამოეგება, წინა ორი მეჩხერი კბილი გამოაჩინა:

— რევიამ მოგკლავს... ლექტორებს სულ ლოთი უძახებიათ პატარა რევიასთვის...

მომავალი არქიტექტორის მამა დაძმარებული სახითა და სიმწრის ღიმილით შეხვდა:

— რა გინდოდა, რას მერჩოდნი? მისულა ეს ჩემი ბედოვლათი, დაუტოვებია ნახაზი და წამოსვლას რომ აპირებდა, არ გამოუშვიათ. მერე



მთელი კათედრა მოუწვევიათ და აღფრთოვანებული ხარხარებდნენ თურმე. თან მეცდომაც ვერ უპოვიათ... მერე ჰკითხეს, ვინ დაგეხმარაო და ამას რომ უთქვამს, მამაჩემიო, ახლა ამაზე ჩაბჭირებულან, ალბათ მაგარი თამადაა და გამოუწნორებელი ლოთიც; მისი ვაჟიც მამის კვალს გაჰყვები, მამაშენმა ეს ნახაზი გამოსაცდელად და წარმოებაში დასანერგავად განახორციელოს, ახლა ახალი ობიექტის შესწავლა მიმდინარეობს კოჯორში, „ზარები“ ჰქვია და იქ წარმოადგინოს, თან — ნატურალური სახით, ნატურალურ ზომებშიო. ჩემი შვილი დაბნეული მდგარა კაი ხანს და ნახაზს რომ დახვდა, მერე მიხვდა, რასაც სთხოვდნენ. ასე რომ, გაემზადეთ, ნახაზის „პრეზენტაციაზე“ შენ და პეტოც წამობრძანდებით, როგორც თანაავტორები და იქ ეწახნოთ, რა ბიჭები ხართო...

იმ სუფრაზე რა მოხდა, ვინ გაშარჟეს და ვინ გასარჯეს, ნამდვილად აღარ ვიცი, რადგან სამწუხაროდ, არ მიუწვევიათ ულიბკა.

სიმპათიური და GAY

— დათულიშვილი, დირექტორთან, კაბინეტში! — დაჭრილი მხეცივით დაიღრიალა სკოლის „სასწავლო ნაწილმა“...

— კი, მაგრამ მე...

— ჩაიწყვიტე ხმა და გამომყევი! — ინტონაციაში დაუფარავი სიძულვილი იგრძნობოდა...

— პატივცემულო, ჯიქურმა... მე... მე...

— მოკეტე, დირექტორი გელოდება!

ოთახიდან სამსჯავროზე მიმავალს თვალი ჩაუუკარი და შექმნილი ვითარებით აშკარად ნასიამოვნებმა, ეშმაკურად გაუღიმა...

— რა მოხდა, დათულიშვილი? მე შენ წესიერი ადამიანი მეგონე, — დაიწყო სკოლის „პირველმა“...

— გეფიცებით, ჩემი ბრალი არ არის... ჯიქურმა მითხრა, რომ... — ნერვიულობისგან ენა ებმებოდა ალელვებულ დათუნას...

— ჯიქური რა შუაშია? დაანებე მაგ ბავშვს თავი; საქმე იმაზე სერი-

ოზულადაა, ვიდრე შენ ფიქრობ და საერთოდ, შეიძლება, სერიოზული პრობლემები შეგექმნას... — თანაგრძნობა გამოხატა დირექტორმა ურჩი მოსწავლის მიმართ.

— ჯიქურმა მითხრა, რომ... ის იყო... და მოსწონდა... — ყინვიდან სითბოში დაბრუნებულივით აუცახცახდა ყვედა ყბა...

— შეეშვი ამ ჯიქურს! რას ჩაიხვიე დაკანრული დისკივით? — თანადგომა უეცრად ზიზღმა და აგრესიამ შეცვალა.



— შენ გამო შეიძლება, მე გამ-
აგდონ სკოლიდან და საერთოდაც,
ამ ინფორმაციამ თუ გაჟონა... თუ
სამინისტრო ჩაერთო... — შეშინებ-
ული მზერა მოავლო კაბინეტის
ახალგაზრდობის კედლებს სკო-
ლის „პირველმა“ და იმის გაფიქრე-
ბაზეც კი, რომ შეიძლება, ეს ყვე-
ლაფერი დაკარგოს, შიშმა, იმედ-
გაცრუებამ მოიცვა.

— არა, ვის გამო?! შენ გამო!
ცინგლიანო! როგორ გაბედე, ჰა? მას-
წავლებელს როგორ სცემე? ისიც
დებილი ყოფილა, ამხელა მუტრუკი!
იცო, რად დაგვიჯდა? იცი, რამხელა
თანხას ვუხდით? — არ ჩერდებოდა
სკოლის „პირველი“ და მოთქმა-გოდე-
ბას განაგრძობდა.

დათულიშვილს მოთმინების ფილა
აუვსო, ფეხებზე დაიკიდა დირექტორიც,
სამინისტროც და სკოლაც, ხელი ასწია
და მაგიდაზე დააბრაუნა.

— ჩემი ბრალი არ არის, ჯიქურს
მოჰკითხეთ! მეთიუმ მე პიდარასტი
მიწოდა! პი-და-რა-სტი! — დამარცხ-
ვა და საკუთარი გამბედაობით
აღფრთოვანებულმა, ღრმად ამ-
ოისუნთქა.

— კარგი, დაუშვით დაგიჯერე...
რა შუაშია აქ ჯიქური? და თუნდაც
მასე იყოს, ეგ არ გამართლებს! შენი
ბრალია, შეენი! — „სასწავლო ნაწი-
ლის“ მიერ მიწოდებულმა დამაწყ-
ნარებულმაც ვერ დააწყნარა...

— ჯიქურმა მითხრა, რომ ის გეია,
რომ ჩანთაში ჩემი ფოტო უდევს, რომ
მითვალთვალებს, რომ... ამის გაფიქრე-
ბაზეც კი გული მერევა!

— და ასე, ყოველგვარი მტკიცე-
ბულების გარეშე, ადექი და სცემე?
დაგიჯერე, კი, როგორ არა!..

— მეტი მტკიცებულება რაღა
გინდათ? — ენად გაიკრიფა დათუ-
ნა, — მთელი კლასის წინაშე მითხრა,
შენ ხარ ძალიან სიმპათიური „პი-
დარასტიო“... მეც ველარ მოვითმინე...
თქვენ როგორ მოიქცეოდით ჩემს
ადგილზე?

— მე ინგლისური არ ვიცი, —
მოკლედ მოუჭრა ჯიმშერმა...

— პროფესიონალი თარჯიმანი არც
მე ვარ!

— დათულიშვილი, ხმა!
— მრიცხავთ, პატივცემული?

— გაეთრიე ჩემი კაბინეტიდან!

— ჯიქურიიიიი! დირექტორთან!

— ახლა უკვე ჩემს გვარს ყვიროდა
დირექტორზე არანაკლებ დამფრთხ-
ალი სასწავლო ნაწილის გამგე, —
დროზე, გამოადგი ფეხი!

— მოჰყვი, რა მოხდა... — მომ-
მართა მკაცრი გამომეტყველებით.

— მეთიუს ჰკითხეთ, თავად მოგიყ-
ვებთ.

— კარგად იცი, რომ მე ინგლი-
სური არ ვიცი...

— მე გადაგითარგმნით, — პრო-
ფესიონალივით ვუპასუხე.

— კეთილი. მეთიუ, რა მოხდა შენ-
სა და დათულიშვილს შორის? — კითხ-
ვა დასვა დირექტორმა და ინტერეს-
ით საესე მზერა ისე მიაპყრო ოთახში
შემოსულ, შოკოლადივით შავ, აფრიკუ-
ლი ნანწავებით მომარიაჟე პედაგოგს,
თითქოს ერთი სიტყვაც არ გამოე-
პარებოდა მისი ნათქვამიდან.

— გიორგიმ მითხრა, რომ დათუ-
ნას ძალიან სიამოვნებს კომპლიმენ-
ტები, რომ ის თავს გადაამეტებუ-
ლად უჯლის და როცა აქებენ და
ინონებენ, უხარია... სტიმულს
აძლევს... დათო ძნელად აღსაზრდე-
ლია, არ სწავლობს, არ მიჯერებს...
მეც გადავწყვიტე, შემეყო, სხვანაირად
მივდგომოდი... იმედი მქონდა... —
ლაპარაკის საღერლელი აუშალა ინ-
გლისური ენის შავტუხა მასწავ-
ლებელს, რომელიც უცხო ქვეყნიდან
გახლავთ ჩვენს სოფელში მოვლენი-
ლი.

— „დალშე“ — თქვა სკოლის
„პირველმა“ და ისეთი გამომეტყველება
მიიღო, თითქოს შეურაცხყოფილი იყო,
მეთიუმ რომ „დალშეს“ მნიშვნელობა
არ იცოდა.

— ჯიქურს კი უთქვამს მისთვის,
რომ მე გეი ვარ...

— შემდეგ? — თავი გამომძიე-
ბლად წარმოიდგინა ჯიმშომ და
სავარძელში აწრიალდა...

— მე ვუთხარი: დათო, YOU ARE
VERY HANDSOME GAY, — ანუ, შენ
ძალიან სიმპათიური ჭაბუკი ხარ. მან
ეს GAY სხვანაირად გაიგო და... არ
ღირს გასახსენებლად...

— და გცემათ...

— რა სისულელეა? ჯიქურმა შეაჩ-
ერა... — მხრები აიჩიქა შოკოლადომ.

— მე მითხრეს, რომ დათულიშ-
ვილმა დაგარტყათ...

— ვინ გითხრათ? — შეშფოთება
ვერ დამალა მეთიუმ (ისე, რა კარგად
გამოსდით უცხოელებს შეშფოთება).

— ჯიქურმა, — დაბნეულობას
მოეცვა სკოლის „პირველი“...

სრულმა გაუგებრობამ დაისადგუ-
რა სასწავლებლის საუკეთესოდ გარე-
მონტებულ ოთახში...

მე კი ახლავე აგიხსნით, რაში
იყო საქმე: კახეთში, ახალი, კერძო
სკოლა გაიხსნა, სადაც ინგლისურს
გაძლიერებულად, ინგლისიდან და
ამერიკიდან ჩამოყვანილი პედაგოგები
ასწავლიდნენ... სწავლის ღირებულე-
ბა ჩემი ჯიბის სისქეს ბევრად
აღემატებოდა და როგორც კი
კონკურსი გამოცხადდა 30%-იანი
დაფინანსების მოსაპოვებლად, პირვე-

ლი გავეშურე... ზედმეტად ქართუ-
ლად და ბანალურად ჟღერს, მაგრამ
ჩემ ნაცვლად, სკოლაში დათულიშ-
ვილი მიიღეს, სრულიად უსამართ-
ლოდ. ერთ-ერთი მასწავლებელი,
მეთიუ, ჩემი მეგობრის ოჯახში
დასახლდა და ჩვენც დავძმაკაცდით...
სწორედ მაშინ მომაფიქრდა ზემოთ
სხენებული გეგმა, რომელიც იმაზე
წარმატებით განხორციელდა, ვიდრე
ველოდი... რა თქმა უნდა, მეთიუს
ამის შესახებ არსად უჩივლია. პირი-
ქით, გულიანად იცინის ხოლმე. 2011
წლის „გზავნილებს“ მონაწილეთ
ვინც და იმედი, კურდღლის წე-
ლინადში მანაც მოვასერებ ცოდ-
ვების გარეშე ცხოვრებას. ერთი კია,
გული მოვიოხე, უსამართლო „პირ-
ველების“ წინაშე, „არაფერი დამიშ-
ავო — შეგეშვების“ პრინციპით. :)
P.S. ვინაიდან, ჯიმშერ ბატონო. მო-
მიტვევთ. რუისპირი (YELLOW).

გულშემატკივარი სიძის უნებლიე დანაშაული

„მოგესხენებათ, სასმელი ადამიანს
მეტ სითამამესა და გაბედულებას
სძენს. „მთვრალი კაცი, კაი კაცი“,
როგორც ამბობენ, მაგრამ ამ „ჭეშ-
მარიტებაში“ ჯერ ვერავინ დარწმუნ-
და. სიმთვრალე ყველას სხვადასხვაგ-
ვარი აქვს. ზოგი ჩხუბისთავი ხდება,
ზოგს პირიქით, სიყვარულის ბუშტი
უსკდება და ყველას ძმა და მეგობარი
ხდება. ჩემს მეზობელ კოტეს რომ
სიმთვრალე აქვს, ასეთს წურავინ
დაიტრიალებს. სიმთვრალის დროს,
არც მეტი, არც ნაკლები, სიდედრი
ახსენდება და მასთან წასვლას ვე-
რაფერი გადააფიქრებინებს (ვერც
ცოლის წყევლა-კრულვა). ერთ დღესაც
დათვრა კოტე და როგორც სჩვეოდა,
სიდედრთან გადაწყვიტა წასვლა. მარ-
თალია, რვიანების ხაზვით, მაგრამ
სიმამრ-სიდედრის კარს მაინც მიად-
გა. კარი სიდედრმა გაუღო (იგრძნო
ალბათ სიძის მოახლოება).

— სტუმარი ღვთისააო, ნათქვამია,
— კართანვე ამოილულულა კოტემ.

— ეგ მთვრალ სტუმრებზე არ
არის ნათქვამი, სიძე! — წყრომით
მიუგო ნაწულიმ და შინ შეიპატიჟა.

თურმე ამ ჩვენს ნაწულის საპატიო
სტუმრები ჰყოლია შინ. თვითონაც
და ქმარიც უმუშევრები არიან, დიდი
ქონების პატრონებიც არ არიან და
უფიქრია, უპოვრებისთვის განკუთვ-
ნილ დახმარებას მომცემენო და განცხ-
ადება დაუნერია. შემონშებაზე სანამ
მოვიდოდნენ, კარგი თუ რაზე ება-
დათ, მეზობელთან დაუმალავთ. ჰოდა,
სიძეც ამ დროს გამოჩნდა.

— სიდედრო, ტელევიზორი არ



ჩანს და რაშია საქმე? — დაინტერესდა კოტე.

ნაწულიმ თვალეები დაუბრიალა.

— გაგქურდეს თუ რა უბედურებაა? „დივან-კრესლო“ სადღა წაიღეთ? — წუხდა კოტე.

ნაწული ისევ თვალეებს უბრიალებდა.

— უჯიკე ერთი მაგას! — სიძებე გულმოსულმა, ქმარს შეუღრინა და სტუმრებს ფართოდ გაუღიმა, მაგრამ ღიმილმა ვეღარ უშველა და დარჩა დახმარების გარეშე!

გამოფხიზლებულ სიძეს, იმის მიუხედავად, რომ ბევრი იძახა, — რა ჩემი ბრალია, მთვრალი ვიყავიო, — ალბათ ხვდებით, სიდედრი რა ამბავსაც დაანეკდა. ლუნა“.

ცრურწმენა არ ამართლებს

„პირველ რიგში, ჩემს (და არა მართლ — ჩემს) საყვარელ და სულში ჩასაძვრენ ჟურნალისტს, მარი ჯაფარიძეს წინა ხუთშაბათს დასმულ კითხვებზე მოწინებთ გავცემ პასუხს. მართალია, ამბობენ, ახალ წელს როგორც შეხვდები, მთელ წელს ისე გაატარებო, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თქმით ბევრ რამეს ამბობენ, მაგრამ ამ ცრურწმენაში რალაც სიმართლე ნამდვილად ურევია. პირადად მე, შემოიძლია დავიფიცო, რომ იმ წელს, სხვენს, სადაც 2009 წელი მეზობელ ბიჭთან ერთად გავატარე, აღარ გავკარებოვარ, აღარც ისე ძალიან დავმთვრალვარ და მით უმეტეს, გიო საერთოდ აღარ მინახავს. რატომ? იმიტომ, რომ იმ წელს სხვა „ცუდლუტობებიც“ დაამატა და თავი ციხეში ამოყო. აი, ასე... სამწუხაროდ, მე და გიოს შემთხვევაში, ახალი წლის ცრურწმენამ არ გაამართლა და არც ისე სიამბიკბილობაში გავგიტარებია წელი, როგორც ახალი წლის ღამეს. ახლა კი, თქვენი ნებართვით, თემაზე გადავალ. შორს აღარ წავალ და ბარემ გიოზე გაიმბობთ. მასთან ახლოს ვცხოვრობ და ყველა მისი ნაბიჯი ზუპირად ვიცი. სიმთვრალის დროს ამჩატება იცის (როგორც მაშინ, ახალი წლის ღამეს) და ამ დროს რას მოიმოქმედებს, კაციშვილმა არ იცის. ერთხელ დათვრა და მამამისს მანქანა მოჰპარა. გელამ პატრული გამოიძახა და იყო ერთი ამბავი. შემთხვევა კიდევ განმეორდა. მესამედაც რომ გაქრა მანქანა (ამჯერად გიოს ძმა იყო დამნაშავე), „ცისფერ“

(ცემით ჩალურჯებულ) თვალეებს ერთი თვე მალავდა. P.S. ისე, მე თუ მკითხავთ, გიოსთან ერთად რომ გავატარე ახალი წელი, სწორედ სიმთვრალის ბრალი იყო. განძის მაძიებლის მაძიებელი“.

დაკარგული მეგობარი

„მარი, გული მომიკალი... „გზავნილებს“ თემის სათაური დავინახე თუ არა, გული ისე მომეწურა, მეგონა, გასკდებოდა. ერთი ისეთი ჭრილობა დამიტოვა მაგ უაზრო სიმთვრალემ, ალბათ მთელი ცხოვრება ვინანებ. მოდი, თავიდან დავიწყებ: მე და საბა (პირობითი სახელია) 4 წლის განმავლობაში ისეთი გადაბმულ-გადაჯაჭვული მეგობრები ვიყავით, რომ დღე არ გავიდოდა, ერთმანეთი არ გვენახა. თუ ზაფხული იყო და დასასვენებლად ვიყავით, მობილურებზე „ვეკიდეთ“ და საუბარი რომ მოგვებურდებოდა, მესიჯების გზავნას ვაგრძელებდით. არც ერთი წვრილმანი თუ „მსხვილმანი“ მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში არ ჩაივლიდა ისე, რომ ერთმანეთისთვის არ მოგვეყოლა და რჩევა არ გვეკითხა. ვიცი, ახლა ბევრი იფიქრებს, ასეთი „მეგობრობა“ ვიცი, რაც არისო, მაგრამ მერწმუნეთ, ეს მართლა ნამდვილი მეგობრობა იყო. გარშემო უამრავი ნაცნობ-მეგობარი გვყავს მე და საბას და არასოდეს არც ერთ მათგანს ჩვენი ურთიერთობა „სხვანაირად“ არ მოსჩვენებია. არც იყო არაფერი „სხვანაირი“, შემოიძლია დავიფიცო! სულ გვეგმავდით ერთად „ჩატყვრომას“ და ვერა და ვერ ვაბამდით თავს, მაგრამ ბოლოს მაინც მოვახერხეთ და შარშან, ახალი წლის დღეებში, ერთ-ერთ საღამოს ხის ძირში ჩავსხედით და დავლიეთ. — ცხოვრებაში ასე არ „მიბომყია“-მეთქი, — დავინუნუნე და ხომ უნდა სცადოო, მაგულიანებდა საბა. საერთოდ, ჩემთვის 3 ჭიქა უკვე საკმარისია არა მხოლოდ ფეხების, არამედ ტვინის ასარევადაც, თუმცა საბასთან არანაირი პრობლემა არ მქონდა. ასე იყო თუ ისე, ჩავთვერით (მე — განსაკუთრებით) და დავინწყეთ უაზროდ ერთმანეთის დაცივნა, კამათი, „აბა სწორად გაიარე“, „არ გავივლი!“ და მსგავსი უაზრო ლლაბუცები. ამ ხუმრობა-ხუმრობაში ისე აღმოვჩნდი მის მკლავებში, სანამ რამეს გავიაზრებდი... ამის დანერაც არ მინდა... ჩამეხუტა და

აღარ გამიშვა. მერე სულ ვფიქრობდი, რომ ისე არ უნდა დავმსდარიყავით, ისე არ უნდა ჩაგხუტებოდით, ისე არ უნდა გაგჩუმებულყავით... მოკლედ, ბევრი „ისე არ უნდა“ შემოიძლია გავიხსენო, მაგრამ მე ხომ ცხოვრებაში აზრადაც კი არ მომივიდოდა, რომ ამ ყველაფერს ასეთი დასასრული ექნებოდა. სულ ვუბნებოდი, ქვეყანაზე ბიჭი რომ განწყდეს, შენ მაინც არ მიგიკარებ-მეთქი და „ვზაიშნა“-ო, მკასხუბობდა სიცილით. ასეა თუ ისე, იმ საღამოს მე და საბამ ერთმანეთს ვაკოცეთ. საშინლად არ მიყვარს იმ სიტყვის თქმა, რაც გოგოსა და ბიჭის კოცნას ჰქვია და არც დავწერ იმ სიტყვას ახლა აქ, მაგრამ ფაქტი ჯიუტია — ეს მოხდა! არ მახსოვს, რამდენ ხანს გაგრძელდა. მხოლოდ ის მახსოვს, რომ ხელს არ მიშვებდა და არც მე ვუძალიანდებოდი (ალბათ). შეიძლება, ბევრმა გამიციხოს, ბევრი იმასაც იტყვის, ჰყვარებიათ ერთმანეთი და ვერ გაუგიათო, მაგრამ დამიჯერეთ, ასე არ არის! თან იმ პერიოდში საბას შეყვარებული ჰყავდა და მეც მომწონდა ერთი ბიჭი. თუმცა, დღესდღეობით არც ერთს აღარ გვყავს ის „ობიექტები“, თუმცა აღარც ერთმანეთი გვყავს. იმ საღამოს შემდეგ ვილაპარაკეთ და თითქოს შევთანხმდით, რომ ის, რაც მოხდა, არ მოახდენდა გავლენას ჩვენს ურთიერთობაზე, მაგრამ ვერც ერთმა ვერ შევძელით იმის დავინწყება. შენ რა ნამუსით დაგაკარე ხელიო?! — გაოგნებული სახით მიმეორებდა. იმ ამბის შემდეგ დღითი დღე, უფრო და უფრო გაუუუცხოვდით ერთმანეთს და ახლა უკვე მხოლოდ მისალმებით შემოვიფარგლებით. თუ სადმე მოვხვდებით საერთო მეგობრების წრეში და დიდხანს გვიწევს ერთმანეთის გვერდით ყოფნა, აუცილებლად ვჩხუბობთ და ვჩხუბობთ გაშველებამდე! ისეთი უხეში გახდა, საერთოდ სხვა ადამიანი მგონია. საშინლად მენატრება როგორც მეგობარი და ვიცი, ვხედავ, ისიც ცუდად არის უჩემოდ. დღემდე, ზოგჯერ შორიდან მის ისეთ საოცარ მზერებს ვიჭერ ხოლმე, ტირილი მინდებდა... აი, ასე დამაკარგვინა ვითომ „უბრალო“ სიმთვრალემ საუკეთესო მეგობარი. ბამბუჩა“.

ყურადღება! თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „როგორ შევხვდი 2011 წელს“
ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე **877.456861**
ან მონეროთ ელფოსტაზე: **marorita77@yahoo.com**



„სიყვარული თავისთავად უნდა მოვიდეს“

„არავითარ შემთხვევაში არ აკოცო...“

„გზის“ №51-ში დაიბეჭდა 19 წლის ცივი ქალის მესიჟი შეგახსენებთ, იგი გწერდა, რომ მოსწონს ბიჭი, მაგრამ თავს მისი შეყვარების უფლებას არ აძლევს: „რატომ? — მეზინა, იმავეთი რომ არ მიპასუხოს? ისე, მასაც მოგწონვარ და უკვე დიდი ხანია, კოცნას მთხოვს. მეუბნება: იქნებ გული გამითბო და შემიყვარდეთ, მე კი უარს ვუბნები — არ მინდა მაკოცოს და მერე მიმატოვოს (ბიჭების უმეტესობა ხომ ასე იქცევა). არ ვიცი, როგორ ურთიერთობა უნდა მქონდეს მასთან და საერთოდ, ვაკოცო თუ არა?“

ლიკა ძაჯანი

უცნობი:

„ხალხნო, თქვენ მეტი საქმე და სადარდებელი მართლა არა გაქვთ? აუ, რა მაგარია, ზოგი იმას დარდობს, ხვალ რა ჭამოს, ესენი კი ნახე, პრობლემას რისგან ქმნიან. თქვენს ადგილას, მსგავს რამეზე სირცხვილით ხმას არ ამოვიღებდი. გაითვალისწინეთ, მსგავსი ვითომ პრობლემები თავადვე უნდა მოაგვაროთ, ამის გამო სხვების შეწუხება სირცხვილია!“

გარუზინა:

„სიყვარული კოცნის შედეგად არ იბადება. იცოდე, მსგავსი სისულელე არ ჩაიდინო, თორემ მერე ინანებ. ბოლოს და ბოლოს, ბიჭების მეტი რა არის?...“

კატო:

„გამარჯობა. ჩემო კარგო, შეყვარებული ადამიანის გამიფრვა ძნელი სულაც არაა, მას თვალბიჭი გაყიდის. ვიცი, რას ნიშნავს საყვარელი პიროვნების დაკარგვა, შეცდენაც... გულს მიენდე და თავს გაუფრთხილდი.“

ვილოსოფოსი:

„ჩემი გამოცდილებიდან გეუბნები: თუ უყვარხარ, კოცნა უფრო დაგახალგაობს, ამას ნყალი არ გაუვა, მაგრამ თუ მაინც, ყველაფერი ცუდად დამთავრდა, ე.ი. უბრალო ხამია და უნდა მიატოვო. ჯობს გამოცადო, ვიდრე იტანჯო. დაიმახსოვრე, ბევრის უფლებასაც ნუ მისცემ!“

ელენა:

„ვამ, ჩვენს პატრონს, რა. გოგო, ვინმე კოცნას თუ გთხოვს, უარს როგორ უბნებ? ნეტავ, ვინმეს მსგავსი სურვილი გაუჩნდებოდეს და ამ წინადადებით მომმართავდეს, სიხარულით „ჩაჯვხასებოდი“...“

პარია:

„გულის გასათბობად კოცნა კი არა, გრძნობაა საჭირო. ჩემი აზრით, შენი მოწონებულის სიტყვები შეურაცხმყოფელია; ის ტიპი მაგარი „მისაბერტყია“.“

მ. ბისიძე:

„ვიცი, შეიძლება ჩემი რჩევა უხეშად მოგერწვნოს, მაგრამ ჩემსას მაინც გეტყვი: ამხელა გოგო საქვეყნოდ ამბობ, შეყვარებულმა რალაც რომ გთხოვა? იცოდე, როცა ბიჭს უყვარხარ, ევეთ ლაპარაკს არ დაგინყებს. რად გინდა სხვისი რჩევა, როცა თავადაც ხვდები, რომ არასერიოზულად გიყურებს, შენით ერთობა?! საკ-

უთარი თავის ფასი არ უნდა იცოდე?“

კიო:

„ქვეყანა სავსეა ცისფრებით და შენ ვილაც პროშნას თუ გთხოვს, უარს როგორ ეუბნები? კაცს ნუ დატანჯავ, თორემ დაიმპოტენტიდებდა და ამასაც შენ დაგაბრალებენ :))“.

ლუნა:

„კაცებს ცივი ქალები არ უყვართ, მაგრამ ისიც არ ვარგა, ყველა კაცს რომ გაუხსნი გულის კარს. მას კოცნა კი არა, შენი შეხედვაც უნდა ათბობდეს. ზედმეტის უფლებას ნუ მისცემ, ჯერ მოგიპოვოს და მერე დატკბეს შენით. სიყვარული თავისთავად უნდა მოვიდეს და არა — დაძალებით. აბა, შენ იცი. გოცნი!“

შ. 18 წლის:

„ჩემი აზრით, არ უნდა აკოცო, რადგან ბიჭების უმეტესობა კოცნის შემდეგ სხვა რამესაც მოგთხოვს — ამას იმიტომ გეუბნები, რომ თავადაც ბიჭი ვარ. წარმატებებს გისურვებ!“

თათა:

„დღესდღეობით კოცნა ასეთი პრობლემა თუ იყო, ნალდად არ მეგონა. ისე, ჩვენში დარჩეს და ცოტა არ იყოს, ბავშვურად აზროვნებ. ახლა კოცნა შენი ძაკის ადამიანებს კი არა, ბაბუებს აღარ უყვირთ. აკოცე, აკოცე... ვერ ვხვდები, ან თავს

რატომ იტანჯავ, ან მას რატომ ტანჯავ?“
პუსასო:

„თუ იმ ბიჭმა კოცნა გთხოვა, ეი, „პროსტო“, გართობა უნდა. არავითარ შემთხვევაში არ აკოცო! შენ კი არ მოგწონს, ეს უბრალო გატაცებაა. წარმატებები!“

ქათი:

„თუ მხოლოდ მოსწონხარ, არა აქვს უფლება, კოცნა მოგთხოვოს. შეეშვი.“

ნინი:

„ბიჭებს გოგონების შეყვარება სხვა ნაირადაც შეუძლიათ. თუ კოცნის გარეშე ვერ შეგიყვარებს, შენი ლირსი არ ყოფილა!“

ნუსი (ცხელსა):

„რა სიმტრეა? თუ გინდა, აკოცე, ჩვენ რალს გვეკითხები, მაგრამ უნდა გააცნობიერო, რომ ეს წდომია და არა — სიყვარული. იმ ბიჭს ჯერ უნდა შეუყვარდე და მერე გთხოვოს მსგავსი რალაც. თავად უნდა გადანიყვიტო, აყვეები თუ არა ვნებს.“

ნეზა:

„უკვე დიდი გოგო ხარ და უნდა ხვდებოდე, რა და როგორ გააკეთო. ბიჭისგან პატივისცემა უნდა იგრძნო, რომ მოგწონოს და შეგიყვარდეს, ეგ ბიჭი კი კოცნას გთხოვს, გულის გასათბობად. მაგარი პატივისცემაა, რა, პირდაპირ გეუბნება, შენგან რაც უნდა. კოცნას სიყვარულის მოტანა რომ შეეძლოს, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა, შენ კი სადღაც, ოცნებებში დაფრინავ. არავითარ შემთხვევაში არ აკოცო, გამოიყენებს.“

უცნობი:

„ჩემი აზრით, არ უნდა აკოცო, თორემ მერე შეიძლება, სხვა რალაც გთხოვოს. ეს ჩემი აზრია, დანარჩენი კი შენ იცი. ამას იმიტომ გირჩევ, რომ თავადაც ბიჭი ვარ. წარმატებებს გისურვებ!“

„შეყვარულმა შეურაცხყოფა მოგახანა“

გიშუკა:

„პრივიტ“ ლიკ, შენი დახმარება ისე ძალიან მჭირდება, როგორც შაერი. გთხოვ, ეს მესიჟი დაიბეჭდე. ერთი ბიჭი მიყვარს. ის ჩემზე 2 წლით უფროსია. თავიდან მოგწონდი, ვმესიჯობდით კიდევ, მაგრამ მერე რალაცის გამო ვიჩხუბეთ და შეურაცხყოფა მომიყენა. მას მერე ნახევარი წელი გავიდა, ხანდახან ვხვდები ხოლმე და ისე მიყურებს, რომ მგონია, ძველებურად ვუყვარვარ, მაგრამ ერთი რამ ვერ გამიგია: ბიჭები გოგონებისადმი თავიანთ სიმშათიას უზრდელობით გამოხატავენ? გთხოვ, ეს „ესემესი“ დაიბეჭდე, თორემ მოგვეცემა. P.S. განსაკუთრებით ბიჭებს ვთხოვ, ჩემს მესიჯს გამოეხმაურონ და საკუთარი აზრი დააფიქსირონ.“

„ერთი პრობლემა გვაქვს — ჩივი დავალია...“

გუსა 93:

„მეყავს შეყვარებული, რომელსაც 3 წელია, ვიცნობ. 4 თვეა, რაც ერთად ვართ და ახლა ცოლობას მთხოვს. დედამ ამის შესახებ იცის, მაგრამ მამას სიმართლეს ვერ ვუბნები. ერთი პრობლემა გვაქვს — ის ბიჭი ჩემზე დაბალია და მასთან ურთიერთობას ამის გამო მიშლიან. გთხოვთ, მირჩიეთ რამე.“


P.S. გმუ ასე თუ გიშუკას და გუსა 93-ის წერილების წაკითხვის შემდეგ მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმისიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81 მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.



„სილა გაგანა და სახლიდან წამოვადი...“

„ძმას შენზე უკეთ შეუძლია მამრის ამოსწოვა“

„გზის“ №51-ში დაიბეჭდა უცნობის მესიჯი. იგი გვწერდა: „ერთი ბიჭი მიყვარს და მასაც ვუყვარვარ, მაგრამ „ლოვესთან“ ურთიერთობას ჩემი ძმა მიშლის. მას ჩემი რჩეული არ მოსწონს; რატომღაც ჰგონია, რომ არ ვუყვარვარ და მატყუებს. გთხოვთ, მიჩივიეთ, როგორ მოვიქცე?“



ნათუბა:

„თუკი დარწმუნებული ხარ, რომ „ლოვეს“ უყვარხარ, ძმას ყურადღებას ნუ მიაქცევ. იცოდე, მთავარი სიყვარულია“.

ლოვრია:

„ვერ ვიტან ადამიანებს, რომლებსაც ჰგონიათ, რომ სიყვარული ისეთი ხილია, რომელსაც ყველა იოლად დააგემოვნებს. თქვენ ცდებით, კარგებო!.. ახლა მინდა, უცნობს მივმართო: ვიცი, რომ ზოგჯერ ძმები ზედმეტად მზრუნველები არიან, მაგრამ შენთვის ასე ჯობს. P.S. ამას იმიტომ გეუბნები, რომ ვიცი, უმიზეზოდ არაფერი ხდება“.

რუსარი (YELLOW):

„შენს მდგომარეობაში სანუწუნოს და მით უმეტეს, საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. შენი ძმა ტიპური ქართველია და არ მიკვირს, დის თაყვანისმცემლები რომ აღიზიანებს. კარგი იქნებოდა, ასაკი მიგეთითებინა, შენთვის რჩევის მოცემა ასე უფრო გამიადვილდებოდა; თუ ჯერ კიდევ თინეიჯერი ხარ, სკოლაში დადიხარ და სწავლობ ან უნივერსიტეტში გატარებული წუთებით ტყუები, შენი ძმის საქციელი სრულიად მისაღები, სამართლიანი და ლოგიკურია, მაგრამ თუ მომნიშვნის ეტაპი უკვე გაიარა და ახლა გასათხოვრად „ჭკნები“, მაშინ შენი საქმისა შენ იცი.“

P.S. ძმა შენ მიმართ ცოტაოდენ უყურადღებობას მაინც რომ იჩენდეს, მერე იმაზე დაინყებდი წუნუნს, — რალა მეშველება, დავილუბე, დედამამიშვილს „ვედივარო“. ჭკუით!..“

უცნობი:

„გამარჯობა. შენი მესიჯის წაკითხვა და მობილურის მომარჯვება ერთი იყო, რადგან ძმა მეც ზუსტად ასე მტანჯავს; მას ჩემი არც ერთი „ლოვე“ არ მოსწონდა. ბოლოს, როცა ვუთხარი, რომ შეყვარებული ვიყავი, სილაც კი გამანნა. ეს ვერ ავიტანე და სახლიდან წამოვედი. მიუხედავად ამისა, ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან ახლა „ლოვესთან“ ერთად გახლავარ. ისე მოიქეცი, როგორც გული გიკარნახებს“.

უცნობი:

„ზოგჯერ ძმებსაც უნდა დაგვიჯეროთ. ჩვენ კარგი ინტუიცია გვაქვს და დებისთვის კარგი გვინდა. შენს ძმას უთხარი, იმ შენს „ლოვეს“ დაელაპარაკოს და ყველაფერი გაარკვიოს“.

ირინა:

„თუ ძმა მასთან ურთიერთობას გიშლის, ე.ი. ასეა საჭირო და უნდა დაუჯერო. პირადად მე, დაუჯერებდი“.

ნინო:

„გამარჯობა. ძალიანაც ნუ აღელდები, რადგან ყველა ძმა ასეთია, მათ დებისთვის მხოლოდ საუკეთესო ემეტებათ. თუ „ლოვეს“ მართლა უყვარხარ, უთხარი, შენს ძმას დაელაპარაკოს და დაუმტკიცოს, რომ სერიოზული ზრახვები აქვს. წარმატებები!“

აზუპი:

„ციცავ, არ გაბეჩდე, ძმას დაუჯერე, არ დეილუპო. ჰო, შენი „ლოვე“ გატყვილებს“...

რუსა:

„გოგო, ნუ „უბერავ“, ბიჭი თუ გიყვარს, რა შენი ძმის საქმეა? მიდი, შენსას მიაწეცი, ძმას არ დაუჯერო. წარმატებები!“

სვანის ასული:

„ძმის ეჭვი საკმაოდ საფუძვლიანია. დამიჯერე, მას უნდა, ღირსეული მეთავე გაავდეს და ბედნიერი იყო. როგორც ამბობენ, კაცურად უნდა დაელაპარაკოს (ხმაურისა და უტაქტობის გარეშე), ამის მერე კი მშვიდად განაგრძობ „ლოვესთან“ ურთიერთობას. ასე რომ, განგაში უადგილოა“.

ნათია:

„გამარჯობა. მინდა, ერთი რამ გირჩიო: შენს რჩეულს დაელაპარაკე და თუ მის გრძნობაში ბოლომდე დარწმუნებული ხარ, ძმას ერთად დაუმტკიცეთ, რომ ნამდვილი გრძნობა გაკავშირებთ. წარმატებები!“

ატარძლია:

„ამქვეყნად არაფერი ხდება ისე, უბრალოდ და უმიზეზოდ. დარწმუნებული ვარ, რადგან შენი ძმა ეგრე ფიქრობს, რალაც მიზეზი ექნება. ასე რომ, ჯერ კარგად გაერკვიე, რა ხდება. და კიდევ, ბრმად საყვარელ ადამიანებსაც კი ნუ ენდობი“.

სოფი:

„ეგ ამბავი შეყვარებულს მოუყვიე. დაე, ადგეს და შენს ძმას დაელაპარაკოს; დაუმტკიცოს, რომ მართლა უყვარხარ“.

CREZY:

„HI“. ვფიქრობ, შენმა ძმამ რალაც იცის და ამიტომაც გიშლის მასთან ურთიერთობას. მგონი ჯობს, დაელაპარაკო და ყველაფერი დაწვრილებით გაიგო“.

მისტარი:

„რეიზა ართულებ სიტუაციას და

ცქმუტავ? ჯერ ერთი, ძმას დისთვის ყოველთვის კარგი უნდა, მეორეც — ბიჭია და შენზე უკეთ შეუძლია მამრის ამოცნობა, მესამეც — შესაძლოა, შენი ძმაც ეპყრობოდა ან ეპყრობა მდედრს ისე, როგორც შენი „ლოვე“ გექცევა. ასე რომ, „შეიბაშკისე“ ერთი მცნება: ძმის წინ მორბენალ კაცს ან მგელი შეჭამს, ან ტურა და მოდი, დაუჯერე, რა“.

TAEKWONDO WTF:

„შენი ძმა ცდილობს, იმედგაცრუება აგარიდოს, შენ კი მასზე ბრაზდები. რადგანაც ის ბიჭი არ მოსწონს, ე.ი. საამისო მიზეზიც აქვს. დაელაპარაკე და სთხოვე აგისნას, რატომ ჰგონია, რომ „ლოვე“ გატყუებს?“

აურა:

„გამარჯობა. იმ ბიჭს არ უცდია, რომ შენს ძმას დალაპარაკებოდა? იქნებ, დედამამიშვილმა „ლოვესთან“ ურთიერთობა ამის მერე მაინც აღარ დაგიშალოს. ვფიქრობ, შენი პრობლემა მათი საუბრის შემდეგ მოგვარდება“.

მოხილი-ზასია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მოხილი-ზაციაში“ მოხდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრბოთ სიტყვა GZA გამოტოვით ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნით ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გასურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.



ქაღაბი

1. ვარ ექიმი, მხიარული, ბინით, მანქანით, აგარაკით. დამირეკოს თბილისელმა, უზრუნველყოფილმა, ინტელიგენტმა მამაკაცმა, 37 წლის ზემოთ.

2. გამარჯობა. დაუფერებელია, მაგრამ აქ მაინც ვწერ. მინდა, ის ადამიანი გავიცნო, ვისაც მართლა სჭირდება თბილი ოჯახი. მატყუარები არ შეწუხდეთ. ბელა29.

3. ვეხმაურები „გზა“ №47, მე-13 მესიჯის ავტორს, ოჯახის შექმნის მიზნით. არასერიოზულებმა თავი შეიკავეთ.

4. ვეხმაურები „გზა“ №43-ში გამოქვეყნებულ, მე-9 მესიჯის ავტორს. გაგიცნობთ სერიოზული ურთიერთობისთვის, ოჯახის შექმნის მიზნით.



ქასები

5. ვარ 31/164/58, მაქვს სახლი, ელემენტარული სამსახური, უბრალო ავტომანქანა და თავად მეც უბრალო ადამიანი ვარ. არ ვკაიფობ, არ ვსვამ, მაგრამ ვქეიფობ. :) ვეძებ მართლმადიდებელ, ქართველ გოგოს, არამდიდარს, არათბილისელს, არადედაისერთას. მსურს იყოს ინტელექტუალი, სიმპათიური, 23-28 წლის. ილევასურ.

6. პირველად ვამესიჯებ ჟურნალ „გზაში“. მინდა გავიცნო გოგო, დაო-

ჯახების მიზნით, 16-25 წლის. არასერიოზულები ნუ გამომეხმაურებით. გიო.

7. გავიცნობ 28 წლამდე გოგოს. დანარჩენი — პირადად. წინასწარ გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს.

8. „გზა“ №43, მე-2 მესიჯის ავტორის, ქვრივი ქალის ტელეფონის ნომერი გამომიგზავნეთ, ან ჩემი ნომერი გადაეცით. გთხოვთ, პასუხი გამომიგზავნეთ.

9. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №51, მე-2 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი. წინასწარ გისდით მადლობას.

10. ვარ 28 წლის, სუსტი აღნაგობის მამაკაცი. მშრომელი, წყნარი, უცოლო. მსურს ოჯახის შექმნა. გამომეხმაურეთ. ასაკს მნიშვნელობა არ აქვს.

11. ვარ 40 წლის მამაკაცი. გავიცნობ 45-55 წლის ქალბატონს, სერიოზული ურთიერთობისთვის. დამიკავშირდით საღამოს საათებში.

12. სიტბო და სიყვარული რომ არ გაკლდეს, ამ ფურცელს არ წაიკითხავდი, ალბათ არც მე დაგწერდი. დამეკონტაქტე. ზურა, 37 წლის.



სხვადასხვა

• მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ. ჩემო მსუქანავ, შენ ყველაზე ლამაზი და კეთილი ხარ. თითები რომ გქონდა ნატკენი, მოგიჩნა? რამე ხომ არ გტკივა? ხომ კარგად ხარ?

• მახო, ქუცუნა, გვენატრები. ჩვენ კარგად ვართ, თუმცა უშენოდ რომ ვხვდებით ახალ წელს, ცუდია და იმედი გვაქვს, შემდეგ ახალ წელს ყველანი ერთად ვიქნებით. გოცნი ბევრს.

• ქუცუნა, არ მოინწყინო, გჯეროდეს და გნამდეს, ძალიან მალე ჩვენ გვერდით იქნები, ისევე ერთად შევიკრიბებით და ჩვენს მახუკას არსად გავუშვებთ. :) გეხუტუნე, გეხუტები.

• რას შვრები, მარ? მგზავნელებო, მომწერეთ, რაა... ბარამბო.

• ულიბკას თხრობის სტილი მომწონს, კარგი ენით ჰყვება!

• გამარჯობა. „გზაში“ ადრე ვამესიჯებდი და ბევრი კარგი მეგობარიც შევიძინე. ახლა დაგბრუნდი, ოღონდ შეცვლილი ნიკით. ნუკა.

• არ ვიცი, ამ მესიჯს დამიბეჭდავ თუ არა, მაგრამ ერთ ადამიანს მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს და სულ მასზე ვფიქრობ. ნუპაკი. მადლობა დიდი.

• ძალიან გთხოვთ, დამიბეჭდოთ. მინდა, ჩემს მეგობარს დიკას ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს და ყოველთვის მეყვარება... თან მინდა გაიგოს ერთმა სულელმა, რომ ისიც ძალიან მიყვარს.

• მარი, ახალ წელს საყვედურებით ვინცე. ეგ ჩემი მესიჯი არ იყო, მე რომ მომანერე. გილოცავთ ახალ წელს, მიყვარხართ. მეტეჟი, მარტო ეს მოგწერეთ. ედელვაისი.

• მარიამულო, ძალიან საყვარელი ხარ. იცი, რატომ? სვანი რომ ხარ. ჰოდა, მეც სვანი ვარ. იმედია, შემიყვარებთ, მგზავნელებო. მაგრები ხართ, სულ ყველანი. მპა. რემედლოსი.

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მოხილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ლ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h



• გიო-66, შობის ღამე დგებამო/ქრისტე იბადებამო/ ყველა სასწაული ხომ შობის ღამეს ხდებაო. გილოცავ, შვილო, ამ ბრწყინვალე ქრისტესშობის დღესასწაულს. მართლაც სასწაული მოხდინოს შობის ღამეს შენს პირად ცხოვრებაში. დღეის შემდეგ შეხვდი: ჯანმრთელი, ავტორიტეტიანი — ისეთი, როგორიც შენთვის და ჩვენთვის ძვირფას წლებში იყავი. ძველ წელს წაუღოს შენი დარდინი და მინუსიანი წლები. ამის შემდეგ კი საღი გონებით გაგვგრძელებინოს ახალი ცხოვრების გზა. შვილო, მინდა, შენ გვერდით მყოფთ, ყველას მივულოცო შობა-ახალი წელი. მალე გქონოდეთ თავისუფლება. გახაროს შენზე ფიქრით დაღლილი დედა, გაუფრთხილდი ჯანმრთელობას და ნერვებს. მხოლოდ შენს სასიკეთოდ იფიქრე, სამომავლოდ. აქეთ ყველანი კარგად ვართ, გვენატრები, ჩვენო სიხარული და სიამაყე. ახლა კი... გკოცნი, ჩემო ჩუთლა.

• გიორგი, გილოცავ ახალ წელს. ეს ის ლექსია... აღმართს მიუყვება სიმარტოვე, უკვე ჩამობნელდა თითქმის. ფიქრობს სიმარტოვე მარტო, გზაზე მოწყვნილი მიდის. მერე შეეგება სევდა, ხელი გადახვია ძმობილს. ჩაფიქრებულხართ მეტად, ვხედავ, მოიწყინეთ მგონი. მოდი, გავერთოთო კარგად, ვინმეს ვესტუმროთო ერთად, მერე გზას დაადგინე ჩქარა, სტუმრად ამოვიდნენ ჩემთან. მწარედ შეეგებე სტუმრებს, მარტო აღარ ვარ ახლა, ორი მეგობარი მართობს: სიმარტოვე და სევდა. გკოცნი. მაგდა.

• ბადრიკუნა, როგორ ხარ? შობას გილოცავ, საყვარელო... შენს ხმას რომ ვიგებ, მგონია, აქვე ხარ და მიხარია... შემოგვევლოს დაიკო... სულ იმას ვფიქრობ, ნეტავ, ხომ არ სცივა და შიამთქი?! გამოდი, ერთი, „მატრიოშკაში“ „ყვავილების ქვეყანა“ ვიმღეროთ... გკოცნით ყველანი და გვენატრები... ჯერჯერობით შენი წერილი არ მოსულა, ამ დღეებში მოვა ალბათ. ნეტავ რა დაგვიწერე, შენი ბატიფეხურით? :) ეს ლექსი კი შენ: თოვს და ბარდნის, თოვს და ბარდნის, უხარია მარტო ბადრის! გეხვევი და გკოცნი ცხვირზე.

• ვიცო, კვლავ მოვა სევდა აპრილის და გულში ატეხს კვლავ ქარბორიას, იქნება მითხრა, შენი სიშორე, რატომ მტკივა და... რად მიხარია? რემედეოსი. რუისპირ, მაგარი ხარ.

• ახალ წელს გილოცავ. მინდოდა, 3-ში ჩემთან მოსულიყავი. შენზე ვნერვიულობ, იქნებ როგორმე გამაგებინო, როგორ ხარ? მე კარგად ვარ. ნეტავ ჩემს წერილებს თუ კითხულობ? მგონი ტყუილად ვწერ. შენი ნახვა მინდა, დამე-სიზმრე მაინც, უამრავი საჭიროა მაქვს. თავს მიხედე, უფალი გფარავდეს. მიყვარხარ გულში. შუბლზე გაკოცე. გახსოვს? მე — კი.

• ბაი, გვენატრები სიგიჟემდე. რომ დარეკე, ვერ გელაპარაკე ნორმალურად.

იმედია, კარგად ხარ. გვახსოვხარ და გვიყვარხარ. ნო ემო მომმენტ. ნათია.

• 5-7, ახალ წელს გილოცავ, ჩემო სიცილსლე. პირველ რიგში ჯანმრთელობას და თავისუფლებას გისურვებ. სხვა ყველაფერს ეშველება. ყველაფერი ცუდი ძველმა წელმა წაიღოს. გკოცნი.

• 25, დე, გილოცავ შობა-ახალ წელს. გისურვებ ჯანმრთელობას. სხვა ყველაფერი ღვთის წყალობით იქნება. შენ სადაც გინდა, იქ შეუძლებელია. იქ არიან 2-მდე. სანდროს ურჩიეს მაიას ქალაქი. თქვენი დათოც იქ არის. ბიბი ჩამოვა 10-ში და ყველაფერი თავიდან დაიწყება. მთავარია, შენ იყავი ჭკვიანად და მაგრად. ბეგი გოგოს ელოდება 5 თვეში. ნურუს ვუთხარი და შეეცდება, მამაო ნახოს. დე, ვსხედვართ მე და გიგი მარტოები. არც შენ ხარ ჩვენთან და არც ბიბი. ახლა ვიყავით გმირთა მოედანზე, სანთელი დავუნთე კოკას და საშუკას. მე და გიგი სახლში შევხვდებით ახალ წელს. გკოცნი.

• 25, დე, გილოცავთ ახალ წელს. მე, გიგი, თამრიკო, ნელი, ანა, დათო და ნამუ გისურვებთ მხნეობას და სურვილების ასრულებას. ჩვენ ვაკვირ ვართ. ბიბიმ დაგვირეკა, მამა გიორგიმაც მესიჯით მოგვილოცა. გკოცნით.

• მახო, ქუცუნა, როგორ ხარ? გილოცავთ ახალ წელს. გოგონები ერთად ვართ და შენს სადღეგრძელოს ვსვამთ. ამ წელიწადში ჩვენ გვერდით ყოფილიყავი და ჩავსიყვარულბულიყავით.

• 25, დე, ახლა დამირეკა სანდრიკამ. თავის მეგობართან იყო. ყველაფერს გავაკეთებ, რომ კარგად იყო. ამ თვის ბოლომდე არაფერი შეიცვლება. ძალიან მიყვარხარ და მენატრები. გკოცნი ბევრს. მაგრად იყავი.

• გოჭი, მენატრები. როგორ მინდა შენთან ლაპარაკი, ნეტავ იცოდე. აქ ვერ გწერ სოლმე, არ გეწყინოს. შენ ყოველთვის მახსოვხარ, გვერები ბევრს, ახალ წელს გილოცავ. ბარტყი.

• სიმართლე გითხრათ, მართლა ვერ ვხვდები, რატომ ულოცავენ ადამიანები ახალ წელს ერთმანეთს, მაგრამ ეს ბანალური, მიმბაძველობითი ტენდენციაა. ასე რომ, გილოცავთ! ატარექსია.

• რა არის სიყვარული? ეს არის შემთხვევა, როცა ორი იდიოტი მესამე იდიოტის გაკეთებას იწყებს. ატარექსია.

• ფილმივით ანეყო წვიმაში კადრები, გალუმბულ ჭადართან ლამპიონს ეძინა, არსად პოეტები, აღარსად მხატვრები, სამყაროს მათგან ხომ ღიმილი ეწყინა... დღეები ერთმანეთს ჰგვანან და არ სჯერათ, ჰაერშიც იგივე თებერვლის სუნია, ყვავილებს სუნთქვა რომ თოვლის ქვეშ დარჩება, შენს შემოსაშვებად დატოვებს სულს ღიად... არ დააგვიანო, ნაბიჯი ტანგოში, წვიმაში ვიცეკვოთ, ქალაქი ჩუმია. მგზავრები დავკარგე და ახლა ვაგონში, მარტო ვარ, იაფი თამბაქოს სუნია... რუისპირი (YELLOW).

• არც ერთი წამით არ ვეთანხმები „მუცლის შენახვის“ ძირველ ტრადიციას და სახლიდან გასვლის წინ, გემრიელად გეახლებით ხოლმე. სწორედ ასე გემრიელად ნაჭამ-ნასვამი წავედი მეგობრის დაბადების დღეზე... ყვავილებითა და ტორტით ხელდამშვენებულმა შევალე კარი. არ მელოდით, არა?! დავიყვირე. რა ღამაში დღ... წავიმღერე და წამის მეთასე დაწვინი მოვკვეტე. თურმე სართული ამერია.

• ერთხელ იმდენი დავლიე, გონს მოსულს, ჩემთვის სრულიად უცხო ადგილზე, ასევე უცხო ქალი მახანავებდა (სუპერსტარ, ხმა არ ამოიღო). ჩემი სიმთვრალეში ჩადენილი „გმირობების“ მოყოლა შორს წაგვიყვანს და თქვენი ნებართვით აქ „დავატორმუზმურუჭებ“. ჰო, მთავარი გმირობა კი, რომელიც ნასვამმა „გავაკეთე“, 9 თვეში გეტყვით (თუ შეიძლება, ქეთი?). P.S. ლოთი არ გეგონოთ, დაბალწნევიანი ვარ, უბრალოდ. P.P.S. ესეც პირველი გზავნილი, 2011 წლის პირველ „გზაში“ და პირველად მგზავნელ-იორკის ისტორიაში (ჩემთვის, პირადად), მთვრალის მონერილი“. რუისპირი.

• ნუ დავარქმევთ სახელებს, ჯერ თავადვე მოგვიწვეს დაჯერება, რომ ის არსებობს და მერე სხვები დაფაჯეროთ. სამყაროს უკანა ეზოში უნდა ვითამაშოთ, რადგან აქ სიმშვიდეც, ხმაურიც, კუთვნილებით ნაცვალსახელებზე ნაწილდება: ჩემი, შენი, მისი. აქ ისე კვდებიან, სიხარული გაზრდას ვერ ასწრებს, აქ დრო მაჯაზე არ მაგრდება, ხელსაქმედ გვაქვს მისი უფსხვა და ისიც კუთვნილებით ნაცვალსახელებზე ნაწილდება: ჩვენი, თქვენი, მათი. აქ არსად ვინროვდება, რომ განწყდეს. მხოლოდ სიჩქარეა. საგზაო ნიშნები — გაუქმებული და გაჩერება „თავის გადარჩენა“ — გამოტოვებული... აქ ერთხელ უნდა გახედო და უთხრა ღმერთს უარი... რუისპირი (YELLOW).

• ახალ წელს გილოცავთ ყველას! სიკეთეს, ჯანმრთელობას და ოცნებების ახდენას გისურვებთ! პირველ იანვარს, როგორც წესი, ქართველები ან





მთვრალეები არიან ან პახმელიაზე. ჰოდა, დღეს დამირეკა ჩემმა (ერთ-ერთმა) კახელმა „პაკლონიკმა“ (მთვრალმა) მე კი მასთან ლაპარაკი არ მინდოდა და ვუთხარი, — ანგარიშზე არ მაქვს და ვერ გელაპარაკები-მეთქი. ამან კი მითხრა, — კაი, არა უშავსო და გათიშა. სიმთვრალის ბრალია ახლა ეს თუუ... თქვენი დაკარგული, პატარა მავნე.

• ჰოოდა, მარორიტა, იმას ვუბნობდი მგზავნელებს, მე რომ არ ვყოფილიყავი თამუნა მიქელაძე, ვისურვებდი, რომ ვყოფილიყავი ნაომი კემპბელი. ისე, საერთოდ არ მრცხვენია, მარ, რომ ამ გამთენიისას გიმესიჯებ და განუხებ. ნაომი.

• ვაიმე, მარ, იცი, როგორ მინდა ჯეოსტარში სოფო გელოვანმა გაიმარჯვოს? არა, ოთო ნემსაძეც მაგარია, მაგრამ... მე მაინც ყოველთვის ქალები-სკენ ვარ. თავადის ქალი.

• თეაკო, ნუ, ახლა სტინგთან და მარლთან რა მოსაზრებია პინკი, ბონსე მიკაკაცი, რომელმაც კრიტიკოსებიც კი დააღუმა, მაგრამ ძალიან მომწონს მათი სიმღერებიც. :) ნაომი.

• მარი, რატომ აკეთებ ასე? ვერ ვხვდები... რატომ არ დამიბეჭდვს მესიჯი, ლევანს რომ მივწერე? მსგავსი თუ არა, მაგაზე უარესი სმს-ებიც დაგიბეჭდავს სხვებისთვის. ინტერესნა, რაა. ნაომი.

• ლევან, შენ ერთადერთი, რაც შეიძლება და შეგიძლია ანვალო, ფეხებშუა დიდი და უშრო მუნუი რო გაქვს, აი ევაა. :-) შენ, ბიძი, რაღაც გჭირს და სახლში არ გუბნებია.

• მთავარი ის კი არ არის, რამდენი გვერდი უკავია ულიბკას ამბებს. მთავარია, რატომ უკავია. რატომ, გენაცვალე, და ყველაზე მაგარ და სახალისო ამბებს გზავნის. „ნუჟუელი“, ვერ ხვდებით?

• ჰოოო და, აი ასეთი ნიჭიერი ქალი, უძალიანმაგრესი ადამიანი ამ ზაფხულს უნდა გახდეს ჩემი ნათლია. :-) რას გავაჯანუბებ ნაომთან ერთად? :) გაიხარე, დე. მარიამ ტაბიძე.

• ერთხელ ჩემი ე.წ. ნათესავეები ახალნაყიდ SUPERCAR-ით მიქროდნენ ბათუმში. ჰოდა, წითელზე გაჩერებულბმა დაინახეს, როგორ მოდიოდა გზაზე სოლიდური შესახედაობის მანდილოსანი. ნიკას მოეწონა და თვალი გააყოლა. მწვანე რომ აინთო და „დაგაზხეს“, მეორე ნათესავემა მოიხედა და ხედავს, ნიკა იხრჩობა სიცილით. რომ მოასულერეს, ჰკითხეს, რა იყო მისი ასეთი არაბუნებრივი სიცილის მიზეზი და თურმე, იმ ვითომ სოლიდურ ქალს რომ გააყოლა თვალი ნიკამ, უკნიდან კაბა ჰქონია საცვალში ჩატანებული და ყველამ მაგრადა იცინა.

• შაი, მარ, და მგზავნელებო. როგორ ხართ? დიდი ხანია, „გზავნილებს“ ვითხულობ და ძალიან მომწონს ყველა. განსაკუთრებით — YELLOW. მოკლედ, მეც გამიჩნდა სურვილი, მომეწერა.

• მერცხალი ბანზე ჭიჭიკებს, ტორ-

ოლა მალლა, ცაშია. ბუღბუღი ვარდის ბუჩქებში, არწივი ყივის მთაშია. მწყერი ქვითკოსი გასძახის, მწყერიჩიტა ბუჩქზე წრიალებს, წყალწყალი წყალს არ შორდება, მის ნაპირებზე ტრიალებს. კოდალა გაქანებული, ხეს უკაკუნებს გულშია. ოპერაციას უკეთებს, შეძვრება ფულუროშია. როგორ მოიწყენს ის კაცი, ვინც ასეთ ბუნებაშია, გული ხალისით ევსება, ღიღინებს გუნებაშია. შალვა ბაციკაძე.

• ქალსა მანდილი ამშვენებს, ვაჟკაცს ნამუსის ქუდია, სუყველა მათკენ მიილტვის, აბა ვის უნდა ცუდია, ეს უნდა დაიმსახურო, მას ვერ იყიდი ფულითა, ყველა მინდობილ საქმესა ეკიდებოდე გულითა, ზოგჯერ სახელის მოხვეჭას არ ჰყოფნის მთელი სიცოცხლე, მაგრამ თუ იგი დაკარგე, მის აღსადგენად აღარ გეყოფა მთელი სიცოცხლე. შალვა ბაციკაძე.

• მთელი ზნობრივი ბოროტების ფესვი არის თავისმოყვარეობა. იგი თვით გულის ფსკერზე მდებარეობს. ადამიანი თავისი დანიშნულების მიხედვით უნდა ივიწყებდეს საკუთარ თავს, პირად ცხოვრებასა და საქმიანობაში. უნდა ცხოვრობდეს მხოლოდ ღვთისა და ადამიანებისთვის. მთელი თავისი საქმიანობა უნდა მიუძღვნას მაცხოვრებს, ვითარცა სამადლობელი მსხვერპლი, გამოიყენოს იგი მოყვასის სასარგებლოდ და ყოველივე, რასაც მიიღებს მოწყალე ღვთისგან, ისევე მოყვასს მოახმაროს. ერთი მეორის გარეშე არ არსებობს: შეუძლებელია ღვთის სიყვარული მოყვასის სიყვარული გარეშე და შეუძლებელია მოყვასის სიყვარული ღვთის სიყვარულის გარეშე, ისევე, როგორც — თუ გიყვარს ღმერთი და მოყვასი, შეუძლებელია არ შესწირო მსხვერპლად საკუთარი თავი ღვთის სადიდებლად და მოყვასის საკეთილდღეოდ. მაგრამ, როდესაც ადამიანი გონებით, გულითა და გრძნობებით განუდგება ღმერთს, ამის შემდეგ კი მოყვასსაც, მაშინ ბუნებრივია, იგი ჩერდება მხოლოდ საკუთარ თავზე საკუთარ თავს მიიჩნევს ამოსავალ წერტილად, რომლისკენაც მიმართავს ყველაფერს, არ ზოგავს არც ღვთის მცნებებს, არც მოყვასის კეთილდღეობას. ლაკვასტი.

• ჩვენ, დაცემული კაცობრიობის ძენი, უმჯულოებამი შობილნი და გახრწნილი ბუნებითი მოვეყვარებინა ამქვეყნად, ხელახლა ვიშვებთ წმინდა ცხოვრებისათვის ნათლობის წმინდა ემბაზში და მირონცხების საიდუმლოთი ვიღებთ სულის სინამდის ძალას. ამიტომ, თუ არავის შეუძლია შეიქოს თავი უბიწოებითა და უტოდველობით, ამასთან, არც სინდისის ძალდატანების გარეშე ძალუძს, უარი თქვას წმინდა მოვალეობაზე, წმინდად წარუდგინოს საკუთარი თავი ღმერთს, ნებისმიერმა უნდა გააღვიძოს და გაათბოს გულში მხურვალე გადანყვებულება, თვითგამოს-

წორებისა და ღვთიური მოშურნეობა, საკუთარი გულის ყოველგვარ ღვთისგანაღმდევოსაგან განწმენდისა, მაგრამ საკუთარ თავში ყოველგვარი სინამდის აღზრდა ძალზე რთული და მძიმეა, რამეთუ სიკეთის გზა მრავალ ისეთ უხილავ ხვეულს შორის გადის, რომ თვითგამოსწორების ღვაწლს შეჭიდებულმა აუცილებლად გონებაში წინასწარ უნდა მოახზოს, რა და როგორ გამოასწოროს; ეს მონახაზი განუწყვეტილად ატაროს გულითა და გონებით, რათა მისი მეშვეობით, ვითარცა ერთგული გზამკვლევი, შეუფერებლად და საიმედოდ მიიყვანოს ბოლომდე დანყვებული საქმე. მამ ასე, რა უნდა გამოვასწოროთ საკუთარ თავში? თითქმის ყველაფერი, რაც ჩვენშია. ცოდვას უყვარს სრული ძალაუფლება. თუ ჩვენი გული შეყვარებულია მასზე, მაშინ იგი სრულიად ეუფლება გულს და ადამიანს მთლიანად თავისი ბოროტი ძალით ფარავს. ცოდვილი ადამიანისთვისაც და კაცობრიობისთვის ერთ-ერთი წარწერა არსებობს: ტერფიდან თხემამდე სალი ადგილი აღარ შეგრჩათ, ამაში თითქმის ყველა ადვილად დარწმუნდება, თუ კარგად დაუპყვრდება ცოდვილი გულის სიღრმე. იქ სახავს იგი ბოროტების ფესვს, იხილავს ცოდვის ძირითად გამლიზინებლებს და იმასაც, რაშიც ვლინდება ეს ცოდვა. ლაკვასტი.

• სიზმარს ცხადივით ხედავს ტაძარი, ჩვენს საქართველოს როცა შეჰყურებს, როცა ქართული ჩაესმის ნაწა, როცა ნიათი ირწმუნა ყანა. თურმე ამაზე ფიქრობს ნიადაგ, ლოცავს აკვანს თუ ახალ ხარაჩოს: როდის იქნება, რომ საქართველომ ზარზმის გაღალმა გადააღაჯოს. ლაკვასტი.

• შენ ალბათ გძინავს ტკბილი სიზმრებით, მე არ მასვენებს შენზე ფიქრები, თუ გაგაღვიძებ, ჩემო სიცოცხლე, გთხოვ, ამისათვის ნუ გამიბრაზდები. ნინიმე.

• ნაომი, რას ხედავ ცუდს იმაში, რომ მომწონხარ? შენი ჩანახატიც მომეწონა კაცებზე. მეც შეუზღუდავი მამაკაცური შესაძლებლობები მაქვს. :) გიკბინე, ველურო. ლევანჩო.

• უნიკოვ, მე ჰოლივუდიდან არავის ვეტრფი. :) ოლონდ — მართლა. :-). ქართველებიდან კი კაი ტიპია გიორგი ბაბლუანი და მიშა მესხი. ნაომი.

• ისე ამბობენ, ამ ულიბკას ნუ უბეჭდავთ მესიჯებსო, რომ ვითომ მასზე კარგი მგზავნელი გყავდეს. ნანი ბებოს კი ვთხოვ, დაბრუნდეს და ჩაგვეხუტოს ძველებურად. ნაომი.

• საოცრებაა... ცხოვრების ორსახოვნება არსებობს და ადამიანებიც ორსახოვნად აზროვნებენ. ადამიანთა ერთი ნაწილისთვის ბედნიერებას წარმოადგენს მატერიალურობით შემოსვა — ის, რაც მხოლოდ თვალისთვისაა ლამაზი. ბედნიერებას ანიჭებთ სიმდიდრეში ყოფნა, ლამაზი და ძვირად ღირებული



სამკაულები და ამ ყველაფრით სავსე, ადამიანი თვითმკაყოფილდება. რა ბედნიერი ადამიანი ვარ!.. ადამიანთა მეორე და სამწუხაროდ, უმცირესი ნაწილი, რომლისთვისაც ბედნიერება სულის ზეიმია; ადამიანები, რომლებიც ახლოს არიან ღმერთთან და ხარობენ უფალში, ისეთი ბედნიერები არიან, რომ ელემენტარულ ხორციელზეც კი უარს ამბობენ. კარგი შესამოსელი და კარგი საქმელი მათ მხოლოდ ამძიმებს და ბედნიერებას უკარგავს... შიმშილი, სიცხე, სხვისგან ჩაგვრა, საკუთარი ვნების მოკვეთა და მორჩილებაში ყოფნა მათთვის უდიდესი ბედნიერებაა. სულიერი ბედნიერება... და ჩემთვისაც ესაა ბედნიერება, როდესაც სულიერად მშვიდად ვარ, სულიერად ცარიელი ვარ და ხორციელად არ მამძიმებს ესა თუ ის უაზრო სიმდიდრე და მაინც... ვერ ვგეუბები ადამიანებს, რომლებსაც სხვადასხვა ტანისამოსითა და სამკაულებით გაბრუნებულეს აერიათ თუ შეეშალათ, რა არის ბედნიერება. მოდი, ყველამ ვიფიქროთ, თითოეული ჩვენგანისთვის რა არის ბედნიერება? უნდა გამოგიტყდეთ, ეს კითხვა მას შემდეგ გამიჩნდა, რაც ტელევიზორში მოლიმარი თივა სადუნიშვილი დავინახე, თუ რა ბედნიერი იყო, სიამოვნებით საუბრობდა და გვაუწყებდა, რომ ბედნიერება არის თურმე ის, თუ ყურზე სვაროვსკისტილიან საყურეს ჩამოვიკიდებ და ტომ ტელიორის ტანისამოსს ჩავიცვამ... სადამდე დასულა თურმე ბედნიერების ცნება?! ვიფიქროთ — რა არის ბედნიერება? სალო10.

• კასკუ, ჩემო სიცოცხლე, შობას გილოცავთ. ღვთის ნებით, მალე ერთად ვიქნებით. იმეღია, სმს-ებს ისმენ. ახალ წელს მე ორი ჭიქა მივაჭახუნე — ჩემი და შენი. შენთან მინდა. ლისკუ.

• კასკუ, გაუსაძლისი გახდა უშენობა. ბავშვები და დედა კარგად არიან. ჩვენი დარდი არ გქონდეს. ჩემო სიცოცხლე, ისე მიყვარხარ, რომ სუნთქვა მიჭირს უშენოდ. შენი ლისკუ.

• მე და ჩემი და, ანი, ვჩხუბობთ. ის რუსისპირზე გიჟდება და ამბობს, რომ ნაომის ერთ დღესაც გაგლეჯს. :) მე კი ვფიქრობ, რომ რუსისპირი მართალი არაა ნაომთან. :) ქეთი, 12 წლის.

• მარ, გთხოვ, ეს მესიჯი დამიბეჭდო... ძალიან, უზომოდ, სიცოცხლეზე მეტად შემიყვარდა და ვერ ვუმხელ... ისიც სვანია... მიყვარხარ, სვანებოო! შენი გაცნობა მინდა, მარი, მართლა ძალიან მინდა... შენ რომ მომწერო, უბედნიერესი ადამიანი ვიქნები, დედას გევიცვები...

• მარ, მავატე, ასე გვიან რომ განუხებ, მე სვანეთში ვარ, დღეს „გზა“ ვერ ვიშოვე და ვებრძობი ვარ. რა საშინელებაა. თბილისში მინდაა! ქაჯების დედოფალი.

• მააარ, გადარეულს გააავგგგგუ-დააააააააააა! :) ცის მან, რატომაც. :) ლაკვასტი.

• საყვარელო მარი და მგზავნელებო! სიყვარულით გილოცავთ ახალ წელს, გიგზავნი ლექსს, „ყველაფერი კარგად იქნება“, რომელიც თქვენი ოჯახის რელიკვია გახდება. ჟურნალიდან ყველამ გადაინერეთ და მიუძღვენით თქვენს მშობლებს, ახლობლებს და ყველას, ვინც თქვენთვის ძვირფასია. ავტორი გახლავთ დიდებული ქართველი ხატმწერი, უწმინდესი და უნეტარესი, ღვთივმოვლენილი პიროვნება, რომელიც თავისი ეპისტოლეებით, სიკეთით, მრწამსით, გონიერებით აცვიფრებს კაცობრიობას. ეს გახლავთ ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია მეორე. მე მინდა, ჩემმა გამოგზავნილმა პატრიარქის ლექსმა თქვენს ოჯახებს შვება მოჰგვაროს და სიმშვიდე დაგიმკვიდროთ. მაშ ასე, მგზავნელებო, ჩემი საახალწლო საჩუქარიც ეს ლექსი გახლავთ: ნუ დაეცემი, სულს ნუ იტანჯავ/ ტანჯვა ყოველთვის ფიქრით იწყება/ იფიქრე კარგი და დაინახავ/ რომ ყველაფერი კარგად იქნება/ როგორც ისწავლი სამყაროს ხედვას/ შენი ცხოვრებაც ისე იქნება/ გულს ნუ გაიტენ, გნამდეს უფალისა/ და ყველაფერი კარგად იქნება/ ტყუილს ვერალოდ ღელვა და შიში/ განა ვერ ატყობ, რომ არ გიხდება?/ ნუ შიშობ, უფლის იწამე მარად/ და ყველაფერი კარგად იქნება/ როცა ვარდები დეგრესიაში/ და შენი ტანჯვა ატყობ, იწყება/ მაშინ მოუხმე თვითშთაგონებას, თქვი/ ყველაფერი კარგად იქნება/ რომც დაგარწმუნონ, შენ ილუპები/ შენი სიცოცხლის ნუთი ითვლება/ რწმენას მოუხმე და შენ იხილავ/ რომ ყველაფერი კარგად იქნება/ თუ ცოდვები გაქვს, სულით დაეცი/ ღმერთი არ გტოვებს, შენკენ იხრება/ ის მოწყალეა ყველა ცოდვილის/ და ყველაფერი კარგად იქნება/ როდესაც იმედს ძალა არა აქვს/ და შენი გული ბოლმით ივსება/ ერთადერთია, რაც გადაგარჩენს, თქვი/ ყველაფერი კარგად იქნება/ დიდი ნიჭია თავშეკავება/ ნიჭით სიბნელე ნათლით იცვლება/ როცა ამ ნიჭს ფლობ, შენ უკნე იცი/ რომ ყველაფერი კარგად იქნება/ როცა ირწმუნებ სიტყვების ძალას/ და ეს სიტყვები შენთვის იფრქვევა/ სხვას აუხსენი და შთააგონე, რომ ყველაფერი კარგად იქნება/ როდის იქნება? როგორ იქნება?/ როცა კითხვები გულში ისმება, ნუ იფიქრებდი უაზრო კითხვებს/ ღმერთის ნებალობით, სულ ყველაფერი კარგად იქნება! ნანი ღუმბაძე.

• მარტოობაში რამდენ სისაძაგლეს წარმოიდგენს ადამიანი, რა საშინელებად ეჩვენება ყველაფერი მარტოსულს, რომელიც სრულიად თავისუფალია, ოღონდ გისოსებს შიგნით, ჩარჩოებში მოქცეული, ფეხით ჩატენილი, შემორაგულ-შემოკავებული დამპალი და ჩამომონძილი ღობით, რომლის სიმყარაღეს იმდენად მიეჩვია ცხვირი, რომ მწვანე

ფოთლების, გრილი ნიავის, მინისა და წვიმის ჰორიზონტის სუნსაც კი ვერ გაიხსენებს! ან როგორ უნდა გაიხსენოს, მას ხომ არ ძალუძს დამპალი ღობის იქით გახედვა, წარმოდგენაც არა აქვს, რა ხდება მის მიღმა. მას ხომ წინასწარ დაუწერეს მთელი ცხოვრება და ისიც ვალდებულია, იყოს პერსონაჟი, შეიბას თოკები და ვიღაც უცხო, ვითომდა ყველაფრის მცოდნეს გადასცეს მისი ბოლოები. რატომ? რატომ ვცხოვრობთ სხვისი სცენარით, როცა ჩვენც შეგვიძლია წერა! რატომ ვუსმენთ ვიღაცის ზედმეტად თავდაჯერებულ ლაყობას, როცა თავად ვართ საუკეთესო მოსაუბრენი! რატომ გვასწავლიან უსწავლელნი? განა რა გახდა ის ერთი ჩამომპალი ღობე? განა ერთი ფეხისკვრით არ შეგვიძლია მივლენოთ, მივამტკვრიოთ, გადავაშენოთ? შეგვიძლია პრობლემა ისაა, რომ დაგვაგინცდა, რა არის ერთობა, სიყვარული მარტო ალერსი და ვნება როდია. სიყვარული ყველაფერია. ძალა, რომელიც აცოცხლებს მოხუცს და ზრდის ბავშვს. სადღა? ან იყო ოდესმე? ახსოვს ვინმეს, რითი ვცხოვრობთ დღეს? გაინტერესებთ? მე გეტყვით: საკუთარი სიდამპლის დასამალავად სხვისი ალსარებისთვის დაგვიგდია ყური; საკუთარი სიცრუის გასამარჯვებლად, სხვისი სიმართლე დაგვიმარხავს ღრმად მინაში; საკუთარი უგუნურების დასაფარავად ყველაზე გონიერისთვის გვისვრია ტალახი. რაც დამპალია გარედან, ნელ-ნელა ღებება შიგნიდანაც. დამპალი ღობეში მოქცეულნი ვინწურებით ოფლში, ცივ ოფლში და თავი გვისკდება იმაზე ფიქრით, თუ როგორ შეიძლება ჩავძიროთ ჩვენზე უკეთესი.

• იყო ნაძვი, რომელსაც არ ჰქონდა ფოთლები და არც გემრიელ ნაყოფს იხსამდა. ნაძვი ქალაქის ერთ-ერთ უბანში ობლად იდგა გზის პირას და მედგრად უხვდებოდა მანქანების გამონაბოლქვსა და ქუჩაში დამწვარი საბურავების კვამლს. არავის ახსოვდა, ვინ და როდის დარგო ობოლი ნაძვი გზის პირას და არც არავინ ინტერესდებოდა მისი წარმოშობით. უამრავი ადამიანი ჩაივილიდა ხოლმე ნაძვი გვერდით, თუმცა არასოდეს შეჩერებულა მასთან ვინმე. გაზაფხულობით, როდესაც ეზოს ბავშვები ბაღიდან ბაღში დაძვრებოდნენ მოთხუნილი პირებითა და სხვადასხვა ხილით გავსებული უბეებით, იმედგაცრუებულნი, ზიზლით ჩაურბენდნენ გზის პირას გარიყულ ნაძვს და უკვირდით, რატომ არაფერს იხსამდა ეგოისტი ნაძვი. უფრო მოზრდილებს კი ნაძვის დანიშნულება გაერკვიათ და თავდაუზოგავად ამოჰყავდათ მის მერქანზე თავიანთ რჩეულთა სახელები და სხვადასხვა ინიციალი. ამინდისა და ხალხის ცვლასთან ერთად, დროც თანაბარი ნაბიჯით მიიწეოდა უსასრულო მომავლისაკენ და მოუვლელი ნაძვიც ნელ-ნელა ხმებოდა. ნიკოტინით



შეყვითლებულ მოხუცის უღვაშს დაემგზავნა მისი წინვი. ახლა უკვე, გაჭირვებით ებრძოდა იგი მანქანების გამონაბოლქვს, რომელსაც ელექტროგენერატორებისა და სხვა ახალი საყოფაცხოვრებო ტექნიკის კვამლიც აძლიერებდა, თუმცა კი არასოდეს დანებებია, არ გასჩენია სურვილი ბრძოლის შეწყვეტისა.

• დილა თითქოს ჩვეულებრივ გათენდა, მაგრამ დღე ჯერ კიდევ წინ არის. ჩემს ახალ ფეხსაცმელს გადავხედე, თავთან რომ მენყო და მამინვე დღევანდელი დღის მნიშვნელობა გამახსენდა. მე ამ დღეს იმ დროიდან ველოდი, როცა გავიგე, რომ პრეზიდენტის სტიპენდია მომენიჭა, მაგრამ შესვედრამდე ათი საათი იყო დარჩენილი. სასტუმრო „მეტეხში“ ვარ. მე წელს ყველაზე პატარა ვიყავი მათ შორის, ვისაც პრეზიდენტის სტიპენდია მიენიჭა. იმ უზარმაზარ დარბაზში მე ძალიან პატარა ვჩანდი, მეგონა, დავიკარგებოდი. სულ კარისკენ ვიყურებოდი. აი, ისიც — თეთრთმიანი, თითქოს ჩვეულებრივი. მწერლები ერთად უნდა დავმდგარიყავით. უცებ, მრგვალ მაგიდაზე თვალი მოვკარი ჩემს წიგნს. მე უკვე მარტო აღარ ვარ. დარბაზში ფორტეპიანოს ხმა ისმის, ვილაც გაფორთხილებს, ხმაბაღლა ილაპარაკებდა. მივხვდი, რომ შემძღო ჩემი სათქმელი მეთქვა. აი, მომიახლოვდა. ყურებში ისეთი სიცხე ვიგრძენი, მეგონა, ვილაცს დაწვავადი. ბატონ კობა იმედაშვილს გადავხედე, თბილად მიღიმოდა. გული გამიმარდა. საქართველოს პრეზიდენტი უკვე ჩემ წინ იდგა. წინგნი გაუწოდებდას სახეზე თბილმა ღიმილმა გადაურბინა, თითქოს ისიც ჩემს ოცნებებს მიმიხვდა. ძალა მოვიკრიბე, ვთხოვე, ჩემი ერთი ლექსი მოესმინა. თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია და ჩემკენ დაიხარა. ყურადღებით მისმენდა. ლექსი რომ დავამთავრე, გულში ჩამიხუტა, მაკოცა და თქვა: ამ ლექსში ნამდვილი პოეტის სულის ლაპარაკიაო. ეს ყველაზე დიდი შეფასება იყო, რაც კი ოდესმე მიმიღია. აი, უკვე ამ წლის ბოლო სურვილიც ამისრულდა. მარ, ეს ჩემი არ არის, სადაღაც ნავიკითხე ავიღე და გადმოვწერე. გამოაქვეყნე, რაა... სული ობოლი.

• ყველა წავიდეს/ მხოლოდ შენ დარჩი/ დარჩი, როგორაც სიზმრად რჩებიან/ და ეს ვედრებაც ჩემთა ბაგეთა/ სწორედ ამ სიზმრის თეთრი ფრთებია/ ყველა წავიდეს/ შენ შეიცადე/ მასწავლე, როგორც გახვდე მზენვია/ მიაშბე, როგორ ანამეს ქარი/ ან მზე ჰორიზონტს როგორ ეწვია/ ყველა წავიდეს, გაუღე კარი/ დაემორჩილე ჩემს აზრს, რეტიანს/ და ანაცვალე შენი სიღინჯე/ ჩემს ბილიკებზე გიჟურ ხეტიალს/ წავიდეს ყველა, მე შენ მჭირდები/ მე, აუხსნელი ვნებით ფეთიანს/ იმას, რომელმაც ილოცა შენთვის/ ვისთვის უშენოდ ღამე თეთრია/ ყველა წავიდეს, მხოლოდ შენ დარჩი/ მზე რომ მზე არის, მზეც ზედმეტია/ და მზეც წავიდეს, შენ დარ-

ჩი მხოლოდ/ ამდენი სხივი მეტისმეტია/ თბილად დაგხურავ, თმები მაქვს ფარჩის/ წავიდეს ყველა, მხოლოდ შენ დარჩი!

• წვიმა და ჩვენ ორნი... სველი თმა, ხელები, ტუჩები და ცრემლით სავსე, სევდიანი თვალები... ვსველდები და საოცრად მეშინია, რომ წვიმა გადაიღებს და შენ მიმატოვებ... — აუ, რა ბავშვი ხარ! — მეუბნები და წვიმას ხელით იჭერ. „ბავშვი ვარ?“ ვიმეორებ გულში, — ბავშვი ვარ თუ შენ გინდა, ბავშვად მხედავდე?“ — ხარბად გაცქერდები, შენს უძირო თვალებში მინდა ამოვიკითხო პასუხი... წვიმი... ცრემლი შეერია წვიმას... უცებ გამოფხიზლდი, ჩემი თავი ხელებში მოიქცე, თვალებში ჩამხედე და მკითხე: — გიყვარვარ? — და ისე, რომ პასუხს არ დაელოდე, განაგრძე, — მე მიყვარხარ! — ან კი რა საჭიროა სიტყვები, ჩემს თვალებში ხომ მხოლოდ შენი თვალები ირეკლება? — მე უშენოდ არ შემიძლია! ძლივს ამოვდერდე და ვიგრძენი, როგორ გავთავისუფლდი... შენ არაფერი გითქვამს, მაგრამ ჩამიკარი გულში და გავირინდეთ... მდუმარებას წვიმის გაბმული სიმღერა აკრთობდა... ისევ ჩამოდის ცრემლი და ცვრძნობ, რომ ეს უკვე სისხარულის ცრემლია, რადგან არ ვიცი, რა ვყოფი ამხელა ბედნიერებას! წვიმის წვეთი უფლის მირონია, ფოთოლში-ალა ხეები ჩვენი მყარიონი, ჩემი და შენი...

• გამომეღვიძა... უძრაობა ქალაქში, უძრაობა სრულიად... ირგვლივ ყველას თვალები გახდომია უაზრო, იქნებ მე ამ წვიმაში, გზა რომ დანისლულია, შენი ნახვა მოვასწრო, შენი კოცნა მოვასწრო! მთელი ჩემი სხეული სველი სინანულია, მინდა თვალებზე ცრემლების, ალუბლების დაკრეფა და ღრუბლებიც გარშემო, მერცხლები რომ უვლიან, შენი ქარით გაქრება, შენი სუნთქვით გაქრება! მარტოობა ოთახში, მარტოობა რთულია! რაღაც ნისლისმაგვარი შემოიჭრა ფანჯრიდან, რომ არ გამომეღწია შენი სიყვარულიდან, ეგ თვალები დამჭრიდა, ეგ ღიმილი დამჭრიდა! უთქმელი განმორება ჩემთვის არაფერია, შენ ხომ ზღვაში დაკარგულ მარგალიტის ფასი ხარ! მინას ორსულობისგან მთები გამობერვია, იცი, რა ლამაზი ხარ? იცი, რა ლამაზი ხარ? ლამპიონი ჩემსავით, მასაც მოუწყენია, თავდახრილი გაპყურებს ქუჩას მთვრალი ლოთივით; ჩამქრალია იმედი, მისი ნატვრა ნათურა, შენი ცა მოლოდინით, შენი ზღვა მოლოდინით! მთვარე თითქოს ჯალათის ალესილი ცულია, თავი მოსჭერს ქალაქს და მზე გაგორდა აისის... კარგა, ისე მიყვარხარ, კოცნა ისე მწყურია! მაგ ტუჩებმა რა იცის, მაგ თვალებმა რა იცის?! უძრაობა ქალაქში, უძრაობა სრულიად... ირგვლივ ყველას თვალები გახდომია უაზრო, იქნებ მე ამ წვიმაში გზა რომ დანისლულია, შენი ნახვა მოვასწრო, შენი ნახვა მოვასწრო! შენი

ნახვა მოვასწრო, შენი ნახვა მოვასწრო! დუდუნ-დუდუნ, დუდუნ-დუდუნ დუდუნით შენს ფიქრებში გავაბოლეთ თუთუნ! ნუგემ-ნუგემ, ნუგემ-ნუგემ ნუგემი კვამლი იდგა მატარებლის კუბეში! რადგან-რადგან, რადგან-რადგან რადგანაც შორს წახვედი ჩემგანაც და მათგანაც, ჩქარი-ჩქარი, ჩქარი-ჩქარი ჩქარია ამ სულსწრაფი ვაგონების არია!... ზანგური.



გილოცავ!

• 27 დეკემბერს კლეოპატრას, 2 იანვარს ჩემს დას და 5 იანვარს ელენეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს და უღვევ სიხარულს. პატივისცემით, რუისპირი (YELLOW).

• 7 იანვარს დაბადების დღეს მივულოცავ „ბილიანში“ რომ მუშაობს — გიორგი ხუციანს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას. როცა საათი თორმეტჯერ დაკრავს, აციმციმდება მრავალი ფერი, ღმერთმა დაგლოცოს და გაგახაროს, მომილოცნია ახალი წელი.

• მამარ, გილოცავ, საყვარელო. მრავალს, მრავალს დაესწარი, ბედნიერი და ჯანმრთელი. წინსვლა და წარმატებები არ მოგკლებოდეს. მიყვარხარ, მარ. გკოცნი, პარიჟანკა.

• სრულიად საქართველოს ვულოცავ შობა-ახალ წელს. სიმშვიდის, სიმტკიცისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს თითოეული ადამიანისთვის. ღმერთმა გაახაროს ჩვენი ერი! სალო.

• ჩემს საყვარელ დედას და დედამამიშვილებს, მათი ოჯახებით, ვულოცავ ახალ წელს. ბედნიერი წელი ყოფილიყოს ყველასთვის. გკოცნით, ანა, ოთო.

• ჩემს დედამთილს, მზია მხვიდეს ათენში 7 იანვარს ვულოცავ იუბილეს. ვუსურვებ დიდხანს სიცოცხლეს.

• ყველას გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. ეს წელი ყოფილიყოს ყველასთვის ისეთი, როგორიც გასურთ. მარ, მაგრამ მიყვარხარ. რუისპირს მოკითხვა. 1916.

• მზია ბინაძეს: მზიკო, სიხარული, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ სიხარულს და ჯანმრთელობას. მრავალს დაესწარი, ტკბილი ოჯახთან ერთად. თამუნა, ნიკა, ნათელა, მზია.

• მინდა, ოზურგეთში შობა-ახალი წელი მივულოცო გელა ქურდიანს და მის ოჯახს; ვუსურვო სიხარული, სხავი და ბარაქა. ირაკლი და ნინო კომახიანები, ფოთიდან.



• ლალი მაჭარაშვილს: ჯიგარო, დაბადების დღეს გილოცავთ. ჯანმრთელობა, სიხარული და ბარაქა არ მოგაკლოს უფალმა. მრავალს დაესწარი, ოჯახთან ერთად. მეზობლები — მზია და თამუნა.

• ლალი მაჭარაშვილს: ლალი დეიდა, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ყველაფერ საუკეთესოს. მრავალს დაესწარი ოჯახთან ერთად. ნიკა სტურუა და ნათია ბინაძე, ოჯახით.

• უსაყვარლეს ბიძაშვილს, ინგა ხელაძეს ვულოცავ ახალ წელს და დაბადების დღეს, 1-ელ იანვარს. ყველაფერი საუკეთესო მემეტება შენთვის. მიყვარხარ მაგრად. საბა ბაღდავაძე. მპა.

• კასკუ, გილოცავთ დამდეგ ახალ წელს. ამ ახალ წელს მალე ერთად ვყოფილიყავით, მთელი ოჯახი. ძალიან, ძალიან გვიყვარხარ. თავს მიხედე, ჩვენ კარგად ვართ. ბევრს გკოცნით. ლისკუ.

• ანანო ბინაძეს: ჩვენო სიხარული, ყველაზე ლამაზო, გილოცავთ პირველ დაბადების დღეს. ჯანმრთელობა არ მოგაკლოს უფალმა. გაუმრავლდი ოჯახს. გვიყვარხარ. ბებიები, ნათელა და მზია.

• ჩემს უსაყვარლეს მამიდაშვილებს, ანა და ნანა დვალისშვილებს ვულოცავ დაბადების დღეს და ქრისტესშობას. ღმერთი გფარავდეთ. ძალიან მიყვარხართ. თქვენი საბა ბაღდავაძე.

• მგზავნელებო, გილოცავთ ახალ, 2011 წელს. სულ მხიარულები და ბედნიერები ყოფილიყავით. რემედოსი. P.S. ჰო, მართლა, ბერბიჭა სადაა?

• დათი, გილოცავ დაბადების დღეს, ბედნიერი მეყოლე.

• მახო, ქუცუნა, გილოცავ ახალ წელს. ახლა შენს სადღეგრძელოს ვსვამთ. ამ წელს ერთად ჩაგვესიყვარულებინოს. გაკოცეთ.

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. უურუნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ფობო, რომელსაც წარწერა დაკარგა



ამ ფობოსთვის შესაბამისი წარწერა უნდა გამოგზავნოთ ბალაფონის ნომერზე: 8.77.45.68.61

მძღოლის დაბადება



ტაიმ-აუზი

მიხეილ ცაგარელის 2011 წლის ზოგადი ასტროლოგიური პროგნოზი დასავლური კალენდრის ზოდიაქოს ნიჰანთათვის



ვერძი (21.03-20.04)

სიყვარული

შესაძლოა, იანვარში უცხოელებთან კავშირები დაამყაროთ და უცხოეთში რომანტიკული ურთიერთობებიც გააბათ. ეს კი რადიკალურად შეცვლის თქვენს ცხოვრებას. 20 მარტიდან არჩენის წინაშე აღმოჩნდებით... ივლისის ბოლოდან სულიერ წონასწორობას აღიდგენთ. 30 მარტიდან — 23 აპრილისა და 26-30 აგვისტოს ჩათვლით ქორწინებას მოერიდეთ.

ოჯახი

წლის პირველ ნახევარში ოჯახი თქვენთვის ერთგვარი თავშესაფარი იქნება. მარტამდე ნათესავეებს მატერიალურად ნუ დაეხმარებით და არც თქვენ ისეხსოთ სხვისგან ფული. ივლისის ბოლოდან შვილებთან ურთიერთობა დაგირეგულირდება.

მეგობრობა

იანვარში შესაძლებელია, სამეგობრო წრის შეცვლის იდეა გაგიჩნდეთ, მაგრამ უმჯობესია მეგობრებთან ახალი ერთობლივი პროექტი მოიფიქროთ. მარტიდან ეცადეთ, გააფართოოთ თქვენი სანაცნობო წრე.

ყურადღება დაუთმეთ უცხო ენების შესწავლას. ივნისში შესაძლებელია, სხვა კუთხით დაინახოთ ირგვლივ მყოფი ადამიანები.

ჯანმრთელობა

მთელი წელი ფრიად ენერგიული იქნებით, ამიტომ მნიშვნელოვანია, წელს სპორტულ ვარჯიშებს მეტი დრო დაუთმოთ. იანვრის ბოლოს, თებერვლის დასაწყისში გაუფრთხილდით თავს, რადგან შესაძლებელია, ექსტრემალურ სიტუაციაში აღმოჩნდეთ — ტრავმა მიიღოთ. აპრილის 1-ელ ნახევარში პლანეტები — პლუტონი, მარსი, ურანი და შავი მთვარე თქვენში აგრესიის პროვოცირებას მოახდენს, რასაც წინასწარ გაუთვალისწინებელი შედეგი მოჰყვება. გაფრთხილდით! სექტემბერი კარგი თვეა იმისათვის, რომ მიხედოთ ჯანმრთელობას; გაუფრთხილდით კუჭსა და გულ-სისხლძარღვთა სისტემას, აკონტროლეთ ემოციები. მაღალია თავის ტკივილების ალბათობა. შემოდგომაზე სტომატოლოგთან ვიზიტზე ჩაენერეთ.

კარიერა და ფინანსები

20 აპრილიდან მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შანსი მოიმატებს. შესაძლებელია, საჩუქრებიც მიიღოთ. ივნისიდან გაუმჯობესდება იმ ვერძთა ფინანსური პერსპექტივები, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია მეცნიერებასთან, განათლებასთან, საგამომცემლო საქმიანობასა და სადაზღვევო სფეროსთან. მოერიდეთ ავანტიურისტულ მოქმედებებს.

მოგზაურობა

სასურველია გამგზავროთ — ვენესუელაში, ჩეხეთში, შვეიცარიაში, იტალიაში, კუნძულ მალტაზე, სლოვენიაში.

აურო (21.04-20.05)

სიყვარული

გაზაფხულზე საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა თანდათან ოფიციალურ ფაზაში გადაინაცვლებს. შეზღუდული ფინანსური მდგომარეობის გამო ნუ ინერვიულებთ. თქვენი წყვილისთვის ეს ერთგვარი გამოცდა იქნება. იანვარ-აპრილის პერიოდში შეიძლება, დაფიქრდეთ განქორწინებაზე. ზაფხულის დასასრულს საინტერესო ნაცნობობა გელით. სასიყვარულო ურთიერთობებისათვის კარგი პერიოდებია: 20-24 მაისი, 26-28 ივნისი, 17-19 აგვისტო, 10-13 სექტემბერი, 15-17 და 2-24 ნოემბერი.

ოჯახი

მოსალოდნელია, ოჯახში ახალი წევრი შემოგემატოთ. წელს უფრო ხშირად მოგიწევთ სტუმრების საკუთარ სახლში მიღება, ვიდრე სტუმრად სიარული. მატერიალური შემოსავლები რომ გაიუმჯობესოთ, ამისათვის ინტენსიური შრომა მოგიწევთ. ბავშვებს ნუ აიძულებთ, დამატებით რაიმეს შესწავლას, რადგანაც შესაძლებელია, მათ ამისთვის შინაგანი ტონუსი არ ეყოთ.

მეგობრობა

იანვრის ბოლოდან — მარტის ბოლომდე თქვენი მეგობრული ურთიერთობების გამოცდის პერიოდი იქნება. აპრილიდან კი სიტუაცია თანდათან გაგიუმჯობესდება. ივნისში შესაძლოა, მეგობრებს თქვენი მატერიალური დახმარება დასჭირდეთ. გასეირნებისა და გართობისთვის სასიკეთო პერიოდებია: ივნისის შუა რიცხვები, სექტემბერი. ერთობლივი ფინანსური ოპერაციების ჩატარება, უმჯობესია 10-30 ივნისის პერიოდში, ივლისის ბოლოსა და აგვისტოს დასაწყისში.



ჯანმრთელობა

წელს მეტი დრო უნდა დაუთმოთ ქრონიკული დაავადებების მკურნალობას. თუ დაიცავთ დღის რეჟიმსა და დაბალანსებულ დიეტას, მაშინ სიტუაცია სწრაფად გაკეთჯობს. მეტი იარაღი ფეხით, ივარჯიშეთ. მიეცით თავს დასვენების, გამოძინების საშუალება. წლის მეორე ნახევარში ორგანიზმის საერთო დამცავი ფუნქციები გაძლიერდება; წელს მაღალი ტრანსპორტში ტრავმების მიღების ალბათობა. სიფრთხილე გმართებთ ელექტრომონწყობილობებთანაც. მაღალია, გულ-სისხლძარღვოვანი სისტემის დაავადებების ალბათობაც. სახლის მშენებლობა ან ბინის რემონტი უმჯობესია ზაფხული-შემოდგომის პერიოდში გადაიტანოთ.

კარიერა და ფინანსები

წელს გარანტირებული გაქვთ მატერიალური წარმატება. თანამშრომლებთან ურთიერთობა დაგირეგულირდება. 8-20 მარტის შუალედში ხელმძღვანელობა ადრინდელზე უფრო კეთილგანწყობილი იქნება თქვენ მიმართ. ივნისის პირველი ნახევრის მოვლენები შემდგომ პერსპექტივებს ჩაუყრის საფუძველს. სექტემბერ-ოქტომბერში ბევრი მუშაობა მოგიწევთ, მაგრამ ეცადეთ, დრო დასვენებისთვისაც გამოიხატოთ.

მოგზაურობა

კარგია, თუ სამოგზაუროდ წახვალთ შემდეგ ქვეყნებში — არგენტინა, უკრაინა, კვიპროსი, ისრაელი, დანია, ეგვიპტე, ბულგარეთი, ესტონეთი, ლატვია.

ტყუპი (21.05-21.06)

სიყვარული

იანვარში თქვენი კეთილგანწყობილება და რბილი ხასიათი სანინალმდეგო სქესის წარმომადგენლებს მიიზიდავს. თქვენ და თქვენს საყვარელ ადამიანს ურთიერთლოცვა გაგიძლიერდება; ხშირი შეხვედრები უფრო დაგახლოებთ. რაც შეეხება დაოჯახებულ ტყუპს, ის ალფრთოვანებული იქნება თავისი მეუღლით. მაისიდან უკეთ შეძლებთ პარტნიორის სურვილების ამოცნობას. კარგი პერიოდია გაცნობის, ურთიერთობების აღდგენისა და შეყვარებისათვის: 16-29 მარტი, 5-20 მაისი და 4-15 ივლისი.

ოჯახი

წლის პირველ ნახევარში ყურადღებას საზოგადოებრივ საქმეებზე გადაიტანთ. ოქტომბერში შვილები წარმატებებით გაგახარებენ.

მეგობრობა

თებერვალ-აპრილში მეგობრები დიდ როლს შეასრულებენ თქვენს

ცხოვრებაში. მარტ-აპრილში თქვენს სამომავლო გეგმებში ცვლილებებს შეიტანთ. უმჯობესია, თუ პროექტებს შემდეგი წლისათვის გადადებთ, რადგან არ არის გამორიცხული, მათ განხორციელებასთან დაკავშირებით პრობლემები შეგექმნათ.

ჯანმრთელობა

მაქსიმალურად იცხოვრეთ ჯანსაღი ცხოვრების წესით, რათა სტაბილურმა ჯანმრთელობამ ხელი შეუწყოს თქვენი გეგმების რეალიზაციას. ივარჯიშეთ, დაიცავით ძილის რეჟიმი. ეცადეთ, არ დაუშვათ კონფლიქტი ნევროზული გაღიზიანების პერიოდში — 22 თებერვლიდან — 11 მარტამდე, 9-15 სექტემბრის შუალედში. სიფრთხილე გმართებთ 24-27 იანვრის, 17-24 აპრილის, 19-22 მაისის, 19-22 ივნისის, 2-5 დეკემბრის შუალედებში. მაქსიმალური ყურადღება საჭირო მგზავრობისას. მოერიდეთ ამინდის გაუარესების დროს მთებში ლაშქრობას, მღვიმეების მონახულებას, ზღვაში ბანაობას... ყურადღება მიაქციეთ თირკმლებს, დაიცავით დიეტა. ზოგიერთი თქვენგანი ოპერაციის აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდება.

კარიერა და ფინანსები

თუ ხელმძღვანელი პირი ხართ, ძალაუფლების შესანარჩუნებლად გამოცდის ჩაბარება იანვარ-მარტში მოგიწევთ... აპრილ-ივლისში, პლანეტა ნეპტუნი ხელს შეუწყობს დიდი საქმეების შესრულებას. შესაძლებელია, თქვენმა პარტნიორმა საკუთარი ფინანსები განდოთ. წელს ფინანსური კრიზისი არ არის მოსალოდნელი. საოფისე სამსახურის წარმომადგენლები შეიძლება, რეორგანიზაციის წინაშე აღმოჩნდნენ, თუმცა ყველა ამგვარი რეფორმა სასიკეთო შედეგს მოიტანს. პლანეტა მერკურის პერიოდებში (30 მარტი — 3 აპრილი და 3-26 აგვისტო), ნუ მოანერთ ხელს მნიშვნელოვან საბუთებს, ხელშეკრულებებს, ნუ აწარმოებთ მოლაპარაკებებს.

მოგზაურობა

მოგზაურობისათვის კარგი ქვეყნებია — კანადა, ინგლისი, ბელგია, ნორვეგია, სარდინია, აშშ.

პირჩხიბი (22.06-22.07)

სიყვარული

რომანტიკული ნაცნობობა გელით იანვრის მეორე ნახევარში, მარტში, აგვისტოს პირველ ნახევარში, ოქტომბერსა და დეკემბერში. 15-22 იანვრის შუალედში სტაჟიანი მეუღლეებიც კი თავს ახალდაქორწინებულებივით იგრძნობენ. 16 იანვრიდან 14 თებერვლამდე როგორი

პრობლემებიც უნდა შეიქმნას ურთიერთობებში, ჰარმონია ინტიმურ სფეროში ყველაფერს გადაწონის. 20-30 იანვრის შუალედსა და 9-31 ოქტომბრის პერიოდში რომანტიკული ურთიერთობები აქტიურ ფაზაში შევა... განქორწინება წელს დიდ ტკივილს, დანაკარგებს მოიტანს, მათ შორის, ფინანსურ დანაკარგებსაც. მოითმინეთ და 1-11 დეკემბრის პერიოდში ურთიერთგაგება თქვენ შორის კვლავ აღდგება.

ოჯახი

საოჯახო პრობლემების მოგვარებით იქნებით დაკავებული. იანვარ-თებერვლის პერიოდი შედარებით მშვიდია. შვილებს დააკისრეთ გარკვეული ვალდებულებები. იყავით ყურადღებით, რათა ბავშვები არ მოექცნენ რაიმე ნეგატიური ზეგავლენის ქვეშ. უნდა იგრძნონ, რომ ოჯახში გარკვეული პასუხისმგებლობის წილი მათაც აქვთ. ბინის პრობლემა გადაწყდება სექტემბრის ბოლოს — ოქტომბრის დასაწყისში.

მეგობრობა

წლის პირველი ხუთი თვე მეგობრული კავშირების გამოცდის დროა. ამ მხრივ გადამწყვეტი 19-28 აპრილის პერიოდი იქნება. მაისის მეორე ნახევრიდან ურთიერთობები ინტენსიური გახდება. ივნისიდან ოქტომბრამდე მეგობრების დახმარებით ნებისმიერ პრობლემას მოაგვარებთ. გარშემო მყოფებთან ურთიერთობის გართულება კი მოსალოდნელია — 16-19 თებერვლის, 28-30 აპრილის, 11-15 ივლისის, 27-30 სექტემბრის, 16-20 დეკემბრის პერიოდებში. ხოლო 20-30 ნოემბრის შუალედში თქვენი კოლექტიური ძალისხმევა მეტად წარმატებული იქნება.

ჯანმრთელობა

იანვრიდან — აპრილამდე და აგვისტოდან — დეკემბრის ბოლომდე, სხვადასხვა გარე ფაქტორი პრობლემებს შეგიქმნით. მარტიდან, არასწორი ცხოვრების წესის გამო, თქვენი სასიცოცხლო ტონუსი შემცირდება. ამიტომ იანვარ-თებერვლი დაუთმეთ ჯანმრთელობის გააუმჯობესებას. თებერვალში შესაძლებელია ტრავმები. ივნისში ეცადეთ დასვენოთ. ფრთხილად იყავით — დაბალი იმუნიტეტის ფონზე, შესაძლოა, ჯანმრთელობა გაგიუარესდეთ.

კარიერა და ფინანსები

თებერვალ-მარტში ხელმძღვანელებთან ურთიერთობა დაგეძაბებათ. პროფესია თქვენგან სრულ ძალისხმევას მარტიდან-ივნისამდე მოითხოვს. 15-23 იანვრის შუალედში შანსი მოგეცემათ, გაზარდოთ შემოსავალი. იანვარსა და ნოემბერში შესა-



ძლებელია, სამუშაო გეგმფთან ჰარ- მონიშული ურთიერთობა დაამყაროთ. დეკემბერში უამრავი საქმე გექნებათ მოსაგვარებელი. 3 ივლისიდან — 22 აგვისტომდე, თქვენი ძალისხმევა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, წარმატებით დასრულდება. 25 სექტემბრიდან — 10 ოქტომბრამდე პერიოდი კარგია საკუთარი საქმის დასაწყებად.

მოგზაურობა

მოგზაურობისათვის კარგი ქვეყნებია — იტალია (ვენეცია), ჰოლანდია, შოტლანდია, თურქეთი, უზბეკეთი, ინდოეთი, ჩინეთი.

ლოზი (23.07-23.08)

სიყვარული

წელს საინტერესო სასიყვარულო ურთიერთობა გელით. 8 იანვრიდან — 4 თებერვლამდე მოსალოდნელია, სამსახურში მაცდუნებელი სიტუაციის ტყვეობაში აღმოჩნდეთ. მარტის შუა რიცხვებამდე ურანი თქვენს ვნებიან ტემპერამენტს კიდევ უფრო გააძლიერებს. არ არის გამორიცხული, აპრილ-მაისში უცხოეთში მოგზაურობამ საბედისწერო შეხვედრა მოგიტანოთ; ივნისი-ივლისი სამეგობრო კონტაქტებშიც კი გამოამჟღავნებს სასიყვარულო ურთიერთობებს. აგვისტოდან ყური დაუგდეთ საკუთარ გრძობებს.

ოჯახი

შვილებთან ურთიერთობები თქვენი ნიჭის ახლებურად გამოვლენას შეუწყობს ხელს. ჯანმრთელობის შესუსტებამ შესაძლებელია, პრობლემები შეუქმნას ოჯახის წევრებს; ოქტომბრიდან სახლში რემონტის დაწყების სურვილი გაგიჩნდებათ.

მეგობრობა

თქვენს მეგობრებს წელს მნიშვნელოვანი როლი აქვთ დაკისრებული. ნუ აწყვეთით წუთიერ გრძობებს და ცდუნებებს, ჭორებს; უმჯობესია, დაეყრდნოთ ინტუიციას.

ჯანმრთელობა

წლის დასაწყისში შეიძლება, გაგიუარესდეთ ჯანმრთელობა. იანვარ-თებერვალში, მარტში, მოსალოდნელია ტრავმებიც. ეცადეთ, სწორად იკვებოთ, ივარჯიშოთ და სუფთა ჰაერზე ხშირად იყოთ. მარტი თქვენში შეყვარებულისადმი ლტოლვას გააღვიძებს. მარტ-მაისში ეცადეთ, ყურადღება საკუთარ გარეგნობას მიექციოთ. საკვების რაციონი გაიმდიდრეთ ვიტამინებით (კვერცხი, რძის პროდუქტები, მცენარეული ზეთი, ბოსტნეული). მაისიდან ჯანმრთელობა გაგიუმჯობესდებათ. წელს მეტი სიფრთხილე გმართებთ ტექნიკასა და ელექტრობასთან.

კარიერა და ფინანსები

იანვარ-თებერვალში სამსახურში ფრიად დაკავებული იქნებით. მარტის ბოლოდან ურთიერთობა დაგეძაბებათ უცხოელ პარტნიორებთან. მაის-ივნისში, საშუალება მოგეცემათ საკუთარ თავზე აილოთ პასუხისმგებლობა და ხელმძღვანელის თვისებები გამოავლინოთ. აპრილ-ივლისის შუალედში დაეყრდენით ინტუიციას, იყავით კეთილსინდისიერი, დიპლომატი და პრაგმატული. ეს დაგეხმარებათ კარიერულ წინსვლაში, საკუთარი საქმეების წარმატებით წარმართვაში. დამატებითი ფინანსური სახსრები შესაძლებელია, მიიღოთ სექტემბერსა და დეკემბერში და ვალებიც გაისტუმროთ.

მოგზაურობა

სამოგზაუროდ კარგია: საფრანგეთი, იტალია, კალიფორნია, ავსტრია, ესპანეთი, სანქტ-პეტერსბურგი.

ქალწული (24.08-22809)

სიყვარული

წლის დასაწყისიდან — მარტის ბოლომდე, ეცადეთ, მეტად გამოავლინოთ და განავითაროთ დიპლომატიური ხასიათი. გაერკვიეთ თქვენს პრობლემებში. 19 აპრილიდან — 21 ივლისამდე, 14 სექტემბრიდან — 28 ოქტომბრამდე და 23 ნოემბრიდან — წლის ბოლომდე, მდგომარეობის გამოსწორების საშუალება მოგეცემათ. თუ შეყვარებული არ გყავთ, მაშინ 10-20 თებერვლის შუალედში, შესაძლებელია, რომანტიკულად განეწყობთ იმ ადამიანის მიმართ, რომელიც თქვენს სამეგობრო წრეში ტრიალებს. 20 აპრილიდან — 20 მაისის შუალედში, მოსალოდნელია, სიყვარული გენვიოთ. 5-14 თებერვალი კი კარგი პერიოდია ნიშნობისა და ქორწინებისთვის.

ოჯახი

წლის დასაწყისიდან — 23 აპრილამდე მეუღლე საკუთარი ხასიათის ყველა პლუს-მინუსს გამოავლენს. მიიღეთ იგი ისეთად, როგორც არის. ეს ხელს შეუწყობს დაგროვილი პრობლემების ერთად და უფრო ადვილად გადაწყვეტას. ვინც მშობლებთან ერთად ცხოვრობს, ნუ იფიქრებს მათგან განცალკევებას, რადგან შედეგი არ გაამართლებს მოლოდინს. 6 აგვისტოდან — 6 სექტემბრამდე შესაძლებელია საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. 15-20 აპრილისა და 5-15 მაისის შუალედში მეუღლე სპონსორად მოგვევლინებათ. მეტი ყურადღება დაუთმეთ ბავშვებს.

მეგობრობა

შესაძლებელია, წლის განმავლობაში იგრძნოთ, რომ მეგობართა უმ-

რავლესობა ცდილობს, გაუთავებელი წუწუნითა და უკმაყოფილებით თქვენში თანაგრძნობა გამოიწვიოს. მათ ნაცვლად, საკუთარ თავზე ზედმეტ პასუხისმგებლობას ნუ აიღებთ. ივლისში ეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ მეგობრებთან. 30 აგვისტო — 18 სექტემბერში ენდეთ მეგობრების რჩევებს.

ჯანმრთელობა

სიფრთხილე გმართებთ, რადგანაც მატულობს ტრავმების პერიოდი. გაზაფხულზე შესაძლებელია, ალერგიამ შეგანუხოთ, მარტის შუა რიცხვებიდან კი — თავბრუსხვევამ. სასარგებლოა ორგანიზმის გამწმენდი პროცედურების ჩატარება, იმუნოსტიმულატორების გამოყენება. იშვიათად მიიღეთ ანტიბიოტიკები. იანვრიდან აპრილამდე და აგვისტოდან დეკემბრის ბოლომდე აკონტროლეთ კუჭქვეშა და ფარისებრი ჯირკვლების მდგომარეობა. ამ პერიოდში კარგია დიეტის დაცვა. ტონუსის გაუმჯობესება მოსალოდნელია 21 მაისიდან — 4 აგვისტომდე და 29 ივლისიდან — 26 სექტემბრამდე შუალედებში; ასევე 12 ნოემბრიდან წლის ბოლომდე. საკვებ რაციონში წელს შეიტანეთ — ხილი, ბოსტნეული, უცხიმო ხორცი. თუ დაგჭირდათ უცხოეთში მკურნალობა, იქ დიდხანს ნუ დარჩებით.

კარიერა და ფინანსები

13 მარტიდან სამსახურში მოიმატებს ფინანსური პასუხისმგებლობის ხარისხი. ზამთარ-გაზაფხულის პერიოდში მაღალია ექსტრაორდინარული სიტუაციების წარმოქმნის ალბათობა. 8 მარტიდან — 6 მაისამდე, განსაკუთრებული სიფრთხილე გმართებთ, როგორც საკუთარ, ასევე სხვის ფინანსებთან, რათა თავი აარიდოთ მოსალოდნელ უსიამოვნებებს. 7 აპრილი — 11 მაისის შუალედში შესაძლებელია, წარმატებით გადამწყვიტოთ უძრავი ქონების დაზღვევისა და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სესხის გამოტანის საკითხები. 3-15 მარტის შუალედში, შემოსავლის გაზრდის ახალი წყარო გაგიჩნდებათ. 14-21 ივნისის შუალედში სამსახურში მაქსიმალურად გამოავლინეთ საკუთარი ნიჭი და შესაძლებლობები, რაც შესაბამის მატერიალურ დივიდენდებს მოგიტანთ. აგვისტოს ბოლოს შესაძლოა მაღალ თანამდებობაზე დაინიშნოთ.

მოგზაურობა

მოგზაურობისათვის კარგი ქვეყნებია — იაპონია, გერმანია, საბერძნეთი, ლიტვა, ხორვატია, შვეიცარია, თურქეთი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„მსოფლიო ღატაკთვივის სეიფი“

ყოველ თრუბატის! ჟურნალ „რეიტინგთან“ ერთად
თითო კრიმინალური საქმე!



3-დან -10 იანვრამდე არტურ ჰილი

ფასი 2 ლარი!

(ჟურნალთან ერთად 3 ლარი)

უკვე გამოსული წიგნები - საქმე №1-დან - №28-მდე
(ჰეიმს ჰედლი ჩეიზი, არტურ კონან დოილი,
სიდნი შულდონი, აგათა კრისტო, ჯადსონ
ფილიპსი, როს ბაქლონალი, ჯონ დიქსონ კარი,
ჯო კორჯი, დუმილ კევეტი, ბორის აკუნინი,
ჩარლზ პ. სნოუ, დიკ ფრანსისი, რაიმონდ ჩანდლერი,
სეიტო მასუმოტო, სირილ ჰეირი, ფრიდრიხ დიურენმატი,
ჟორჟ სიმენონი, ბუალო-ნერსეჟაკი, ეჟი დეიგვი, ფრედ ვარგანი,
ელბარ ალან კო, ჯონ ლე კარე, ჰეინერ რანკი,
კრისტინ ზემსკი, ჰეიმს ჰედლი ჩეიზი და პერ ვალე)
შეიძინეთ წიგნის მალაზიებში





„ფეხბედნიერი მეკვლე ვარ, ყველას ვათხოვებ“

მაქას ინტერვიუ, რატი და ბენედიკტო და „დღეს რამდენი სისულაღე ვიქვიტი“

გილოცავთ ახალ, 2011 წელს და ამჯერად ისეთ „ერუდიტს“ გთავაზობთ, საახალწლო განწყობილებას რომ შეეფერება. წელს რუბრიკის პირველი რესპონდენტები რატი დურბლიშვილი და მაკა ზამბახიძე არიან. ცნობილი დუეტისთვის სახალისო კითხვარი შევადგინე. ინტერვიუს ჩაწერის დროს, მათ მიერ გაცემულ უცნაურ პასუხებსა და დაბნეულობაზე კი სამივემ კარგად ვინახისეთ...

თავსა კვინიკაჰა

პრემიუმის მკვირ

— რატი და მაკა, სანამ კითხვარზე გადავიდოდეთ, მინდა, ახალი წელი მოგილოცოთ.

რატი:

— „გზის“ ყველა თანამშრომელსა და მკითხველს ახალ წელს ჩვენც დიდი სიყვარულით გილოცავთ.

მაკა:

— ეს წელი მშვიდობის, ჯანმრთელობის, ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს. ყველა ჩვენგანის ოჯახში სითბომ, სიკეთემ და სიყვარულმა დაისადგუროს!

— როგორი იყო თქვენთვის გასული 2010 წელი?

— გასულ წელს ჩვენი სიმღერა — „ესა მესა“ მივუძღვევით, რომელიც ძალიან პოპულარული გახდა. მსმენელმა ისე შეიყვარა, მის შესრულებას პაპანაქება აგვისტოშიც კი გვთხოვდნენ. 2011 წელსაც აქტიურ მუშაობას ვაპირებთ. ჩვენი მსმენელებს ახალი სიმღერებით „მოვეფერებით“.

— ახალ წელს როგორ შეხვდით?

რატი:

— ბოლო წლებია, მე და მაკა ამ დღესასწაულს ოჯახის წევრებთან ერთად ვერ ვხვდებით. წელსაც კონცერტებზე ვიყავით... ახალი წელი ძალიან მიყვარს, რაც უნდა ციოდეს, მაინც თბილი განწყობილებით ვეგებები.

მაკა:

— საახალწლო სამზადის ნაძვის ხის მორთვით ვინცე. სახლში ისეთი დიდი ნაძვის ხე (სიმაღლე ჭერამდე აღწევს) მაქვს, მის აწყობასა და მორთვას 20 დეკემბრიდან ვინცე...

— მაკა, ნაძვის ხეს თავზე ვარსკვლავს უმაგრებ?

— ბავშვობაში ვარსკვლავს ყოველთვის ვუკეთებდი, ახლა — აღარ.

— თუ იცით, საიდან მოდის ნაძვის ხეზე ვარსკვლავის დამაგრების ტრადიცია?

— ალბათ კომუნისტების დროს დამკვიდრდა, არა?

რატი:

— არა, ასე არ იქნება (ფიქრობს), ვაიმე! ვიცი (იცინის), ბეთლემის ვარსკვლავის სიმბოლოა, არა?

— ბეთლემის ვარსკვლავზე კიდევ რა იცი?

— ეს ის ვარსკვლავია, რომელმაც მსოფლიოს იესოს დაბადება ამცნო.

მაკა:

— რატი, მაგარი ბიჭი ხარ!
— 1877 წელს საახალწლოდ დააპატენტეს ნივთი, რომელიც გამოგონებულა აზრით, წარმატებით დაეხმარებოდა ადამიანებს დეპრესიის მოხსნაში, გადაღლილობის დროს და ა.შ. ჩამოთვლილთაგან რომელი



იყო ეს ნივთი: ციგურები, ყურებიანი ქუდი თუ ვარდისფერი სათვალე?

— ალბათ, ვარდისფერი სათვალე.

რატი:

— მეც ასე ვფიქრობ.
— გამოიცანით. რომელი თვის ძველქართული სახელწოდებაა აწისი?

— აპრილის ხომ არა?

— არა.

მაკა:

— იანვრის იქნება.
რატი:

— იცოდი?
— (იცინის) იანვარშია ახალი წელი და აბა, აგვისტოზე ხომ არ შეგვეკითხოვოდა? ინტუიციით მივხვდი.

— მაკა, კარგი ინტუიცია გაქვს?

— მგონი, კი.

რატი:

— მე კარგი ფეხი მაქვს. ფეხბედნიერი მეკვლე ვარ!
— შენი ფეხბედნიერობა რაში გამოიხატება?

— გასათხოვარ გოგოებს ვათხოვებ... ამიტომ, საახალწლოდ მათთან რომ მივიდე, ჩემთან რიგში ეწერებიან... (იცინის).

მაკა:

— იმ წელს, როცა გავთხოვდი, რატი ჩემთანაც იყო მოსული...

— შემდეგ კითხვაზე გადავიდეთ, რასთან დაკავშირებით დაერქვა იანვარს იანვარი?

— მართლა არ ვიცი.

— დროის ღმერთის — იანუსის პატივსაცემად. ოთახში 50 სანთელი ანთია. თუ 20 სანთელს სულს შევუბერავთ და ჩავაქრობთ, რამდენი დარჩება?

— მხოლოდ 20-ს ვერ ჩააქრობ, ყველა ჩაქრება.

— მაკა, შენც ასე ფიქრობ?



— არა, რატის არ ვეთანხმები, უნდა დავფიქრდე (პაუზის შემდეგ), 30 დარჩება.

— ეს არ არის სწორი პასუხი. 20 სანთელი დარჩება და 30 ჩაინვება. რა არის ის, რაც ყველას და ყველაფერს აქვს?

— სულიერსაც და უსულოსაც?

— დიახ.

— არ ვიცი. რატი, შენ რას ფიქრობ?

— სახელი. ყველაფერს ხომ თავისი სახელი აქვს? გამოვიცანი?

— რა თქმა უნდა. ნათესაურ კავშირებში კარგად ერკვევით?

მამა:

— კი.

— მაკას დეიდა რატის შვილია. ვინ არიან ერთ-მანეთისთვის მამა და რატი?

— ვაიმე! რა გამოდის?

რამი:

— ვერაფერი გავიგე (იციინახ).

მამა:

— გთხოვ, კითხვა გამიმეორე (გამეორების შემდეგ), უნდა დავფიქრდე...

რამი:

— სახელებმა უფრო დამახინია.

მამა:

— მაცალე, ვაზროვნებ (პაუზის შემდეგ), ბაბუა-შვილიშვილი გამოდიან.

— ყოჩაღ. დაასახელეთ ერთმანეთზე მიყოლებული 5 დღე ისე, რომ არ ასხენოთ სიტყვები: ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი და ა.შ.

— ეგ, როგორ?

— თუ დაფიქრდებით, პასუხის გაცემა არ გაგიჭირდებათ.

რამი:

— დღეს, ხვალ, ზეგ — ეს 3 დღეა, დანარჩენები როგორ ვთქვა?

მამა:

— გუშინ და გუშინ. ჩაგვეთვალა (იციინის)?

— რა თქმა უნდა. ახლა კი შევამოწმებ, რამდენად კარგად იცით ქართული ენის გრამატიკა. რომელი ფორმა უფრო სწორია — 9-ს მივუმატოთ 7, უდრის 15-ს თუ ტოლია 15-ის?

მამა:

— ტოლია 15-ის.

— რატი, შენც ეთანხმები?

— კი, მეც ასე ვფიქრობ, მაგრამ ისე გეცინება, მგონი, ვცდებით.

— მათემატიკა არ გცოდნიათ. 9-ს რომ 7 მივუმატოთ, 15 იქნება?

— როგორ დავგაბნეი.

მამა:

— ამას ყურადღება არც მე მივაქციე (იციინახ). ახლა არ გკითხო, რამდენი იქნება.

— არა, ახლა სხვა რამ მინტერესებს. რას ნიშნავს ბულგარეთში თავის გაქნევა?

რამი:

— თანხმობას. ბულგარეთში პირველად რომ ჩავედი, მაღალის გამყიდველს ერთ-ერთ გამაგრებულ სასმელზე ვკითხე, გაქვთ-მეთქი? თავი გამიქნია. მერე მეორე მაღალის გამყიდველი იქაც იგივე გამეორდა, მერე — მესამე, მეოთხე... გამიკვირდა, აქ ამის ყიდვა რა პრობლემა ყოფილა-მეთქი. შემდეგ მითხრეს, რომ თავის გაქნევით გამყიდველები თანხმობას მიდასტურებდნენ.

— გზაზე ორი ვეფხვი მიდის — დიდი და პატარა.

პატარა დიდის შვილია. დიდი ვეფხვი პატაროს დედა არ არის. რა გამოდის დიდი ვეფხვი პატაროსთვის?

მამა:

— მამა იქნება.

— ამის მიზეზი შეიძლება იყოს: ახალი წელი, შესვენებები, დაბადების დღე, ყინვა, ნალექიანი განწყობილება, ნადირობა... ან შეიძლება, ეს უმიზეზოდაც მოხდეს. რაზეა ლაპარაკი?

— ვერ გავიგე.

რამი:

— კითხვა გაგიმეორე, გთხოვ (გამეორების შემდეგ), მე-ჯლისი, არა?

მამა:

— რა კავშირშია მეჯლისი ყინვასა და ნადირობასთან?

— სისულელე ვთქვი, არა?

— დღეს ბევრი სისულელე ვთქვით, სწორად 9-ს 7-იც კი ვერ მივუმატეთ.

— დასმულ კითხვაზე ვერ მიპასუხებთ?

რამი:

— (ფიქრობს), მგონი, დალევაზე უნდა იყოს ლაპარაკი. რას იტყვი?

— მართალია. „რაზე უფრო ადვილად იტყვით უარს, ქალზე თუ ღვინოზე?“ ფრანგები ამ კითხვას ორიგინალურად პასუხობენ. გააჩნია...

— ფრანგები რას პასუხობენ არ ვიცი, მაგრამ მე უარის თქმა ღვინოზე უფრო შემიძლია. ფრანგებს ღვინის და ვაზის დიდი კულტურა აქვთ. ალბათ ამ სასმელზე უარს ვერ იტყვიან.

— მათი პასუხია: — გააჩნია ასაკს.

— (იციინის) მართლა ორიგინალურია.

— ყველა თვე გარდა თებერვლისა, 30 ან 31 რიცხვით მთავრდება, რომელ თვეშია 28 რიცხვი?

მამა:

— თებერვალშია.

— მხოლოდ თებერვალში?

რამი:

— ჰო, აბა, სხვა თვეში 30 ან 31-ია.

— ორივე ისევე ძალიან დაიბნეთ.

— „ნიტო“ — მარტშია, „ნიტო“ — მაისში.

მამა:

— კაი, რა სისულელეს ამბობ.

— არც ერთში არ არის.

— 28 რიცხვი ყველა თვეშია!

— (იციინახ) ვაიმე! რა მაგარი კითხვა იყო. დღეს ძალიან დაგვიბრწყვე.

— შემდეგი კითხვა მხატვრობას უკავშირდება. რატი, მგონი, პასუხის გაცემა არ უნდა გაგიჭირდეს. ერთ-ერთი დიდი ფრანგი მხატვრის მოპარულ სურათს დიდი ხნის განმავლობაში ძვირად ყიდდნენ, ბოლოს ავტორს მიაკვლიეს და მან თქვა: „ტილოზე საღებავები კატამ დამიქცია“. ვინ იყო ის მხატვარი?

— სამწუხაროდ, ასეთ ფაქტს ვერც ერთი მხატვრის ბიოგრაფიდან ვერ ვიხსენებ.

— ეს ფერმწერი — შაგალი გახლდათ.

მამა:

— ეს მხატვარი არც გამიგია.

— „და მე ვიგონებ ჩახლართულ ლობქს/ სერებს თოვლიანს/ სმოხდა ქათამი გურის სოფელს/ ყველა თოვლია/ იდგა ბერმუხა ლამის მთეფარი თოვლში ნაბდითა/ დილით მისდევდა სერზე მწეფარი, ნაკვლევს ნადირთა/ ქარი თერებოდა ღვინით ნაქებით/ გრძნულ მარანთან. როგორ სრულდება ანა კალანდაის ეს ცნობილი ლექსი?

— გურული ვარ, მაგრამ დასასრული სამწუხაროდ, არ ვიცი.

— „შემოდოდა ჩიჩილაკებით ჩვენში კალანდა“.



გონების საპარჯიშო

**„გზის“ ერთგული
მართხვალისათვის
(ა ი თ ხ ვ ა ბ ი)**

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვებისაჲნ არ გაგაქცეთ თვალი

1. ასტროლოგთა მტკიცებით, ის ადამიანები, რომელთა დაბადებისას პლანეტა მარსი მშვილდოსნის ზოდიაქოში იმყოფება, უდიდესი სპორტსმენები გამოდიან. დაასახელეთ ორი ადამიანი, რომელიც მათ ამის მაგალითად მოჰყავთ.

2. სალაშქროდ გამზადებულ ჰანიბალს თანამებრძოლებმა ჰკითხეს, თუ როგორ აპირებდა ალპებზე გადასვლას და ჯარის სურსათით მომარაგებას. რა უპასუხა კართაგენელმა მხედართმთავარმა?

3. რა არის ფანფარა?

4. რომელ ქალაქში გარდაიცვალა კოტე მარჯანიშვილი?

5. რითი ახდენენ სუმოისტი მოჭიდავეები საასპარეზო მოედნის გაწმენდას?

6. რისგან ამზადებენ კალვადოსს?

7. რა არის ყანაჭრია?

8. რომელი ქვეყნის ეროვნულ ყვავილად მიიჩნევა ასკილი?

9. რომელი მწერის ნახელავს ეძახდა ჩარლზ დარვინი საინჟინრო შედეგს?

10. ვის ეკუთვნის სიტყვები: „ზეადმავალი შეიძლება, შედგეს კიდევ, ქვედაქანებული კი — არასოდეს“?

11. სიგნალი „SOS“ 1912 წელს გამოიგონეს. რომელი გემის ეკიპაჟმა გამოიყენა იგი პირველად?

12. „საქართველოში მაყურებელი თავშეკავებულია. რუსეთში ყოფილა შემთხვევები, როცა კონცერტის დროს მაყურებელი სცენაზე ამოსულა, დაუჩოქებია და ჩემთვის ხელზე უკოცნია. საოცარი ის არის, რომ ამას ქალებიც სჩადიოდნენ“. ვინ არის მთხრობელი?

ანექლოცენი



ტერესდა ანზორია.

— ჩემი ცოლის პირველი ქმარი.

* * *

ერთმა კაცმა შეშისმჭრელთა ბრიგადაში დაიწყო მუშაობა. ამხანაგებმა უთხრეს, ჩვენ სამუშაო იარაღები უნდა მოვანწესრიგოთ და მანამდე ნაჯახი აიღე და მუშაობა უჩვენოდ დაიწყო. როცა დაბრუნდნენ, ხედავენ, მათი ახალი ამხანაგი უკვე მეორე კვადრატულ კილომეტრს ჩეხს.

— ვაა, შენ რა მაგარი ყოფილხარ! — ეუბნება ბრიგადირი.

— ჰო, მე ყაზახეთიდან ვარ!

— მოიცა, ყაზახეთში ხომ არ არის ტყე?!

— ჰო... მალე თქვენთანაც აღარ იქნება!..

* * *

კარზე ზარია:

— უკაცრავად, შემთხვევით, ნაცნობი მძარცველები ხომ არ გყავთ?

— არა...

— ნება მომეცით, წარმოგიდგეთ!..

* * *

ივან ცარევიჩი ფრანგულ რესტორანში მენიუს კითხულობს: „შემწვარი ბაყაყი, მოხარშული ბაყაყი, ბაყაყი სოუსში...“ — და სინანულით თავს აქნევს:

— ესენი ნახე, აქ თურმე რა დღეში ჰყავთ, მე იდიოტმა კი ცოლად შევირთე...

* * *

მიხო ბაზარში კიტრს ყიდის. მასთან პენსიონერი ქალი მივა, აიღებს კიტრს, ატრიალებს ხელში და ამბობს:

— ვიშ, რა ძალიან პატარები და რა ძალიან ბებრებია!

— ჰმ, შენ თვითონ რასა ჰგავხარ?! — შეუბღვირა მიხომ.



* * *

განცხადება: ვყიდი უნიკალურ ძროხას — შეუძლია, ჯიქნით სამი თითის კომბინაციის ჩვენება.

* * *

— იცით, თქვენი ქალიშვილი თანახმაა, გახდეს ჩემი ცოლი.

— შენს თავს დააბრალე, ძამიკო, რას დაეთრეოდი ჩვენთან ყოველდღე?!

* * *

— რა მოგივიდა, კაკო, რა მონყინილი ხარ?

— გუშინ ცოლი გემექცა...

— ვისი?

* * *

ცოლი მალაზიაში წასასვლელად ემზადება:

— ფული აიღე? — ეკითხება ქმარი.

— კი!

— იცოდე, არ დახარჯო!

* * *

შუახნის ქალბატონი პოლიციაში მივიდა:

— გუშინ, სალამოს ავტობუსების გაჩერებასთან გამაუბატიურეს.

— რა დროს?

— 6 საათზე.

— კი, მაგრამ, მაგ დროისთვის იქ ხომ უამრავი ხალხია, შველა რატომ არ ითხოვეთ?

— დამაშინა იმ საზიზღარმა!

— როგორ?

— ასე მითხრა, თუ დაიყვირებ, ნავალო!

* * *

— რატომ მოკვდი, რატომ დამღუპე და დამაქციე, რას მერჩოდი!

— ქვითინებს საფლავთან ჭიჭიკია.

— ვინ მარხია მაქანა? — დაინ-



* * *

— გუშინ ჩემი შეყვარებული გოგოს მშობლები გავიცანი!
— როგორ მიგიღეს?
— ღვიძლი შვილივით — მამამისმა სულ ქაშკაშით მცემა.

* * *

— გიყვარვარ?
— ძალიან! შენ თუ გიყვარვარ?
— რა თქმა უნდა!
— გუშინწინ ელენეს არ ეფიცებოდი სიყვარულს?
— ეს ჩემი სიყვანვილის შეცდომა იყო. გუშინ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება მხოლოდ შენ მიყვარდი. გამომყევი, რა, ცოლად!
— უნდა მოვიფიქრო. მოდი, ხვალ ამავე დროს შევხვდეთ.
— ხვალ არ მცალია. დედას საბავშვო ბაღიდან ზოობარკში მივყავარ!

* * *

ექიმი ეუბნება სადაზღვევო პოლისის მფლობელ ავადმყოფს:
— თქვენი ანალიზები შევამოწმე, ყველაფერი კარგადაა, არაფერი გჭირთ. ასე რომ, ვიზიტებით თავს ნულარ შეინუხებთ.
— ღმერთო, რა ბედნიერებაა! გმადლობთ, ექიმო, ნება მომეცით, გადაგეხვიოთ!
— არ მომეკარო!..

* * *

ბავშვი ძილის წინ ლოცულობს:
— ღმერთო, კარგად მიმყოფე ჩემი დედიკო და მამიკო, დააპურე მშვიდრები და გაუგზავნე ცოტა ტანსაცმელი იმ სანყალ ქალებს, ჟურნალიდან, რომლის კითხვაც ასე ძალიან უყვარს მამიკოს...

* * *

სომეხს დაესიზმრა, რომ რესტორანში იყო. სადილი გემრიელად მიირთვა, ძვირფასი ღვინო დააყილა და სასწრაფოდ გაიღვიძა, სანამ ანგარიშს მოუტანდნენ.

* * *

— ააა! ექიმო, ერთი ნახეთ, რა მჭირს?!.
— ააა! მართლაც, რა გჭირთ?!.
* * *

სომეხს ეკითხებიან:
— შეგიძლია, საუკეთესო მეგობარს 1.000 დოლარი ასეხსო?
— როგორ არა, ოღონდ მასეთი ახლო მეგობარი არ მყავს.

* * *

— ოჯახურ საქმეში ხანდახან ქმარიც მეხმარება. მაგალითად, დღეს კალენდარს ფურცელი მოახია.



* * *

პაციენტი ექიმთან მივიდა:
— მიშველეთ რამე, ორი ისეთი დაავადება მჭირს, მოსვენებას რომ არ მაძლევს: პირველი ის არის, რომ სექსუალური მანიაკი ვარ, რადგან ყოველდღიურად, ქალთან კონტაქტი ასჯერ შემიძლია.
— მართლა?! არა უშავს, იქნებ რამე გიშველოთ! ბარემ, მეორე დაავადებაზეც მიამბეთ!
— მეორე ის არის, რომ საშინელი მატყუარა ვარ!

* * *

ქუთაისში ქალების აბანო იწვის. კაცები შორიასლოდან ტკბებიან სანახაობით — უყურებენ, როგორ გამოვრბიან ალმოდებული შენობიდან შიშველი ქალები. უცებ მათ შორის ჭიჭიკიამ საკუთარი ცოლი შენიშნა:
— ხელი აიფარე, ქალო, ხელი!
— უყვირის ჭიჭიკია. ქალმა ხელი აიფარა.
— სახეზე აიფარე, ქალო, სახეზე, თვარა წელს ქვემოთ ერთნაირები ხართ ყველანი!

გონების სავარჯიშო

„ზვის“ ერთგული მართხვალისათვის (პასუხები)

1. ბრიუს ლი და დიეგო მარადონა.
2. „არმიას დაღუპული ჯარისკაცების ხორციტ გამოვკვებავ“.
3. სპილენძის სასიგნალო საყვირი.
4. მოსკოვი.
5. მარილითა და ანკარა წყლით.
6. ეს ალკოჰოლური სასმელი ვაშლის წვენიგან მზადდება.
7. ყანაჭრია და კალია სინონიმებია.
8. ინგლისის.
9. ფუტკრის მიერ დამზადებულ ფიჭას.
10. ნაპოლეონს.
11. „ტიტანიკის“ ეკიპაჟმა.
12. ნანი ბრეგვაძე.

რენიფორსოგანა





ჰოროსკოპი

6-12 იანვარი

ვიწყი

შესაძლოა, ძველმა კოლეგებმა ახალი სამსახურის დაწყება შემოგთავაზონ. გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა, მაგრამ გართობასა და უაზრო ნივთების შეძენაზე მაქსიმალურად შეამცირეთ ხარჯები.

კუჩრი

ინიციატივა გამოიჩინეთ, როგორც სამსახურებრივი საქმეების მოგვარებისას, ისე — პირად ცხოვრებაში. კარგი პერიოდია შემოქმედებითი საქმიანობისთვის.

ცხუპი

შესანიშნავი პერიოდი დაგიდგათ — რასაც ჩაიფიქრებთ, აგისრულდებათ. შესაძლოა, მეგობრებმა საიდუმლოებები გაგიმხილონ.

კიჩხი

მეგობრების ფინანსური მხარდაჭერა იდეების განხორციელების საშუალებას მოგცემთ. ეს პერიოდი შეხვედრებითა და მხიარულობებით იქნება დატვირთული.

ღიმი

შესაძლოა, ცხოვრების კარდინალურად შეცვლის საშუალება მოგცეთ. მეტი ყურადღება მოგეთხოვებათ, თუ სხვისი ბედი თქვენს გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული.

ქახუცი

ჭორების გამო მეგობრებთან ურთიერთობას ნუ გაიფუჭებთ. სამსახურში იმაზე მეტის გაკეთებას ნუ წამოიწყებთ, რაც შეგიძლიათ.

სახსრი

ენერჯის მოზღვავებას იგრძნობთ, რაც მეტი სამუშაოს შესრულების საშუალებას მოგცემთ. შესაძლოა, აზარტულმა თამაშებმა გაგიტაცოთ.

ვიწი

საქმიანი მოლაპარაკებებისა და ხელშეკრულების გაფორმებისთვის ხელსაყრელი პერიოდია. პირად ცხოვრებაშიც გაგიმართლებთ. რომანტიკული შეხვედრები გელით.

მზი

დაწყებული საქმეები ბოლომდე მიიყვანეთ. ფინანსურ დახმარებას მშობლები გაგიწევენ. კარგი პერიოდია მავნე თვისებებისგან გასათავისუფლებლად.

ოხრი

საქმიანი პროექტების განხორციელება დაიწყეთ. რომანტიკული ნაცნობობა თქვენი ინიციატივით მოხდება. პარტნიორთან კარგ ურთიერთობას შეინარჩუნებთ, თუ არ იცრუებთ.

ვიწყი

ოჯახური საქმეები მხოლოდ თქვენი ჩარევით მოგვარდება. ნათესავებთან კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, რომელიმე ერთის მხარეს ნუ დაიჭერთ.

თიფი

შეხვედრებისა და მოლაპარაკებებისთვის ხელსაყრელი პერიოდია. ახალი ნაცნობობა დადებითად წაადგება თქვენს საქმიანობას. შესაძლოა, გამოგისწორდეთ ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან.

ძველბერძნული ჰოროსკოპი

ავროპული ზოდიაქოსგან განსხვავებით, ძველბერძნულ ჰოროსკოპში 10 ნიშანია:

კენტავრი — ცხენისტანიანი ადამიანი

(8 იანვარი — 12 თებერვალი) ფიცი და საკმაოდ მგრძობიარე ნიშანია. უჭირს ემოციების კონტროლი. შეყვარებული კენტავრი პარტნიორს ეჭვიანობით გაანაშებს.

პარზია — ფრთოსანი ქალი-ურჩხული

(13 თებერვალი — 18 მარტი) ამ პერიოდში შურისმაძიებელი ადამიანი იბადება. იგი წყნას არავის აპატიებს და მუდმივად რევანშზე ფიქრობს.

პეგასი — ფრთოსანი მერანი

(19 მარტი — 24 აპრილი) ამ პერიოდში დაბადებული ადამიანი ამაყი, თავდაჯერებული და რომანტიკული პიროვნებაა. ვერ ეგუება რუტინულ სამუშაოს. უყვარს ფუფუნება და მდიდრული ცხოვრება.

ცერბერი (კერბერი) — სამთავიანი ავი ძაღლი

(25 აპრილი — 30 მაისი) ცერბერის გაბრაზება არ შეიძლება. ყველაფერი მისი სურვილისამებრ უნდა გაკეთდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველასა და ყველაფერს მინასთან გაასწორებს.

სატირი — ღვინისა და მხარულების ღმერთის — დიონისეს მსლებელი ავსორცი არსება

(31 მაისი — 3 ივლისი) მამაკაცი-სატირი მექალთანეა. თუ ქალი მოეწონა, უკან არაფერზე დაიხევს. არც ქალი-სატირია ნაკლები, მისთვის სხვათა ოჯახის დანგრევა ადვილია.

სირინოზი — თევზისბოლოანი და ქალისთავიანი ზღვის არსება

(4 ივლისი — 10 აგვისტო) თანამედროვე სირინოზი გარეგნობით ცდილობს ხალხის მოხიბვლას და მათი დახმარებით საკუთარი მიზნების მიღწევას.

გრიფი — ლომისა და არწივისფრთიანი ცხოველი

(11 აგვისტო — 15 სექტემბერი)

მებრძოლი და შეუპოვარი ადამიანია. საკუთარი მიზნებისთვის ბოლომდე იბრძოლებს.

ქმერა — ცეცხლისმფრქვეველი ურჩხული, რომელსაც ლომის თავი, თხის ტანი და გველის კუდი აქვს

(16 სექტემბერი — 22 ოქტომბერი) ამ ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანი მლიქვნელია. საკუთარ სახეს სხვადასხვა ნიღბის ქვეშ მალავს.

სფინქსი — ლომისტანიანი არსება ქალის მკერდით

(23 ოქტომბერი — 30 ნოემბერი) სფინქსი ცივი გონებით მოქმედებს. ცდილობს, თავისთან ყველა მიიტყუოს და გაიმარჯვოს.

მინოტავრი — ხარისთავიანი და ადამიანისთავიანი ურჩხული

(1-ელი დეკემბერი — 7 იანვარი) მინოტავრს უჭირს დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება. ამიტომ ხშირად ექვევა სხვათა გავლენის ქვეშ.








						1. კურკოვანი ხილი	2. გეომეტრიული ფიგურა	3. ხელით ნაქსოვი კედლის ხალიჩა	4. ღამბლა	5. უკრაინის პარლამენტი			
						6. ბრაზილიური ყავა	7. იფიფა, რაც სანთელი	8. ფრანგი კომპოზიტორი	9. ქალაქი საქართველოში	10. თოკი			
						11. შხარე საქართველოში	12. კოლუმბიის ერთ-ერთი გემი	13. სუბტროპიკული კულტურა	14. თათარში ამოვლენული ნივთების აცმა				
						15. მიიმე შრომა	16. უდაბნო აფრიკაში	17. ერაყის დედაქალაქი	18. კომპიუტერის დასამზადებელი ტურქული	19. სულის განწმენდა	20. დანის არამჭრელი მხარე		
						21. ნაბიჯი ბალეტში	22. „ფორდის“ მოდელი	23. არგენტინელი მწვემბი	24. ვაზის ნახსლავი	25. პერუს დედაქალაქი	26. ხილი	27. ბიბლიური წინასწარმეტყველი	28. სასოფლო-სამეურნეო იარაღი
						29. ნაგვის ყუთი	30. ესპანური ავტომობილი	31. შუგარება მიიღებს დამუშავების ფინალურ ეტაპზე	32. მაჯის-ცემა				
						33. ქვეყნის ნაწილი	34. ... მარლი	35. პირველი ქალი					
						36. კიმონოს დეკორატიული ქაშარი	37. კარგი ამინდი	38. ხიდის საფრდენი	39. ჩამონათვალი	40. მუსნოტი	41. ექვსკაციანი ანსამბლი		
						42. სამეჯლისო ცემა	43. ფუხის ერთი გადაღმა	44. მდინარე საქართველოში					

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. გოზინაყი; 2. იაგუარი; 3. აისბერგი; 4. ჩიჩლაკი; 5. ლანგუსტი; 6. ტამბაში; 7. ცივა; 8. ნაზი; 9. ზურნა; 10. რემა; 11. სუხიშვილი; 12. გაი; 13. სინაგოგა; 14. ათანელი; 15. კიმი; 16. მიკ; 17. ფაბრიკა; 18. რაი კონენი; 19. კალო; 20. კოპენჰაგენი; 21. ტაიმი; 22. ტილო; 23. პა; 24. წყვიდადი; 25. ლი; 26. გოჭი; 27. ბალუ; 28. ბერწი; 29. რიონი; 30. შხარა; 31. ყინვა; 32. ჰანოი; 33. კროლი; 34. კალანდა; 35. ჰავა; 36. წვენი; 37. პოკეი; 38. გიგლია; 39. ვედრება; 40. ფან; 41. ლეონიძე; 42. ანოდი; 43. ბია; 44. სარდინია.

სურათებზე: „გილოცაეთ ახალ წელს“.

ფოტოკუჩიონები




„დიდი მხატვრები“

- 90



ფიროსმანი

დიდი მხატვრები



10 იანკოიდან!

„კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის
სპეციალური ფასი 15 ლარი!
მხოლოდ ერთი კვირის
განმავლობაში

იყიფხოთ წიფნის მალაზიფქში
ან ჯოუსის გაძაჟოსქლოქლოქთან

b 62 / 2